F-133
1964

ეროვნული
ბიბლიოთეკა

F2854

# საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 1 1964 წ.

## შ ი ნ ა ა რ ს ი

### საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

1. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 15 იანვრის № 37 დადგენილების მე-2, 3 და 4 მუხლების მოქმედების ვადის 1964 წლისათვის გაგრძელების შესახებ.
2. „ჩაის ფოთლის მექანიზებული კრეფის შემდგომი გაფართოების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 29 იანვრის № 442 დადგენილების შესრულების მიმდინარეობის თაობაზე.
2ა. სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1963 წლის დეკემბრის პლენუმის დადგენილების შესრულების უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ.
3. „საქართველოს სს რესპუბლიკაში ავტოსაგზაო შემთხვევების წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებათა შესახებ“ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 31 ივლისის № 558 დადგენილების შესრულების მიმდინარეობის თაობაზე.

### საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფსაბჭოს დადგენილებები

4. მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესებისათვის სოციალისტური შეჯიბრების გაშლის შესახებ.
5. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ენერგეტიკისა და ელექტროფიკაციის მთავარი სამმართველოს საწარმოთა და ორგანიზაციათა კოლექტივების სოციალისტური შეჯიბრების შესახებ.

ბიბლიოთეკა

№ 1
ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

6. კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, „სოფლტექნიკის“ სისტემის ორგანიზაციების და სარემონტო საწარმოების და სოფლის მეურნეობის სხვა საწარმოებისა და ორგანიზაციების ტრაქტორების, თვითმავალი შასების და სატრაქტორო მისაბმელების სანომრო ნიშნების დებულების დამტკიცების შესახებ.
7. სატვირთო საავტომობილო ტრანსპორტით მოსახლეობის მომსახურების შემდგომი განვითარების შესახებ.
8. საქართველოს სს რესპუბლიკაში საარქივო საქმის გაუმჯობესების ზომების შესახებ.
9. სამრეწველო გადანაყარითა და ავტომობილების გამონაბოლქვი გაზებით გაბინძურებისაგან ატმოსფერული ჰაერის დაცვის ზომებრს შესახებ
10. სახალხო მოხმარების საქონლის საბითუმო გაყიდვის რესპუბლიკური ბაზრობების დებულების დამტკიცების შესახებ.
11. საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის ჰიდრომეტეოროლოგიური მომსახურების გაუმჯობესების შესახებ.
12. „საზოგადოებრივი ავტოინსპექტორების დებულებაში“ ზოგიერთი ცვლილების შეტანის შესახებ.
13. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 24 დეკემბრის № 1244 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებების გაუქმების შესახებ.
14. რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკაში“ ტექნიკური ინფორმაციისა და რეკლამის ბიუროს შექმნის შესახებ.
15. უმეთვალყურო და ირაო პირუტყვის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე.
16. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 19 ოქტომბრის № 661 დადგენილების მე-3 მუხლის რედაქციის შეცვლის შესახებ.
17. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 16 იანვრის № 43 დადგენილება „საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციების გრძელვადიანი დაკრედიტების შესახებ“.
18. საქართველოს სს რესპუბლიკაში ვეტერინარული საქმის გაუმჯობესებისა და ვეტერინარული კონტროლის გაძლიერების შესახებ.
19. სახალხო მეურნეობაში ანგარიშსწორების გაუმჯობესების ზომების შესახებ (სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 25 დეკემბრის № 1245 დადგენილება).
20. კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ყურძნისა და ხილის საკონტრაქტაციო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული მატერიალური პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების შესახებ.
21. იმ მოზარდთა აღრიცხვის შესახებ, რომლებიც არ სწავლობენ სასწავლებლებში და არ არიან დასაქმებული წარმოებაში.
22. „მოქალაქეთა მიერ არაშრომითი შემოსავლით აშენებული ან შეძენილი სახლების, აგარაკებისა და სხვა ნაგებობათა უსასყიდლოდ ჩამორთმევის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1962 წლის 15 აგვისტოს ბრძანებულების შესრულების მიმდინარეობის თაობაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

23. რელიგიურ საზოგადოებათა სარგებლობაში გადაცემული სახელმწიფო ფონდის შენობების გადაფასების შესახებ.
24. საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო სახელმწიფო საწარმოებისა და ორგანიზაციების მუშა-მოსამსახურეთა საკარმიდამო მიწათსარგებლობის მოწესრიგების ღონისძიებათა შესახებ.
25. იმ დაწესებულებებსა და საწარმოებში სამუშაო საათების შესახებ, რომლებიც მომსახურებას უწევენ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო საჭიროებებს.
26. სახალხო-სამეურნეო ტვირთების დაცვა-შენახვისა და მომხმარებლებისათვის მიტანის გაუმჯობესების შესახებ.
27. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 21 ივლისის № 460 დადგენილების დამატების შესახებ.
28. შოთა რუსთაველის სახელობის რესპუბლიკური პრემიის დაწესების შესახებ.
29. ხელით სამართავი ავტომობილებით ინვალიდთა უზრუნველყოფის შესახებ.
30. ვაჭრობის ორგანიზაციის გაუმჯობესების ზოგიერთი ღონისძიების შესახებ.
31. ავტობუსების შოფრებისა და კონდუქტორებისათვის პრემიების ოდენობის განსაზღვრის გაუქმების შესახებ.
32. ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის ხელმძღვანელ და პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობის თანამდებობრივი განაკვეთების შესახებ.
33. „საქართველოს სს რესპუბლიკაში სასოფლო-სამეურნეო კულტურების ჯიშობრივი დარაიონების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 8 თებერვლის № 88 დადგენილებაში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის თაობაზე.
34. საქართველოს სსრ მსუბუქი და კვების მრეწველობის საწარმოთა პროდუქციის მოქმედი საბითუმო ფასების გადასინჯვის შესახებ.
35. კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების თამბაქოს საკონტრაქტაციო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული მატერიალური პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების შესახებ.
36. საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ.
37. კოლმეურნეობათა და საბჭოთა მეურნეობათა ზოგიერთი საწარმოო სამმართველოს ადგილსამყოფელის გამოცვლის შესახებ.
38. საქართველოს სსრ სახმშენის სტრუქტურისა და შტატების შესახებ.
39. საქართველოს სს რესპუბლიკაში მეორადი ნედლეულის შეგროვებისა და გამოყენების დაგეგმვის მოწესრიგების ზომების შესახებ.
40. „საქართველოს სსრ ქალაქებსა და დაბებში მიწათსარგებლობის წესის დარღვევასთან და თვითნებურ საბინაო მშენებლობასთან ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 27 ივლისის № 395 დადგენილების მე-7 მუხლის შეცვლის თაობაზე.
41. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს სპეციალიზებული ტრესტების მოწყობის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

**1** საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 15 იანვრის № 37 დადგენილების მე-2, 3 და 4 მუხლების მოქმედების ვადის 1964 წლისათვის გაგრძელების შესახებ

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

გაუგრძელდეს მოქმედების ვადა 1964 წლისათვის მე-2, 3 და 4 მუხლებს საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 15 იანვრის № 37 დადგენილებისა „ იმის შესახებ, რომ განთავისუფლდნენ საქართველოს სსრ საიჯარო-სამშენებლო ორგანიზაციები ადგილობრივი საბჭოებისათვის საცხოვრებელი ფართობის 10 პროცენტის გადაცემისაგან და რომ შემკვეთებმა გადასცენ საქართველოს სსრ საიჯარო-სამშენებლო ორგანიზაციებს საექსპლუატაციოდ გადაცემული საცხოვრებელი ფართობის 10 პროცენტი“.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი
**ვ. მჟავანაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
**გ. ჯავახიშვილი.**

ქ. თბილისი, 1964 წ. 22 თებერვალი, № 88.

**2** „ჩაის ფოთლის მექანიზებული კრეფის შემდგომი გაფართოების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 29 ივნისის № 442 დადგენილების შესრულების მიმდინარეობის თაობაზე

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავენ, რომ საქართვე-

№ 1 ეროვნული ბიბლიოთეკა

ლის სსრ პარტიულმა ორგანიზაციებმა, სამინისტროებმა, უწყებებმა, სახალხო მეურნეობის საბჭომ, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოებმა, რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა გარკვეული მუშაობა გასწიეს იმისათვის, რომ განეხორციელებინათ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 29 ივნისის № 442 დადგენილება „ჩაის ფოთლის მექანიზებული კრეფის შემდგომი გაფართოების ღონისძიებათა შესახებ“.

კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ცალკეული საწარმოო სამმართველოები, კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები შეუდგნენ ჩაის პლანტაციების გამოყოფას ჩაის მექანიზებული კრეფისათვის და ჩაის საკრეფი მანქანების სამუშაოდ მომზადებისათვის.

ზოგიერთ პლანტაციაში დაიწყო მანქანების მოსაბრუნებელი მოედნებისა და მისასვლელი გზების მოწყობის სამუშაოები. სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტრომ ჩაატარა მოსამზადებელი მუშაობა მექანიზატორთა კადრების გადასამზადებელი კურსების მოწყობისათვის.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს მანქანათმშენებლობის მრეწველობის სამმართველოს ქარხნებში განაწილდა შეკვეთები „საქართველოს“ მარკის ჩაის საკრეფი მანქანებისათვის ცალკეული დეტალების დამზადების შესახებ.

ფართოდ ჩატარდა „საქართველოს“ მარკის ჩაის საკრეფი მანქანების საწარმოო გამოცდა, ამ გამოცდის შედეგებმა დაადასტურეს აღნიშნული მანქანების მუშაობის უნარიანობა და ეფექტიანობა. მანქანების მიერ მოკრეფილი ფოთოლი ბევრად აღემატება ზოგიერთი ხარისხობრივი მაჩვენებლებით ხელით მოკრეფილი ჩაის ფოთლის მაჩვენებლებს, ამასთან წელიწადში ერთ ჰექტარზე ათავისუფლებს 280-მდე კაცდღეს.

ჩატარდა „ჩა-900“ მარკის მანქანების წინასწარი გამოცდა, რამაც გვიჩვენა ჩაის ფოთლის რაოდენობრივი კრეფის დადებითი შე-

დეგები. საბოლოო შედეგების მიღება მოითხოვს ამ მანქანებ[illegible] დგომ გამოცდას მუშაობაში.

ამასთან ერთად, შემოწმებით დადასტურდა, რომ ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებლად სრულდება მთელი რიგი ღონისძიებანი ჩაის ფოთლის მექანიზებული კრეფის შემდგომი გაფართოებისათვის.

1964 წელს ჩაის ფოთლის მექანიზებული კრეფისათვის გათვალისწინებულია გამოყოს და მომზადდეს 3400 ჰექტარი ჩაის პლანტაცია. ფაქტიურად გამოყოფილია მხოლოდ 2669 ჰექტარი, მათ შორის კოლმეურნეობებში 1770 ჰექტარი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 1540 ჰექტარისა და საბჭოთა მეურნეობებში — 899 ჰექტარი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 1860 ჰექტარისა.

ჩაის ფოთლის მექანიზებული კრეფისათვის ჩაის პლანტაციების გამოყოფის გეგმის შეუსრულებლობა იმის შედეგია, რომ ამ დიდმნიშვნელოვან ღონისძიებას უყურადღებოდ ეკიდებიან გალის, ოჩამჩირის, გეგეჭკორის, მახარაძისა და ზუგდიდის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოები, რომლებმაც გამოყვეს საბჭოთა მეურნეობებში ჩაის ფოთლის მექანიზებული წესით მოსაკრეფად მხოლოდ 899 ჰექტარი ჩაის პლანტაციები, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 1860 ჰექტარისა, ხოლო მახარაძის საწარმოო სამმართველომ გეგმით გათვალისწინებული 230 ჰექტარი გამოყო 25 კოლმეურნეობაში, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული ხუთი კოლმეურნეობისა. ყველა კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში როდია დაკომპლექტებული შტატი კვალიფიციური ინჟინერ-მექანიზატორებით.

საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს, მის № 3 ტრესტს და „კავსანტექხმონტაჟის" სამონტაჟო სამმართველოს არ გადაუციათ საექსპლუატაციოდ საქართველოს სასოფლო-სამეურნეო მანქანების ქარხნის მთავარი კორპუსის ორი მალი, ცენტრალური საკომპრესორო და სამჭედლო საამქროს მიშენება.

ჩაის ფოთლის მექანიზებული კრეფის შემდგომი გაფართოების ღონისძიებათა უცილობლივ შესრულების მიზნით, საქართველოს კპ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. დაევალოთ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს, აფხაზეთის ასს რესპუბლიკას, მახარაძის, ზუგდიდის, ოჩამჩირის, გალისა და გეგეჭკორის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოებს ორი კვირის ვადაში უზრუნველყონ 1964 წლის გეგმის ფარგლებში ჩაის პლანტაციების გამოყოფა ფოთლის მექანიზებული კრეფისათვის საბჭოთა მეურნეობებში გეგმით გათვალისწინებული მოცულობით, ხოლო მახარაძის საწარმოო სამმართველომ 230 ჰექტარის განაწილება უზრუნველყოს ათ კოლმეურნეობაში.

2. საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭომ და მისმა მანქანათმშენებლობის მრეწველობის სამმართველომ, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო მანქანების ქარხანამ მიიღონ საჭირო ზომები და 1964 წლის 15 აპრილამდე უზრუნველყონ „საქართველოს“ მარკის 100 ჩაის საკრეფი მანქანის გამოშვება თანაბარ პარტიებად, ასი ცალი აპარატისა შპალერული სხვლისათვის და ოცდაათი აპარატისა ნახევრადღრმძიმე სხვლისათვის 1964 წლის 15 მარტისათვის.

3. საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭომ:

ა) გააფორმოს ერევნის რეზინატექნიკურ ნაკეთობათა ქარხანასთან ხელშეკრულება გოფრირებული შლანგების დამზადების შესახებ;

ბ) უზრუნველყოს „საქსოფლტექნიკის“ განაცხადებით ყველა ჩაის საკრეფი მანქანის საჭირო სათადარიგო ნაწილების დამზადება 1964 წლის 1 აპრილამდე.

4. დაევალოს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს მანქანათმშენებლობის მრეწველობის სამმართველოს დაამზადოს 1964 წლის განმავლობაში „საქართველოს“ მარკის ჩაის საკრეფი მანქანების წარმოების წლიური გეგმის ანგარიშში 10 ცალი ჩაის საკრეფი მანქანა „ჩა-900“ „სშ-8გ“ თვითმავალ შასიზე, მესამე წამყვან

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვლიანად და „ჩპა-900“ მარკის 10 ცალი ჩაის სასხლავი აპარატი.

5. დაევალოს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის სახელმწიფო სპეციალურ საკონსტრუქტორო ბიუროს ათი დღის ვადაში გადასცეს მანქანათმშენებლობის მრეწველობის სამმართველოს სამუშაო ნახაზები „ჩა-900“ მანქანისა, „სშ-8გ“ თვითმავალ შასიზე მესამე წამყვან თვლიანად და სასხლავი აპარატისა.

6. საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტრომ, № 3 ტრესტმა და „კავსანტეხმონტაჟის“, „ენერგოჩერმეტის“, „კაველექტრომონტაჟის“ და „პრომვენტილაციის“ სამონტაჟო ორგანიზაციებმა 15 დღის ვადაში დაამთავრონ საქართველოს სასოფლო-სამეურნეო მანქანათა ქარხანაში საკომპრესორო და სამჭედლო საამქროს მიშენების მშენებლობა და საექსპლუატაციოდ გადაცემა, დაამთავრონ და ჩააბარონ 1964 წლის პირველ კვარტალში მთავარი კორპუსის ერთი მალი, ხოლო მეორე კვარტალში — მეორე მალი.

7. საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტრომ დაამთავროს ავტობაზის მთავარი კორპუსის, ბენზინგასაწყობი და სარეცხი მოედნის მშენებლობა ლილოში 1964 წლის პირველ კვარტალში, ხოლო საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრომ ამავე ვადისათვის გადაიტანოს საქართველოს სასოფლო-სამეურნეო მანქანათა ქარხნის ტერიტორიიდან ავტოსატრანსპორტო კანტორა № 17.

8. კავშირგაბმულობის, ვაჭრობის, კომუნალური მეურნეობის სამინისტროებმა და თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომმა ერთი თვის ვადაში განიხილონ და გადაწყვიტონ საქართველოს სასოფლო-სამეურნეო მანქანების ქარხანაში კავშირგაბმულობის მოწყობის, ვაჭრობისა და მუშათა კვების გაუმჯობესების, გაზითა და წყლით მომარაგების საკითხი.

9. რესპუბლიკურმა გაერთიანება „საქსოფლტექნიკამ“ უზრუნველყოს ჩაის საკრეფი მანქანების რემონტი და ტექნიკური მოვლა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, აგრეთვე მანქანების ექსპლუატაცია კოლმეურნეობებში.

№ 1
ეროვნული
ბიბლიოთეკა

10. საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს მომარაგება-გასაღების მთავარ სამმართველომ 1964 წლის პირველი კვარტალის დამლევამდე უზრუნველყოს საქართველოს სასოფლო-სამეურნეო მანქანების ქარხანა მასალებითა და მაკომპლექტებელი ნაკეთობებით „ჩა-900" ჩაის საკრეფი მანქანების დასამზადებლად „სშ-8გ" თვითმავალ შასიზე.

11. წინადადება მიეცეთ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოებს ერთი თვის ვადაში უზრუნველყონ კადრების დაკომპლექტება კვალიფიციური ინჟინერ-მექანიზატორებით ყველა კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში, რომლებშიაც ჩატარდება ფოთლის მექანიზებული კრეფა.

12. დაევალოს ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტს თავისი პასუხისმგებლობით სათანადო ხელმძღვანელობა გაუწიოს ჩაის პლანტაციების მომზადებას მექანიზებული კრეფისათვის მანქანის მუშაობის ყველა პუნქტის მიხედვით, ხოლო ჩაის მრეწველობის ინსტიტუტმა ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინოს მექანიზებული წესით მოკრეფილი ფოთლის გადამმუშავებელ ჩაის ფაბრიკებს იმ მხრივ, რომ დაინერგოს წარმოებაში მექანიკური წესით მოკრეფილი ფოთლის გადამუშავების მის მიერ შემუშავებული ტექნოლოგია.

13. დაევალოს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს იმისათვის, რომ მიღებულ იქნას ყოველმხრივი მაჩვენებლები, როგორც გადამუშავების წესებისა და ხერხების დაცვის მხრივ, რომლებიც გათვალისწინებულია მექანიზებულად მოკრეფილი ფოთლის მიმართ, აგრეთვე მანქანით მოკრეფილი ჩაის ფოთლის გადამუშავებისაგან მიღებული ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლების სრულად გამოვლინების მხრივ, გადაიყვანოს მთლიანად ჩაის მრეწველობის საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ანასეულის საცდელი ჩაის ფაბრიკა (650 ტონა სიმძლავრით), ინგირის ჩაის ფაბრიკა — საბჭოთა მეურნეობა (3200 ტონა სიმძლავრით) მექანიზებულად მოკრეფილი ფოთლის გადამუშავებაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

14. დაევალოს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას გამოუყოს მიმდინარე წლის პირველ კვარტალში საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს „გაზ-51“ მარკის 20 ცალი ბორტიანი სატვირთო ავტომობილი რესპუბლიკის 1964 წლის საერთო ფონდიდან, მექანიზებული წესით მოკრეფილი ფოთლის გადასაზიდად.

15. დაევალოთ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს ყოველთვიურად მოაწოდონ ინფორმაცია საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტს ამ დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

* *

*

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო მოითხოვენ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ პარტიული ორგანიზაციებისა და მინისტრთა საბჭოებისაგან, მეჩაიეობის რაიონების პარტიული კომიტეტებისა და საწარმოო სამმართველოების ხელმძღვანელებისაგან, ჩაის საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების, სამინისტროების, უწყებების და სახალხო მეურნეობის საბჭოს ხელმძღვანელებისაგან განუხრელად შეასრულონ 1964—1965 წლებში ღონისძიებანი, რომლებიც დასახულია საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 29 ივნისის დადგენილებით ჩაის ფოთლის მექანიზებული კრეფის შემდგომი გაფართოებისათვის.

| | |
|---|---|
| საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი | საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე |
| **ვ. მჟავანაძე.** | **გ. ჯავახიშვილი.** |

ქ. თბილისი, 1964 წ. 11 იანვარი, № 15.

**2ა** **სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1963 წლის დეკემბრის პლენუმის დადგენილების შესრულების უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ**

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1963 წლის დეკემბრის პლენუმის დადგენილების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით, საქარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. დაევალოს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას რესპუბლიკის ქიმიური მრეწველობის შემდგომი განვითარების გეგმის პროექტის შემუშავებისას იხელმძღვანელოს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1963 წლის დეკემბრის პლენუმის დადგენილებით, რომელიც მიღებულია ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების გამო „ქიმიური მრეწველობის დაჩქარებული განვითარება სასოფლო-სამეურნეო წარმოების აღმავლობის და ხალხის კეთილდღეობის ზრდის უმნიშვნელოვანესი პირობაა“ და მომავალი შვიდი წლისათვის (1964—1970 წლები) ქიმიური მრეწველობის შემდგომი განვითარების პროგრამით, რაც ჩამოყალიბებულია მოხსენებაში.

ამის საფუძველზე გაითვალისწინოს:

ა) აზოტოვანი სასუქების წარმოების შემდგომი გაფართოება, მათ შორის კარბამიდის კონცენტრირებული სასუქის წარმოების მოწყობა იმ ანგარიშით, რომ აყვანილ იქნას აზოტოვანი მინერალური სასუქების გამოშვება 1968 წლისათვის იმ ოდენობამდე, რაც საჭიროა რესპუბლიკის მოთხოვნილების მთლიანად დასაკმაყოფილებლად;

ბ) კაპროლაქტამის წარმოების გაფართოება კაპრონის კორდის ბოჭკოს გამოშვების გადიდების მიზნით და პოლიამიდური ფისების წარმოების შექმნა, აგრეთვე მოცულობითი და ელასტიური ნართის წარმოების მოწყობა, გარდა პროექტით გათვალისწინებული კაპრონის აბრეშუმის ბოჭკოს ქარხნისა;

გ) ფოსფორული და კომპლექსური რთული მინერალური სასუქების (ორმაგი, სამმაგი) წარმოების მოწყობა რესპუბლიკაში იმ ანგარიშით, რომ დაკმაყოფილებულ იქნას რესპუბლიკის მოთხოვნილება ამ სასუქებზე, მოქმედი საამქროების გაფართოება მცენარეთა დაცვის საშუალებათა წარმოებისათვის და ახალი საამქროების მშენებლობა, მათ შორის ჰერბიციდების დასამზადებლად;

დ) პლასტიკური მასებისა და სინთეზური ფისების — კარბამიდისა და პოლიამიდის ფისების, მელამინისა და სხვადასხვა წნეხფხვნილების წარმოების მოწყობა, მათ შორის ტყიბულის ფისოვანი ლიბტობიოლიტური ქვანახშირისაგან, ფიქალისაგან და სხვ.

ე) არსებული საწარმოების გაფართოება და ახალი საწარმოების მშენებლობა პლასტმასების გადასამუშავებლად მანქანათმშენებლობის, ელექტროტექნიკური მრეწველობის, სამშენებლო ინდუსტრიისა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგებისათვის საჭირო ნაკეთობებად;

მუხ. 2 ა
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვ) პიგმენტებისა და ლაქსაღებავების პროდუქციის შემდგომი გაფართოება მათი ნედლეულის ბაზის იმავდროულად გაფართოებასთან ერთად (ბარიტების მოპოვება და სხვ.);

ზ) ქიმიური პროდუქციის გამოსაშვები საამქროს მშენებლობა მარგანეცის, ქიმიურად სუფთა რეაქტივებისა და სხვათა გამოყენების ბაზაზე;

თ) წარმოების მოწყობა ბათუმის ნავთობგადამმუშავებელი ქარხნის, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის გამავალი გაზებისა და ნავთობპროდუქტების, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის, სხვა საწარმოების სხვადასხვა ნარჩენების ბაზაზე, აგრეთვე რესპუბლიკაში არსებული სხვადასხვა სახის მინერალური ნედლეულის გადამუშავების ბაზაზე.

საჭიროა ფულადი და მატერიალურ-ტექნიკურ საშუალებათა გამოყოფა ქიმიური მრეწველობის ობიექტების მშენებლობისათვის იმ ანგარიშით, რომ უზრუნველყოფილ იქნას მათი გადაცემა საექსპლუატაციოდ მთავრობის მიერ დაწესებულ ვადებში.

2. დაევალოთ საქართველოს სსრ სახმშენს, მშენებლობის სამინისტროს და სახალხო მეურნეობის საბჭოს:

ა) შეიმუშაონ და 1964 წლის 1 აპრილამდე წარმოუდგინონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ ქიმიური საწარმოების მშენებლობის ორგანიზაციის ძირეულად გაუმჯობესებას, რისთვისაც თავი მოუყარონ ამ საწარმოების მშენებლობაზე ადამიანთა და მატერიალურ რესურსებს, შექმნან და გააძლიერონ სპეციალიზებული სამშენებლო ორგანიზაციები, ჩაატარონ შემდგომი ინდუსტრიალიზაცია, შეამცირონ მშენებლობის ვადები და მისი თვითღირებულება;

ბ) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ იმას, რომ დროზე იქნან უზრუნველყოფილი ქიმიური მშენებლობები საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით, ტექნოლოგიური მოწყობილობით, ხელსაწყოებით, აპარატებით, საკაბელო ნაკეთობებით, მილებით, ლითონითა და მასალებით.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭომ უზრუნველყოს მაქსიმალური რაოდენობის არასტანდარტიზებული მოწყობი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლობის დამზადება დაქვემდებარებულ საწარმოებში ქიმიური მრეწველობის მშენებლობისათვის;

გ) ქიმიური მრეწველობის ობიექტების მშენებლობაზე სამუშაოთა დაჩქარებისა და მათი კვალიფიციურად შესრულების მიზნით, მიაღწიონ რესპუბლიკაში განლაგებული სპეციალიზებული სამონტაჟო ორგანიზაციების აღჭურვას საჭირო მოწყობილობით და მათ დაკომპლექტებას კადრებით;

დ) უზრუნველყონ 1964—1965 წლების სახალხო-სამეურნეო გეგმით გათვალისწინებულ სიმძლავრეთა დამთავრება და საექსპლუატაციოდ გადაცემა მთავრობის მიერ დაწესებულ ვადებში და რესპუბლიკის ქიმიური მრეწველობის შემდგომი განვითარების ობიექტებისა 1966—1970 წლებისათვის.

3. დაევალოთ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს და შესაბამის სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტებს ჩაატარონ 1964—1965 წლებში სახალხო-სამეურნეო გეგმით გათვალისწინებული სამრეწველო ცდები საცდელ-სამრეწველო დანადგარებზე, შეადგინონ სრული ანგარიში ამ ცდების შედეგების შესახებ, ამასთან მოიყვანონ დაზუსტებული ტექნოლოგიური და ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლები, რომლებიც საჭიროა სამრეწველო საწარმოების დაპროექტებისა და მშენებლობისათვის.

4. ბუნებრივი პიგმენტების მომპოვებელი, გამამდიდრებელი და გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობის მიზნით, დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ გეოლოგიურ სამმართველოს გააფართოოს გეოლოგიურ-სადაზვერვო სამუშაოები და 1965 წლის დამლევამდე განსაზღვროს ამ პიგმენტების სამრეწველო მარაგი რესპუბლიკაში.

5. ვინაიდან დიდი ამოცანებია დასახული რესპუბლიკის ქიმიური მრეწველობის წინაშე და არსებობს მისი განვითარების შემდგომი პერსპექტივები, დაევალოთ საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას, სახალხო მეურნეობის საბჭოს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სახელმწიფო კომიტეტს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტს

ეროვნული

შეიმუშაონ და ორი თვის ვადაში წარმოუდგინონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ღონისძიებანი, რომელთა მიზანია რესპუბლიკის ქიმიური მრეწველობის უზრუნველყოფა ინჟინერთა, ტექნიკოსთა, ოსტატთა და კვალიფიციურ მუშათა საჭირო რაოდენობით.

6. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა კოორდინაციის სახელმწიფო კომიტეტმა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიამ და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სახელმწიფო კომიტეტმა:

ა) დააჩქარონ სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებისა და ლაბორატორიების პროფილირება, მიიღონ ზომები, რათა აღმოიფხვრას ჯერ კიდევ არსებული მრავალთემიანობა, პარალელიზმი და ისეთი თემები, რომელთაც პრაქტიკული მნიშვნელობა არა აქვთ, აგრეთვე იმისათვის, რომ კიდევ უფრო უკეთ მოხდეს სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა კოორდინაცია ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიის დარგში;

ბ) ქიმიური პროფილის სამეცნიერო დაწესებულებების, კათედრებისა და უწყებრივი ლაბორატორიების სამეცნიერო კადრების მთელი ძალღონე და მატერიალურ-ტექნიკური საშუალებანი წარმართონ ისეთი აქტუალური სამუშაოების გაფართოებისაკენ, როგორიცაა სოფლის მეურნეობის ქიმიზაცია, პოლიმერებისა და სინთეზური მასალების ქიმია ბუნებრივი გაზის, ნავთობგადამმუშავებელი მრეწველობის პროდუქტებისა და გაზების, შავი და ფერადი მეტალურგიის, ქიმიური მრეწველობის პროდუქტებისა და ნარჩენების, აგრეთვე ადგილობრივი და მინერალური ნედლეულის კომპლექსური გადამუშავების ბაზაზე, აგრეთვე იმისაკენ, რომ გამოვლინდეს და შემუშავდეს ლუმინოფორების, ბიოლოგიური აქტიური ნივთიერებების, თხელფოროვანი ცეოლიტების ახალ სახეობათა საშუალებანი, გაფართოვდეს გამოკვლევები ადგილობრივი ნედლეულისაგან ქიმიურად სუფთა პროდუქტების, ლაქებისა და საღებავების წარმოების მოსაწყობად, შემუშავდეს სახალხო მეურნეობის ინტერესებთან დაკავშირებით თეორიული საკითხები;

გ) გადაჭრით გააუმჯობესონ სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების აღჭურვა საჭირო მოწყობილობით, აპარატურით და შექმნან მათთვის თანამედროვე ექსპერიმენტული ბაზა;

დ) შეიმუშაონ და 1964 წლის 15 მარტამდე წარმოუდგინონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ღონისძიებანი, რომლებიც უზ-

№ ეროვნული ბიბლიოთეკა

რუნველყოფენ ქიმიის დარგში სამეცნიერო გამოკვლევების მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და პირობების ძირეულად გაუმჯობესებას.

7. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა კოორდინაციის სახელმწიფო კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტმა მოამზადონ და გამოსცენ პოპულარული ბროშურები ქიმიის საფუძვლების უმთავრეს საკითხებზე, რესპუბლიკაში ათვისებულ ქიმიურ წარმოებათა ტექნოლოგიური პროცესების, მინერალური სასუქებისა და მცენარეთა დაცვის რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაში გამოსაყენებელ ქიმიურ საშუალებათა, მათი შემადგენლობის, დახასიათების, დანიშნულების, ეფექტიანობის შესახებ და სახალხო მეურნეობის ცალკეული დარგების ქიმიზაციის საკითხებზე.

8. დაევალოს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს:

ა) შეამოწმოს ქიმიური მრეწველობის ყველა მოქმედ საწარმოსა და საამქროში საპროექტო სიმძლავრეთა ათვისების მიმდინარეობა და იმისათვის, რომლებსაც დღემდეც არ აუთვისებიათ საპროექტო სიმძლავრენი, შეიმუშაოს და ერთი თვის ვადაში წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ მათ ათვისებას უმოკლეს ვადაში;

ბ) დააჩქაროს ნორიო-მუხროვანის საბადოს იოდ-ბრომის წყლების მარაგის გამორკვევა, რათა მოეწყოს მათ ბაზაზე საწარმო;

გ) აღჭურვოს დიდი საწარმოების ცენტრალური საქარხნო ლაბორატორიები საჭირო თანამედროვე მოწყობილობით, აპარატურითა და მაღალკვალიფიციური კადრებით;

დ) შეიმუშაოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წარმოუდგინოს წინადადებანი იმის შესახებ, რომ შეწყდეს კვების ნედლეულის გამოყენება ტექნიკური მიზნებისათვის;

ე) შეიმუშაოს ღონისძიებანი, რომელთა მიზანია მასალების დამუშავების ქიმიური მეთოდების გამოყენება, აგრეთვე ახალი ხელოვნური და სინთეზური მასალების ფართოდ გამოყენება მანქანათმშენებლობის, ელექტროტექნიკურ მრეწველობაში, ავეჯის წარმოებაში და თავისი წინადადებანი ორი თვის ვადაში წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

მუხ. 2ა
ეროვნული
ბიბლიოთეკა

9. დაევალოთ საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას, სახალხო მეურნეობის საბჭოს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა კოორდინაციის სახელმწიფო კომიტეტს ერთი თვის ვადაში წარმოუდგინონ წინადადებანი რესპუბლიკაში საპროექტო-ტექნოლოგიური ქიმიური ინსტიტუტის მოწყობის შესახებ.

10. სახალხო მოხმარების პროდუქციის გამოშვების მკვეთრად გადიდების მიზნით საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიამ და სახალხო მეურნეობის საბჭომ გაითვალისწინონ სახალხო მეურნეობის 1966—1970 წლების გეგმის პროექტით ხელოვნური და სინთეზური ბოჭკოების გადამმუშავებელი სპეციალიზებული ფაბრიკების მშენებლობა, აგრეთვე საყოფაცხოვრებო ქიმიის საქონლის და პლასტმასებისაგან დამზადებულ სხვადასხვა ნაკეთობათა ასორტიმენტის გაფართოება და მათი გამოშვების გადიდება.

11. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიამ და წყალთა მეურნეობის სამინისტრომ გაითვალისწინონ სახალხო მეურნეობის 1966—1970 წლების გეგმის პროექტით ამოსაშრობი მიწების ფართობის მნიშვნელოვნად გადიდება და ზედმეტად დატენიანებული მიწების ამოშრობა.

12. დაევალოთ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს და კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოებს:

ა) შეიმუშაონ თვითეული ზონისათვის და ზონის ფარგლებში კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მიხედვით კონკრეტული ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ მიწების ეფექტიანად გამოყენებას და მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების დანერგვას პრაქტიკაში;

ბ) შეიმუშაონ ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ იმას, რომ კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა სწორად გამოიყენონ მინერალური სასუქები ცალკეული ზონებისა და რაიონების ნიადაგობრივი პირობების შესაბამისად, განახორციელონ მიწათმოქმედების ქიმიზაცია, უწინარეს ყოვლისა სარწყავ მიწებზე იმ ანგარიშით, რომ უნარიანად გამოიყენონ სასუქები სარწყავ მიწებზე და მიიღონ მარცვლის, ყველა ტექნიკური და საკვები კულტურების უხვი გარანტირებული მოსავალი.

№ 1
ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოუყონ მინერალური სასუქები პირველ რიგში იმ რაიონებსა და მეურნეობებს, სადაც მათ შეუძლიათ ყველაზე მეტი ეფექტიანობის მოცემა;

გ) შეიმუშაონ ღონისძიებანი, რომელთა მიზანია მცენარეთა დაცვის ქიმიური საშუალებების სწორად გამოყენება სასოფლო-სამეურნეო კულტურათა სარეველების მავნებლებისა და დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლაში;

დ) უზრუნველყონ სათესი ფართობების სტრუქტურის გაუმჯობესებისა და მოსავლიანობის გადიდების საჭირო ზომების განხორციელება თვითეულ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში იმ ვარაუდით, რომ უკვე 1964 წლიდან იქნას მიღწეული მარცვლის, ჩაის, ყურძნის, ხილის, საკვების, თამბაქოს, კარტოფილის, შაქრის ჭარხლის, ბოსტნეულისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების მნიშვნელოვანი ზრდა.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტრომ ორი თვის ვადაში წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მოხსენება გატარებულ ღონისძიებათა შესახებ.

13. წინადადება მიეცეთ პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, სამრეწველო-საწარმოო პარტიულ კომიტეტებს, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოების პარტკომებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროებს, უწყებებსა და სხვა სამეურნეო ორგანიზაციებს უზრუნველყონ, რათა სამრეწველო საწარმოების, მშენებლობების ყველა მშრომელმა, კოლექტივებმა და სოფლის მეურნეობის მშრომელებმა ღრმად შეისწავლონ ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენება სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1963 წლის დეკემბრის პლენუმზე — „ქიმიური მრეწველობის დაჩქარებით განვითარება სასოფლო-სამეურნეო წარმოების აღმავლობის და ხალხის კეთილდღეობის ზრდის უმნიშვნელოვანესი პირობაა“ და პლენუმის დადგენილებანი ამ მოხსენების გამო, აგრეთვე ქიმიის საფუძვლების უმთავრესი საკითხები, რესპუბლიკაში ათვისებულ ქიმიურ წარმოებათა და სახალხო მეურნეობის ქიმიზაციის ტექნოლოგიური პროცესები.

ეროვნული

ქიმიური მრეწველობის საწარმოების, სამეცნიერო დაწესებუ-ლებების, საკონსტრუქტორო ბიუროების, ქიმიის ობიექტების მშე-ნებლობათა პარტიულმა, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა ფართოდ გაშალონ სოციალისტური შეჯიბრება. უზრუნველყონ მუშათა, მოსამსახურეთა, ინჟინერ-ტექნიკურ და მეცნიერ-მუშაკთა ფართო მონაწილეობა ამ შეჯიბრებაში.

| | |
|---|---|
| საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი | საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე |
| **ვ. მჟავანაძე.** | **გ. ჯავახიშვილი.** |

ქ. თბილისი, 1964 წ. 3 მარტი, № 109.

**3** **„საქართველოს სს რესპუბლიკაში ავტოსაგზაო შემთხვევების წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში არსებულ სერიოზულ ნაკლო-ვანებათა შესახებ“ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 31 ივლისის № 558 დადგენილების შესრულების მიმდინარეობის თაობაზე**

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმი და სა-ქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავენ, რომ პარტიულმა, საბჭოთა და ადმინისტრაციულმა ორგანოებმა, ახორციელებდნენ რა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 31 ივლისის № 558 დადგენი-ლებას „საქართველოს სს რესპუბლიკაში ავტოსაგზაო შემთხვე-ვების წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში არსებულ სერიოზულ ნაკლო-ვანებათა შესახებ“, მიაღწიეს ამ შემთხვევების რამდენადმე შემცი-რებას.

შემთხვევები თვალსაჩინოდ შემცირდა აფხაზეთის ასს რესპუბ-ლიკაში, აჭარის ასს რესპუბლიკაში, ქალაქ ქუთაისსა და გორში, ამბროლაურის, ბოლნისის, ყვარლის, სამტრედიისა და ზოგიერთ სხვა რაიონებში.

მაგრამ რესპუბლიკაში ტრანსპორტზე ავარიულობის მდგომარე-ობა ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებელია. შემთხვევების ზრდა შე-სამჩნევი ხდება ქ. თბილისში, საჩხერის, სიღნაღის, ხაშურის, წყალ-ტუბოს რაიონებში, განსაკუთრებით ქ. რუსთავში, ზესტაფონისა და მცხეთის რაიონებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მძღოლთა შორის აღმზრდელობითი მუშაობის ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობისა და ავტომეურნეობათა ხელმძღვანელების მხრივ არასაკმაო მომთხოვნელობისა და კონტროლის შედეგად, ყველა შემთხვევის 57 პროცენტი დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ავტომოტოტრანსპორტზე მოდის.

ავარიულობის მხრივ ყველაზე ცუდი მდგომარეობაა საავტომობილო ტრანსპორტისა და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების, ტრამვაი-ტროლეიბუსების სამმართველოს და ცეკავშირის ხაზით, კოლმეურნეობათა კუთვნილ ავტომანქანებზე, ამის გარდა, შემთხვევების 27 პროცენტი ავტომანქანების ინდივიდუალურ მფლობელებზე მოდის.

ტრანსპორტზე ავარიულობის მთავარი მიზეზი კვლავ ის არის, რომ მძღოლთა შემადგენლობა უხეშად არღვევს მოძრაობის უსაფრთხოების წესებს, მათი მიზეზით შარშან ადგილი ჰქონდა შემთხვევების დაახლოებით 69 პროცენტს, ბევრი ავარია მძღოლებმა არაფხიზელ მდგომარეობაში ჩაიდინეს.

ჯერ კიდევ საკმარისი არ არის ტრანსპორტის ტექნიკური მდგომარეობის კონტროლი, რეგულარულად არ ტარდება პროფილაქტიკური მომსახურება.

შემთხვევების მნიშვნელოვან რაოდენობას შეადგენს ტრანსპორტის მიერ მოქალაქეთა გატანა, რაც ხდება ქვეითად მოსიარულეთა პირადი გაუფრთხილებლობის გამო, აგრეთვე იმის გამო, რომ არ მოიპოვება საჭირო პირობები მათი უსაფრთხო მოძრაობისათვის.

მნიშვნელოვანი ნაკლოვანებანი ახასიათებს მძღოლთა შემადგენლობის მომზადებას და მათი კვალიფიკაციის ამაღლებას საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს, არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების რესპუბლიკური კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის ავტოსკოლებში და კურსებზე.

მილიციის ორგანოების არადამაკმაყოფილებელი ოპერატიული მუშაობის შედეგად ბევრი ავტოსაგზაო შემთხვევა გაუხსნელი რჩება. მოძრაობის წესების დამრღვევთა წინააღმდეგ ბრძოლაში ჯერ კიდევ სუსტად არის ჩაბმული საზოგადოებრიობა და საკმაოდ არ არის გამოყენებული პრესა, რადიო და ტელევიზია. ისინი ყოველთვის როდი იჩენენ სათანადო მომთხოვნელობას ავტომეურნეობათა ხელმძღვანელობის მიმართ.

მუხ. 3
ეროვნული
ბიბლიოთეკა

სახალხო მოსამართლეები მოძრაობის უსაფრთხოებისა და ტრანსპორტის ექსპლუატაციის წესების დარღვევის შესახებ აღძრულ სისხლის სამართლის საქმეთა განხილვის დროს იშვიათად იყენებენ კანონით გათვალისწინებულ სასჯელის დამატებით ზომას — ტრანსპორტის მართვის უფლებების ჩამორთმევას მძღოლებისათვის და ზოგიერთ შემთხვევაში ლიბერალური განაჩენები გამოაქვთ.

ნებაყოფლობითი სახალხო რაზმები სუსტად მონაწილეობენ მოძრაობის უსაფრთხოების წესების დარღვევათა აღკვეთის საქმეში. მილიციის მუშაკებსა და რაზმელებს არ გაუჩაღებიათ სათანადო ბრძოლა იმ პირთა მიმართ, რომლებიც საკუთარ ავტომობილებს პირადი გამდიდრების მიზნით იყენებენ.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავენ, რომ საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში არსებული სერიოზული ნაკლოვანებანი იმას მოწმობენ, რომ ადგილობრივ პარტიულ, საბჭოთა და ადმინისტრაციულ ორგანოებს, სამინისტროების, უწყებებისა და დაწესებულებათა ხელმძღვანელებს, პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს ჯერ კიდევ არ მიუღიათ ყველა საჭირო ღონისძიება საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 31 ივლისის № 558 და 1963 წლის 29 ივნისის № 438 დადგენილებათა შესასრულებლად და მტკიცე კონტროლს არ უწევენ ზემოაღნიშნულ დადგენილებათა შესრულებას.

შესასრულებლად სკკპ ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს 1963 წლის 21 დეკემბრის დადგენილებისა „სკკპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილებათა ბარათი ჩვენს ქვეყანაში საავტომობილო ტრანსპორტზე ავარიულობის მხრივ არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობის შესახებ“, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგ ე ნ ე ნ:

1. საქართველოს კპ საოლქო, საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა, სამრეწველო-საწარმოო პარტიულმა კომიტეტებმა და კოლმეურნეობათა და საბჭოთა მეურნეობათა საწარმოო სამმართველოების პარტიულმა კომიტეტებმა, საქართველოს პროფსაბჭომ, საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომმა, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებმა, საქართველოს სსრ სახალ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხო მეურნეობის საბჭომ, სამინისტროებმა და უწყებებმა მიმდინარე წლის 15 აპრილამდე შეისწავლონ და განიხილონ ავტოსაგზაო შემთხვევათა წინააღმდეგ ბრძოლის მდგომარეობის საკითხი; გააძლიერონ ავტომეურნეობების ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 31 ივლისის № 558 და 1963 წლის 29 ივნისის № 438 დადგენილებათა შესრულებისათვის, განახორციელონ კონკრეტული ღონისძიებანი, რომელთა მიზანია ავარიულობის მკვეთრად შემცირება საავტომობილო ტრანსპორტზე.

2. დაევალოთ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს, აგრეთვე სხვა სამინისტროებსა და უწყებებს პროფკავშირულ ორგანიზაციებთან ერთად აწარმოონ შეუპოვარი ბრძოლა არაფხიზელ მდგომარეობაში ტრანსპორტის მართვის ფაქტების წინააღმდეგ, უფრო ფართოდ გამოიყენონ ამხანაგური სასამართლოები და საზოგადოებრივი ზემოქმედების სხვა ფორმები; გააუმჯობესონ ავტომობილების ტექნიკური მდგომარეობისადმი საზოგადოებრივი კონტროლის კომისიების მუშაობა; გააძლიერონ აღმზრდელობითი მუშაობა მძღოლებს შორის.

3. წინადადება მიეცეს კავშირგაბმულობის მუშაკთა, ავტოტრანსპორტისა და გზატკეცილების მუშათა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკურ კომიტეტს საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროებთან ერთად:

ა) საუკეთესო მძღოლთა მუშაობის გამოცდილების პოპულარიზაციის მიზნით, შემოიღონ წარჩინებულ მძღოლთა ჯგუფური და რესპუბლიკური შეკრების მოწყობა, აგრეთვე ქ. თბილისის მაგალითის მიხედვით — მოძრაობის უსაფრთხოების რესპუბლიკური კონკურსი;

ბ) შექმნას კავშირგაბმულობის მუშაკთა კულტურის სახლთან მოხალისე მძღოლთა ცენტრალური რესპუბლიკური სექცია საზოგადოებრივ საწყისებზე, რათა ჩატარდეს ავტომობილებისა და მოტოციკლების ინდივიდუალურ მფლობელთა შორის მუშაობა, რომლის მიზანია დისციპლინის განმტკიცება და საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების თავიდან აცილება.

4. დაევალოთ საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტს და არმიის, ავიაციისა

მუხ/3/
ეროვნული
ბიბლიოთეკა

და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების რესპუბლიკურ კომიტეტს განამტკიცონ ავტოსკოლების და კურსების ინსტრუქტორ-მასწავლებელთა შემადგენლობა და მკვეთრად გააუმჯობესონ მძღოლთა მომზადების ხარისხი.

5. დაევალოს საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს გააძლიეროს კონტროლი იმ მძღოლთა და ქვეითად მოსიარულეთა მიმართ ზემოქმედების ზომების განხორციელებისადმი, რომლებიც არღვევენ ქუჩებში და გზებზე მოძრაობის წესებს; გააძლიეროს მომთხოვნელობა სატრანსპორტო, საგზაო და სამშენებლო ორგანიზაციების, კომუნალური მეურნეობის ორგანოების ხელმძღვანელებისადმი იმ მხრივ, რომ გაუმჯობესდეს სატრანსპორტო საშუალებათა ტექნიკური მდგომარეობა და სათანადო წესრიგზე იქნას მოყვანილი ქუჩები და გზები, მილიციის ორგანოებისა და ნებაყოფლობითი სახალხო რაზმების მეცადინეობა წარმართოს იმ პირთა წინააღმდეგ ბრძოლის ყოველმხრივ გაძლიერებისაკენ, რომლებიც ანგარებითი მიზნებით იყენებენ ავტომანქანებს; ძირეულად გააუმჯობესოს ოპერატიული მუშაობა ავტოსაგზაო შემთხვევების გახსნისათვის.

6. სასამართლოსა და პროკურატურის ორგანოებმა გააძლიერონ ზემოქმედების ზომები მძღოლებისადმი, რომლებმაც დაარღვიეს მოძრაობის უსაფრთხოებისა და ტრანსპორტის ექსპლუატაციის წესები, აგრეთვე სატრანსპორტო, სამშენებლო და სხვა ორგანიზაციათა ხელმძღვანელებისადმი, რომლებიც ხელს უწყობენ ავტოსაგზაო შემთხვევების წარმოშობას.

7. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომმა და მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოების აღმასკომებმა:

ა) 1964 წლის დამლევამდე შემოაკავონ ტროტუარები ინტენსიური ქვეითი მოძრაობის ადგილებში, მოაწყონ „უსაფრთხოების კუნძულები“, ჩასაჯდომი ადგილები და სხვა მოწყობილობანი, რომლებიც უზრუნველყოფენ ქვეითად მოსიარულეთა უსაფრთხოებას.

ქუჩებისა და სხვა საქალაქო გასასვლელების მშენებლობის, რეკონსტრუქციის და გამწვანების დროს პირველ რიგში გაითვალისწინონ მოძრაობის უსაფრთხოების ინტერესები და არ დაუშვან სამუშაოთა წარმოების წესებისა და ვადების დარღვევა;

ბ) საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროებთან ერთად, 1964-1965 წლებში შეიმუშაონ ქალაქ თბილისისა, ქუთაისისა, სოხუმისა, ბათუმისა

№ 1
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცხინვალისა, რუსთავისა და ფოთისათვის ტრანსპორტისა და ქვეითად მოსიარულეთა მოძრაობის ორგანიზაციის სქემები, ამ ქალაქების პერსპექტიული მშენებლობის გათვალისწინებით.

8. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა გზატკეცილების მთავარმა სამმართველომ, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებმა, საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს მილიციის სამმართველოს სახელმწიფო საავტომობილო ინსპექციასთან ერთად, განსაზღვრონ მთავარ მიმართულებებზე საავტომობილო ტრანსპორტის მოძრაობისათვის საშიში უბნები ქუჩებსა და გზებზე და უმოკლეს ვადაში მოიყვანონ ისინი სათანადო მდგომარეობაში.

9. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიამ:

ა) თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომთან ერთად, კაპიტალური მშენებლობის 1965—1966 წლების გეგმების კორექტირების დროს გაითვალისწინოს ქვეითად მოსიარულეთა მიწისქვეშა გადასასვლელების მშენებლობა, პირველ რიგში ჩელუსკინელთა და კლარა ცეტკინის ქუჩების გადაკვეთაზე, გმირთა მოედანზე და საკოლმეურნეო მოედანზე;

ბ) გააუმჯობესოს რესპუბლიკის ქალაქების უზრუნველყოფა ქუჩაში მოძრაობის რეგულირების ყველაზე სრულყოფილი საშუალებებით და მილიციის ორგანოების აღჭურვა სპეციალური ავტოტრანსპორტით და კავშირის საშუალებებით მოძრაობისადმი ოპერატიული ზედამხედველობისათვის.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი
**ვ. მჟავანაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
**გ. ჯავახიშვილი.**

ქ. თბილისი, 1964 წ. 24 მარტი, № 181.

# საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფსაბჭოს დადგენილებები

## 4 მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესებისათვის სოციალისტური შეჯიბრების გაშლის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს პროფესიულ კავშირთა რესპუბლიკური საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. მიღებულ იქნას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მთავარი სამმართველოს და კომუნალურ-საყოფაცხოვრებო საწარმოების მუშათა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის წინადადება იმის შესახებ, რომ მოეწყოს მთავარ სამმართველოს სამმართველოების, კომბინატებისა და საწარმოების სოციალისტური შეჯიბრება მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესებისათვის.

2. დაწესდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მთავარი სამმართველოს სისტემისათვის წახალისებითი პრემიები, რომლებიც მიეკუთვნება მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესებისათვის რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულ ორგანიზაციებს: საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს სამი გარდამავალი წითელი დროშა პირველი ფულადი პრემიებით, ოთხი მეორე და ოთხი მესამე ფულადი პრემიები.

3. დაევალოთ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მთავარ სამმართველოს და კომუნალურ-საყოფაცხოვრებო საწარმოების მუშათა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკურ კომიტეტს ერთი თვის ვადაში შეიმუშაონ და დაამტკიცონ მთავარ სამმართველოს სისტემის ორგანიზაციებში მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესებისათვის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების პირობები, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და პროფესიულ კავშირთა საკავშირო ცენტრალური საბჭოს 1959 წლის 30 დეკემბრის № 1430 დადგენილების გათვალისწინებით.

№ 1
ეროვნული ბიბლიოთეკა

4. დაევალოთ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მთავარ სამმართველოს და კომუნალურ-საყოფაცხოვრებო საწარმოების მუშათა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკურ კომიტეტს ყოველკვარტალურად შეაჯამონ ორგანიზაციათა რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების შედეგები, ამასთან მიაკუთვნონ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფესიულ კავშირთა რესპუბლიკური საბჭოს გარდამავალი წითელი დროშები და ფულადი პრემიები, რომლებიც ამ დადგენილებით არის დაწესებული.

ავტონომიური რესპუბლიკების და ოლქის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოებსა და ორგანიზაციებში სოციალისტური შეჯიბრების შედეგებს შეაჯამებენ ავტონომიური სს რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან არსებული და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომთან არსებული მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოები კომუნალურ-საყოფაცხოვრებო საწარმოების მუშათა პროფკავშირის ადგილობრივ ორგანიზაციებთან ერთად, რომლებიც თავიანთ წინადადებებს რესპუბლიკური გარდამავალი წითელი დროშებისა და ფულადი პრემიების მიკუთვნების შესახებ განსახილველად წარუდგენენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მთავარ სამმართველოს და კომუნალურ-საყოფაცხოვრებო საწარმოების მუშათა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკურ კომიტეტს.

5. დამტკიცდეს იმ პრემიების ოდენობა, რაც უნდა მიეცეთ სოციალისტურ შეჯიბრებებში გამარჯვებულ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების ორგანიზაციებს მათდამი დაქვემდებარებულ საწარმოებში მომუშავეთა რიცხვის მიხედვით, დანართის თანახმად.

პრემიების გაცემა მოხდეს ზეგეგმითი მოგების ან პროდუქციის თვითღირებულების შემცირების იმ ზეგეგმითი ეკონომიის ხარჯზე გეგმიან-ზარალიან საწარმოებში, რომელიც ორგანიზაციამ მიიღო კალენდარული წლის დამდეგიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

6. ნება დაერთოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მთავარ სამმართველოს გასწიოს გარდამავალი წითელი დროშების დამზადებასთან დაკავშირებული ხარჯები.

საქართველოს სსრ
მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
**გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს
პროფსაბჭოს თავმჯდომარე
**შ. დოლიძე.**

ქ. თბილისი, 1964 წ. 8 თებერვალი, № 59.

№ 1
ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და
საქართველოს პროფკავშირის რესპუბლიკური
საბჭოს 1964 წლის 8 თებერვლის № 59
დადგენილების დანართი

## პრემიების სკალა

### მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების იმ სამმართველოების და კომბინატებისათვის, რომლებმაც გაიმარჯვეს რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებაში

| მომუშავეთა რაოდენობა | პრემიების ოდენობა კვარტალში (მანეთობით) | | |
|---|---|---|---|
| | პირველი პრემია | მეორე პრემია | მესამე პრემია |
| 100-დან 250 კაცამდე . . . . . | 1680 | 1120 | 900 |
| 250-დან 500 „ . . . . . . | 2200 | 1680 | 1120 |
| 500-დან 1000 „ . . . . . . | 4500 | 3370 | 2250 |
| 1000-დან 2000 „ . . . . . . | 7310 | 5920 | 4500 |
| 2000-დან 3000 „ . . . . . . | 11250 | 8430 | 6750 |
| 3000-დან 5000 „ . . . . . . | 16870 | 11250 | 9660 |

შენიშვნა: პრემიები იმ ორგანიზაციებისათვის, სადაც მომუშავეთა რიცხვი ნაკლებია, განისაზღვრება იმ შესაბამისი ნაწილის ოდენობით, რაც დადგენილია საწარმოებისათვის, რომლებშიაც მომუშავეთა რიცხვი 100 კაცს შეადგენს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**5** **საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ენერგეტიკისა და ელექტროფიკაციის მთავარი სამმართველოს საწარმოთა და ორგანიზაციათა კოლექტივების სოციალისტური შეჯიბრების შესახებ**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ენერგეტიკისა და ელექტროფიკაციის მთავარი სამმართველოს კოლექტივებსა და საწარმოებს შორის სოციალისტური შეჯიბრების შემდგომი გაშლის მიზნით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს პროფესიულ კავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ე ნ:

1· მიღებულ იქნას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ენერგეტიკისა და ელექტროფიკაციის მთავარი სამმართველოს და ელექტროსადგურებისა და ელექტრომრეწველობის მუშათა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის წინადადება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ენერგეტიკისა და ელექტროფიკაციის მთავარი სამმართველოს საწარმოთა და ორგანიზაციათა კოლექტივების სოციალისტური შეჯიბრების მოწყობის შესახებ და დაწესდეს:

ა) საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფესიულ კავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ერთი გარდამავალი წითელი დროშა პირველი ფულადი პრემიით;

ბ) საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ენერგეტიკისა და ელექტროფიკაციის მთავარი სამმართველოს და ელექტროსადგურებისა და ელექტრომრეწველობის მუშათა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის ორი გარდამავალი წითელი დროშა პირველი ფულადი პრემიებით, ორი მეორე და ორი მესამე ფულადი პრემიები.

2. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ენერგეტიკისა და ელექტროფიკაციის მთავარ სამმართველოს და ენერგოსადგურებისა და ელექტრომრეწველობის მუშათა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკურ კომიტეტს შეიმუშაონ და დაამტკიცონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ენერგეტიკისა და ელექტროფიკაციის მთავარი სამმართველოს საწა-

№ 1
ეროვნული ბიბლიოთეკა

რმოთა და ორგანიზაციათა კოლექტივების სოციალისტური შეჯიბრების პირობები.

3. დაწესდეს, რომ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ენერგეტიკისა და ელექტროფიკაციის მთავარი სამმართველოს საწარმოთა და ორგანიზაციათა კოლექტივების სოციალისტური შეჯიბრების შედეგებს შეაჯამებენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ენერგეტიკისა და ელექტროფიკაციის მთავარი სამმართველო და ელექტროსადგურებისა და ელექტრომრეწველობის მუშათა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტი საანგარიშო კვარტალის მომდევნო თვის არა უგვიანეს 25 რიცხვისა. საწარმოების, ორგანიზაციებისა და პროფკავშირის საქარხნო კომიტეტების მიერ წარდგენილი მასალების საფუძველზე.

4. დაევალოთ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ენერგეტიკისა და ელექტროფიკაციის მთავარ სამმართველოს და ელექტროსადგურებისა და ელექტრომრეწველობის მუშათა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკურ კომიტეტს მიაკუთვნონ და გადასცენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფესიულ კავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის სახელით სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულ კოლექტივს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფესიულ კავშირთა რესპუბლიკური საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა ფულადი პრემიით.

5. დამტკიცდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ენერგეტიკისა და ელექტროფიკაციის მთავარი სამმართველოს სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის პრემიების სკალა, დანართის თანახმად.

6. დაევალოთ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ენერგეტიკისა და ელექტროფიკაციის მთავარ სამმართველოს და ელექტროსადგურებისა და ელექტრომრეწველობის მუშათა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკურ კომიტეტს ფართოდ განუმარტონ მუშა-მოსამსახურეებს სოციალისტური შეჯიბრების პირობები და წახალისების დაწესებული სახეობანი, მიიღონ ზომე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბი, რათა შეიქმნას იმის პირობები, რომ მუშაკებმა წარმატებით შეასრულონ ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებანი შრომის ნაყოფიერების შემდგომი გადიდების შესახებ.

საქართველოს სსრ
მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე
**გ. ჩოგოვაძე.**

საქართველოს
პროფსაბჭოს
თავმჯდომარე
**შ. დოლიძე.**

ქ. თბილისი, 1964 წ. 20 მარტი, № 143.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა
და საქართველოს პროფსაბჭოს პრეზი-
დიუმის 1964 წლის 20 მარტის № 143
დადგენილების დანართი

## ს კ ა ლ ა

### პრემიებისა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ენერგეტიკისა და ელექტროფიკაციის მთავარი სამმართველოს საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის

| საწარმოებისა და ორგანიზაციების განაწილება მომუშავეთა რიცხვის მიხედვით | პრემიების ოდენობა მანეთობით კვარტალისათვის | | |
|---|---|---|---|
| | პირველი პრემია | მეორე პრემია | მესამე პრემია |
| 100-დან 150-მდე . . . . . . . . | 1000 | 750 | 500 |
| 151-დან 200-მდე . . . . . . . . | 1500 | 1100 | 750 |
| 201-დან 250-მდე . . . . . . . . | 2200 | 1650 | 1100 |
| 251-დან 300-მდე . . . . . . . . | 2400 | 1800 | 1200 |
| 301-დან 400-მდე . . . . . . . . | 3000 | 2250 | 1500 |
| 401-დან 500-მდე . . . . . . . . | 3400 | 2550 | 1700 |
| 501-დან 750-მდე . . . . . . . . | 5600 | 4200 | 2800 |
| 751-დან 1000-მდე . . . . . . . . | 7800 | 5850 | 3900 |

**შენიშვნა:** პრემიები იმ საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის, სადაც მუშაკთა რიცხვი 100 კაცზე ნაკლებია, გაიცემა მუშაკთა რაოდენობის პროპორციულად პრემიის თანხიდან, რაც დაწესებულია საწარმოებისათვის, სადაც მუშაკთა რიცხვი 100 კაცს შეადგენს.

საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის, რომლებმაც საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს სსრ პროფესიულ კავშირთა რესპუბლიკური საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა მიიღეს, პირველი პრემიის ოდენობა გადიდდება 15 პროცენტით.

შეჯიბრებაში წარჩინებულ მუშაკთა ინდივიდუალური დაჯილდოებისათვის შეიძლება გამოყენებულ იქნას გამოყოფილი პრემიის 100 პროცენტი, სადაც იგი შეადგენს 2 ათას მანეთამდე. როდესაც დარიცხული პრემიები 2 ათას მანეთს აღემატება, დარიცხული პრემიის 30-40 პროცენტი გამოყენებულ უნდა იქნას კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის, საცხოვრებელი სახლებისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო ობიექტების მშენებლობისათვის.

მეხ/5/
ეროვნული
ბიბლიოთეკა

მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა ინდივიდუალური დაჯილდოებისათვის განკუთვნილი სახსრები განაწილდება მათი ხელფასის ფონდის პროპორციულად.

საწარმოთა დირექტორები, მათი მოადგილეები, მთავარი ინჟინრები და მთავარი ბუღალტრები შეიძლება დაჯილდოებულ იქნან: როდესაც საწარმოს, ორგანიზაციას მიეკუთვნება პირველი პრემია — თვიური თანამდებობრივი განაკვეთის 50 პროცენტამდე, მეორე პრემია — 40 პროცენტამდე და მესამე პრემია — 30 პროცენტამდე.

საწარმოების, ორგანიზაციების მუშებს, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებს და მოსამსახურეებს პრემიებს მისცემენ საწარმოთა, ორგანიზაციათა ხელმძღვანელები პროფკავშირულ კომიტეტებთან შეთანხმებით, ხოლო საწარმოთა, ორგანიზაციათა ხელმძღვანელი მუშაკები დაჯილდოვდებიან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ენერგეტიკისა და ელექტროფიკაციის მთავარი სამმართველოს ბრძანებით ელექტროსადგურებისა და ელექტრომრეწველობის მუშათა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკურ კომიტეტთან შეთანხმებით.

---

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

**6** კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, „სოფლტექნიკის" სისტემის ორგანიზაციების, სარემონტო საწარმოებისა და სოფლის მეურნეობის სხვა საწარმოებისა და ორგანიზაციების ტრაქტორების, თვითმავალი შასებისა და სატრაქტორო მისაბმელების სანომრო ნიშნების დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. მიღებულ იქნას რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკის" წინადადება და დამტკიცდეს დებულება კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, „სოფლტექნიკის" სისტემის ორგანიზაციების, სარემონტო საწარმოებისა და სოფლის მეურნეობის სხვა საწარმოებისა და ორგანიზაციების ტრაქტორების, თვითმავალი შასებისა და სატრაქტორო მისაბმელების სანომრო ნიშნების შესახებ.

2. დაევალოს რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკას", საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს, საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომსა და რაიაღმასკომებს იხელმძღვანელონ აღნიშნული დებულებით და უზრუნველყონ სოფლის მეურნეობაში არსებულ ტრაქტორებზე, თვითმავალ შასებსა და სატრაქტორო მისაბმელებზე სანომრო ნიშნების შემოღება.

3. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკურმა გაერთიანებამ „საქსოფლტექნიკამ":

ა) მოაწყოს საწარმო ტრაქტორების, თვითმავალი შასებისა და სატრაქტორო მისაბმელების სანომრო ნიშნების ცენტრალიზებული წესით დასამზადებლად;

ბ) უზრუნველყოს ტრაქტორების, თვითმავალი შასებისა და სატრაქტორო მისაბმელების სანომრო ნიშნების დებულების დაბე-

ჭდვა-გამრავლება და დაგზავნა კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, „საქსოფლტექნიკის“ სისტემის და სოფლის მეურნეობის სხვა საწარმოებსა და ორგანიზაციებში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე გ. ჩოგოვაძე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე დ. ქიტიაშვილი.

ქ. თბილისი, 1964 წ. 8 იანვარი, № 3.

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1964 წლის 8 იანვრის № 3
დადგენილებით

## დებულება

**კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, „სოფლტექნიკის“ სისტემის ორგანიზაციების და სარემონტო საწარმოების და სოფლის მეურნეობის სხვა საწარმოებისა და ორგანიზაციების ტრაქტორების, თვითმავალი შასისა და სატრაქტორო მისაბმელებისათვის სანომრო ნიშნების შესახებ**

### 1. საერთო დებულება

1. ტრაქტორების, თვითმავალი შასებისა და სატრაქტორო მისაბმელებისათვის სანომრო ნიშნები წესდება ზუსტი აღრიცხვის, მოძრაობის წესების, უსაფრთხოების წესების მოთხოვნათა დაცვის უზრუნველყოფისა და მათ ტექნიკურ მდგომარეობასა და გამოყენებაზე ზედამხედველობის გაუმჯობესების მიზნით.

2. სანომრო ნიშნები უნდა გაუკეთდეს კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, „სოფლტექნიკის“ სისტემის საწარმოების, ორგანიზაციებისა და სოფლის მეურნეობის სხვა წარმოება-ორგანიზაციების კუთვნილ ყველა ტრაქტორს, თვითმავალ შასსა და ტრაქტორის მისაბმელს.

3. საქართველოს სსრ, აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტრაქტორებისა და თვითმავალი შასებისათვის წესდება გი, გკ, გლ სანომრო ნიშნების სერია, ხოლო სატრაქტორო მისაბმელისათვის გზ, გს, გტ-სერია.

№ 1
ეროვნული ბიბლიოთეკა

რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკა“ სანომრე ნიშნებს ანაწილებს რაიონულ გაერთიანებებსა და განყოფილებებს შორის.

4. სანომრო ნიშნებს მეურნეობებს მისცემენ „სოფლტექნიკის“ რაიონული გაერთიანებების — (განყოფილებების) სახელმწიფო ტექნიკური ინსპექტორები ტრაქტორების, თვითმავალი შასებისა და სატრაქტორო მისაბმელების რეგისტრაციის დროს.

ავტონომიური რესპუბლიკებისა, ოლქისა და რაიონებისათვის მიმაგრებული სანომრო ნიშნების სერიების განაწილების უწყისის ასლი წარედგინება საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს მილიციის სამმართველოს შესაბამის სახელმწიფო ავტოინსპექციას.

5. სანომრო ნიშნების დაკვეთა წარმოებს რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“ მიერ ცენტრალიზებული წესით.

6. სანომრო ნიშნები მაგრდება:

იმ ტრაქტორებზე (მტზ-50, მტზ-52), რომელთაც სანომრო ნიშნის დასამაგრებლად აქვთ ქარხანა-დამამზადებლის მიერ გათვალისწინებული სპეციალური კრონშტეინი — კრონშტეინზე;

მაგარკაბინიან ტრაქტორებზე — კაბინის უკანა კედლის მარცხენა მხარეზე სათვალთვალო მინასთან;

იმ ტრაქტორებსა და თვითმავალ შასებზე, რომელთაც აქვთ რბილი (მოსახსნელი) კაბინა ან არა აქვთ ის — უკანა თვალის მარცხენა ფრთის (ბოლო ნაწილში) სპეციალურ კრონშტეინზე;

სატრაქტორო მისაბმელზე — სპეციალურ კრონშტეინზე, რომელიც დაყენებულია უკანა ბორტის ქვევით მარცხენა მხარეზე ან უკანა ბორტის მარცხენა მხარეზე ქვევით.

ყველა შემთხვევაში სანომრო ნიშანი კარგად უნდა იყოს დამაგრებული, ნათლად ჩანდეს და ღამის სიბნელეში განათებული იყოს.

7. სანომრო ნიშნების მოხსნა და გადატანა ერთი ტრაქტორიდან, თვითმავალი შასიდან, სატრაქტორო მისაბმელიდან მეორეზე — კატეგორიულად აკრძალულია.

8. ტრაქტორების, თვითმავალი შასებისა და სატრაქტორო მისაბმელების ექსპლუატაცია დაწესებული ნიმუშის სანომრო ნიშნების გარეშე აკრძალულია.

9. ტრაქტორების, თვითმავალი შასებისა და სატრაქტორო მისაბმელების მოძრაობის წესების დაცვისადმი, მათი ტექნიკური მდგომარეობისა და სწორი ექსპლუატაციისადმი კონტროლს ახორციელე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბენ „სოფლტექნიკის“ რაიონული გაერთიანების (განყოფილებების) სახელმწიფო ტექნიკური ინსპექტორები.

საერთო სარგებლობის საავტომობილო გზებზე, ტრაქტორისტ-მემანქანეების მიერ მოძრაობის წესების დაცვისადმი კონტროლს ახორციელებენ აგრეთვე მილიციის მუშაკები.

10. „სოფლტექნიკის“ რაიონული გაერთიანებები (განყოფილებები) სანომრე ნიშნების ხარჯვის ანგარიშს უდგენენ რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკას“ წელიწადში ორჯერ — მიმდინარე წლის პირველ იანვარსა და პირველ ივლისს თანდართული ფორმის მიხედვით — დანართი № 1.

ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქის „სოფლტექნიკის“ გაერთიანებები ანგარიშს სანომრე ნიშნების ხარჯვის შესახებ უდგენენ რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკას“ წელიწადში ერთხელ — 31 დეკემბრის მდგომარეობით.

## II. სანომრე ნიშნები

11. სანომრე ნიშნები ერთიანია მთელ საბჭოთა კავშირში, წარმოადგენენ ტრაქტორების, თვითმავალი შასებისა და სატრაქტორო მისაბმელების აღრიცხვის საშუალებას და ემსახურებიან ტექნიკური მდგომარეობისა და საერთო სარგებლობის გზებზე მოძრაობის ზედამხედველობის უზრუნველყოფას.

12. სანომრე ნიშნების ფორმა, ზომა და შეღებვა წესდება „სახსტანდარტით“.

## III. ტექნიკური პასპორტის ტალონი

13. ტექნიკური პასპორტის ტალონი ექსპლუატაციის პერიოდში წარმოადგენს დამადასტურებელ დოკუმენტს იმისა, თუ რომელ მეურნეობას ეკუთვნის ტრაქტორი, თვითმავალი შასი ან სატრაქტორო მისაბმელი.

14. სატრანსპორტო სამუშაოების შესრულების დროს საერთო სარგებლობის გზებზე ტალონი უნდა ჰქონდეს მანქანის მძღოლს და მილიციის მუშაკისა ან სახელმწიფო ტექნიკური ზედამხედველობის ინსპექტორის მოთხოვნისას წარუდგინოს მათ საბუთთან ერთად. ტრაქტორებისა და თვითმავალი შასების ექსპლუატაცია უტალონოდ აკრძალულია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

15. ტექნიკური პასპორტის ტალონი მზადდება რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“ მიერ თანდართული ფორმის მიხედვით დანართი № 2. ტალონის ზომა განისაზღვრება 7 X 20 სანტიმეტრი მკვრივ ქაღალდზე (ტრაქტორისტ-მემანქანის პირადობის მოწმობის ზომის მიხედვით).

### IV. ტრაქტორების, თვითმავალი შასების და სატრაქტორო მისაბმელების რეგისტრაცია და სანომრო ნიშნების გაცემა

16. რესპუბლიკის, ოლქისა და რაიონის ყველა კოლმეურნეობა, საბჭოთა მეურნეობა, „სოფლტექნიკის“ სისტემის საწარმოები, ორგანიზაციები და სოფლის მეურნეობის სხვა ორგანიზაციები, რომლებსაც აქვთ ექსპლუატაციაში ტრაქტორები, თვითმავალი შასები და სატრაქტორო მისაბმელები ვალდებულნი არიან 3 დღის ვადაში დღიდან შეტყობინებისა გაატარონ ისინი რეგისტრაციაში და მიიღონ სანომრო ნიშნები „სოფლტექნიკის“ რაიონულ გაერთიანებაში (განყოფილებაში).

17. ტრაქტორების, თვითმავალი შასებისა და სატრაქტორო მისაბმელების რეგისტრაცია წარმოებს მეურნეობის წარმომადგენლის პირადი გამოცხადებით და მინდობილობით სანომრო ნიშნების გაფორმებასა და მიღებაზე.

ტრაქტორების, თვითმავალი შასებისა და სატრაქტორო მისაბმელების რეგისტრაციისა და სანომრო ნიშნების მიღებისათვის მეურნეობის წარმომადგენელს უნდა ჰქონდეს:

— მეურნეობის შუამდგომლობა ტრაქტორების, თვითმავალი შასებისა და სატრაქტორო მისაბმელების აღრიცხვაზე აყვანისა და სანომრო ნიშნების გაცემის შესახებ.

— მეურნეობის კომისიის მიერ შედგენილი ტექნიკური მდგომარეობის აქტები ცალ-ცალკე თვითეულ ტრაქტორზე, თვითმავალ შასზე და სატრაქტორო მისაბმელზე (აქტის ფორმა — დანართი № 3).

— ტრაქტორებისა და თვითმავალი შასების ტექნიკური პასპორტი სანომრო ნიშნის მიღების დღისათვის გათვალისწინებული მონაცემებით.

— სანომრო ნიშნების ღირებულების გადახდის ქვითარი.

მეუ. 8
ეროვნული ბიბლიოთეკა

18. ქარხნებიდან მეურნეობებში მიღებული ტრაქტორები, თვითმავალი შასები და სატრაქტორო მისაბმელები უნდა გატარდეს რეგისტრაციაში მათი მეურნეობაში მიღებიდან სამი დღის ვადაში.

რეგისტრაციისა და ამ მანქანებზე სანომრო ნიშნების მიღებისათვის მეურნეობის წარმომადგენელს უნდა ჰქონდეს:

— მეურნეობის შუამდგომლობა ახლად მიღებული მანქანების აღრიცხვაზე აყვანისა და სანომრო ნიშნების გაცემის შესახებ;

— ახლად მიღებული ტრაქტორებისა და თვითმავალი შასების ტექნიკური პასპორტები.

— სანომრო ნიშნების ღირებულების გადახდის ქვითარი.

19. ტრაქტორებისა და თვითმავალი შასების ტექნიკური პასპორტები გაცემული სანომრო ნიშნების აღნიშვნით უბრუნდება მეურნეობას, ხოლო ტექნიკური მდგომარეობის აქტები და ქვითარი ფულის გადახდის შესახებ რჩება „სოფლტექნიკის“ რაიონულ გაერთიანებაში (განყოფილებაში) და ჩაეკერება სანომრო ნიშნების გაცემის დოკუმენტების სპეციალურ საქმეში.

20. თვითეულ ტრაქტორზე, თვითმავალ შასზე გაიცემა ერთი სანომრო ნიშანი და ტექნიკური პასპორტის ტალონი; სატრაქტორო მისაბმელზე — ერთი სანომრო ნიშანი, რის შესახებაც წარმოებს შესაბამისი ჩანაწერი „ტრაქტორების, თვითმავალი შასების, სატრაქტორო მისაბმელებისა და გაცემული სანომრო ნიშნების რეგისტრაციის წიგნში“ (დანართი № 4).

**შენიშვნა:** საალრიცხვო-სარეგისტრაციო ბლანკები (რეგისტრაციის წიგნები, ანგარიში სანომრო ნიშნების ხარჯვის შესახებ და სხვა) მზადდება რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“ მიერ საჭიროების მიხედვით.

21. სანომრო ნიშნები გაიცემა მხოლოდ ტექნიკურად გამართულ ტრაქტორებზე, თვითმავალ შასებსა და სატრაქტორო მისაბმელებზე, რომელნიც უზრუნველყოფენ უსაფრთხო მუშაობას (აქვს მბრუნავი და გადამცემი მექანიზმების დაცვა, ნაპერწკლის ჩამქრობი და სხვა) ტექნიკის უსაფრთხოების წესების შესაბამისად ტრაქტორებზე, სასოფლო-სამეურნეო და სპეციალიზებულ მანქანებზე მუშაობის დროს და აქვთ ტექნიკის უსაფრთხოების წარწერა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## V. ტრაქტორებისა და თვითმავალი შასების აღრიცხვიდან მოხსნა და ხელახალი რეგისტრაცია

22. ტრაქტორებისა და თვითმავალი შასების აღრიცხვიდან მოხსნა წარმოებს იმ შემთხვევაში:

როდესაც ტრაქტორი, თვითმავალი შასი და სატრაქტორო მისაბმელი გადაეცემა სხვა რაიონს;

როდესაც ხდება ტრაქტორის, თვითმავალი შასისა და სატრაქტორო მისაბმელის დაწუნება (ჩამოწერა).

23. ტრაქტორის, თვითმავალი შასისა ან სატრაქტორო მისაბმელის სხვა რაიონზე გადაცემისას (რესპუბლიკის შიგნით) მათი აღრიცხვიდან მოხსნა წარმოებს მეურნეობის წერილობითი შუამდგომლობით, რომელშიც ნაჩვენები უნდა იყოს ტრაქტორის, თვითმავალი შასის ან სატრაქტორო მისაბმელის სხვა რაიონზე გადაცემის საფუძველი.

24. ტრაქტორები, თვითმავალი შასები და სატრაქტორო მისაბმელები ახალ დანიშნულების ადგილზე მიდიან ძველი სანომრო ნიშნებით, დანიშნულების ადგილზე მისვლისთანავე ტრაქტორები, თვითმავალი შასები და სატრაქტორო მისაბმელები აყვანილ უნდა იქნენ აღრიცხვაზე და მათთვის მიღებულ უნდა იქნეს ახალი სანომრო ნიშნები „სოფლტექნიკის" რაიონულ გაერთიანებაში (განყოფილებაში).

ძველი სანომრო ნიშნები ახლის მიღებისთანავე ერთდროულად ბარდება რეგისტრაციის ახალ ადგილზე.

25. სხვა რაიონიდან მოსული ტრაქტორებიდან, თვითმავალი შასებიდან და სატრაქტორო მისაბმელიდან მოხსნილ სანომრო ნიშნებს „სოფლტექნიკის" გაერთიანება (განყოფილება) უბრუნებს კუთვნილებისამებრ „სოფლტექნიკის" იმ რაიონულ გაერთიანებას (განყოფილებას), რომლის მიერაც გაცემული იყო სანომრო ნიშნები.

26. ტრაქტორების, თვითმავალი შასებისა და სატრაქტორო მისაბმელების აღრიცხვიდან მოხსნა დაწუნების (ჩამოწერის) დროს წარმოებს მეურნეობის წერილობითი შუამდგომლობით, რომელსაც უნდა დაერთოს დაწუნების აქტისა და ზემდგომი ორგანიზაციის მითითების ასლები მეურნეობის ბალანსიდან ტრაქტორის, თვითმავალი შასისა და სატრაქტორო მისაბმელის ჩამოწერის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტრაქტორების, თვითმავალი შასებისა და სატრაქტორო მისაბმელების აღრიცხვიდან მოხსნის შუამდგომლობასთან ერთად უნდა ჩაბარდეს მათგან მოხსნილი სანომრო ნიშნები.

ტრაქტორების, თვითმავალი შასებისა და სატრაქტორო მისაბმელის აღრიცხვიდან მოხსნის შესახებ სახელმწიფო ტექნიკური ზედამხედველობის ინსპექტორი რეგისტრაციის წიგნში აწარმოებს სათანადო აღნიშვნას.

27. სხვა რაიონების მიერ დაბრუნებული და ჩაბარებული ჩამოწერილი ტრაქტორების, თვითმავალი შასებისა და სატრაქტორო მისაბმელების სანომრო ნიშნები იმ შემთხვევაში, თუ ისინი ვარგისია შემდგომი გამოყენებისათვის, „სოფლტექნიკის" რაიონული გაერთიანების (განყოფილების) შეხედულებით, გაიცემა ახალ ტრაქტორებზე, თვითმავალ შასებსა და სატრაქტორო მისაბმელებზე ამ დებულებით დადგენილი წესის მიხედვით.

28. შემდგომი გამოყენებისათვის უვარგისი სანომრო ნიშნები ნადგურდება სათანადო აქტის შედგენით (ხდება მათი დეფორმირება და ბარდება ჯართად). აქტს ადგენს კომისია, რაიაღმასკომისა და მეურნეობის წარმომადგენლის და „სოფლტექნიკის" რაიონული გაერთიანების (განყოფილების) სახელმწიფო ტექნიკური ინსპექტორის შემადგენლობით.

29. ტრაქტორის, თვითმავალი შასისა და სატრაქტორო მისაბმელის ერთი მეურნეობიდან მეორეზე გადაცემის დროს (რაიონის შიგნით) სანომრო ნიშნების შეცვლა არ წარმოებს, არამედ სააღრიცხვო წიგნში აღინიშნება ტრაქტორის, თვითმავალი შასისა და სატრაქტორო მისაბმელის მფლობელის შეცვლის შესახებ.

## VI. უვარგისი და დაკარგული სანომრო ნიშნების შეცვლის წესი

30. დაკარგული ან უვარგისი სანომრო ნიშნის ნაცვლად გაიცემა ახალი მისი ღირებულების გადახდით.

სანომრო ნიშნის შეცვლა წარმოებს მეურნეობის წერილობითი შუამდგომლობით, რომელშიც ნაჩვენები უნდა იყოს სანომრო ნიშნის დაკარგვის ან გაფუჭების მიზეზები, დამნაშავე პირები და დამნაშავეთა მიმართ მიღებული ზომები.

31. სანომრო ნიშნების შეცვლისას წარმოებს შესაბამისი ცვლილებების შეტანა საარიცხვო წიგნის ჩანაწერებში, აგრეთვე მეურ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნეობის დოკუმენტებში, სადაც ჩაწერილი იყო პირველად გაცემული სანომრო ნიშანი (პასპორტი, მიღება-ჩაბარების აქტი).

32. დოკუმენტები, რომლებიც საფუძველია დაკარგულის ან უვარგისი სანომრო ნიშნის შესაცვლელად, ჩაეკერება სანომრო ნიშნების გაცემის სპეციალური დოკუმენტების საქმეში.

## VII. ანაზღაურება სანომრო ნიშნების რეგისტრაციისა და გაცემისათვის

33. სააღრიცხვო დოკუმენტებისა და სანომრო ნიშნების რეგისტრაციისა და გაცემისათვის გადახდილ უნდა იქნას 40 კაპიკი ტრაქტორის, თვითმავალი შასის ან სატრაქტორო მისაბმელის თვითეულ გაცემულ სანომრო ნიშანზე.

34. ანაზღაურება წარმოებს სახელმწიფო ბანკის მეშვეობით „სოფლტექნიკის“ რაიონული გაერთიანების (განყოფილების) საანგარიშსწორებო ანგარიშზე ან „სოფლტექნიკის“ რაიონული გაერთიანების (განყოფილების) სალაროს მიერ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანართი № 1

# ა ნ გ ა ა რ ი შ ი

**ტრაქტორების, თვითმავალი შასებისა და სატრაქტორო მისაბმელების**

**სანომრო ნიშნების ხარჯვისა** ______________________________

(ასსრ, ოლქი, რაიონი).

________________ წლის ________________ ნახევრისა

| ნაშთი საანგარიშო წლის პირველ ნახევარში | მიღებულია საანგარიშო წლის ნახევარში | სულ იყო | დაიხარჯა | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | სულ | მათ შორის | | | | |
| | | | | სერია | ნომრიდან / ნომრამდე | ახლად გაიცა | გაიცა დაკარგულის ან უვარგისის ნაცვლად | ნაშთი |
| | | | | | | | | |

„სოფლტექნიკის" ———— რაიონული გაერთიანების (განყოფილების
მმართველი) (ხელის მოწერა)



შეკ. 6

№ 1 ეროვნული ბიბლიოთეკა

დანართი №2

## ტექნიკური პასპორტის ტალონი

### წინა პირი

| აღნიშვნები ჩატარებული ტექნიკური დათვალიერების შესახებ | | |
|---|---|---|
| ტექნიკური დათვალიერების თარიღი | ტალონის მოქმედების ვადა | დამთვალიერებლის ხელის მოწერა |
| | | |

„საქსოფლტექნიკის"

. . . . . გაერთიანება

საქართველოს სსრ ტექნიკური პასპორტის ტალონი

### მეორე მხარე

ტექნიკური პასპორტის სერია ————

———— № ————

სანომრო ნიშანი სერია ———— № ————

მფლობელის დასახელება ————

მანქანის სადგომის მისამართი ————

მანქანის ტიპი ————

მანქანის მარკა და მოდელი ————

| აღნიშვნები აღრიცხვაზე აყვანის შესახებ | | |
|---|---|---|
| თარიღი | ორგანიზაციის დასახელება, რომელმაც მანქანა მიიღო აღრიცხვაზე | ხელის მოწერა ბეჭდით |
| | | |

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანართი № 6

ვამტკიცებ:

_______________________________________________

(მეურნეობის ხელმძღვანელის

_______________________________________________

ხელის მოწერა და ბეჭედი)

# ა ქ ტ ი

ტრაქტორების, თვითმავალი მანის, ______________________

_______________________________________________

ტექნიკური მდგომარეობის შესახებ.

კომისიამ შემადგენლობით: ______________________

თავმჯდომარე

_______________________________________________

თანამდებობა, გვარი, ინიციალები

_______________________________________________

წევრები ______________________

თანამდებობა, გვარი, ინიციალები

შეამოწმა ______________ ტრაქტორის / თვითმავალი მანის ტექნიკური მდგომარეობა.

რომელიც ეკუთვნის ______________________

______________ მარკა გამოშვების წელი,

ძრავი №, ______________ საქარხნო № ______________

______________ მიღებული მეურნეობაში ______________

_______________________________________________

_______________________________________________

დოკუმენტების გაცნობის შემდეგ დადგენილი იქნა:

ტრაქტორი / თვითმავალი მანი ______________ გამომუშავებული აქვს ______________ მოტო-

№ 1/ ეროვნული ბიბლიოთეკა

საათი, ———— ჰექტარი გაირა კაპიტალური რემონტი ———— ჯერ, მიმდინარე რემონტი ———————— ჯერ, უკანასკნელი კაპიტალური რემონტი ჩატარებულ იქნა ————————————

თვე. წელი

გარეგანი დათვალიერებისა, ძრავის გაშვებისა და გამოცდის შემდეგ დადგენილ იქნა:
(აღინიშნება ტრაქტორის, თვითმავალი შასის ცალკეული აგრეგატების მექანიზმების ტექნიკური მდგომარეობა)

1. ძრავი ————————————————

————————————————

————————————————

————————————————

2. გამშვები ძრავი ————————————————

————————————————

3. შემაერთებელი ქურო ————————————————

————————————————

————————————————

4. გადაცემათა კოლოფი ————————————————

————————————————

————————————————

5. უკანა ხიდი ————————————————

————————————————

————————————————

6. წინა ხიდი, საჭე და მუხრუჭები ————————————————

————————————————

————————————————

ეროვნული ბიბლიოთეკა

7. წამყვანი ნაწილი (თვლები, მუხლუხები)

8. ჩარჩო

9. ჰიდროსისტემა და მისაბმელი მოწყობილობა

10. კაბინა

11. ელექტრომოწყობილობა

12. იარაღები და მოწყობილობა

**კომისიის დასკვნა:**

ტრაქტორის
თვითმავალი შასის — ტექნიკური მდგომარეობის შესახებ

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომისიის თავმჯდომარე: ——————————————

კომისიის წევრები: ——————————————

——————————————

——————————————

სახელმწიფო ტექნიკური ინსპექტორის დასკვნა ——————

——————————————

——————————————

——————————————

სახელმწიფო ტექნიკური
ინსპექტორი (ხელის მოწერა)

„————" 196 წ. ——————

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ტრაქტორების, თვითმავალი შასების, სატრაქტორო მისაბმელებისა და გაცემული ნიშნების სარეგისტრაციო წიგნი

| №№ რიგზე | მანქანის ტიპი, მარკა | მონაცემები მანქანის შესახებ | | | | მეურნეობის დასახელება, ვისაც ეკუთვნის ტრაქტორი | მიკუთვნებული სანომრო ნიშანი | | გაცემის თარიღი | | ხელის მოწერა სანომრო ნიშნის მიღების შესახებ | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | დამზადების წელი | ძრავის ნომერი | საქარხნო ნომერი | პასპორტის ნომერი | | სერია | ნომერი | სანომრო ნიშნისა | ტექნიკური პასპორტისა | | |
| | | | | | | | | | | | | |

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 7 სატვირთო საავტომობილო ტრანსპორტით მოსახლეობის მომსახურების შემდგომი განვითარების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ რესპუბლიკაში ჯეროვან ზომებს არ იღებენ იმისათვის, რომ უფრო ფართოდ დაკმაყოფილდეს მოსახლეობის მოთხოვნილება ტვირთზიდვის დარგში. საკმაოდ არ ვითარდება სატრანსპორტო-საექსპედიციო ორგანიზაციები საერთო სარგებლობის ავტომეურნეობებთან, რის გამო გავრცელდა პრაქტიკა საწარმოთა და ორგანიზაციათა სატვირთო ავტომანქანების გამოყენებისა მოსახლეობის მომსახურებისათვის.

სუსტად წარმოებს ბრძოლა იმ ცალკეული შოფრების წინააღმდეგ, რომლებიც პირადი გამორჩენის მიზნით იყენებენ სახელმწიფო სატვირთო ავტომობილებს მოსახლეობის ტვირთის გადასაზიდად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. თავმოყრილ იქნას მთელი მუშაობა მოსახლეობის სატრანსპორტო-საექსპედიციო მომსახურებისათვის საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტის სისტემაში.

მოსახლეობისათვის ტვირთის მიწოდების ყველა სატრანსპორტო-საექსპედიციო ორგანიზაცია, რომლებიც სხვა საწარმოებთან და ორგანიზაციებთან არსებობენ, გადაეცეს საერთო სარგებლობის ტრანსპორტს.

2. დაევალოს საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს თავი მოუყაროს ტვირთის გადაზიდვის დარგში მოსახლეობის მომსახურებას სამინისტროს ავტომეურნეობებთან, რისთვისაც;

ა) უფრო ფართოდ განავითაროს სატრანსპორტო-საექსპედიციო ორგანიზაციები, ამასთან შექმნას მოსახლეობისაგან ტვირთის მისაღები სპეციალური პუნქტები მაღაზიებთან, საწყობებთან, სარკინიგზო, საზღვაო ვაგზლებთან მომსახურების ბიუროები, რომლებსაც დააკისროს, სატვირთო ტაქსით სატრანსპორტო მომსახურების გაწევის გარდა, აგრეთვე ავეჯის დატვირთვა, გადმოტვირთვა, ბინებში მიტანა და სხვა ოპერაციები;

ბ) სავაჭრო ორგანიზაციებთან ერთად უზრუნველყოს 1964 წლიდან ქვანახშირისა და შეშის სრული ცენტრალიზებული გადაზიდვა ბაზებიდან ქალაქ თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, სოხუმში, აგრეთვე დანარჩენ ქალაქებში, სადაც მოიპოვება შესაბამისი ბაზები;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) ავეჯისა და სამეურნეო საქონლის შინ გადაზიდვა მაღაზიებიდან რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებში, აწარმოოს, როგორც წესი, სატვირთო ტაქსმოტორებით;

დ) თუ საჭირო იქნა — გაადიდოს სატვირთო ტაქსმოტორების რაოდენობა ბორტიანი სატვირთო ავტომობილების ხარჯზე;

ე) ერთი თვის ვადაში შეიმუშაოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წარმოუდგინოს დასამტკიცებლად ტრანსპორტით სარგებლობის ტარიფების პროექტი;

ვ) უფრო ფართოდ გააცნოს მოსახლეობას ტვირთის გადასაზიდად ტაქსმოტორების მიწოდების პირობები და მათი გაჩერების ადგილები; შემოიღოს რეგულარული საქალაქთაშორისო რეისები სპეციალურად გაწყობილი სატვირთო ტაქსმოტორებისა სასოფლო-სამეურნეო ტვირთების გადასაზიდად საქალაქო ბაზრებში, აგრეთვე სამომხმარებლო კოოპერაციის მიმღებ პუნქტებში მუშა-მოსამსახურეთა ინდივიდუალური ბოსტნებიდან მოსავლის მასობრივი გადაზიდვის პერიოდში; მოაწყოს სატვირთო ტაქსის სპეციალური რეისები.

3. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიამ გამოუყოს საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს „პიკაპის" ტიპის, ნახევარსატვირთო ავტომობილები, მოტოროლერები და მოტოციკლები მცირე გაბარიტის ტვირთის წვრილი პარტიების გადასაზიდად; გარდა ამისა, არ დაუშვას სატვირთო ავტომობილების გამოყოფა მოსახლეობის მომსახურების გასაწევად ორგანიზაციებისა და საწარმოებისათვის, გარდა საერთო სარგებლობის ტრანსპორტისა.

4. დაწესდეს, რომ სახელმწიფო, კოოპერაციულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შეუძლიათ მიაწოდონ სატვირთო ავტოტრანსპორტი მუშებსა და მოსამსახურეებს მხოლოდ კილომეტრობრივი ანგარიშისა და გაცდენის დროის საფუძველზე, სატვირთო ტაქსის ტარიფებით იმ შემთხვევებში, როდესაც დასახლებულ პუნქტს მომსახურებას არ უწევს სატვირთო ტაქსი და მას არ გააჩნია სატრანსპორტო-საექსპედიციო ორგანიზაციის პუნქტი მოსახლეობის მომსახურებისათვის.

5. დაევალოს საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს სახელმწიფო საავტომობილო ინსპექციას გააძლიეროს კონტროლი სატვირთო ავტომანქანების გამოყენების სისწორისადმი, გამოავლინოს შემთხვევები, როდესაც ცალკეული

№ 1
ეროვნული ბიბლიოთეკა

შოფრები პირადი გამორჩენის მიზნით გამოიყენებენ სატვირთო ავტომობილებს და მისცეს ისინი პასუხისგებაში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **გ. ჩოგოვაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1964 წ. 11 იანვარი, № 9.

## 8 საქართველოს სს რესპუბლიკაში საარქივო საქმის გაუმჯობესების ზომების შესახებ

რესპუბლიკაში გაწეულია ერთგვარი მუშაობა საარქივო საქმის გასაუმჯობესებლად. მაგრამ სახელმწიფო საარქივო ფონდის დოკუმენტური მასალების დაკომპლექტების, მათი დაცვისა და გამოყენების ორგანიზაციის საქმეში ჯერ კიდევ სერიოზული ნაკლოვანებანი აღინიშნება.

მთელ რიგ სამინისტროებში, უწყებებში, დაწესებულებებსა და საწარმოებში არქივები მიტოვებულია უყურადღებოდ ან სრულიად არ არის შექმნილი.

განსაკუთრებით ცუდ მდგომარეობაშია კინო-ფოტო და ფონოდოკუმენტების აღრიცხვა, შენახვა და გამოყენება სტუდიებში (რადიო, ტელევიზია, კინო), ხალხური შემოქმედების სახლებში, ხმის ჩაწერის ატელიეებში, გაზეთების, ჟურნალების რედაქციებში და სხვ.

არადამაკმაყოფილებლად ინერგება საარქივო საქმეში ჩვენი ქვეყნისა და საზღვარგარეთული ტექნიკის მიღწევები. გაუმჯობესებას საჭიროებს რესპუბლიკის საარქივო დაწესებულებათა ორგანიზაციული სტრუქტურა და ქსელი, ბევრი სახელმწიფო არქივი, განსაკუთრებით ადგილობრივი არქივები, არ არიან უზრუნველყოფილი კვალიფიციური კადრებით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა საარქივო სამმართველომ ვერ უზრუნველყო საკმაო კონტროლი არქივების მუშაობისადმი, მათი სამეცნიერო-მეთოდური ხელმძღვანელობა, და ამიტომ საარქივო ფონდები საკმაოდ არ არის გამოყენებული

მუზ. 8
ეროვნული
ბიბლიოთეკა

კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკული ამოცანების გადასაწყვეტად.

სახელმწიფო არქივები საკმაოდ არ არიან უზრუნველყოფილი მათი მუშაობისათვის გამოსადეგი სადგომებით.

მთავართბილმშენს არ შეუსრულებია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 13 აპრილის № 248 დადგენილება ქ. თბილისში საარქივო შენობათა კომპლექსის მშენებლობაზე მუშაობის ტემპების გაძლიერების შესახებ; ჯერ კიდევ არ არის გადაცემული საექსპლუატაციოდ ფილმსაცავის შენობა. 1963 წლის ივლისიდან შეჩერებულია ოქტომბრის რევოლუციის ცენტრალური სახელმწიფო არქივის საკოშკე ნაწილის აგება.

სერიოზული დეფექტები ახასიათებს საარქივო შენობის მშენებლობას ქ. ბათუმში.

ამბროლაურის, მაიაკოვსკის, დუშეთის, ზესტაფონის, ზუგდიდის, მახარაძის, ცხაკაიას, გეგეჭკორის, წყალტუბოს, სამტრედიის, ჩაქვის, გუდაუთის, ტყვარჩელისა და ზნაურის მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 13 აპრილის № 248 დადგენილების მიუხედავად, ჯერ კიდევ არ მიუღიათ ზომები იმისათვის, რომ გამოუყონ სადგომები სახელმწიფო არქივებს და შეუქმნან მათ მუშაობისათვის საჭირო პირობები.

აღნიშნულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის, რესპუბლიკაში საარქივო საქმის მდგომარეობის გაუმჯობესებისა და შემდგომი განვითარების მიზნით, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 25 ივლისის № 829 დადგენილების შესაბამისად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაევალოთ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, რესპუბლიკის სამინისტროებსა და უწყებებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს, დაწესებულებებს, ორგანიზაციებსა და საწარმოებს:

ა) საბოლოოდ მოიყვანონ წესრიგზე 1964—1965 წლებში თავიანთი საარქივო მასალები, მათ შორის ტექნიკური, კინო-ფოტო და ფონოდოკუმენტები, რომლებიც დაგროვდა მათი არსებობის მთელი პერიოდის განმავლობაში, ამასთან მასალები, რომლებსაც შენახვის ვადა გაუვიდათ, გადასცენ ადგილებზე შესაბამის სახელმწიფო არქივებს დადგენილი წესით;

№ 1/
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბ) შექმნან უწყებრივი არქივები იქ, სადაც ისინი ჯერ კიდევ არ არის შექმნილი, დამტკიცებული საშტატო რაოდენობისა და ხელფასის ფონდის ფარგლებში, განამტკიცონ ისინი კადრებით და უზრუნველყონ დოკუმენტური მასალების შესანახად გამოსადეგი სადგომებით;

გ) მიიღონ ზომები, რათა გაუმჯობესდეს მიმდინარე საქმისწარმოების დაყენება კანცელარიებსა და სამდივნოებში. ყოველი წლის გასვლის შემდეგ სათანადო წესრიგზე მოიყვანონ საქმისწარმოებით დამთავრებული მთელი დოკუმენტური მასალები და გადასცენ ისინი შესაბამის უწყებრივ არქივებს.

2. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ საარქივო სამმართველოს მიიღოს გადაუდებელი ზომები, რომლებიც უზრუნველყოფენ სამმართველოს მუშაობაში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრას, მისი პრაქტიკული, სამეცნიერო-მეთოდური, საგამომცემლო და ორგანიზატორული საქმიანობის ძირეულად გაუმჯობესებას.

3. იმ მიზნით, რომ კოორდინირებულ იქნას სახელმწიფო და უწყებრივი არქივების, სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებების, მუზეუმების, ბიბლიოთეკების საქმიანობა იმ მხრივ, რომ შეიძინონ სახელმწიფოს საკუთრებად დოკუმენტური მასალები მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებისაგან, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეებისაგან, აგრეთვე ძველი დამწერლობის ძეგლები, კინო-ფოტო-ფონოდოკუმენტები, — შეიქმნას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ საარქივო სამმრთველოსთან საუწყებათაშორისო სამეცნიერო-მეთოდური საბჭო შემდეგ პირთა შემადგენლობით, № 1 დანართის თანახმად.

საარქივო. სამმართველომ შეიმუშაოს და დაამტკიცოს დებულება საბჭოს შესახებ.

4. დაწესდეს, რომ რესპუბლიკის ყველა სახელმწიფო საარქივო დაწესებულება ახორციელებს დოკუმენტების სამეცნიერო პუბლიკაციას ერთიანი გეგმით, რომელსაც საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული საარქივო სამმართველო დაამტკიცებს.

5. იმ მიზნით, რათა დახმარება გაეწიოთ სამინისტროებს, უწყებებს, დაწესებულებებს, ორგანიზაციებსა და საწარმოებს, იმ მხრივ, რომ შეარჩიონ სახელმწიფო შესანახად და მეცნიერულ-ტექნიკურად დაამუშაონ დიდძალი ჩაწოლილი მოუწესრიგებელი საარქივო მასალები, აგრეთვე შეასრულონ სახელშეკრულებო საწყისებზე სამეცნიერო-საკვლევ და სხვა დაწესებულებათა და ორგანიზაციათა შე-

ეროვნული

კვეთები დოკუმენტური მასალების მიკრო-ფოტო და მანქანით ნაწერი ასლების გამოვლინებისა და დამზადებისათვის, — გაუდიდდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ საარქივო სამმართველოს არასაშტატო (არასიობრივი) შემადგენლობის მუშაკთა ხელფასის ფონდი 1964 წელს 20 ათასი მანეთით, რისთვისაც შეუმცირდეთ აღნიშნული ფონდი საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროებსა და უწყებებს. № 2 დანართის თანახმად.

6. მიღებულ იქნას ცნობად, რომ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1964—1965 წლების გეგმით გათვალისწინებულია:

ა) სავსებით დამთავრდეს ოქტომბრის რევოლუციისა და სოციალისტური მშენებლობის ცენტრალური სახელმწიფო არქივის მშენებლობა და საექსპლუატაციოდ გადაცემა 1965 წელს ქ. თბილისში;

ბ) შემუშავდეს 1964 წელს საპროექტო-ტექნიკური დოკუმენტაცია და აშენდეს 1965 წელს ქ. თბილისში ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ საარქივო სამმართველოს შენობა;

გ) აშენდეს 1965 წელს აფხაზეთის ასსრ ცენტრალური სახელმწიფო არქივის შენობა ქ. სოხუმში.

7. დაევალოს საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს:

ა) ერთი დეკადის ვადაში გამოარკვიოს ქ. ბათუმში საარქივო შენობისა და ქ. თბილისში საარქივო შენობათა კომპლექსის კოშკური ნაწილის სამუშაოთა უხარისხოდ შესრულების მიზეზები და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მოახსენოს, თუ რა ზომებია მიღებული და როგორ სრულდება მუშაობა აღნიშნული ობიექტების მშენებლობის დასამთავრებლად დაწესებულ ვადებში;

ბ) გააძლიეროს ყურადღება რესპუბლიკაში საარქივო შენობათა მშენებლობისადმი და უზრუნველყოს მათი დამთავრება და საექსპლუატაციოდ გადაცემა დაწესებულ ვადებში.

8. დაევალოთ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომს, საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს განიხილონ და 1964—1965 წლებში გადაწყვიტონ საარქივო საქმის მდგომარეობის გაუმჯობესებასთან დაკავშირებული საკითხები, ამასთან იქონიონ მხედველობაში, რომ საჭიროა:

ა) სახელმწიფო არქივების უზრუნველყოფა ისეთი სადგომებით, რომლებიც საკმარისია სახელმწიფო საარქივო ფონდის დო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კუმენტური მასალების კონცენტრაციისათვის და გამოსადეგების მა-თი შენახვისა და ყოველმხრივი გამოყენების მოსაწყობად;

ბ) დამყარდეს წესრიგი რესპუბლიკურ, საოლქო, საქალაქო, რაიონულ და სასოფლო დაწესებულებებსა, ორგანიზაციებსა და საწარმოებში დოკუმენტური მასალების საქმისწარმოების, აღრიცხვის, შენახვისა და მოწესრიგების სისტემაში;

გ) სახელმწიფო არქივების განმტკიცება ისეთი კადრებით, რომელთაც უნარი შესწევთ უზრუნველყონ რესპუბლიკის საარქივო დაწესებულებათა გაზრდილი ამოცანების შესრულება;

დ) სახელმწიფო არქივების უზრუნველყოფა მათი მუშაობისათვის საჭირო მასალებით, მოწყობილობითა და დაფინანსებით.

9. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ საარქივო სამმართველოს მოამზადოს და 1964 წლის 1 ივლისამდე წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დასამტკიცებლად წინადადებანი რესპუბლიკის საარქივო დაწესებულებათა ორგანიზაციული სტრუქტურისა და ქსელის გაუმჯობესების შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **გ. ჩოგოვაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1964 წ. 13 იანვარი, № 10.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1964 წლის 13 იანვრის № 10
დადგენილების დანართი № 1

## შ ე მ ა დ გ ე ნ ლ ო ბ ა

**საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ საარქივო სამმართველოსთან შექმნილი საუწყებათაშორისო სამეცნიერო-მეთოდური საბჭოსი სახელმწიფო არქივების და სხვა სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებათა საქმიანობის კოორდინაციისათვის სახელმწიფოს საკუთრებად დოკუმენტური მასალების შეძენის დარგში**

გ. დ. **თავამაიშვილი** — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული საარქივო სამმართველოს უფროსი (თავმჯდომარე)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ი. ვ. აბულაძე — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის დირექტორი

ვ. დ. დონდუა — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ი. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის წყაროების პუბლიკაციის განყოფილების გამგე

გ. ნ. გაბისონია — სახალხო განათლების მუზეუმის დირექტორი

ა. მ. იოვიძე — საქართველოს სსრ ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივის დირექტორი

ი. ა. კალანდარიშვილი — საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმეთა სამმართველოს უფროსი

ი. კ. კაკაბაძე — სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმის დირექტორი

ა. კ. კელენჯერიძე — სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალის დირექტორი

ს. ვ. მაღლაკელიძე — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული საარქივო სამმართველოს უფროსის მოადგილე

ტ. პ. მაჭავარიანი — კ. მარქსის სახელობის სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკის უფროსი ბიბლიოგრაფი

ბ. ა. პირადოვი — საქართველოს სსრ კინო-ფოტო-ფონოდოკუმენტების ცენტრალური სახელმწიფო არქივის დირექტორი

ო. ბ. ტყეშელაშვილი — ქ. თბილისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის დირექტორი

კ. ნ. ჩხიკვაძე — სახელმწიფო თეატრალური მუზეუმის სწავლული მდივანი

შ. კ. ჩხეტია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული საარქივო სამმართველოს გამოყენებისა და მეცნიერული პუბლიკაციის განყოფილების უფროსი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ი. ბ. უზნაძე — საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის სწავლული მდივანი.
ლ. ს. უკლება — საქართველოს სსრ ოქტომბრის რევოლუციისა და სოციალისტური მშენებლობის ცენტრალური სახელმწიფო არქივის დირექტორი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

მუს. 8/
ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1964 წლის 13 იანვრის № 10
დადგენილების დანართი № 2

# შ ე მ ც ი რ ე ბ ა

არასაშტატო (არასიობრივი) შემადგენლობის მუშაკთა ხელფასის ფონდისა საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროებისა და უწყებების ხაზით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ საარქივო სამმართველოსათვის

(ათას მანეთობით)

| | 1964 წელი |
|---|---|
| სახალხო მეურნეობის საბჭო . . . . . . . . . . | 13 |
| განათლების სამინისტრო . . . . . . . . . . | 1,5 |
| კულტურის სამინისტრო . . . . . . . . . . | 1,5 |
| სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა კოორდინაციის სახელმწიფო კომიტეტი . . . . . . . . . . . . . . . . . | 0,3 |
| სატყეო მეურნეობისა და ხე-ტყის დამზადების მთავარი სამმართველო . . . . . . . . . . . . . . . . . . | 0,4 |
| სახმშენი . . . . . . . . . . . . . . . . . | 0,4 |
| ცეკავშირი . . . . . . . . . . . . . . . . | 2,5 |
| მშენებლობის სამინისტრო . . . . . . . . . . | 0,4 |
| ს უ ლ . . . . . | 20 |

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი ა. ჩირაქაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 9 სამრეწველო გადანაყარითა და ავტომობილების გამონაბოლქვი გაზებით გაბინძურებისაგან ატმოსფერული ჰაერის დაცვის ზომების შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 18 ოქტომბრის № 1078 დადგენილების შესაბამისად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაევალოს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს:

ა) უზრუნველყოს 1964 წელს კასპის ცემენტის ქარხანაში, საშენ მასალათა მრეწველობის განვითარების კაპიტალურ დაბანდებათა ხარჯზე, ელექტროფილტრების მოწყობა მბრუნავი ღუმელების გაზების გასაწმენდად;

ბ) შრომის დაცვის სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტთან ერთად შეიმუშაოს და 1964 წლის 1 ივლისამდე წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დასამტკიცებლად სანიტარული ზედამხედველობის ორგანოებთან და ატმოსფერული ჰაერის გაბინძურების ლიკვიდაციისა და თავიდან აცილების მუდმივ სამთავრობო კომისიასთან შეთანხმებული ღონისძიებანი ცემენტის მრეწველობის საწარმოებში მტვრის დაჭერისა და გაზგაწმენდისათვის.

2. დაევალოთ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროებსა და უწყებებს:

ა) 1964 წლის 1 ივნისამდე შეიმუშაონ და საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას წარუდგინონ სანიტარული ზედამხედველობის ორგანოებთან და ატმოსფერული ჰაერის გაბინძურების ლიკვიდაციისა და თავიდან აცილების მუდმივ სამთავრობო კომისიასთან შეთანხმებული წინადადებანი იმის შესახებ, რომ აშენდეს 1970 წლამდე (დავალების განაწილებით წლების მიხედვით) გაზსაწმენდი და მტვერსაჭერი დანადგარები სამრეწველო საწარმოებსა და ელექტროსადგურებში;

ბ) უზრუნველყონ მოქმედ სამრეწველო საწარმოებსა და ელექტროსადგურებში სათანადო შემოწმების შემდეგ გაზსაწმენდი და მტვერსაჭერი დანადგარების შეუფერხებელი ექსპლუატაცია, აგრეთვე მათი მუშაობისადმი ტექნიკური ზედამხედველობის გაძლიერება;

გ) მიიღონ ზომები, რათა გაძლიერდეს დაქვემდებარებულ სამეცნიერო-საკვლევ, საკონსტრუქტორო და საპროექტო ორგანიზაციებში არსებული და დამუშავების სტადიაში მყოფი საწარმოო პროცესების ტექნოლოგიის სრულყოფის სამუშაოები იმ მიზნით,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ შემცირდეს ან სრულიად გამოირიცხოს მავნე გადანაყარი ატმოსფეროში და შემცირდეს ძვირფას ნივთიერებათა დანაკარგები ნარჩენებთან ერთად;

დ) გაითვალისწინონ სახალხო მეურნეობის 1966—1970 წლების გეგმებით საჭირო კაპიტალური დაბანდებანი გაზსაწმენდ და მტვერსაჭერ ნაგებობათა მშენებლობაში;

ე) გაითვალისწინოს სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სახელმწიფო სანიტარული ინსპექციის ორგანოებთან შეთანხმებით, რომ ახალი სამრეწველო საწარმოები, რომელთა გადანაყარის დაჭერა ატმოსფეროში შეუძლებელია წმენდის თანამედროვე საშუალებებით, განლაგებულ იქნან დასახლებული ადგილებისა და ქალაქთა ტყე-პარკების ზოლების გარეთ.

3. დაევალოს საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს:

ა) გააძლიეროს ზედამხედველობა ავტოტრანსპორტის ტექნიკური მდგომარეობისადმი და ექსპლუატაციიდან მოხსნას ის ავტომობილები, რომლებსაც ექნებათ საწვავისა და ძრავათა ანთების უწესივრო და მოუწესრიგებელი სისტემები;

ბ) შეზღუდოს სადიზელე ძრავებიანი ავტომობილების მოძრაობა და გამოყოს მათთვის განსაზღვრული მარშრუტები ღამით მუშაობისათვის.

4. დაევალოს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს გააძლიეროს სანიტარული ზედამხედველობა ატმოსფერული ჰაერის მავნე გადანაყარით გაბინძურებისაგან დაცვისადმი, უზრუნველყოს სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური სადგურები საჭირო სანიტარულ-სალაბორატორიო მოწყობილობით და დააკომპლექტოს ისინი სანიტარული ექიმებით.

5. მიღებულ იქნას ცნობად, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ 1963 წლის 18 ოქტომბრის № 1078 დადგენილებით:

ა) აკრძალა იმ საწარმოების, საამქროების, აგრეგატებისა და ელექტროსადგურების მიღება და მუდმივ ან დროებით ექსპლუატაციაში გადაცემა, რომლებიც აბინძურებენ ატმოსფეროს მავნე ნივთიერებებით ისე, თუ არ შესრულდა ღონისძიებანი, რომელთა მიზანია ატმოსფეროს ტოქსიკური ელემენტებისა და მტვრის შემცველობის დაყვანა დასაშვებ სანიტარულ ნორმებამდე, აგრეთვე დააწესა, რომ აღნიშნული საწარმოების, საამქროებისა და აგრეგატების საექსპლუატაციოდ გადაცემა დაიშვება მხოლოდ სსრ კავშირის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სახელმწიფო სანიტარული ინსპექციის ნებართვით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

ბ) დაავალა მოაწყონ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებულ ქიმიური და ნავთობის მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტთან გაზების გაწმენდისა და მტვრის ჭერის მთავარი სამმართველო („გლავგაზოოჩისტკა“) ტრესტ „გაზოოჩისტკის“ ბაზაზე და დააკისრა მას:

იმის პასუხისმგებლობა, რომ განვითარდეს და დაინერგოს მრეწველობაში უფრო სრულყოფილი ტექნიკა ატმოსფეროში სამრეწველო გადანაყარის გაწმენდისა მავნე გაზებისაგან, მტვრისაგან, მჭვარტლისა და სხვა ნივთიერებებისაგან;

შეიმუშაოს ტექნიკური დოკუმენტაცია გაზსაწმენდი და მტვერდამჭერი დანადგარების მშენებლობისა ყველა მოქმედ, შენდებად და ასაშენებელ საწარმოებში, მათი უწყებრივი დაქვემდებარების დამოუკიდებლად;

დააკომპლექტოს ძირითადი და დამხმარე მოწყობილობით შენდებადი და მოქმედი გაზსაწმენდი და მტვერდამჭერი დანადგარები სამრეწველო საწარმოებსა და ელექტროსადგურებში, განახორციელოს ამ დანადგარების შეფმონტაჟი და გამართვა, აგრეთვე ტექნიკური საინსპექტორო ზედამხედველობა გაუწიოს მათ ექსპლუატაციას;

შეიმუშაოს გაზსაწმენდი აპარატების ტიპობრივი კონსტრუქციები, გაზსაწმენდი დანადგარების ტიპობრივი პროექტები, ინსტრუქციები, მეთოდური მითითებანი და სხვა მასალები გაზგაწმენდისა და მტვერდაჭერის საკითხებზე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1964 წ. 17 იანვარი, № 17.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 10 სახალხო მოხმარების საქონლის საბითუმო გაყიდვის რესპუბლიკური ბაზრობების დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს მიერ წარმოდგენილი დებულება სახალხო მოხმარების საქონლის საბითუმო გაყიდვის რესპუბლიკური ბაზრობების შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჟირაჭაძე.**

ქ. თბილისი, 1964 წ. 17 იანვარი, № 19.

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1964 წლის 17 იანვრის № 19
დადგენილებით

## დებულება

### სახალხო მოხმარების საქონლის საბითუმო გაყიდვის რესპუბლიკური ბაზრობების შესახებ

### I. ზოგადი დებულებანი

1. სახალხო მოხმარების საქონლის საბითუმო გაყიდვის რესპუბლიკური ბაზრობები ეწყობა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ვაჭრობის სახელმწიფო კომიტეტის „სოიუზგლავტორგის“ მიერ დამტკიცებული ინსტრუქციის შესაბამისად.

### II. ბაზრობების მოწყობის ადგილები და ვადები

2. სახალხო მოხმარების საქონლის საბითუმო გაყიდვის რესპუბლიკური ბაზრობების მონაწილენი არიან სახელმწიფო საბითუმო და საცალო ვაჭრობის, სამომხმარებლო კოოპერაციის ორგანიზაციები და საწარმოები და მრეწველობის საწარმოები.

3. ნამეტი საქონლის საბითუმო გაყიდვის რესპუბლიკური ბაზრობები მოეწყობა ქ. თბილისში წელიწადში ორჯერ — გაზაფხულსა და შემოდგომაზე; ამის გარდა, საჭიროების მიხედვით მოეწყობა

№ 1
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზონალური საბითუმო ბაზრობები აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში. ბაზრობების ვადებს დააწესებს საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრო.

## III. რესპუბლიკური ბაზრობების ამოცანები

4. ბაზრობების ძირითადი ამოცანაა შეათანხმონ მათმა მონაწილეებმა იმ საქონლის გაშლილი ასორტიმენტი (წარმოდგენილი ნიმუშების მიხედვით), რომელიც ნაწილდება, აგრეთვე არ ნაწილდება ცენტრალიზებული წესით და მიწოდებულ უნდა იქნას ხელშეკრულებებით.

## IV. საბაზრო კომიტეტი

5. სახალხო მოხმარების საქონლის საბითუმო გაყიდვის რესპუბლიკური ბაზრობებისადმი ხელმძღვანელობას ახორციელებს საბაზრო კომიტეტი სახელმწიფო ვაჭრობის, სამომხმარებლო კოოპერაციის, საბითუმო ბაზებისა და მრეწველობის წარმომადგენელთა შემადგენლობით.

6. საბაზრო კომიტეტი ხელმძღვანელობას უწევს ბაზრობას, კერძოდ, განსაზღვრავს მის მონაწილეთა შემადგენლობას, დააწესებს იმ საქონლის ნუსხას, რომლის რეალიზაცია ბაზრობაზე წარმოებს, მოაწყობს ხელშეკრულებათა დადებას, რეგისტრაციაში გაატარებს დადებულ ხელშეკრულებებს, გადაწყვეტს უთანხმოებას, რაც წამოიჭრება მიმწოდებელსა და მყიდველს შორის ბაზრობაზე ხელშეკრულების დადების დროს როგორც გეგმური წესით განაწილებული, ისე გაუნაწილებელი საქონლის მიწოდების შესახებ. განსაზღვრავს ბაზრობის მონაწილეთა შენატანების ოდენობას ბაზრობის შესანახი ხარჯების დასაფარავად და განახორციელებს სხვა ღონისძიებებს, რომლებიც უზრუნველყოფენ ბაზრობის წინაშე დასახული ამოცანების შესრულებას.

7. საბაზრო კომიტეტი დადგენილი წესით მისცემს რეკომენდაციას, რომ დაინერგოს წარმოებაში საქონლის საუკეთესო ნიმუშები და მრეწველობის სათანადო ორგანოების წინაშე დააყენებს ამ საქონლის ხარისხის გაუმჯობესებისა და მისი ასორტიმენტის გაფართოების საკითხებს.

## V. რესპუბლიკური ბაზრობის სახსრები და ანგარიშგება

8. სახალხო მოხმარების საქონლის საბითუმო გაყიდვის რესპუბლიკური ბაზრობების შენახვა წარმოებს ბაზრობის მონაწილე ორგანო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზაციათა შენატანების ხარჯზე, ამ ორგანიზაციათა გეგმებით გათვალისწინებული ხარჯების საერთო ხარჯთაღრიცხვების ფარგლებში.

9. რესპუბლიკური ბაზრობის შენახვის ხარჯების ხარჯთაღრიცხვას დაამტკიცებს საბაზრო კომიტეტი.

### VI. რესპუბლიკური ბაზრობის ლიკვიდაცია

10. სახალხო მოხმარების საქონლის საბითუმო გაყიდვის რესპუბლიკური ბაზრობების ლიკვიდაცია მოხდება მათი მოქმედების ვადის გასვლის შემდეგ.

---

## 11 საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის ჰიდრომეტეოროლოგიური მომსახურების გაუმჯობესების შესახებ

რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ჰიდრომეტეოროლოგიური მომსახურების შემდგომი გაუმჯობესების მიზნით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. დაევალოს საქართველოს სსრ ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახურის სამმართველოს მიიღოს ზომები რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის აგროჰიდრომეტეოროლოგიური მომსახურების გაფართოებისა და გაუმჯობესებისათვის, რისთვისაც:

ა) 1964 წლის პირველი კვარტალის განმავლობაში საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროსთან ერთად, შეამოწმოს აგროჰიდრომეტეოროლოგიური სადგურებისა და საგუშაგოების მუშაობა სოფლის მეურნეობის მომსახურების დარგში და მიიღოს ზომები მათს მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

ბ) განამტკიცოს აგროჰიდრომეტეოროლოგიური სადგურები კვალიფიციური სპეციალისტებით — აგრომეტეოროლოგი ინჟინრებითა და ტექნიკოსებით, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს იმ აგროჰიდრომეტეოროლოგიური სადგურების განმტკიცებას კადრებით, რომლებიც მდებარეობენ იმავე პუნქტებში, სადაც იმყოფებიან კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოები;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) უზრუნველყოს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების თვითეული საწარმოო სამმართველო ინფორმაციით სასოფლო-სამეურნეო კულტურების მდგომარეობის შესახებ, აძლიოს მათ ამინდისა და ჰიდროლოგიური რეჟიმის პროგნოზები, აგრეთვე მისცეს გაფრთხილებანი საშიში და განსაკუთრებული მოვლენების შესახებ;

დ) გახსნას სეზონური რადიომეტეოროლოგიური სადგური საზამთრო საძოვრების რაიონში (ტარიბანა). მოახდინოს ომალოს მეტეოროლოგიური სადგურის რადიოფიკაცია (საზაფხულო საძოვრებზე);

ე) მოამზადოს, გამოსცეს და გადასცეს 1964-1965 წლებში კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ყველა საწარმოო სამმართველოს „აგროკლიმატური ცნობარები", სპეციალიზებული საწარმოო სამმართველოების მოქმედების რაიონების მიხედვით;

ვ) გადასინჯოს სამომსახურეო ორგანიზაციებთან ერთად რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ძირითადი დარგების ჰიდრომეტეოროლოგიური სპეციალიზებული მომსახურების გეგმები იმის გათვალისწინებით, რომ რაც შეიძლება სრულად იქნან უზრუნველყოფილი ეს ორგანიზაციები წარმოებისათვის საჭირო ჰიდრომეტეოროლოგიური მონაცემებით.

2. დაევალოთ საქართველოს სსრ ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახურის სამმართველოს და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს მოაწყონ სასოფლო-სამეურნეო კულტურების სამარშრუტო აგრომეტეოროლოგიური გამოკვლევანი, განსაკუთრებით ამინდის არახელსაყრელი პირობების პერიოდში.

3. საქართველოს სსრ ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახურის სამმართველომ და ამიერკავკასიის სამეცნიერო-საკვლევმა ჰიდრომეტეოროლოგიურმა ინსტიტუტმა, დაინტერესებულ ორგანიზაციებთან ერთად, შეამოწმოს ჰიდრომეტეოროლოგიური სამუშაოების მდგომარეობა რესპუბლიკის სამინისტროებსა და უწყებებში და განახორციელონ ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ ოპერატიული და სამეცნიერო-საკვლევი ჰიდრომეტეოროლოგიური სამუშაოების გაუმჯობესებასა და გაიაფებას.

ეროვნული

4. დაევალოთ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს და კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოების უფროსებს:

ა) 1964-1965 წლების განმავლობაში დაამთავრონ უწყებრივი აგრომეტეოროლოგიური საგუშაგოების მოწყობა დიდ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, ხოლო რთულრელიეფიან მეურნეობებში — შექმნან საჭირო რაოდენობის ასეთი საგუშაგოები იმ სასოფლო-სამეურნეო სავარგულების მიკროთავისებურებათა სრულად გაშუქებისათვის, რომლებიც თვითეულ წამყვან კულტურას უჭირავს;

ბ) დაევალოთ მეურნეობების (კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების) მთავარ (უფროს) აგრონომებს პირადად იმუშაონ აგრომეტეოროლოგიური საგუშაგოების საქმიანობის საკითხებზე და უზრუნველყონ ამ საგუშაგოების განუწყვეტელი მუშაობა;

გ) 1964-1965 წლების განმავლობაში უზრუნველყონ მწყემსების ყველა ბრიგადა საძოვრებზე რადიომიმღებებით, რათა საშუალება მიეცეთ მათ მოისმინონ ამინდის პროგნოზები და გაფრთხილებანი საშიში მეტეოროლოგიური მოვლენების შესახებ;

დ) მოაწესრიგონ აგრომეტეოროლოგიური საგუშაგოების მეთვალყურეთა შრომის ანაზღაურება;

ე) საქართველოს სსრ ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახურის სამმართველოსთან ერთად, მოამზადონ და 1964 წელს გამოსცენ სოფლის მეურნეობის, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკთა დასახმარებლად ბროშურები და პლაკატები მეტეოროლოგიური და აგრომეტეოროლოგიური დაკვირვების მეთოდებისა და სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში მათი გამოყენების შესახებ;

ვ) შეიტანონ სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა მასობრივი სწავლების პროგრამებში საკითხები ჰიდრომეტეოროლოგიური და აგრომეტეოროლოგიური მასალების გამოყენებისა სოფლის მეურნეობაში;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზ) დაევალოთ კოლმეურნეობების და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოებს უფრო ფართოდ ისარგებლონ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა დაგეგმვისა და აგროტექნიკურ ღონისძიებათა შესრულების დროს აგროჰიდრომეტეოროლოგიური სადგურებისა და აგრომეტეოროლოგიური საგუშაგოების დაკვირვების შედეგების მასალებით, ამინდის პროგნოზებით, კონსულტაციებით, გაფრთხილებებით, ჰიდროლოგიური პროგნოზებითა და აგროკლიმატური ცნობარების მასალებით.

5. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტრომ და საქართველოს სსრ ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახურის სამმართველომ გადაწყვიტონ საკითხი, რომ მევენახეობისა და მეღვინეობის ინსტიტუტის ტერიტორიაზე განლაგდეს თბილისის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის მეტეოროლოგიური სადგური იმ ტერიტორიის განაშენიანებასთან დაკავშირებით, რომელზედაც ამჟამად მდებარეობს აღნიშნული სადგური.

6. დაევალოთ რესპუბლიკის საპროექტო ორგანიზაციებს გაითვალისწინონ ხარჯთაღრიცხვებით საავიაციო ტრასებისა და აეროპორტების, შორეული ელექტროგადამცემი ხაზების პროექტების შემუშავების დროს ისეთი სამსახურებრივი და საცხოვრებელი შენობების, კავშირგაბმულობის ხაზების მშენებლობა ჰიდრომეტეოროლოგიური სადგურებისა და საგუშაგოებისათვის, რომლებიც საჭიროა ამ ობიექტების ჰიდრომეტეოროლოგიური მომსახურებისათვის.

7. დაევალოთ საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს რეანახორციელონ, 1964 წლის 1 იანვრიდან დაწყებული, სტაციონარული და საექსპედიციო სამუშაოების წარმოება ჰიდრომეტეოროლოგიის დარგში, აგრეთვე შექმნან ახალი ჰიდრომეტეოროლოგიური ორგანოები მხოლოდ საქართველოს სსრ ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახურის სამმართველოს ნებართვით.

8. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სახელმწიფო კომიტეტმა და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტრომ განიხილონ საქართველოს სსრ ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახურისა და ამიერკავკასიის სამეცნიერო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკვლევი ჰიდრომეტეოროლოგიური ინსტიტუტისათვის უმაღლესი და საშუალო კვალიფიკაციის კადრების მომზადების საკითხი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე გ. ჯავახიშვილი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი ა. ჟირაქაძე.

ქ. თბილისი, 1964 წ. 17 იანვარი, № 18.

## 12 „საზოგადოებრივი ავტოინსპექტორების დებულებაში“ ზოგიერთი ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დაკმაყოფილდეს საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს თხოვნა იმის შესახებ, რომ შეტანილ იქნას ცვლილებანი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 23 მაისის № 342 დადგენილებით დამტკიცებულ „დებულებაში საზოგადოებრივი ავტოინსპექტორების შესახებ“.

ქვემოჩამოთვლილი მუხლები მიღებულ იქნას შემდეგი რედაქციით:

1. „მუხლი 3. საზოგადოებრივი ავტოინსპექტორების კანდიდატურებს, რომლებსაც წამოაყენებენ ნებაყოფლობით საწყისებზე იმ კოლექტივთა კრებები, რომლებშიაც ირიცხებიან კანდიდატები, მიიღებენ საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს მილიციის სამმართველოს სახელმწიფო საავტომობილო ინსპექციის განყოფილებასთან არსებული საზოგადოებრივი ავტოინსპექტორების საბჭო, აგრეთვე მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომების მილიციის საქალაქო და რაიონულ ორგანოებთან არსებული საზოგადოებრივი ავტოინსპექტორების საქალაქო (რაიონული) საბჭოებს და დაამტკიცებს რესპუბლიკური სახელმწიფო საავტომობილო ინსპექციის განყოფილება და მშრომელთა დეპუტატების რაიონული

საქალაქო საბჭოს აღმასკომის მილიციის განყოფილება (ქვეგანყოფილება)“.

2. „მუხლი 17. საზოგადოებრივი ავტოინსპექტორების მუშაობის ხელმძღვანელობას ახორციელებენ საზოგადოებრივი ავტოინსპექტორების საბჭოები, რომლებიც შეიქმნება საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს მილიციის სამმართველოს სახელმწიფო ავტოინსპექციის განყოფილებასთან, აგრეთვე მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომების მილიციის განყოფილებებთან. ამის გარდა, საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს მილიციის სამმართველოს სახელმწიფო საავტომობილო ინსპექციის განყოფილებასთან არსებულ საზოგადოებრივი ავტოინსპექტორების საბჭოს ეკისრება ხელმძღვანელობა გაუწიოს საზოგადოებრივი ავტოინსპექტორების საბჭოებს, რომლებიც შეიქმნება მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომების მილიციის განყოფილებებთან“.

3. „მუხლი 18. საზოგადოებრივი ავტოინსპექტორების საბჭოები აირჩევიან ღია კენჭისყრით საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს მილიციის სამმართველოს სახელმწიფო ავტოინსპექციის განყოფილების, რაიონის, ქალაქის საზოგადოებრივი ავტოინსპექტორების საერთო კრებებზე სულ ცოტა 7 კაცის შემადგენლობით, ერთი წლის ვადით“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჟირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1964 წ. 24 იანვარი, № 33.

მუხ. 13
ეროვნული ბიბლიოთეკა

## 13 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 24 დეკემბრის № 1244 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებების გაუქმების შესახებ

შესაბამისად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 24 დეკემბრის № 1244 დადგენილებისა „ძირზე გასაცემი მერქნის ახალი ნიხრების დამტკიცების შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 11 სექტემბრის № 948 დადგენილებასთან დაკავშირებით სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებათა გაუქმების თაობაზე“, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

ძალადაკარგულად ჩაითვალოს 1965 წლის 1 იანვრიდან:

1. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1950 წლის 8 აგვისტოს № 1002 დადგენილება „საქართველოს სსრ სახელმწიფო მნიშვნელობის ტყეებიდან ძირზე გასაცემი მერქნის ნიხრის დაწესების შესახებ“.

2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1950 წლის 16 დეკემბრის № 1757 დადგენილება „საკოლმეურნეო ტყეებიდან ძირზე გასაცემი მერქნის ნიხრის შესახებ“.

3. „საკოლმეურნეო ტყეებში მეურნეობის გაძღოლის გაუმჯობესების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 24 მარტის № 174 დადგენილების მე-3 მუხლი.

4. მუხლი 1. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 29 სექტემბრის № 558 დადგენილებისა „მოსახლეობის მიერ ტყის უკანონოდ ჭრით ან დაზიანებით მიყენებული ზარალის საზღვევინებელი გადასახდელის როდენობის გამოსაანგარიშებლად ნიხრის დამტკიცების შესახებ“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე გ. ჯავახიშვილი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი ა. ჟირაქაძე.

ქ. თბილისი, 1964 წ. 24 იანვარი, № 35.

ეროვნული

**14** რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკაში“ ტექნიკური ინფორმაციისა და რეკლამის ბიუროს შექმნის შესახებ

მექანიზებული სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების, პროგრესული ტექნოლოგიის, ახალი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის, ტექნიკის გამოყენების, შენახვისა და რემონტის, საწვავისა და საცხები მასალების შენახვისა და გამოყენების ახალი ორგანიზაციულ-ტექნიკური ხერხების, სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში ელექტროენერგიის გამოყენების პროპაგანდის უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

ნება დაერთოს რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკას“ მოაწყოს ახალი ტექნიკის და მოწინავე გამოცდილების დანერგვისა და გამოყენების სამმართველოსთან, „საქსოფლტექნიკის“ ადმინისტრაციულ-სამმართველო პერსონალის საერთო რაოდენობისა და ხელფასის ფონდის ფარგლებში, ტექნიკური ინფორმაციისა და რეკლამის ბიურო სამი საშტატო ერთეულის შემადგენლობით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჩირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1964 წ. 24 იანვარი, № 37.

**15** უმეთვალყურო და ირამ პირუტყვის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს დებულება უმეთვალყურო და ირამ პირუტყვის შესახებ.

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1938 წლის 26 ოქტომბრის № 2024 დადგენილება „უმეთვალყურო და ეული საქონლის შენახვისა და პატრო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნებისათვის დაბრუნების წესის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ".

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე გ. ჯავახიშვილი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი ა. ჟორჟაძე.

თბილისი, 1964 წ. 4 თებერვალი. № 45.

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1964 წლის 4 თებერვლის № 45
დადგენილებით

## დ ე ბ უ ლ ე ბ ა

### უმეთვალყურო და ირაო პირუტყვის შესახებ

1. უმეთვალყურო და ირაო პირუტყვად ითვლება ჯოგს ან ფარას მოწყვეტილი, აგრეთვე მოქალაქეთა პირად საკუთრებაში მყოფი, გზააბნეული პირუტყვი, რომელიც უმეთვლყუროდ დარჩა ან გაერია სხვა ჯოგსა ან ფარაში.

2. ის ორგანიზაციები და პირები, რომლებიც უმეთვალყურო და ირაო პირუტყვს დააკავებენ, მოვალენი არიან დაუყოვნებლივ ჩააბარონ პირუტყვი მესაკუთრეს, ხოლო თუ პირუტყვის მესაკუთრის ვინაობა ცნობილი არ არის, არა უგვიანეს 3 დღისა აცნობონ ამის შესახებ მშრომელთა დეპუტატების სასოფლო (სადაბო) საბჭოს აღმასკომს.

3. მშრომელთა დეპუტატების სასოფლო (სადაბო) საბჭოს აღმასკომი სავეტერინარო წესების დაცვით დაკავებულ პირუტყვს დროებით შესანახავად გადასცემს უახლოეს კოლმეურნეობას ან საბჭოთა მეურნეობას, რომელთა ხელმძღვანელებს უფლება არა აქვთ უარი განაცხადონ პირუტყვის მიღებაზე.

პირუტყვის ჩაბარებაზე შედგება სათანადო აქტი, რომლის ერთი ასლი დაუყოვნებლივ გადაეგზავნება მილიციის ორგანოს, რომელსაც ეკისრება მიიღოს ზომები უმეთვალყურო ან ირაო პირუტყვის მესაკუთრის მოსანახავად (რაიონის სასოფლო საბჭოების აღმასკომებისათვის შეტყობინების გაგზავნა და ა. შ.).

№ 1
ეროვნული
ბიბლიოთეკა

4. მშრომელთა დეპუტატების სასოფლო (სადაბო) საბჭოს აღმასკომს ევალება სასოფლო (სადაბო) საბჭოში შემავალ სოფლებში თვალსაჩინო ადგილას გააკრას განცხადება უმეთვალყურო და ირაო პირუტყვის პოვნის შესახებ.

5. უმეთვალყურო და ირაო პირუტყვის დროებით შენახვა განისაზღვრება: მუშა და მსხვილფეხა რქიანი პირუტყვისათვის, აგრეთვე მისი მოზარდისათვის 6 თვის ვადით, ხოლო წვრილფეხა პირუტყვისა და მისი მოზარდისათვის — 3 თვის ვადით.

6. უმეთვალყურო და ირაო პირუტყვის მესაკუთრე მოვალეა აუნაზღაუროს პირუტყვის შემნახველ მეურნეობას პირუტყვის შენახვისათვის გაწეული ხარჯები იმ შემოსავლის ჩათვლით, რაც მეურნეობამ მიიღო პირუტყვის გამოყენებით.

უპატრონო და ირაო პირუტყვის კუთვნილების დადგენა წარმოებს მშრომელთა დეპუტატების სასოფლო (სადაბო) საბჭოს აღმასკომის მიერ. მესაკუთრეს პირუტყვი დაუბრუნდება აღმასკომის განკარგულებით, რაც ეცნობება მილიციის ორგანოს.

დავა უპატრონო და ირაო პირუტყვის კუთვნილების შესახებ, აგრეთვე პირუტყვის შესანახი ხარჯების ანაზღაურებისა და პირუტყვის გამოყენებით მიღებული შემოსავლის ჩათვლის შესახებ გადაწყდება სასამართლო წესით.

7. თუ ამ დებულებით გათვალისწინებული ზომების მიღების მიუხედავად მე-5 მუხლით დაწესებულ ვადის განმავლობაში პირუტყვის მესაკუთრე ვერ იქნა მონახული, იგი ჰკარგავს საკუთრების უფლებას ამ პირუტყვზე. ასეთ შემთხვევაში, პირუტყვი, რომელსაც ინახავდა კოლმეურნეობა, უსასყიდლოდ გადადის ამავე კოლმეურნეობის საკუთრებაში, ხოლო პირუტყვი, რომელსაც ინახავდა საბჭოთა მეურნეობა, უსასყიდლოდ გადადის სახელმწიფოს საკუთრებაში და ჩაირიცხება ამავე საბჭოთა მეურნეობის ქონების შემადგენლობაში.

---

**16** **საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 19 ოქტომბრის № 661 დადგენილების მე-3 მუხლის რედაქციის შეცვლის შესახებ**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 19 ოქტომბრის № 661 დადგენილების მე-3 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

ეროვნული ბიბლიოთეკა

„3. დაწესდეს, რომ 1964 წლის 1 იანვრიდან გაზის იმ ხელსაწყოების პროფილაქტიკური მომსახურების ხარჯები, რომლებიც დაყენებულია საცხოვრებელ სახლებში, დამოუკიდებლად მათი კუთვნილებისა, მათ შორის მოქალაქეთა პირადი საკუთრების სახლებში, გათვალისწინებულ უნდა იქნას საქალაქო საგაზო მეურნეობათა შენახვის ხარჯთაღრიცხვებით; იმ მოწყობილობისა და აპარატურის პროფილაქტიკური მომსახურება, რომლებიც დაყენებულია აბანოებში, საბავშვო და სამკურნალო დაწესებულებებში, საცხოვრებელი სახლების საქვაბეებსა და სხვა კომუნალურ-საყოფაცხოვრებო ორგანიზაციებში, უნდა წარმოებდეს ხელშეკრულებებით და საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის მიერ დამტკიცებული პრეისკურანტების ფასებში“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე გ. ჯავახიშვილი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი ა. ჟორჟაძე.

ქ. თბილისი, 1964 წ. 5 თებერვალი, № 50.

## 17 „საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციების გრძელვადიანი დაკრედიტების შესახებ“

(სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 16 იანვრის № 43 დადგენილება)

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 16 იანვრის № 43 დადგენილება „საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციების გრძელვადიანი დაკრედიტების შესახებ“ დაეგზავნოს სახელმძღვანელოდ სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის საქართველოს რესპუბლიკურ კანტორას, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას, საქართველოს სსრ სახმშენს, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს, საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკას“, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების ალ-

№ 1
ეროვნული
ბიბლიოთეკა

მასკომს, რაიონული საბჭოების აღმასკომებს, კოლმეურნეობებისა
და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოებს.

2. დაევალოთ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბ-
ჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, კოლმე-
ურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართვე-
ლოებს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკურ
გაერთიანება „საქსოფლტექნიკას“:

ა) ერთი თვის ვადაში შეისწავლონ და განიხილონ საკითხი, თუ
რამდენად უზრუნველყოფილია საკოლმეურნეობათაშორისო სამშე-
ნებლო ორგანიზაციები ადგილობრივი საშენი მასალების, რკინაბე-
ტონის ნაკეთობების, სამშენებლო დეტალების დამამზადებელი სა-
წარმოებით და დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი ამ ორგანიზა-
ციათა საწარმოო ბაზის გაფართოებისა და განმტკიცებისათვის;

ბ) სახელმწიფო ბანკის გრძელვადიანი კრედიტი გამოუყონ სა-
კოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციებს მიზნობრი-
ვი დანიშნულებით საწარმოო ბაზის გასაფართოებლად, ახალი ტექ-
ნიკის დასანერგავად, სამშენებლო მექანიზმებისა და სატრანსპორტო
საშუალებათა შესაძენად, აგრეთვე საწარმოო-სამეურნეო დანიშნუ-
ლების სასოფლო-სამეურნეო ობიექტების საექსპლუატაციოდ გადა-
ცემის დასაჩქარებლად, ამასთან იქონიონ მხედველობაში, რომ საჭი-
როა თავმოყრილ იქნას მატერიალური და ფინანსური რესურსები
პირველ რიგში მშენებლობის უმნიშვნელოვანეს ობიექტებზე;

გ) სისტემატურად განიხილონ საკოლმეურნეობათაშორისო სამ-
შენებლო ორგანიზაციების საწარმოო-საფინანსო საქმიანობა და მიი-
ღონ პრაქტიკული ზომები მათი საფინანსო მდგომარეობის განმტკი-
ცებისათვის.

მიაღწიონ იმას, რომ დროზე გაასწორონ ანგარიში საკოლმეურ-
ნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციებმა მათი ვალდებულე-
ბებით სახელმწიფო ბანკისა და სხვა ორგანიზაციების წინაშე;

დ) განამტკიცონ საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორ-
განიზაციების ხელმძღვანელობა კვალიფიციური კადრებით, წარმარ-
თონ მათი საქმიანობა მშენებლობის ხარისხის გაუმჯობესებისა და
ღირებულების შემცირებისათვის, დააჩქარონ სამშენებლო ობიექ-
ტების გადაცემა საექსპლუატაციოდ, მკვეთრად შეამცირონ დაუმ-
თავრებელი მშენებლობის მოცულობა;

ე) წლიური ფონდების განაწილების დროს გაითვალისწინონ სა-
კოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციების მწვავე მო-

მუხ. 17
ეროვნული ბიბლიოთეკა

თხოვნილება ავტოტრანსპორტსა და ავტოსაბურავებზე, რომლებიც უნდა გამოყონ უშუალოდ საწარმოო სამმართველოებმა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1964 წ. 8 თებერვალი. № 55.

ასლი

# სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

## დადგენილება № 43

**1964 წლის 16 იანვარი**

მოსკოვი, კრემლი

**საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციების გრძელვადიანი დაკრედიტების შესახებ**

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. ნება დაერთოს სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკს აძლიოს უშუალოდ საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციებს კრედიტი:

ა) ახალი ტექნიკის დანერგვისა და სამშენებლო მექანიზმების და სატრანსპორტო საშუალებათა შეძენის ხარჯებისათვის ხუთ წლამდე ვადით, რომლის დაფარვა დაწყებულ იქნას სესხის მიცემის შემდეგ მეორე წლიდან იმ პირობით, თუ უზრუნველყოფილია ხარჯების სრული ანაზღაურება და სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის სესხთა დაფარვა ამ ვადის განმავლობაში, საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციათა დაგროვების და კაპიტალური დაბანდებისათვის განკუთვნილი მათი საამორტიზაციო ანარიცხების ხარჯზე;

ბ) საწარმოო ბაზის განვითარებისა და გაფართოებისათვის, აგრეთვე ადგილობრივი საშენი მასალების დამამზადებელი საწარმოების მშენებლობისათვის იმ თანხის ოდენობით, რაც არ იფარება საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციების საკუთარი დაგროვებით და კაპიტალური დაბანდებებისათვის განკუთვნილი მა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თი საამორტიზაციო ანარიცხებით, და საკოლმეურნეობათაშორისო ორგანიზაციების მონაწილე კოლმეურნეობებისათვის გამოსაყოფი სახსრებით, ვადით 15 წლამდე, რომლის დაფარვა დაწყებულ იქნას სესხის გაცემის შემდეგ მეოთხე წლიდან.

ამ მიზნებისათვის კრედიტი მიეცეთ საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციებს იმ პირობით, თუ მშენებლობის ობიექტები შეტანილია მშენებლობათა სატიტულო სიაში, რომელიც დამტკიცებულია სახელმწიფო მშენებლობისათვის დადგენილი წესით.

2. სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის გრძელვადიანი კრედიტის დასაფარავად საჭირო სახსრები გათვალისწინებულ უნდა იქნას საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციების საწარმოო-საფინანსო გეგმებით.

საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციების ხელმძღვანელებს ეკისრებათ პერსონალური პასუხისმგებლობა აღნიშნული კრედიტის დროულად დაბრუნებისათვის.

3. დაწესდეს, რომ კრედიტი ამ დადგენილების 1 მუხლით გათვალისწინებული ღონისძიებებისათვის მიეცემათ საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციებს იმ თანხების ფარგლებში, რომლებიც გათვალისწინებულია ამ მიზნებისათვის სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის გრძელვადიანი დაკრედიტების გეგმით.

საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციების გრძელვადიანი დაკრედიტების გეგმებს დაამტკიცებენ მშენებლობის ობიექტებისა და ღონისძიებათა კვალობაზე განაწილებით, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები, რომლებსაც საოლქო დაყოფა არა აქვთ, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები და მშრომელთა დეპუტატების საოლქო და სამხარეო საბჭოების აღმასკომები სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის შესაბამისი კანტორების წარდგენით.

4. მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა:

ა) მიიღონ ზომები საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციების საწარმოო ბაზის განმტკიცებისა და მათი საწარმოო-საფინანსო საქმიანობისადმი კონტროლის გაძლიერებისათვის, ამასთან იქონიონ მხედველობაში, რომ საჭიროა თავმოყრილ იქნას მატერიალური და ფინანსური რესურსები პირველ რიგში მშენებლობის უმნიშვნელოვანეს ობიექტებზე, გაუმჯობესდეს მშენებლობის ხარისხი, შემცირდეს მისი თვითღირებულება, დაჩქარდეს შენდებადი ობიექტების გადაცემა საექსპლუატაციოდ, მკვეთრად შემცირდეს დაუმთავრებელი მშენებლობის მოცულობა, აგრეთვე მიაღწიონ იმას,

რომ საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციებმა დროზე გაასწორონ ანგარიში თავიანთ ვალდებულებათა მიხედვით;

ბ) გამოუყონ 1964 წლიდან დაწყებული, საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციებს საშენი მასალები, მოწყობილობა და სხვა მატერიალურ-ტექნიკური საშუალებანი, რომლებიც საჭიროა მათი საწარმოო ბაზის განვითარებისა და გაფართოებისათვის, აგრეთვე იმისთვის, რომ ამ ორგანიზაციებმა განახორციელონ მშენებლობა კოლმეურნეობებში.

დაწესდეს, რომ აღნიშნული მასალებისა და ნაკეთობათა მიყიდვას საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციებისათვის ეწევიან საკავშირო გაერთიანება „საკსოფლტექნიკის" სისტემის ორგანიზაციები.

5. სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკმა დაამტკიცოს სსრ კავშირის სახმშენთან შეთანხმებით ინსტრუქცია საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციების დაკრედიტების წესის შესახებ.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ა. კოსიგინი.**

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. სტეპანოვი.**

## 18 საქართველოს სს რესპუბლიკაში ვეტერინარული საქმის გაუმჯობესებისა და ვეტერინარული კონტროლის გაძლიერების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ რესპუბლიკაში კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცების, ვეტერინარულ დაწესებულებათა ფართო ქსელის შექმნის, მეცხოველეობის ვეტერინარული მომსახურების დონის ამაღლებისა და ვეტერინარული მეცნიერების წარმატებით განვითარების შედეგად, ლიკვიდირებულია ცხოველთა ისეთი საშიში დაავადებანი, როგორიცაა მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის შავი ჭირი და ფილტვების მოარული ანთება, ქოთაო და მკვეთრად შემცირდა ცხოველთა დაავადება ციმბირის წყლულით, მუნით, ყვავილითა და სხვა გადამდები სნეულებით.

ამასთან ერთად, მეცხოველეობის ფერმების ვეტერინარულ-სანიტარული მდგომარეობა ბევრ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ურნეობაში კვლავ არადამაკმაყოფილებელია. მეურნეობებს დიდი ზარალი მოსდით ცხოველთა დაავადებისა და დახოცვისაგან, რაც პირუტყვის არასწორად შენახვისა და კვების, აგრეთვე მისი ცუდი მოვლის შედეგია.

ცუდად არის მოწყობილი მეცხოველეობის ფერმების დაცვა გადამდებ სნეულებათა შეტანისაგან; ზოგიერთ რაიონში არადამაკმაყოფილებლად ხორციელდება თურქულისა და ცხოველთა მთელი რიგი ქრონიკული დაავადების სრული ლიკვიდაციის ღონისძიებანი; მთელი რიგი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ფერმები ხანგრძლივი დროის განმავლობაში ბრუცელოზის, ტუბერკულოზის, ჰელმინთოზებისა და სხვა დაავადებათა მხრივ არაკეთილსაიმედო ფერმებად რჩებიან.

რესპუბლიკის ბევრი ადგილობრივი საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანო ვერ აფასებს იმას, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ჯანსაღი ჯოგების შექმნას — იმის ერთ-ერთ ძირითად პირობას, რომ უზრუნველყოფილ იქნას მოსახლეობა მეცხოველეობის სანიტარულად მაღალხარისხოვანი პროდუქტებით. მთელ რიგ მეურნეობებში არ იცავენ სსრ კავშირის ვეტერინარული წესდების მოთხოვნებს, არ არის უზრუნველყოფილი ვეტერინარულ-სანიტარული წესებისა და პროფილაქტიკური ზომების შესრულება.

იმ მიზნით, რომ გაუმჯობესდეს ვეტერინარული საქმე საქართველოს სს რესპუბლიკაში, გაძლიერდეს მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა ადამიანისა და ცხოველთათვის საერთო დაავადებისაგან, შემცირდეს ის ზარალი, რასაც ცხოველთა დაავადება აყენებს სახალხო მეურნეობას, აგრეთვე იმისათვის, რომ გაუმჯობესდეს პირუტყვის, ფრინველის პროდუქტიულობა და მეცხოველეობის პროდუქტების ხარისხი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 27 სექტემბრის № 1020 დადგენილების განსახორციელებლად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაევალოთ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებს, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოებს მიიღონ ზომები, რათა გაუმჯობესდეს ვეტერინარული საქმის დაყენება რესპუბლიკაში,

მუხ. 18
ეროვნული
ბიბლიოთეკა

განმტკიცდნენ სახელმწიფო ვეტერინარული სამსახურის ორგანოები და გაძლიერდეს სახელმწიფოებრივი კონტროლი სსრ კავშირის ვეტერინარული წესდების მოთხოვნების, აგრეთვე ვეტერინარიის საკითხებზე იმ ბრძანებებისა და ინსტრუქციების შესრულებისადმი, რომლებსაც გამოსცემენ სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრო და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტრო ვეტერინარული წესდების გასავითარებლად და სსრ კავშირის მთავრობის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა და განკარგულებათა შესასრულებლად.

მიღებულ იქნას სახელმძღვანელოდ, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ უფლება მიანიჭა სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს გამოსცეს ყველა სამინისტროსა და უწყებისათვის სავალდებულო ბრძანებები და ინსტრუქციები ვეტერინარიის საკითხებზე.

2. მოეწყოს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოსთან, სახალხო მეურნეობის საბჭოს ადმინისტრაციულ-სამმართველო პერსონალის რაოდენობისა და ხელფასის თვიური ფონდის ფარგლებში, ვეტერინარული ინსპექცია 3 ერთეული შტატით, რომელიც განახორციელებს ვეტერინარულ-სანიტარულ ზედამხედველობას მეცხოველეობის პროდუქტებისა და ნედლეულის გადამმუშავებელ საწარმოებში; დაუმორჩილდეს ეს ინსპექცია როგორც სახალხო მეურნეობის საბჭოს, ისე საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს ვეტერინარიის სამმართველოსაც. ამ ინსპექციის თანამდებობრივი განაკვეთები შეთანხმებულ იქნას სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან.

დაუმორჩილდეს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს საწარმოებისა და ორგანიზაციების ვეტერინარული სამსახური, ამ საწარმოებისა და ორგანიზაციებისადმი მის დაქვემდებარებასთან ერთად, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს ვეტერინარულ ორგანოებს.

3. იმ მიზნით, რომ სახელმწიფო ვეტერინარული ქსელის სტრუქტურა უპასუხებდეს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოების ამოცანებს, და საქართველოს სსრ ზოგიერთი რაიონის შექმნასთან დაკავშირებით, საქართველოს

№ 1
ეროვნული
ბიბლიოთეკა

სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 25 ივნისის № 429 დადგენილების შესაცვლელად, მოწონებულ იქნას საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს სახელმწიფო ვეტერინარული ქსელის წარმოდგენილი სტრუქტურა, ქსელი და ტიპობრივი შტატებისა და საშტატო განრიგების პროექტები, №№ 1-14 დანართების თანახმად, და შეუთანხმდეს ისინი სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს.

დაწესდეს, რომ დამატებითი საშტატო ერთეულების შემოღება, რაც დასაშვებია ტიპობრივი შტატების შენიშვნებში აღნიშნული პირობების არსებობის დროს, წარმოებს პერსონალის საერთო რაოდენობისა და ხელფასის ფონდის ფარგლებში, რომლებიც გათვალისწინებულია შესაბამისი ბიუჯეტით.

4. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტრომ დაამტკიცოს საბჭოთა მეურნეობების ვეტერინარ სპეციალისტთა შტატები პირუტყვისა და ფრინველის ვეტერინარული მომსახურების იმ ნორმების გათვალისწინებით, რომლებიც შემუშავებულია სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ.

5. გარდაიქმნან მუდმივი მომთაბარე, სეზონური მომთაბარე და საგზატკეცილო-სატრანსპორტო ვეტპუნქტები შესაბამის ვეტუბნებად, ხოლო დაცვითი-საკარანტინო ვეტპუნქტები—სასაზღვრო ვეტუბნებად.

6. ნება დაერთოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს შეინარჩუნოს, როგორც გამონაკლისი, დიაგნოსტიკური .კაბინეტები ჯავის, ყაზბეგის, ლენტეხის, მესტიის, თიანეთის რაიონებში, ვეტექიმთა თანამდებობანი საქალაქო ვეტერინარულ-სანიტარულ სადგურებში რუსთავში, ქუთაისსა და ფოთში და ავტოდეზდანადგარების ვეტექიმთა და მოფერთა თანამდებობანი პირუტყვის დაავადების წინააღმდეგ ბრძოლის სადგურებში — ყაზბეგის, თიანეთისა და ახმეტის რაიონებში.

7.-დაწესდეს, რომ პირუტყვის დაავადების წინააღმდეგ ბრძოლის სადგურები და მათს გამგებლობაში არსებული საუბნო ვეტერინარული სამკურნალოები, ვეტერინარული უბნები და პუნქტები უშუალოდ ემორჩილებიან კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოებს, ხოლო რაიონული ვეტერინარული ლაბორატორიები ხორც-რძისა და კვების საკონტროლო სადგურებით — საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქ-

ტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს ვეტერინარიის სამმართველოს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროებს და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამმართველოს შესაბამისად.

დაეკისროს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სამმართველოების ვეტერინარულ სამსახურს მათი საქმიანობის ზონაში კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, დამხმარე მეურნეობების და სხვა საწარმოებისა და ორგანიზაციების ცხოველთა, აგრეთვე მოქალაქეთა პირადი საკუთრების ცხოველთა ვეტერინარული მომსახურება.

კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოს მთავარი ვეტერინარი ექიმი ამავე დროს არის ცხოველთა დაავადების წინააღმდეგ ბრძოლის სადგურის უფროსი და უშუალოდ ემორჩილება საწარმოო სამმართველოს უფროსს.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს ვეტერინარიის სამმართველოს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროებს და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამმართველოს უშუალოდ ემორჩილებიან, გარდა რაიონული და სარაიონთაშორისო ვეტერინარული ლაბორატორიებისა ხორც-რძისა და კვების საკონტროლო სადგურებით, რესპუბლიკური და საოლქო ვეტერინარული ლაბორატორიები, ვეტერინარულ-სანიტარული სადგურები, ეპიზოოტიის საწინააღმდეგო რაზმები და ცხოველთა დაავადების წინააღმდეგ ბრძოლის ექსპედიციები.

8. რეორგანიზებულ იქნას:

ა) თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის ვეტერინარული სამსახური — საქალაქო ვეტერინარულ-სანიტარულ სადგურად ვეტსამკურნალოებით, ხორც-რძისა და კვების საკონტროლო სადგურებითა და სადეზინფექციო რაზმით;

ბ) რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქთა ვეტერინარულ-სანიტარული სადგურები, რომლებსაც არა აქვთ ცხოველთა დაავადების წინააღმდეგ ბრძოლის სადგურები, — საქალაქო ვეტერინარულ-სანიტარულ სადგურებად ხორც-რძისა და კვების საკონტროლო სადგურებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაწესდეს, რომ საქალაქო ვეტერინარულ-სანიტარული სადგურების უფროსები ამავე დროს არიან ქალაქთა მთავარი ვეტერინარი ექიმები.

9. დაევალოთ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს დააწესონ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროების და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამმართველოს ვეტერინარულ განყოფილებათა შტატები 5 ერთეულის ფარგლებში, აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახელმწიფო მმართველობის ორგანოების პერსონალის რაოდენობისა და ხელფასის თვიური ფონდის ხარჯზე.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტრომ შეათანხმოს ეს შტატები სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან.

10. იმასთან დაკავშირებით, რომ აჭარის ასსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს რესპუბლიკური ვეტბაქლაბორატორია ფართო მასშტაბით აწარმოებს საიმპორტო ტყავის გამოკვლევას ციმბირის წყლულზე, ნება დაერთოს მას გაადიდოს აღნიშნული ლაბორატორიის შტატი ორი ერთეულით (ერთი ვეტექიმი და ერთი ვეტსანიტარი), რომელთა შენახვის ხარჯები გაღებულ იქნას ტყავნედლეულის გამოკვლევისაგან შემოსული სახსრების ანგარიშში.

11. დაევალოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს განიხილოს და გადაწყვიტოს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიასთან შეთანხმებით და ტიპობრივი ვეტერინარული ნაგებობებისა და დამხმარე სადგომების იმ ნუსხის შესაბამისად, რომელიც დამტკიცებულია სსრ კავშირის სახმშენისა და სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ, საკითხი იმის შესახებ, რომ აშენდეს საჭირო სადგომები სახელმწიფო ვეტერინარული სამსახურის დაწესებულებებისათვის, აგრეთვე აშენდეს ვეტერინარული სამკურნალოები, ამბულატორიები, აფთიაქები, იზოლატორები საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში და გამოყოფილ იქნას ამისათვის საჭირო მასალები.

მუზ. 18
ეროვნული ბიბლიოთეკა

12. დაწესდეს, რომ სახელმწიფო ვეტერინარული სამსახურის დაწესებულებანი და საბჭოთა მეურნეობები უზრუნველყოფილ უნდა იქნან აპარატურით, ინსტრუმენტებით, მედიკამენტებით, ბიოპრეპარატებით, სადეზინფექციო და სადეზინსექციო საშუალებებით, მოწყობილობითა და მეცხოველობის ვეტერინარული მომსახურებისათვის საჭირო სხვა ქონებით სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ დაწესებული ნორმების თანახმად, აგრეთვე მათ უნდა ექნეთ დადგენილი წესით დამტკიცებული ტიპობრივი პროექტების მიხედვით აშენებული სპეციალური ვეტერინარული ნაგებობანი და დამხმარე სადგომები იმ ნუსხის მიხედვით, რომელიც დამტკიცებულია სსრ კავშირის სახმშენისა და სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ, და სატრანსპორტო საშუალებანი, № 15 დანართით გათვალისწინებული ნუსხის თანახმად.

13. საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭომ მიიღოს ზომები ხორცკომბინატების, სასაკლაოებისა და მეცხოველეობის ნედლეულის გადასამუშავებელ-შესანახი საწარმოების ვეტერინარულ-სანიტარული მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

14. იმ მიზნით, რომ გაძლიერდეს დაცვითი-საკარანტინო და ვეტერინარულ-სანიტარული ზომები განსაკუთრებით საშიში ეპიზოოტიების გავრცელების თავიდან ასაცილებლად, ნება დაერთოს საქართველოს სსრ, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროებს, აგრეთვე სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამმართველოს მოაწყოს საჭიროების დროს რესპუბლიკურ და საოლქო ვეტლაბორატორიებთან დროებითი სპეციალური ვეტერინარულ-საკარანტინო რაზმები და საგუშაგოები საკარანტინო წესების დაცვისადმი კონტროლის გასაწევად, ამასთან მათი შენახვის ხარჯები გაიღონ ეპიზოოტიების წინააღმდეგ საბრძოლველად გამოყოფილი სახსრებიდან.

15. სსრ კავშირის ვეტერინარული წესდების მოთხოვნების შესრულებისადმი სახელმწიფო ვეტერინარული კონტროლის გასაძლიერებლად მოეწყოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს ვეტერინარიის სამმართველოს შემადგენლობაში სახელმწიფო ვეტერინარული ინსპექცია და ამასთან დაკავშირებით გადიდდეს აღნიშნული სამმართველოს შტატი 8 ერთეულით სამინისტროს ცენტრალური აპარა-

ტისა და თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს ალმასკომის ვეტერინარული განყოფილების შტატებისა და ხელფასის თვიური ფონდების ფარგლებში (4 ერთეული). საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტრომ საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით დაამტკიცოს შტატები ვეტერინარიის სამმართველოსი სახელმწიფო ვეტერინარული ინსპექციით.

16. დაწესდეს, რომ:

— საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს ვეტერინარიის სამმართველოს უფროსი ამავე დროს არის საქართველოს სსრ მთავარი სახელმწიფო ვეტერინარული ინსპექტორი, ხოლო მისი მოადგილეები — საქართველოს სსრ მთავარი სახელმწიფო ვეტერინარული ინსპექტორის მოადგილეები;

— რესპუბლიკის მთავარი სახელმწიფო ვეტერინარული ინსპექტორის დანიშვნა და თანამდებობიდან განთავისუფლება წარმოებს სსრ კავშირის მთავარ სახელმწიფო ვეტერინარულ ინსპექტორთან შეთანხმებით;

— აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამმართველოს ვეტერინარულ განყოფილებათა უფროსები ამავე დროს არიან ავტონომიური რესპუბლიკების და ოლქის მთავარი სახელმწიფო ვეტერინარული ინსპექტორები;

ავტონომიური რესპუბლიკისა და ოლქის მთავარი სახელმწიფო ვეტერინარული ინსპექტორის დანიშვნა და თანამდებობიდან განთავისუფლება წარმოებს საქართველოს სსრ მთავარ სახელმწიფო ვეტერინარულ ინსპექტორთან შეთანხმებით;

— კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოს მთავარი ვეტერინარი ექიმი ამავე დროს არის რაიონის სახელმწიფო ვეტერინარული ინსპექტორი.

რესპუბლიკის, ავტონომიური რესპუბლიკის, ოლქის მთავარ სახელმწიფო ვეტერინარულ ინსპექტორს და რაიონის სახელმწიფო ვეტერინარულ ინსპექტორს უფლება ეძლევათ აძლიონ ვეტერინარიის საკითხებზე წინადადებანი, რომელთა შესრულება სავალდებულოა კოლმეურნეობებისა, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის, აგრეთვე ცალკეული მოქალაქეებისათვის;

ეროვნული

— კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების და სხვა საწარ-მოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელები მოვალენი არიან უზრუნველყონ ცხოველთა კარანტინის წესებისა და სხვა ვეტერი-ნარულ-სანიტარული წესების უცილობლივ შესრულება;

— ცხოველთა გადამდები სნეულების გაჩენისას კარანტინის გამოცხადება და მოხსნა წარმოებს სსრ კავშირის ვეტერინარული წესდებით გათვალისწინებული წესით: რაიონში — სახელმწიფო ვეტერინარული ინსპექტორის წარდგენით, აფხაზეთის ასს რესპუბ-ლიკაში, აჭარის ასს რესპუბლიკაში, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქსა და საქართველოს სს რესპუბლიკაში — შესაბამისი ვეტერი-ნარული ორგანოების წარდგენით.

17. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიამ და სოფ-ლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამი-ნისტრომ გაითვალისწინონ სახალხო მეურნეობის გეგმებით უმაღ-ლესი და საშუალო კვალიფიკაციის ვეტერინარ სპეციალისტთა მომ-ზადება კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სახელმ-წიფო ვეტერინარული ქსელის მოთხოვნილების შესაბამისად.

18. მიღებულ იქნას სახელმძღვანელოდ, რომ სსრ კავშირის მი-ნისტრთა საბჭომ:

ა) გაავრცელა ცხოველთა დაავადების წინააღმდეგ ბრძოლის სა-დგურების და საუბნო ვეტერინარული სამკურნალოების ვეტერი-ნარ ექიმებსა და ფერშლებზე (რომლებსაც დამთავრებული საშუა-ლო სპეციალური განათლება აქვთ) სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1944 წლის 9 იანვრის № 30 დადგენილების მე-5 მუხლის მოქმედე-ბა იმ ნაწილში, რომელიც შეეხება ბინის, გათბობისა და განათების უფასოდ მიცემას;

ბ) დაავწესა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 13 ივლისის № 622 დადგენილების ნაწილობრივ შესაცვლელად, რომ იმ ვეტერინარი ექიმების მატერიალური უზრუნველყოფა, რომლე-ბიც კვალიფიკაციას იმაღლებენ წარმოებისაგან მოწყვეტით დახე-ლოვნების ფაკულტეტებსა და სასოფლო-სამეურნეო ვეტერინარულ სასწავლებლებთან მოწყობილ კურსებზე, წარმოებს იმ პირობებში, რომლებიც გათვალისწინებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 18 აგვისტოს № 771 დადგენილების მე-6 მუხლით კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეუ-რნეობების ხელმძღვანელი კადრების კურსების მსმენელთათვის;

გ) ნება დართო დაფინანსებულ იქნას სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე;

№ 1
ეროვნული ბიბლიოთეკა

— პირუტყვისა და ფრინვლის ინფექციურ დაავადებათა წინააღ-მდეგ ბრძოლის ღონისძიებანი (პროფილაქტიკური და იძულებითი დამუშავება, აცრა, იძულებითი დეზინფექცია, საკარანტინო და სხვა ზომები ინფექციურ დაავადებათა კერების მოსასპობად);

— პირუტყვისა და ფრინვლის დიაგნოსტიკურ გამოკვლევათა ჩატარების ხარჯები;

— ცხოველთა პროფილაქტიკური და სამკურნალო დამუშავება ჰელმინთოზების, ჰემოსპორიდიოზებისა და სხვა პარაზიტულ დაავადებათა წინააღმდეგ, აგრეთვე პირუტყვისა და ფრინვლის გადამდებ სნეულებათა გადამტანი მავნე მწერების წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებანი;

— ეპიზოოტიების წინააღმდეგ ბრძოლისათვის გამოსაყენებელი ავტოტრანსპორტის შენახვა, ხელფასის გაცემის ხარჯები და ანაზღაურება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად იმ ვეტერინარ მუშაკთა და შოფერთა სამივლინებო ხარჯებისა, რომლებიც გამოყენებული არიან ეპიზოოტის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში;

— ხარჯები ვეტერინარული დახმარების აღმოჩენისა ცხოველთათვის გადაუდებელ შემთხვევებში, რაც მათ სიცოცხლეს ემუქრება, ქირურგიული ოპერაციებისა, სტაციონარული მკურნალობისა და ამბულატორული პროცედურებისათვის, რომლებსაც ასრულებენ სპეციალური სამკურნალო დაწესებულებები (გარდა კასტრაციისა და კოსმეტიკური ოპერაციებისა);

—ხარჯები ვეტერინარულ დაწესებულებათა შენობების მშენებლობისა და კაპიტალური რემონტისა, სატრანსპორტო საშუალებათა, მოწყობილობისა და სხვა ქონების შეძენისა ამ დაწესებულებებისათვის იმ შემთხვევაში, თუ საკმარისი არ აღმოჩნდა სახელმწიფო დაზღვევის გადასახდელთა ანარიცხების ანგარიშში გამოყოფილი სახსრები, აგრეთვე ხარჯები ვეტერინარული ნაგებობების აშენებისა საბჭოთა მეურნეობებში;

დ) დაავალა სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან შეთანხმებით, დაამტკიცოს საკავშირო, რესპუბლიკური და ადგილობრივი ბიუჯეტებით დასაფინანსებლად ვეტერინარულ ღონისძიებათა ნუსხა, მათ შორის იმ ღონისძიებათა ნუსხა, რომლებიც ხორციელდება იმ სახსრების ხარჯზე, რაც გამოიყოფა სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, მოკავშირე რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის პროდუქტების

ზუს/18
ეროვნული ბიბლიოთეკა

წარმოებისა და დამზადების სამინისტროების და ქალაქების ვეტერინარული სამსახურის დაწესებულებათა განკარგულებაში;

ე) დაავალა სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან შეთანხმებით სამი თვის ვადაში შეიმუშაოს და დაამტკიცოს ტიპობრივი დებულებანი მოკავშირე რესპუბლიკის, ავტონომიური რესპუბლიკის, ოლქის, მხარის მთავარი ვეტერინარული ინსპექტორის, რაიონის სახელმწიფო ვეტერინარული ინსპექტორის, სახალხო მეურნეობის საბჭოსთან არსებული ვეტერინარული ინსპექციის, აგრეთვე რაიონული ვეტერინარული ლაბორატორიის, პირუტყვის დაავადების წინააღმდეგ ბრძოლის სადგურის და უბნის ვეტერინარული სამკურნალოს შესახებ;

ვ) დაავალა სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს იმ მიზნით, რომ უზრუნველყოფილ იქნას მეცხოველეობის მოთხოვნილება პროფილაქტიკურ საშუალებებსა და სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა დაავადების წინააღმდეგ ბრძოლის საშუალებებზე, — ცენტრალიზებულად გაანაწილოს მოკავშირე რესპუბლიკებს შორის სადეზინფექციო საშუალებების, შხამქიმიკატებისა და სხვა სამკურნალო-პროფილაქტიკური პრეპარატების ფონდები, რომლებიც გამოიყოფა მეცხოველეობის საჭიროებისათვის, № 16 დანართის თანახმად;

ზ) დაავალა გზათა სამინისტროს უზრუნველყოს ბიოპრეპარატების გადაზიდვა ზაფხულის პერიოდში ყინულით მაცივარი ვაგონებით, ხოლო ზამთრის პერიოდში გათბობის მქონე ვაგონებით. დაუბრკოლებლივ გამოუყოს გამგზავნებს ზამთრის პერიოდში გამყოლები აღნიშნული ვაგონების გასათბობად.

19. შრომის მავნეპირობებიანი ორგანიზაციებისა და იმ მუშაკთა თანამდებობების დამატებითი სია, რომელთა თანამდებობრივი განაკვეთები 10 პროცენტით დიდდება, შეთანხმებულ იქნას სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხების სახელმწიფო კომიტეტთან და პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს სამდივნოსთან, № 17 დანართის თანახმად.

20. დაევალოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს შეათანხმოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხების სახელმწიფო კომიტეტთან და სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან საკითხი თანამდებობრივი განაკვეთების შესახებ: ცხო-

№ 1/
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ველთა დაავადების წინააღმდეგ ბრძოლის მეორე ადმინისტ რაიონის სადგურის უფროსისა, უბნის სამკურნალოს გამგისა; ხორც-რძისა და კვების საკონტროლო სადგურებიანი რაიონული ვეტლაბორატორიის დირექტორისა, ვეტსადგურის უფროსისა — ქ. თბილისის მთავარი ვეტექიმისა და სარაიონთაშორისო ვეტლაბორატორიის დირექტორისა.

21. საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ შეიტანოს ამ დადგენილებიდან გამომდინარე ცვლილებები საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს 1964 წლის ბიუჯეტსა და შემოსავალ-გასავლის ბალანსში.

22. დაწესდეს, რომ ცხოველთა დაავადების წინააღმდეგ ბრძოლის იმ სადგურების დაფინანსება, რომლებიც ადგილობრივ ბიუჯეტებზე იმყოფებიან, მათს გამგებლობაში არსებული უბნის ვეტერინარული სამკურნალოებით, დეზრაზმებით, ვეტერინარული უბნებითა და პუნქტებით წარმოებს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოების მეშვეობით, ხოლო ქ. თბილისის რესპუბლიკური ვეტერინარული ლაბორატორიის, სარაიონთაშორისო და რაიონული ვეტერინარული ლაბორატორიებისა, ხორც-რძისა და კვების საკონტროლო სადგურებით, ვეტერინარული ექსპედიციებისა და ქალაქის ვეტერინარული სადგურებისა — საქართველოს სსრ, ასსრ რესპუბლიკური ბიუჯეტებით და ავტონომიური ოლქის საოლქო ბიუჯეტით შესაბამისად.

23. იმის გამო, რომ რესპუბლიკაში არის სამომთაბარო მეცხოველეობა, მთელი რიგი რაიონები მდებარეობენ მთიან ადგილებში, ცალკეული რაიონები ინფექციურ დაავადებათა მხრივ იმყოფებიან არაკეთილსაიმედო მდგომარეობაში და ამასთან დაკავშირებით საჭიროა საქართველოს სსრ ვეტერინარული ქსელის გაფართოება, — ეთხოვოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გაადიდოს ხელფასის ფონდი, რაც საქართველოს სს რესპუბლიკას დაუწესდა 1964 წლისათვის, 238 ათასი მანეთით ვეტერინარული ქსელის მუშაკთა დამატებითი რაოდენობის (265 — ერთეული) უზრუნველსაყოფად და ასიგნობანი ბიუჯეტებიდან — 286 ათასი მანეთით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი**.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჟირაძაძე**.

ქ. თბილისი, 1964 წ. 8 თებერვალი, № 56.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1964 წლის 8 თებერვლის № 56
დადგენილების დანართი № 1

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სტრუქტურა და ქსელი
## საქართველოს სსრ ვეტერინარული დაწესებულებებისა

| | კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოების გამგებლობაში არსებული | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ცხოველთა დაავადებების წინააღმდეგ ბრძოლის სადგურები სადეზინფექციო რაზმით | მათ შორის | | ცხოველთა დაავადებების წინააღმდეგ ბრძოლის სადგურები დიაგნოსტიკური კაბინეტით და სადეზინფექციო რაზმით მეორე ადმინისტრაციული რაიონისა | მათ შორის | | საუბნო ვეტერინარული სამკურნალოები | ვეტერინარული უბნები | სასაზღვრო ვეტერინარული უბნები | საკონტროლო ვეტპუნქტები გზატკეცილებზე | მუდმივი და სეზონური მომთაბარე ვეტპუნქტები | ვეტერინარული პუნქტები |
| | | სადეზინფექციო რაზმები | დიაგნოსტიკური კაბინეტები | | დიაგნოსტიკური კაბინეტები | სადეზინფექციო რაზმები | | | | | | |
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 |
| აფხაზეთის ასსრ . . . . | 4 | 4 | — | — | — | — | 1 | 25 | — | 1 | 1 | 1 |
| აჭარის ასსრ . . . . | 3 | 3 | — | — | — | — | 2 | 14 | 5 | 1 | 1 | — |
| სამხრეთ ოსეთის ავტ. ოლქი . . . . . . . . | 2 | 2 | — | 1 | 1 | 1 | 1 | 17 | — | — | 1 | — |
| სულ ასს რესპუბლიკებსა და ავტ. ოლქში . . . | 9 | 9 | — | 1 | 1 | 1 | 4 | 56 | 5 | 2 | 3 | 1 |
| ქალაქები | | | | | | | | | | | | |
| თბილისი . . . . . . . | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| 1 | საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს ვეტერინარიის სამმართველოს გამგებლობაში არსებული | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | რესპუბლიკური და საქალაქო ვეტერინარული ლაბორატორიები | მათ შორის: ხორც-რძისა და კვების საკონტროლო სადგურები | მათ შორის: სადეზინფექციო რაზმები | რაიონული და ვეტერინარული ლაბორატორიები ხორც-რძისა და კვების საკონტროლო სადგურებით | მათ შორის ხორც-რძისა და კვების საკონტროლო სადგურები | საქალაქო ვეტერინარულ-სანიტარული სადგურები | მათ შორის: ხორც-რძისა და კვების საკონტროლო სადგურები | მათ შორის: სადეზინფექციო რაზმები |
| 1 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 | 21 |
| აფხაზეთის ასსრ | 1 | — | — | 3 | 7 | 2 | 3 | 1 |
| აჭარის ასსრ | 1 | — | — | 1 | 1 | 1 | 2* | 1 |
| სამხრეთ ოსეთის ავტ. ოლქი | 1 | — | — | 1 | 1 | 1 | 2 | 1 |
| სულ ასს რესპუბლიკებსა და ავტ. ოლქში | 3 | — | — | 5 | 9 | 4 | 7 | 3 |
| ქალაქები | | | | | | | | |
| თბილისი | 1 | 2 | 2 | — | — | 1 | 8 | 1 |

ცხრ. 18

| 1 | კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოების გამგებლობაში არსებული | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ცხოველთა დაავადების წინააღმდეგ მებრძოლი სადეზინფექციო რაზმები | მათ შორის | | ცხოველთა დაავადების წინააღმდეგ მებრძოლი დეზინსექციური კაბინეტები და სადეზინფექციო რაზმები მეორე ადმინისტრაციული რაიონის | მათ შორის | | საუბნო ვეტერინარული სამკურნალოები | ვეტერინარული პუნქტები | სასაზღვრო ვეტერინარული პუნქტები | ბაქტერიოლოგიური ვეტპუნქტები ბრუცელოზზე | მუდმივი და სეზონური მომთაბარე ვეტპუნქტები | ვეტერინარული პუნქტები |
| | | სადეზინფექციო რაზმები | დეზინსექციური კაბინეტები | | დეზინსექციური კაბინეტები | სადეზინფექციო რაზმები | | | | | | |
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 |
| ქუთაისი | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — |
| ფოთი | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — |
| რუსთავი | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — |
| ჭიათურა | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — |
| გორი | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — |
| ბორჯომი | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — |
| წყალტუბო | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — |
| სულ ქალაქებში: | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — |
| **რაიონები** | | | | | | | | | | | | |
| ამბროლაურის | 1 | 1 | — | — | — | — | 1 | 11 | — | 1 | — | — |
| ახალქალაქის | 1 | 1 | — | — | — | — | 1 | 15 | 2 | 2 | 1 | — |
| ახალციხის | 1 | 1 | — | — | — | — | 2 | 11 | 4 | 1 | 1 | — |
| ახმეტის | — | — | — | 1 | 1 | 1 | — | 6 | — | — | 1 | — |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| 1 | საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს ვეტერინარიის სამმართველოს გამგებლობაში არსებული | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | რესპუბლიკური და საქალაქო ვეტერინარული ლაბორატორიები | მათ შორის | | რაიონული და ვეტერინარული ლაბორატორიები ხორც-რძისა და კვების საკონტროლო სადგურებით | მათ შორის ხორც-რძისა და კვების საკონტროლო სადგურები | საქალაქო ვეტერინარულ-სანიტარიული სადგურები | მათ შორის | |
| | | ხორც-რძისა და კვების საკონტროლო სადგურები | სადეზინფექციო რაზმები | | | | ხორც-რძისა და კვების საკონტროლო სადგურები | სადეზინფექციო რაზმები |
| 1 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 | 21 |
| ქუთაისი | — | — | — | — | — | 1 | 4 | — |
| ფოთი | — | — | — | — | — | 2 | 1 | — |
| რუსთავი | — | — | — | — | — | 1 | 1 | — |
| ჭიათურა | — | — | — | — | — | 1 | 1 | — |
| გორი | — | — | — | — | — | 1 | 1 | — |
| ბორჯომი | — | — | — | — | — | 1 | 2 | — |
| წყალტუბო | — | — | — | — | — | 1 | 1 | — |
| სულ ქალაქებში: | 1 | 2 | 2 | — | — | 8 | 19 | 1 |
| რაიონები | | | | | | | | |
| ამბროლაურის | — | — | — | 1 | 2 | — | — | — |
| ახალქალაქის | — | — | — | 2 | 2 | — | — | — |
| ახალციხის | — | — | — | 1 | 1 | — | — | — |
| ახმეტის | — | — | — | — | — | — | — | — |

| 1 | კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოების გამგებლობაში არსებული | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ცხოველთა დაავადების წინააღმდეგ მებრძოლი სადგურები სადეზინფექციო რაზმით | მათ შორის: სადეზინფექციო რაზმები | მათ შორის: დიაგნოსტიკური კაბინეტები | ცხოველთა დაავადების წინააღმდეგ მებრძოლი სადგურები დიაგნოსტიკური კაბინეტებით და სადეზინფექციო რაზმით მეტი ადმინისტრაციული რაიონისა | მათ შორის: დიაგნოსტიკური კაბინეტები | მათ შორის: სადეზინფექციო რაზმები | საუბნო ვეტერინარული სამკურნალოები | ვეტერინარული უბნები | სასაზღვრო ვეტერინარული უბნები | საკონტროლო ვეტპუნქტები ბაზრებთან | მუდმივი და სეზონური მომთაბარე ვეტპუნქტები | ვეტერინარული პუნქტები |
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 |
| ბოლნისის | 1 | 1 | — | — | — | — | 2 | 15 | — | 1 | 1 | — |
| გარდაბნის | 1 | 1 | — | — | — | — | — | 7 | — | — | 1 | — |
| გეგეჭკორის | 1 | 1 | — | — | — | — | 1 | 7 | — | — | — | 1 |
| გორის | 1 | 1 | — | — | — | — | 1 | 12 | — | — | — | — |
| გურჯაანის | 1 | 1 | — | — | — | — | — | 7 | — | — | — | — |
| დუშეთის | 1 | 1 | — | — | — | — | — | 12 | — | — | 2 | — |
| ზესტაფონის | 1 | 1 | — | — | — | — | 1 | 10 | — | — | — | — |
| ზუგდიდის | 1 | 1 | — | — | — | — | 1 | 8 | — | — | 1 | — |
| ყაზბეგის | — | — | — | 1 | 1 | 1 | — | 5 | — | 1 | 1 | — |
| ყვარლის | 1 | 1 | — | — | — | — | 1 | 9 | — | 1 | 1 | — |
| ლანჩხუთის | 1 | 1 | 1 | — | — | — | — | 4 | — | — | 1 | — |
| ლენტეხის | — | — | — | 1 | — | 1 | — | 5 | — | — | — | — |
| მახარაძის | 1 | 1 | — | — | — | — | — | 3 | — | — | — | 1 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| 1 | საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს ვეტერინარიის სამმართველოს გამგებლობაში არსებული: რესპუბლიკური და საქალაქო ვეტერინარული ლაბორატორიები | მათ შორის: ხორც-რძისა და კვების საკონტროლო სადგურები | მათ შორის: სადეზინფექციო რაზმები | რაიონული და ვეტერინარული ლაბორატორიები ხორც-რძისა და კვების საკონტროლო სადგურებით | მათ შორის ხორც-რძისა და კვების საკონტროლო სადგურები | საქალაქო ვეტერინარულ-სანიტარული სადგურები | მათ შორის: ხორც-რძისა და კვების საკონტროლო სადგურები | მათ შორის: სადეზინფექციო რაზმები |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 | 21 |
| ბოლნისის | — | — | — | 2 | 3 | — | — | — |
| გარდაბნის | — | — | — | — | — | — | — | — |
| გეგეჭკორის | — | — | — | 1 | 2 | — | — | — |
| გორის | — | — | — | 1 | — | — | — | — |
| გურჯაანის | — | — | — | 1 | 1 | — | — | — |
| დუშეთის | — | — | — | 1 | 3 | — | — | — |
| ზესტაფონის | — | — | — | 1 | 2 | — | — | — |
| ზუგდიდის | — | — | — | 2 | 1 | — | — | — |
| ყაზბეგის | — | — | — | — | — | — | — | — |
| ყვარლის | — | — | — | 1 | 1 | — | — | — |
| ლანჩხუთის | — | — | — | — | — | — | — | — |
| ლენტეხის | — | — | — | — | — | — | — | — |
| მახარაძის | — | — | — | 1 | 3 | — | — | — |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოების გამგებლობაში არსებული | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ცხოველთა დაავადების წინააღმდეგ მებრძოლი სადგურები სადეზინფექციო რაზმით | მათ შორის სადეზინფექციო რაზმები | მათ შორის დიაგნოსტიკური კაბინეტები | ცხოველთა დაავადების წინააღმდეგ მებრძოლი სადგურები დიაგნოსტიკური კაბინეტით და სადეზინფექციო რაზმით მეორე ადმინისტრაციული რაიონისა | მათ შორის დიაგნოსტიკური კაბინეტები | მათ შორის სადეზინფექციო რაზმები | საუბნო ვეტერინარული სამკურნალოები | ვეტერინარული უბნები | სასაზღვრო ვეტერინარული უბნები | საკონტროლო ვეტპუნქტები გზატკეცილებზე | მუდმივი და სეზონური მომთაბარე ვეტუბნები | ვეტერინარული პუნქტები |
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 |
| მაიაკოვსკის | 1 | 1 | — | — | — | — | 1 | 5 | — | | 1 | 1 |
| მესტიის | — | — | — | 1 | — | 1 | — | 3 | — | — | — | — |
| მცხეთის | 1 | 1 | — | — | — | — | 1 | 8 | — | — | — | 1 |
| ორჯონიკიძის | — | — | — | 1 | — | 1 | — | 4 | — | — | — | — |
| სამტრედიის | 1 | 1 | — | — | — | — | 1 | 7 | — | — | — | — |
| საგარეჯოს | 1 | 1 | — | — | — | — | — | 7 | — | — | 1 | 1 |
| საჩხერის | 1 | 1 | — | — | — | — | 1 | 6 | — | — | — | 1 |
| სიღნაღის | 1 | 1 | — | — | — | — | 1 | 15 | — | 1 | 2 | — |
| თელავის | 1 | 1 | — | — | — | — | — | 4 | — | — | 1 | — |
| თეთრიწყაროს | 1 | 1 | — | — | — | — | 1 | 14 | — | — | — | — |
| თიანეთის | — | — | — | 1 | 1 | 1 | — | 5 | — | — | 1 | — |
| ხაშურის | 1 | 1 | — | — | — | — | 1 | 9 | — | — | — | 1 |
| ცაგერის | 1 | 1 | — | — | — | — | — | 4 | — | — | — | — |

| | საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს ვეტერინარიის სამმართველოს გამგებლობაში არსებული | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | რესპუბლიკური და საქალაქო ვეტერინარული ლაბორატორიები | მათ შორის: ხორც-რძისა და კვების საკონტროლო სადგურები | მათ შორის: სადეზინფექციო რაზმები | რაიონული და ვეტერინარული ლაბორატორიები ხორც-რძისა და კვების საკონტროლო სადგურებით | მათ შორის ხორც-რძისა და კვების საკონტროლო სადგურები | საქალაქო ვეტერინარულ-სანიტარული სადგურები | მათ შორის: ხორც-რძისა და კვების საკონტროლო სადგურები | მათ შორის: სადეზინფექციო რაზმები |
| 1 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 | 21 |
| მაიაკოვსკის | — | — | — | 1 | 2 | — | — | — |
| მესტიის | — | — | — | — | — | — | — | — |
| მცხეთის | — | — | — | 1 | 2 | — | — | — |
| ორჯონიკიძის | — | — | — | — | — | — | — | — |
| სამტრედიის | — | — | — | 1 | 2 | — | — | — |
| საგარეჯოს | — | — | — | 1 | 2 | — | — | — |
| საჩხერის | — | — | — | 1 | 1 | — | — | — |
| სიღნაღის | — | — | — | 2 | 3 | — | — | — |
| თელავის | — | — | — | 1 | 2 | — | — | — |
| თეთრიწყაროს | — | — | — | 2 | 3 | — | — | — |
| თიანეთის | — | — | — | — | — | — | — | — |
| ხაშურის | — | — | — | 1 | 1 | — | — | — |
| ცაგერის | — | — | — | 1 | — | — | — | — |

| 1 | კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოების გამგებლობაში არსებული | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ცხოველთა დაავადების წინააღმდეგ მებრძოლი სადგურები სადეზინფექციო რაზმით | მათ შორის | | ცხოველთა დაავადების წინააღმდეგ მებრძოლი სადგურები ლაბორატორიული კაბინეტებით და სადეზინფექციო რაზმით მეტად ლაბორატორიულ-ცალკე რაიონის | მათ შორის | | საუბნო ვეტერინარული სამკურნალოები | ვეტერინარული პუნქტები | სასაზღვრო ვეტერინარული პუნქტები | საკონტროლო ვეტპუნქტები გზატკეცილებზე | მეწველი და სხვადასხვა მომთაბარე ვეტპუნქტები | ვეტერინარული პუნქტები |
| | | სადეზინფექციო რაზმები | ლაბორატორიული კაბინეტები | | ლაბორატორიული კაბინეტები | სადეზინფექციო რაზმები | | | | | | |
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 |
| წალენჯიხის . . . . | — | — | — | 1 | — | 1 | — | 3 | — | — | — | — |
| ცხაკაიის . . . . . | 1 | 1 | — | — | — | — | 1 | 5 | — | — | — | 1 |
| წყალტუბოს . . . . | 1 | 1 | — | — | — | — | 1 | 9 | — | — | — | 1 |
| ჩოხატაურის . . . . | — | — | — | 1 | — | 1 | — | 3 | — | — | — | 1 |
| სულ რაიონებში: . . . | 26 | 26 | 1 | 8 | 3 | 8 | 20 | 258 | 6 | 8 | 17 | 10 |
| ყიზლარის საზამთრო საძოვრები კორუბეი . . | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — |
| მთლიად: . . . | 35 | 35 | 1 | 9 | 4 | 9 | 24 | 314 | 11 | 10 | 20 | 11 |

| 1 | საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს ვეტერინარიის სამმართველოს გამგებლობაში არსებული | მათ შორის | | | | | მათ შორის | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | რესპუბლიკური და საქალაქო ვეტერინარული ლაბორატორიები | ხორც-რძისა და კვების საკონტროლო სადგურები | სადეზინფექციო რაზმები | რაიონული და ვეტერინარული ლაბორატორიები ხორც-რძისა და კვების საკონტროლო სადგურებით | მათ შორის ხორც-რძისა და კვების საკონტროლო სადგურები | საქალაქო ვეტერინარულ-სანიტარული სადგურები | ხორც-რძისა და კვების საკონტროლო სადგურები | სადეზინფექციო რაზმები |
| 1 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 | 21 |
| წალენჯიხის . . . . | — | — | — | — | — | — | — | — |
| ცხაკაიას . . . . . | — | — | — | 1 | 1 | — | — | — |
| წყალტუბოს . . . . | — | — | — | 1 | 1 | — | — | — |
| ჩოხატაურის . . . . | — | — | — | — | — | — | — | — |
| სულ რაიონებში: . . . | — | — | — | 29 | 41 | — | — | — |
| ყიზლარის საზამთრო საძოვრები კოჩუბეი . . | — | — | — | 1 | — | — | — | — |
| მთლად: . . . | 4 | 2 | 2 | 35 | 50 | 12 | 26 | 4 |

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

შუხ. 18

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1964 წლის 8 თებერვლის № 56
დადგენილების დანართი № 2

# ტიპობრივი შტატები

## კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოების ცხოველთა დაავადების წინააღმდეგ მებრძოლი სადგურებისა

| თანამდებობანი | სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა მთელი სულადობა ყველა კატეგორიის მეურნეობაში საწარმოო სამმართველოების ზონაში (ათას სულობ.) | | | |
|---|---|---|---|---|
| | 75-მდე | 75-დან 150-მდე | 151-დან 300-მდე | 300-ზე ზევით |
| სადგურის უფროსი . . | — | — | — | — |
| უფროსის მოადგილე — სადგურის მთავარი ვეტერინარი ექიმი . . . . | 1 | 1 | 1 | 1 |
| უფროსი ვეტერინარი ექიმი-თერაპევტი . . . . | — | 1 | 1 | 1 |
| აფთიაქის გამგე (უფროსი ვეტფერშალი) . . . . | 1 | 1 | 1 | 1 |
| ვეტერინარი ფერშალი . | — | — | 1 | 1 |
| ვეტერინარი სანიტარი . | 1 | 2 | 2 | 2 |
| **ეპიზოოტიის საწინააღმდეგო რაზმი** | | | | |
| ეპიზოოტიის საწინააღმდეგო რაზმის უფროსი (უფროსი ვეტექიმი-ეპიზოოტოლოგი . . . . | 1 | 1 | 1 | 1 |
| ვეტერინარი ექიმი (პარაზიტოლოგი) . . . . . | — | — | — | 1 |
| ვეტერინარი ფერშალი . | — | 1 | 1 | 1 |
| **სადეზინფექციო რაზმი** | | | | |
| რაზმის უფროსი—ვეტექიმი | 1 | 1 | 1 | 1 |
| ვეტერინარი ფერშალი . | — | — | 1 | 1 |
| ვეტერინარი სანიტარი . | 1 | 1 | 1 | 1 |
| უფროსი ბუღალტერი . | 1 | 1 | 1 | 1 |
| მეურნეობის გამგე . . | — | — | — | — |
| დამლაგებელი — მეცეცხლური . . . . . . | 1 | 1 | 1 | 1 |
| სპეცმანქანის შოფერი . | 2 | 3 | 3 | 3 |
| სულ . . . | 10 | 14 | 16 | 17 |
| მათ შორის: | | | | |
| ვეტერინარი ექიმი . . | 3 | 4 | 4 | 5 |
| ვეტერინარი ფერშალი . | 1 | 2 | 4 | 4 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნები:

1. ცხოველთა დაავადების წინააღმდეგ მებრძოლი სადგურის უფროსი იმავდროულად არის საწარმოო სამმართველოს მთავარი ვეტერინარი ექიმი და რაიონის სახელმწიფო ვეტერინარი ინსპექტორი.

2. ცხოველთა დაავადების წინააღმდეგ მებრძოლი სადგურის კატეგორიებზე მიკუთვნების დროს მხედველობაში მიიღება სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა სულადობის რაოდენობა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში წინა წლის 1 ივლისისათვის, ხოლო ინდივიდუალურ სექტორში — 1 იანვრისათვის.

3. როდესაც საწარმოო სამმართველოს მოქმედების ზონაში არის 500 ათას სულზე მეტი ცხოველი, სადგურის შემადგენლობაში შეიტანება დამატებით მეორე სადეზინფექციო რაზმი.

4. ადგილობრივი პირობების მიხედვით (სამომთაბარო და მომთაბარე მეცხოველეობის არსებობა, პირუტყვის განლაგება მთიან ადგილებში, მნიშვნელოვანი არაკეთილსაიმედობა ინფექციურ დაავადებათა მხრივ და ა. შ.) თანამდებობათა ნომენკლატურასა და რაოდენობაში შეიძლება შეტანილ იქნას შესაბამისი ცვლილებანი.

5. ვეტერინარ ექიმებს, ვეტერინარ ფერშლებს, ვეტერინარ სანიტრებს, უფროს ბუღალტერს, მეჯინიბე-მეეტლეს, დამლაგებელ-მეცეცხლურს თანამდებობრივი განაკვეთები დაუწესდებათ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს 1959 წლის 19 სექტემბრის № 1120 დადგენილების შესაბამისად. შოფრებს განაკვეთები დაუწესდებათ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 11 აგვისტოს № 896 დადგენილების შესაბამისად.

6. უკეთუ სადგურს ჰყავს ცხენები, დაწესდება მეჯინიბე-მეეტლის თანამდებობა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1964 წლის 8 თებერვლის № 56
დადგენილების დანართი № 3

## ტიპობრივი შტატი

### ცხოველთა დაავადების წინააღმდეგ მებრძოლი სადგურისა (მეორე ადმინისტრაციული რაიონისა), რომელიც საწარმოო სამმართველოს ზონაში შედის

| თანამდებობანი | რაოდენობა |
|---|---|
| სადგურის უფროსი — რაიონის მთავარი ვეტერინარი ექიმი | 1 |
| უფროსი ვეტერინარი ექიმი-ეპიზოოტოლოგი | 1 |
| ვეტერინარი ფერშალი | 2 |
| ვეტერინარი სანიტარი | 1 |
| ბუღალტერი | 1 |
| დამლაგებელი-მეცეცხლური | 1 |
| სპეციალური ავტომანქანის შოფერი | 1 |
| **სადეზინფექციო რაზმი** | |
| სადეზინფექციო რაზმის უფროსი — ვეტექიმი | 1 |
| ვეტსანიტარი | 1 |
| შოფერი | 1 |
| სულ | 11 |

**შენიშვნები:**

1. უკეთუ სადგურს ჰყავს ცხენები, დაწესდება მეჯინიბე-მეეტლის თანამდებობა.

2. ვეტერინარ ექიმებს, ვეტერინარ ფერშლებს, ვეტერინარ სანიტრებს, ლაბორანტებს, ბუღალტრებს, მეჯინიბე-მეეტლეს, დამლაგებელ-მეცეცხლურს, თანამდებობრივი განაკვეთები დაუწესდებათ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს 1959 წლის 19 სექტემბრის № 1120 დადგენილების შესაბამისად.

შოფერს განაკვეთი დაუწესდება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 11 აგვისტოს № 896 დადგენილების შესაბამისად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

№ 1
ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1964 წლის 8 თებერვლის № 56
დადგენილების დანართი № 4

# ტიპობრივი შტატი

## საუბნო ვეტერინარული სამკურნალოსი

| თანამდებობანი | ერთეულების რაოდენობა |
| --- | --- |
| სამკურნალოს გამგე — მთავარი ვეტერინარი ექიმი . . . . | 1 |
| ვეტერინარი ექიმი-ეპიზოოტოლოგი . . . . . . . . . | 1 |
| ვეტერინარი ფერშალი . . . . . . . . . . | 2 |
| ვეტერინარი სანიტარი . . . . . . . . . . | 1 |
| დამლაგებელი-მეცეცხლური . . . . . . . . . | 1 |
| სპეციალური ავტომანქანის მძღოლი . . . . . . . . | 1 |
| ს უ ლ . . . . . | 7 |

შენიშვნები:

1. თანამდებობრივი განაკვეთები ვეტერინარ ექიმებს, ფერშალს, ვეტერინარ სანიტრებს, დამლაგებელ-მეცეცხლურს, მეჯინიბე-მეეტლეს დაუწესდებათ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს 1959 წლის 19 სექტემბრის № 1120 დადგენილების შესაბამისად.

შოფრებს განაკვეთები დაუწესდებათ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 11 აგვისტოს № 896 დადგენილების შესაბამისად.

2.. უკეთუ სამკურნალოს მოეპოვება სპეციალური ავტომანქანა „დუკ"-ის მარკისა, მის შტატში დამატებით შეიტანება მეორე შოფრის თანამდებობა, ხოლო თუ მას ცხენები ჰყავს — მეჯინიბე-მეეტლის თანამდებობა.

3. ადგილობრივი პირობების მიხედვით (მომთაბარე და სამომთაბარო მეცხოველეობის არსებობა, პირუტყვის გაძლაგება მთიან ადგილებში, მნიშვნელოვანი არაკეთილსაიმედობა ინფექციურ დაავადებათა მხრივ და ა. შ.) თანამდებობათა ნომენკლატურასა და რაოდენობაში შეიძლება შეტანილ იქნას შესაბამისი ცვლილებანი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჟირაქაძე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1964 წლის 8 თებერვლის № 56
დადგენილების დანართი № 5

# ტიპობრივი შტატი

## ვეტერინარული უბნისა

| თანამდებობანი | ერთეულების რაოდენობა |
|---|---|
| უბნის გამგე-ვეტექიმი . . . . . . . . . . . | 1 |
| ვეტერინარი ფერშალი . . . . . . . . . . . | 1 |
| ვეტერინარი სანიტარი . . . . . . . . . . . | 1 |
| სულ . . . . . | 3 |

შენიშვნები:

1. ვეტერინარული უბნის ანალოგიური შტატების მიხედვით მოეწყობა მომთაბარე, სამომთაბარო, პირუტყვგასარეკი, საგზატკეცილო-სატრანსპორტო, სასაზღვრო, სეზონურ-სამომთაბარო და სხვა ვეტერინარული უბნები ადგილობრივი მნიშვნელობისა. მუდმივი სამომთაბარო ვეტერინარული უბნების შტატში დამატებით შეიტანება ვეტერინარი ფერშლის მეორე თანამდებობა.

2. უკეთუ ვეტუბანს ცხენები ჰყავს, მის შტატში შეიტანება მეჯინიბე-მეეტლის თანამდებობა,. ხოლო სამომთაბარო მეცხოველეობის ზონებში, — უკეთუ მუდმივმომთაბარე უბნებში მოიპოვება რეგისტრირებული ავტომანქანა — შოფრის თანამდებობა.

3. როდესაც სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა სულადობა 10-15 ათას სულს აღემატება (ფრინველის ჩაუთვლელად) ზონის ყველა კატეგორიის მეურნეობაში უბნის შტატში დამატებით შეიტანება ვეტერინარი ფერშლის თანამდებობა.

4. ვეტერინარ ექიმს, ვეტერინარ ფერშლებს, ვეტერინარ სანიტარს, მეჯინიბე-მეეტლეს თანამდებობრივი განაკვეთები დაუწესდებათ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს 1959 წლის 19 სექტემბრის № 1120 დადგენილების შესაბამისად.

შოფრებს განაკვეთები დაუწესდებათ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 11 აგვისტოს № 896 დადგენილების შესაბამისად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი ა. ჟირაქაძე.

№ 1 ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1964 წლის 8 თებერვლის № 56
დადგენილების დანართი № 6

# ტიპობრივი შტატი

## ვეტერინარული პუნქტისა

| თანამდებობანი | ერთეულების რაოდენობა |
|---|---|
| პუნქტის გამგე — ვეტერინარი ფერშალი . . . . . . . | 1 |
| ვეტერინარი სანიტარი . . . . . . . . . . | 1 |
| სულ . . . . . . | 2 |

შენიშვნები:

1. ვეტფერშალს და ვეტსანიტარს თანამდებობრივი განაკვეთები დაუწესდებათ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს 1959 წლის 19 სექტემბრის № 1120 დადგენილების შესაბამისად.

2. ვეტერინარული პუნქტის ანალოგიური შტატების მიხედვით მოეწყობა მომთაბარე, სამომთაბარო, პირუტყვგასარეკი, საგზატკეცილო-სატრანსპორტო, სასაზღვრო და სხვა ვეტერინარული პუნქტები ადგილობრივი მნიშვნელობისა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჟორჟაძე.**

მუზ. 18
ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1964 წლის 8 თებერვლის № 56
დადგენილების დანართი № 7

## საშტატო განრიგი

### საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების და დამზადების სამინისტროს რესპუბლიკური ვეტერინარული ლაბორატორიისა

| თანამდებობანი | ერთეულების რაოდენობა |
|---|---|
| დირექტორი | 1 |
| უფროსი ბუღალტერი | 1 |
| ბუღალტერი | 1 |
| მეურნეობის გამგე-ინკასატორი | 1 |
| მდივანი-მემანქანე | 1 |
| ღამის დარაჯი | 2 |
| | |
| ტელეფონისტი | 1 |
| ბაქტერიოლოგიური განყოფილების გამგე-ვეტექიმი | 1 |
| ვეტექიმი | 3 |
| ლაბორანტი | 2 |
| სეროლოგიური განყოფილების გამგე-ვეტექიმი | 1 |
| ვეტექიმი | 1 |
| | |
| ლაბორანტი | 2 |
| ვირუსოლოგიური განყოფილების გამგე-ვეტექიმი | 1 |
| ვეტექიმი | 4 |
| ლაბორანტი | 2 |
| რადიოლოგიისა და ვეტსანიტარული ექსპერტიზის განყოფილების გამგე-ვეტექიმი | 1 |
| ვეტექიმი | 2 |
| | |
| ლაბორანტი | 2 |
| უფროსი ლაბორანტი-ქიმიკოსი | 1 |
| ინჟინერ-ფიზიკოსი | 1 |
| ბიოქიმიის, ტოქსიკოლოგიისა და მიკოლოგიის განყოფილების გამგე-ვეტექიმი | 1 |
| ვეტექიმი | 2 |
| ლაბორანტი | 2 |
| | |
| პარაზიტოლოგიის, ჰელმინტოლოგიისა და იხთიოლოგიის განყოფილების გამგე-ვეტექიმი | 1 |
| ვეტექიმი | 1 |
| ლაბორანტი | 1 |
| სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა სიბერწის წინააღმდეგ ბრძოლის განყოფილების გამგე-ვეტექიმი | 1 |
| ვეტექიმი | 1 |
| მასაზრდოებელ საშუალებათა დამზადების განყოფილების გამგე | 1 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| თანამდებობანი | ერთეულების რაოდენობა |
|---|---|
| ლაბორანტი | 1 |
| სანიტარი | 12 |
| ელექტრომონტიორი | 1 |
| ცეცხლფარეში | 1 |
| მეეზოვე | 1 |
| სპეცმანქანის შოფერი | 2 |
| სატვირთო ავტომანქანის შოფერი | 1 |
| მუშა-მეცეცხლური (4 თვით) | 1 |
| **ხორც-რძისა და კვების საკონტროლო სადგურები** | |
| ვეტექიმი | 2 |
| ვეტსანიტარი | 2 |
| **სადეზინფექციო რაზმები** | |
| ვეტექიმი | 2 |
| ვეტსანიტარი | 2 |
| შოფერი | 2 |
| სულ | 73 |

**შენიშვნა:**

ვეტერინარ ექიმებს, ვეტერინარ ფერშლებს, ლაბორანტებს, ვეტსანიტრებს, მეურნეობის გამგეს, დარაჯს, მდივანს, ტელეფონისტს, ინჟინერს, მეეზოვეს თანამდებობრივი განაკვეთები დაუწესდებათ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს 1959 წლის 19 სექტემბრის № 1120 დადგენილების შესაბამისად.

შოფრებს განაკვეთი დაუწესდებათ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 11 აგვისტოს № 896 დადგენილების შესაბამისად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი ა. ჟირაქაძე.

მუზ. 18
ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1964 წლის 8 თებერვლის № 56
დადგენილების დანართი № 8

## საშტატო განრიგი

### აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ ვეტერინარული ლაბორატორიებისა

| თანამდებობანი | ერთეულების რაოდენობა აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში | ერთეულების რაოდენობა აჭარის ასს რესპუბლიკაში |
|---|---|---|
| ლაბორატორიის დირექტორი | 1 | 1 |
| სეროლოგიური განყოფილების გამგე-ვეტექიმი | 1 | 1 |
| ბიოქიმიისა და ტოქსიკოლოგიის განყოფილების გამგე-ვეტექიმი | 1 | 1 |
| ვეტექიმი-ეპიზოოტოლოგი | 1 | — |
| ლაბორანტი | 3 | 3 |
| ვეტსანიტარი | 3 | 3 |
| ბუღალტერი | 1 | 1 |
| პარაზიტოლოგიის განყოფილების გამგე-ვეტექიმი | 1 | — |
| ლაბორანტი | 1 | — |
| ვეტსანიტარი | 1 | — |
| რადიოლოგიური განყოფილების გამგე-ვეტექიმი | 1 | 1 |
| ინჟინერ-ფიზიკოსი | 1 | 1 |
| ლაბორანტი | 1 | 1 |
| ვეტსანიტარი | 1 | 1 |
| სპეციალური მანქანის შოფერი | 1 | 1 |
| სულ | 19 | 15 |

შენიშვნები:

1. ვეტექიმებს, ინჟინერს, ლაბორანტებს, ვეტსანიტრებს, ბუღალტერს თანამდებობრივი განაკვეთები დაუწესდებათ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს 1959 წლის 19 სექტემბრის № 1120 დადგენილების შესაბამისად.

2. შოფრებს განაკვეთები დაუწესდებათ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 11 აგვისტოს № 896 დადგენილების შესაბამისად.

3. უკეთუ დამატებით მოიპოვება ექსპლუატაციაში ავტოინსპექციის მიერ რეგისტრირებული სპეცავტომანქანები, ლაბორატორიის შტატში დამატებით შეიტანება შოფრების თანამდებობა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჟირაქაძე.**

№ 1
ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1964 წლის 8 თებერვლის № 56
დადგენილების დანართი № 9

# საშტატო განრიგი

## სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ვეტერინარული ლაბორატორიისა

| თანამდებობანი | შტატების რაოდენობა |
|---|---|
| ლაბორატორიის დირექტორი | 1 |
| სეროლოგიური განყოფილების გამგე-ვეტექიმი | 1 |
| ბიოქიმიისა და ტოქსიკოლოგიის განყოფილების გამგე-ვეტექიმი | 1 |
| ლაბორანტი | 3 |
| ვეტსანიტარი | 3 |
| ბუღალტერი | 1 |
| სპეციალური მანქანის შოფერი | 1 |
| რადიოლოგიური განყოფილების გამგე-ვეტექიმი | 1 |
| ინჟინერ-ფიზიკოსი | 1 |
| ლაბორანტი | 1 |
| ვეტსანიტარი | 1 |
| სულ | 15 |

შენიშვნები:

1. ვეტექიმებს, ინჟინერს, ლაბორანტებს, ვეტსანიტრებს, ბუღალტერს თანამდებობრივი განაკვეთები დაუწესდებათ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს 1959 წლის 19 სექტემბრის № 1120 დადგენილების შესაბამისად.

2. შოფრებს განაკვეთები დაუწესდებათ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 11 აგვისტოს № 896 დადგენილების შესაბამისად.

3. უკეთუ დამატებით მოიპოვება ექსპლუატაციაში ავტოინსპექციის მიერ რეგისტრირებული სპეცავტომანქანები, ლაბორატორიის შტატში შეიტანება დამატებით შოფრების თანამდებობა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი ა. ჭირაქაძე.

მუხ. 18
ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1964 წლის 8 თებერვლის № 56
დადგენილების დანართი № 10

## ტიპობრივი შტატი

### რაიონული ვეტერინარული ლაბორატორიისა ხორც-რძისა და კვების საკონტროლო სადგურებით

| თანამდებობანი | ერთეულების რაოდენობაა რომელიც რაიონში სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა, რაოდენობა არის: 150 ათას სულამდე | 150 ათას სულზე მეტი |
|---|---|---|
| ლაბორატორიის დირექტორი — ვეტერინარი ექიმი-ბაქტერიოლოგი | 1 | 1 |
| უფროსი ვეტერინარი ექიმი-სეროლოგი | 1 | 1 |
| ვეტერინარი ექიმი-ტოქსიკოლოგი ბიოქიმიკოსი | — | 1 |
| ლაბორანტი | 2 | 3 |
| ვეტერინარი სანიტარი | 2 | 2 |
| ბუღალტერი | 0,5 | 0,5 |
| დამლაგებელი-მეცეცხლური | 1 | 1 |
| სპეცავტომანქანის შოფერი | 1 | 1 |
| **ხორც-რძისა და კვების საკონტროლო სადგური (სასოფლო ადმინისტრაციული რაიონისათვის)** | | |
| სადგურის გამგე-ვეტექიმი | 1 | 1 |
| ვეტერინარი სანიტარი | 1 | 1 |
| სულ | 10,5 | 12,5 |

**შენიშვნები:**

1. რაიონული ვეტერინარული ლაბორატორიის კატეგორიებზე მიკუთვნების დროს მხედველობაში მიიღება სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა სულადობის რაოდენობა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში წინა წლის 1 ივლისისათვის, ხოლო ინდივიდუალურ სექტორში — 1 იანვრისათვის.

2. ვეტერინარ ექიმებს, ლაბორანტებს, ვეტერინარ სანიტრებს, ბუღალტერს, დამლაგებელ-მეცეცხლურს, მეჯინიბეს თანამდებობრივი განაკვეთები დაუწესდებათ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს 1959 წლის 19 სექტემბრის № 1120 დადგენილების შესაბამისად. შოფრებს განაკვეთები დაუწესდებათ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 11 აგვისტოს № 896 დადგენილების შესაბამისად.

3. უკეთუ ექსპლუატაციაში მოიპოვება ორი რეგისტრირებული სპეციალური ავტომანქანა, ლაბორატორიის შტატში დამატებით შეიტანება შოფრის მეორე თანამდებობა, ხოლო თუ ლაბორატორიას ცხენები ჰყავს — მეჯინიბის თანამდებობა.

№ 1
ეროვნული ბიბლიოთეკა

4. უკეთუ ლაბორატორია ეწევა ტყავნედლეულის გამოკვლევას ციმბირის წყლულზე, ლაბორატორიის შტატში დამატებით შეიტანება სანიტრის თანამდებობა (თუ წელიწადში ხდება 25 ათასამდე სინჯის გამოკვლევა), ხოლო თუ წელიწადში ხდება 75 ათასამდე სინჯის გამოკვლევა, ამის გარდა, შეიტანება ლაბორანტის თანამდებობა, თუ ხდება 75 ათასზე მეტი სინჯის გამოკვლევა, დამატებით შეიტანება თანამდებობა ვეტერინარი ექიმისა ტყავნედლეულის გამოსაკვლევად.

5. უკეთუ სადგური საშუალოდ დღეში აწარმოებს 50-ზე მეტი სინჯის გამოკვლევას, შტატში დამატებით შეიტანება ლაბორანტის თანამდებობა.

6. ადგილობრივი პირობების მიხედვით (სამომთაბარო და მომთაბარე მეცხოველეობის არსებობა, პირუტყვის განლაგება მთიან ადგილებში, მნიშვნელოვანი არაკეთილსაიმედობა ინფექციურ დაავადებათა მხრივ და ა. შ.) თანამდებობათა ნომენკლატურას და რაოდენობაში შეიძლება შეტანილ იქნას შესაბამისი ცვლილებანი.

7. რაიონულ ცენტრებში, სადაც ბაზრები 1-2-ჯერ მუშაობენ კვირაში, ხორც-რძისა და კვების დამოუკიდებელი საკონტროლო სადგურის მოწყობის ნაცვლად, რაიონული ვეტერინარული ლაბორატორიის შტატში დამატებით შეიტანება თანამდებობა ვეტერინარი ექიმისა ვეტერინარულ-სანიტარული ექსპერტიზის ხაზით.

8. იმ შემთხვევაში, თუ ვეტერინარი მუშაკები სრულად არ არიან დატვირთული ექსპერტიზით ბაზრებში, ხორც-რძისა და კვების საკონტროლო სადგურების მუშაკები ბაზარში მუშაობისაგან თავისუფალ დროს რაიონული ვეტერინარული ლაბორატორიის დირექტორის მითითებით შეასრულებენ სხვადასხვა ვეტერინარულ ღონისძიებებს, კერძოდ, საკვების ხარისხის გამოკვლევას.

9. უკეთუ ექსპლუატაციაში მოიპოვება რეგისტრირებული მოძრავი ავტოლაბორატორია, რაიონული ლაბორატორიის შტატში დამატებით შეიტანება შოფრის თანამდებობა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი ა. მირძაძე.

მუხ. 18
ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1964 წლის 8 თებერვლის № 56
დადგენილების დანართი № 11

## საშტატო განრიგი

### კოჩუბეის ვეტერინარული ლაბორატორიისა ყიზლარის საზამთრო საძოვრებზე

| თანამდებობანი | ერთეულების რაოდენობა |
|---|---|
| დირექტორი — ვეტექიმი ბაქტერიოლოგი . . . . . . . | 1 |
| უფროსი ვეტექიმი . . . . . . . . . . . | 1 |
| ვეტექიმი . . . . . . . . . . . . . . | 2 |
| ვეტფერშალი . . . . . . . . . . . . . | 3 |
| ვეტსანიტარი . . . . . . . . . . . . . | 2 |
| უფროსი ბუღალტერი . . . . . . . . . . . | 1 |
| სპეცავტომანქანის შოფერი . . . . . . . . . | 2 |
| **სადეზინფექციო რაზმი** | |
| სადეზინფექციო რაზმის უფროსი-ვეტექიმი . . . . . . . | 1 |
| ვეტსანიტარი . . . . . . . . . . . . . | 1 |
| შოფერი . . . . . . . . . . . . . . | 1 |
| სულ . . . . . . | 15 |

შენიშვნები:

1. ვეტერინარ ექიმებს, ვეტერინარ ფერშლებს, ვეტერინარ სანიტრებს, ბუღალტერს თანამდებობრივი განაკვეთები დაუწესდებათ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს 1959 წლის 19 სექტემბრის № 1120 დადგენილების შესაბამისად.

2. შოფრებს განაკვეთი დაუწესდებათ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 11 აგვისტოს № 896 დადგენილების შესაბამისად.

3. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხთა სახელმწიფო კომიტეტის 1961 წლის 12 ივნისის № 264 დადგენილების შესაბამისად, ვეტერინარ მუშაკებს, რომლებიც მომსახურებას უწევენ სამომთაბარო მეცხოველეობას, სეზონურ საძოვრებზე ყოფნის პერიოდში მიეცემათ დანამატი მათი თანამდებობრივი განაკვეთის 40 პროცენტის ოდენობით, მაგრამ არა უმეტეს დღიურების დაწესებული ოდენობისა სოფელ ადგილებში მივლინების დროს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი ა. ჟირაქაძე.

ეროვნული

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1964 წლის 8 თებერვლის № 56
დადგენილების დანართი № 12

## საშტატო განრიგი

### თბილისის საქალაქო ვეტერინარულ-სანიტარული სადგურისა, რომელთანაც არსებობენ ვეტერინარული სამკურნალო, ხორც-რძისა და კვების საკონტროლო სადგურები, სადეზინფექციო რაზმი, ხორცის ექსპერტიზის ლაბორატორია და აფთიაქი

| თანამდებობანი | ერთეულების რაოდენობა | |
|---|---|---|
| **ქალაქის ვეტერინარულ-სანიტარული სადგური** | თუ ქალაქში არის 2 და მეტი ვეტსამკურნალო და 2-ზე მეტი ხორც-რძისა და კვების საკონტროლო სადგური | |
| ვეტსადგურის უფროსი — ქალაქის მთავარი ვეტექიმი | 1 | |
| ბუღალტერი . . . . . . . . . | 1 | |
| სპეციალური ავტომანქანის შოფერი . . . | 1 | |
| მდივანი-მემანქანე . . . . . . . . | 1 | |
| **სადეზინფექციო რაზმი** | | |
| სადეზინფექციო რაზმის უფროსი-ვეტექიმი (ან ვეტფერშალი) . . . . . . . . | 1 | |
| ვეტსანიტარი . . . . . . . . . | 1 | |
| სადეზინფექციო მანქანის შოფერი . . . . | 1 | |
| სულ . . . . . . . | 7 | |
| **ცენტრალური ვეტსამკურნალო რენტგენოკაბინეტით** | | |
| ვეტსამკურნალოს გამგე . . . . . . . | — | |
| უფროსი ვეტექიმი . . . . . . . . | 1 | |
| ვეტექიმი-რენტგენოლოგი . . . . . . | 1 | |
| აფთიაქის გამგე — ვეტფერშალი . . . . | 1 | |
| ვეტფერშალი . . . . . . . . . | 1 | |
| ვეტსანიტარი . . . . . . . . . | 2 | |
| ვეტსანიტარი-ძაღლმჭერი . . . . . . | 4 | |
| მეეზოვე . . . . . . . . . . | 1 | |
| დამლაგებელი-მეცეცხლური . . . . . | 1 | |
| სპეციალური მანქანის შოფერი . . . . . | 1 | |
| ძაღლების საჭერი ავტომანქანის შოფერი . . . | 4 | |
| სულ . . . . . . . | 17 | |
| **ვეტერინარული სამკურნალო** | | |
| უფროსი ვეტექიმი . . . . . . . . | 1 | 3 |
| ვეტერინარი ფერშალი . . . . . . . | 1 | 3 |
| ვეტსანიტარი . . . . . . . . . | 2 | 4 |
| სპეცმანქანის შოფერი . . . . . . | 1 | 1 |
| სულ . . . . . . . | 5 | 11 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | ერთეულების რაოდენობა იმის მიხედვით, თუ საშუალოდ რამდენი შემოვა დღეში სადგურში ექსპერტიზა | | | |
|---|---|---|---|---|
| | 51—150 | 151—250 | 251 - 350 | სულ |
| **ხორც-რძისა და კვების საკონტროლო სადგურები (8)** | | | | |
| ხორც-რძისა და კვების საკონტროლო სადგურის გამგე | 1 | 1 | 1 | 8 |
| ვეტექიმი | — | 1 | 1 | 6 |
| ლაბორანტი | 1 | 2 | 3 | 18 |
| სანიტარი | 1 | 1 | 2 | 12 |
| სულ | 3 | 5 | 7 | 44 |
| სულ სადგურში: | 79-ერთეული | | | |

**შენიშვნები:**

1. ვეტერინარულ-სანიტარული სადგურის უფროსი ამავე დროს არის ქალაქის მთავარი ვეტექიმი.

2. ცენტრალურ ვეტერინარულ სამკურნალოში, რომლის ბაზაზე მოწყობილია თბილისის საქალაქო ვეტერინარულ-სანიტარული სადგური, სადგურის უფროსი იმავდროულად ასრულებს სამკურნალოს გამგის ფუნქციებს.

3. ყოველ 100 ექსპერტიზაზე დღეში 350-ს ზევით, ხორც-რძისა და კვების საკონტროლო სადგურის შტატში შემოღებული იქნება დამატებით ლაბორანტის თანამდებობა, ხოლო ყოველ 200 ექსპერტიზაზე, ამის გარდა, ვეტერინარი ექიმის თანამდებობა.

4. ვეტერინარ ექიმებს, ვეტერინარ ფერშლებს, ლაბორანტებს, სანიტრებს, ბუღალტერს, დამლაგებელ-მეცეცხლურს, მეეზოვეს თანამდებობრივი განაკვეთები დაუწესდებათ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს 1959 წლის 19 სექტემბრის № 1120 დადგენილების შესაბამისად.

შოფრებს განაკვეთები დაუწესდებათ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 11 აგვისტოს № 896 დადგენილების შესაბამისად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი ა. ჭირაქაძე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1964 წლის 8 თებერვლის № 56
დადგენილების დანართი № 13

# ტიპობრივი შტატები

## საქალაქო ვეტერინარულ-სანიტარული სადგურებისა ხორც-რძისა და კვების საკონტროლო სადგურებით და სადეზინფექციო რაზმით

| თანამდებობანი | ქალაქ სოხუმისა, ბათუმისა და ცხინვალისათვის — ერთეულების რაოდენობა | ქალაქ რუსთავისა, ქუთაისისა და ფოთისათვის — ერთეულების რაოდენობა |
|---|---|---|
| სადგურის უფროსი — ქალაქის მთავარი ვეტერინარი ექიმი | 1 | 1 |
| ვეტერინარი ექიმი | 1 | 2 |
| ბუღალტერი | 1 | 1 |
| ვეტფერშალი | 1 | — |
| ხორც-რძისა და კვების საკონტროლო სადგურის გამგე-ვეტერინარი ექიმი | 1 | 1 |
| ლაბორანტი | 1 | 1 |
| სანიტარი | 1 | 1 |
| **სადეზინფექციო რაზმი** | | |
| რაზმის უფროსი — ვეტერინარი ექიმი | 1 | — |
| ვეტსანიტარი | 1 | — |
| სპეცმანქანის შოფერი | 3 | 3 |
| ძაღლმჭერი | 2 | 2 |
| დამლაგებელი | — | 1 |
| სულ | 14 | 13 |

შენიშვნები:

1. საქალაქო ვეტერინარულ-სანიტარული სადგურის უფროსი იმავდროულად არის ქალაქის მთავარი ვეტერინარი ექიმი.

2. უკეთუ ქალაქში არის ორი და მეტი ბაზარი, საქალაქო ვეტერინარულ-სანიტარული სადგურის შტატში დამატებით შეიტანება შესაბამისი რაოდენობის თანამდებობანი ხორც-რძისა და კვების საკონტროლო სადგურების გამგეებისა, ლაბორანტებისა, სანიტრებისა, ადგილობრივი პირობების მიხედვით.

3. ვეტერინარ ექიმებს, ვეტერინარ ფერშლებს, ლაბორანტებს, სანიტრებს, ბუღალტრებს, დამლაგებელ-მეცეცხლურს თანამდებობრივი განაკვეთები დაუწესდებათ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავ-

მუხ. 18/
ეროვნული
ბიბლიოთეკა

შირო პროფსაბჭოს 1959 წლის 19 სექტემბრის № 1120 დადგენილების შესაბამისად.

მოფრენს განაკვეთები დაუწესდებათ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 11 აგვისტოს № 896 დადგენილების შესაბამისად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი ა. ჰირაჭაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1964 წლის 8 თებერვლის № 56
დადგენილების დანართი № 14

## ტიპობრივი შტატი

### რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქთა საქალაქო ვეტერინარული სადგურებისა

| თანამდებობანი | ერთეულების რაოდენობა |
|---|---|
| სადგურის უფროსი — მთავარი ვეტექიმი | 1 |
| ბუღალტერი | 0,5 |
| სპეცავტომანქანის შოფერი | 1 |
| **ხორც-რძისა და კვების საკონტროლო სადგური** | |
| ვეტექიმი | 1 |
| ვეტსანიტარი | 1 |
| დამლაგებელი-მეცეცხლური | 1 |
| ძაღლმჭერი | 1 |
| სულ | 6,5 |

შენიშვნები:

1. საქალაქო ვეტერინარულ-სანიტარული სადგურის უფროსი იმავდროულად არის ქალაქის მთავარი ვეტერინარი ექიმი.

2. უკეთუ ქალაქში არის ორი და მეტი ბაზარი, საქალაქო ვეტერინარული სადგურის შტატში დამატებით შეიტანება შესაბამისი რაოდენობის თანამდებობანი ხორც-რძისა და კვების საკონტროლო სადგურების გამგეებისა, ლაბორანტებისა და სანიტრებისა.

3. ვეტერინარ ექიმებს, ვეტერინარ სანიტრებს, ბუღალტერს, დამლაგებელ-მეცეცხლურს, ძაღლმჭერს თანამდებობრივი განაკვეთები დაუწესდებათ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს 1959 წლის 19 სექტემბრის № 1120 დადგენილების შესაბამისად.

შოფრებს განაკვეთები დაუწესდებათ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 11 აგვისტოს № 896 დადგენილების შესაბამისად.

თუ ქალაქში მოიპოვება პირუტყვი, სადგურის შტატში შეტანილი იქნება დამატებით ვეტერინარი ექიმის, ვეტერინარი ფერშლისა და ვეტერინარი სანიტრის თანამდებობანი ეპიდემიის საწინააღმდეგო და სამკურნალო ღონისძიებათა გასატარებლად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი ა. ჭირაქაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

| დაწესებულებანი | სასწრაფო ვეტე-რინარული დახ-მარება გაზ-69 ან უაზ-452 ავ-ტომობილის ან „მოსკვიჩის" შასზე | ვეტერინარული ამბულატორია გაზ-51 ან გაზ-63 ავტომობილის ან სატვირთო მანქანის შასზე | ავტოდეზდანა-დგარი (დუკ და სხ.) | სადეზინფექციო დანადგარი ავტომისაბმე-ლებზე (ლსდ. ვმოკ და სხვ.) | მოტოციკლი ეტლით | მოპედი | ცხენი |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ქალაქის ვეტერინარულ-სანიტარული სადგური (სამკურნალოთი) . . . | 2 | — | 1—2 | — | — | — | — |
| საბჭოთა მეურნეობის ვეტ-სამკურნალო (ამბულატო-რია) . . . . . . . | 1 | — | 1 | 1—3 | — | 1—3 | — |

**შენიშვნა:** საბჭოთა მეურნეობებში მანქანა „სასწრაფო ვეტერინარული დახმარება" შეიძლება შეიცვალოს მოტოციკლით. ამის გარდა, ადგილობრივი პირობების მიხედვით ვეტერინარ მუშაკებს გამოეყოფათ ცხენები.

საქართველოს **სსრ** მინისტრთა საბჭოს
**საქმეთა მმართველი ა. ჭირაქაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1964 წლის 8 თებერვლის № 56
დადგენილების დანართი № 15

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნ უ ს ხ ა

## სატრანსპორტო საშუალებებისა, რომლებითაც უნდა იქნან აღჭურვილი სახელმწიფო ვეტერინარული ქსელის დაწესებულებანი და საბჭოთა მეურნეობები

| დაწესებულებანი | სასწრაფო ვეტერინარული დახმარება გაზ-69 ან უაზ-452 ავტომობილის ან „მოსკვიჩის" შასზე | ვეტერინარული ამბულატორია გაზ-51 ან გაზ-63 ავტომობილის ან სატვირთო მანქანის შასზე | ავტოდეზინფექტორი (ლეგ. და სხ.) | სადეზინფექციო დანადგარი ავტომისაბმელებზე (ლეგ. მეტ. და სხვ.) | მოტოციკლი ეტლით | მოპედი | ცხენი |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ცხოველთა დაავადების წინააღმდეგ მებრძოლი სადგური . . . . . . . | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 |
| საუბნო ვეტსამკურნალოები . . . . . . . | 1 1) | — | 1 2) | — | | 1 | 1 |
| ვეტერინარული უბანი . | — | — | | 1 | 1 | — | 1 |
| ვეტერინარული პუნქტი . . | — | — | — | — | — | 1 | 1 |
| რაიონული ვეტლაბორატორია . . . . . . | 1 | 1 | — | — | — | — | — |
| სარაიონთაშორისო ვეტლაბორატორია . . . . | 1 | 1 | 1 | — | — | — | 1 |
| საოლქო (რესპუბლიკური) ვეტლაბორატორია . . . | 2 | 2 | 1-2 | — | — | — | 1 |

1) შეიძლება შეიცვალოს მანქანით „ვეტერინარული ამბულატორია" გაზ-51 ან გაზ-63 შასზე ან სატვირთო ავტომობილით.

2) შეიძლება შეიცვალოს სადეზინფექციო დანადგარით ავტომისაბმელზე.

მუხ. 18
ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1964 წლის 8 თებერვლის № 56
დადგენილების დანართი № 16

## ნ უ ს ხ ა

### სადეზინფექციო საშუალებებისა, შხამქიმიკატებისა და სხვა პრეპარატებისა, რომელთა ფონდებს ცენტრალიზებულად გაანაწილებს მოკავშირე რესპუბლიკებს შორის სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრო

ჰექსაქლორანი ტექნიკური და გამდიდრებული
დდტ ტექნიკური
ჰექსაქლორანის დუსტი და დდტ
შაბიამანი
დარიშხანმჟავა ნატრიუმი
პოლიქლორპინენი
დამსველებელი ოპ-7 და ოპ-10
სულფანოლი
კაუსტიკური სოდა
ფორმალინი
ქლოროფოსი
ქლორის კირი
ოთხქლოროვანი ნახშირბადი
ინსექტიციდური კოჭები
კრისტალური იოდი
მარგანეცმჟავა კალიუმი
თევზის ქონი
ფენოტიაზინი

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი ა. ჭირაქაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1964 წლის 8 თებერვლის № 56
დადგენილების დანართი № 17

## დამატებითი ნუსხა

ვეტერინარული ქსელის ორგანიზაციებისა და იმ მუშაკთა თანამდებობებისა შრომის მავნე პირობებით, რომლებსაც თანამდებობრივი განაკვეთები უდიდდებათ 10 პროცენტით

| ორგანიზაციები | თანამდებობანი |
|---|---|
| ცხოველთა დაავადების წინააღმდეგ მებრძოლი სადგურები, საუბნო და ვეტერინარული სამკურნალოები | ვეტერინარი ექიმები: უფროსი ეპიზოოტოლოგები, ეპიზოოტოლოგები, სადეზინფექციო რაზმების უფროსები, ვეტერინარი ექიმები, ავტოსადეზინფექციო სპეციალური მანქანების ვეტერინარი ფერშლები |

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი ა. ვირჩაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 19 სახალხო მეურნეობაში ანგარიშსწორების გაუმჯობესების ზომების შესახებ

(სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 25 დეკემბრის № 1245 დადგენილება)

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ არადამაკმაყოფილებელი საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის შედეგად მნიშვნელოვნად გაიზარდა მთელი რიგი საწარმოებისა და ორგანიზაციების ვადაგასული დავალიანება მატერიალური ფასეულობებისა და მომსახურებისათვის, საბიუჯეტო გადასახდელებისა, ბანკის სესხისა და სხვა ანგარიშსწორებათა მხრივ.

1964 წლის 1 იანვრისათვის ვადაგასული დავალიანება სახელმწიფო ბანკისადმი გაიზარდა 21.328 ათასი მანეთიდან 37.733 ათას მანეთამდე, ხოლო მიმწოდებლებისადმი — 30.316 ათასი მანეთიდან 31.596 ათას მანეთამდე.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს სისტემის საბჭოთა მეურნეობებისა და საწარმოების ვადაგასული დავალიანება შეადგენს 13.930 ათას მანეთს. სამინისტროს 154 საბჭოთა მეურნეობიდან 72 საბჭოთა მეურნეობას აქვს სახელმწიფო ბანკისადმი ვადაგასული დავალიანება, მიუხედავად იმისა, რომ მათ გასული წლის დეკემბერში გაეწიათ ფინანსური დახმარება 8 მილიონი მანეთის ოდენობით.

დიდძალი ვადაგასული დავალიანება იქმნება იმის შედეგად, რომ მრეწველობაში გროვდება სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ზენორმატიული მარაგი.

დაუყენებელი მოწყობილობის ზენორმატიული, სამშენებლო ბანკის მიერ დაუკრედიტებელი ნაშთები 1963 წლის 1 ოქტომბრისათვის შეადგენდა 17.518 ათას მანეთს.

1963 წლის 9 თვის განმავლობაში სახალხო მეურნეობის საბჭოს საწარმოების მიერ გამოშვებული პროდუქციის წუნი შეადგენდა 1.842 ათას მანეთს; არამწარმოებლური ხარჯები — 3.533 ათას მანეთს, ზეგეგმითი გარესარეალიზაციო ხარჯები — 2.639 ათას მანეთს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 25 დეკემბრის № 1245 დადგენილება დაეგზავნოს სახელმძღვანელოდ და შესასრულებლად აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს,

№ 1
ეროვნული ბიბლიოთეკა

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროებსა და უწყებებს.

2. დაევალოთ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, რესპუბლიკის სამინისტროებსა და უწყებებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს და მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს, 1964 წლიდან დაწყებული, ყოველკვარტალურად განიხილონ საფინანსო ორგანოებისა და საბანკო დაწესებულებათა წარმომადგენლების მონაწილეობით, არადამაკმაყოფილებლად მომუშავე საწარმოების, მოიჯარე და სხვა სამეურნეო ორგანიზაციების სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის შედეგები, მიიღონ საჭირო ზომები იმისათვის, რომ მათ შეასრულონ წარმოების, საქონელბრუნვის, სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების, ტვირთზიდვის, მომსახურების, შრომის ნაყოფიერების ზრდის, თვითღირებულებისა და მიმოქცევის ხარჯების შემცირების წლიური გეგმები, აგრეთვე უზრუნველყონ ანგარიშსწორების დროულად განხორციელება.

3. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიამ, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭომ, საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ, საქართველოს სსრ სამინისტროებმა და უწყებებმა, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, საოლქო აღმასკომმა, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებმა საწარმოთა და ორგანიზაციათა საწარმოო გეგმების შეცვლის შემთხვევაში შეიტანონ საჭირო ცვლილებანი გეგმის ყველა ურთიერთდაკავშირებულ საწარმოო და საფინანსო მაჩვენებელში. ეს ცვლილებანი შეიტანონ ზემდგომი ორგანიზაციების მიერ დაწესებულ გეგმურ დავალებათა ფარგლებში და აცნობონ საწარმოებსა და ორგანიზაციებს არა უგვიანეს ერთი თვის ვადისა.

4. დაევალოთ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროებსა და უწყებებს საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან ერთად გამოარკვიონ დაქვემდებარებულ საწარმოებსა და ორგანიზაციებში 1963 წელს საკუთარი საბრუნავი სახსრების დანაკლისის შექმნის მიზეზები და მოამზადონ წინადადებანი მუშა-

ეროვნული

ობის გაუმჯობესების, აგრეთვე დანაკლისის დაფარვის წყაროების შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე გ. ჯავახიშვილი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი ა. პირაქაძე.

ქ. თბილისი, 1964 წ. 8 თებერვალი, № 57.

ასლი

# სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს

## დადგენილება № 1245

**1963 წლის 25 დეკემბერი**

მოსკოვი, კრემლი

### სახალხო მეურნეობაში ანგარიშსწორების გაუმჯობესების ზომების შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ უკანასკნელ დროს მნიშვნელოვნად გაიზარდა საწარმოთა და ორგანიზაციათა ვადაგასული დავალიანება მატერიალური ფასეულობებისა და მომსახურებისათვის, საბიუჯეტო გადასახდელებისა, ბანკის სესხისა და სხვა ანგარიშსწორების მხრივ. მრეწველობაში ვადაგასულ გადასახდელთა ძირითადი ნაწილი მოდის მანქანათმშენებლობის საწარმოებსა და მსუბუქი და კვების მრეწველობის საწარმოებზე, სოფლის მეურნეობაში — საბჭოთა მეურნეობებზე, ხოლო კაპიტალურ მშენებლობაში — მოიჯარე სამშენებლო ორგანიზაციებზე. ეს, უწინარეს ყოვლისა, გამოწვეულია მათი სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის არადამაკმაყოფილებელი შედეგებით. მრავალი საწარმო და ორგანიზაცია არ ასრულებს წარმოების, თვითღირებულებისა და დაგროვების დაწესებულ გეგმებს და ვერ უზრუნველყოფს საკუთარი საბრუნავი სახსრების შენარჩუნებას.

დიდძალი ვადაგასული დავალიანება იმის შედეგად იქმნება, რომ მრეწველობაში გროვდება სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა

ზეგეგმითი მარაგი. ამ მარაგის ერთ მესამედზე მეტს სამრეწველო საწარმოებში შეადგენს მზა პროდუქცია. მნიშვნელოვან ოდენობას მიაღწია აგრეთვე მშენებლობაში დაუყენებელი მოწყობილობის ზენორმატიულმა მარაგმა.

საწარმოთა, მოიჯარე და სხვა სამეურნეო ორგანიზაციათა ვადაგასული დავალიანება გამოწვეულია აგრეთვე იმ ნაკლოვანებებით, რომლებსაც ვხვდებით დაგეგმვის, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების, დაფინანსების, დაკრედიტებისა და ანგარიშსწორების განხორციელების პრაქტიკაში. წლის განმავლობაში წარმოების გეგმების შეცვლასთან ერთად ყოველთვის როდი ხდება შესაბამისი ცვლილების შეტანა მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების, თვითღირებულებისა და დაგროვების გეგმებში. მოგებისა და საბრუნავი სახსრების გადანაწილება ბევრ შემთხვევაში თავის დროზე არ ხდება, რაც აფერხებს გეგმური ზარალის ანაზღაურებას საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის. არასაკმაო ეფექტიანად ხორციელდება მანეთით კონტროლი საწარმოთა და ორგანიზაციათა საქმიანობისადმი.

ბევრი საწარმოს, მოიჯარე და სხვა სამეურნეო ორგანიზაციების დაძაბული საფინანსო მდგომარეობა იმას მოწმობს, რომ მათი საფინანსო-ეკონომიური მუშაობის ორგანიზაციის საქმეში მოიპოვება ნაკლოვანებანი. მთელი რიგი სახალხო მეურნეობის საბჭოების, სახელმწიფო კომიტეტების, სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელები არ იღებენ ზომებს იმისათვის, რომ დროზე განხორციელდეს ანგარიშსწორება სახალხო მეურნეობაში, ხოლო საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელები ფაქტიურად არ არიან პასუხისმგებელნი ბიუჯეტთან, მიმწოდებლებთან და ბანკებთან ანგარიშსწორების მდგომარეობისათვის.

იმ მიზნით, რომ უზრუნველყოფილ იქნას სახალხო მეურნეობაში ანგარიშსწორების დროულად განხორციელება და გაძლიერდეს საწარმოებისა და ორგანიზაციების, სახალხო მეურნეობის საბჭოების, სახელმწიფო კომიტეტების, სამინისტროებისა და უწყებების პასუხისმგებლობა საგადამხდელო დისციპლინის დაცვისათვის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, სახალხო მეურნეობის საბჭოებმა, სახელმწიფო კომიტეტებმა, სამინისტროებმა, უწყებებმა და მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებმა განიხილონ დაქვემდებარებულ საწარმოთა და ორგანიზაციათა ანგარიშსწორების მდგომარეობა და მიიღონ ზომები იმ საწარმო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის, მოიჯარე და სხვა სამეურნეო ორგანიზაციების სამეურნეო-საფინანსო საქმიანობაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, რომლებიც სისტემატურად არღვევენ საგადამხდელო დისციპლინას, აგრეთვე იმ სხვა მიზეზების ლიკვიდაციისათვის, რომლებიც იწვევენ ვადაგასულ გადასახდელებს სახალხო მეურნეობაში.

2. დაევალოთ სახალხო მეურნეობის საბჭოებს, სახელმწიფო კომიტეტებს, სამინისტროებს, უწყებებსა და მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს, 1964 წლიდან დაწყებული, ყოველკვარტალურად განიხილონ საფინანსო ორგანოებისა და საბანკო დაწესებულებათა წარმომადგენლების მონაწილეობით, არადამაკმაყოფილებლად მომუშავე საწარმოების, მოიჯარე და სხვა სამეურნეო ორგანიზაციების სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის შედეგები, მიიღონ საჭირო ზომები იმისათვის, რომ მათ შეასრულონ წარმოების, საქონელბრუნვის, სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების, ტვირთზიდვის, მომსახურების, შრომის ნაყოფიერების ზრდის, თვითღირებულებისა და მიმოქცევის ხარჯების შემცირების წლიური გეგმები, აგრეთვე უზრუნველყონ ანგარიშსწორების დროულად განხორციელება.

3. უფლება მიენიჭოთ სსრ კავშირის სამშენებლო ბანკს და სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკს გადახდისუუნაროდ გამოაცხადონ ის მოიჯარე სამშენებლო და სამონტაჟო ორგანიზაციები, რომლებიც დაკრედიტებისა და ანგარიშსწორების განსაკუთრებულ რეჟიმზე მათი გადაყვანის შემდეგ, ექვსი თვის მანძილზე განაგრძობდნენ დაგროვებათა გეგმების შეუსრულებლობას ან უშვებდნენ ზეგეგმით ზარალს, აღიდებდნენ ამ პერიოდში საკუთარი საბრუნავი სახსრების დანაკლისს და სისტემატურად აგვიანებდნენ ბიუჯეტთან, მიმწოდებლებთან და ბანკებთან ანგარიშსწორებას წინათ გაცემულ სესხთა გამო.

საკავშირო დაქვემდებარების მოიჯარე ორგანიზაციებისა და რესპუბლიკური და ადგილობრივი დაქვემდებარების მოიჯარე ორგანიზაციების გამოცხადება გადახდისუუნაროდ, რომლებიც ასრულებენ სამუშაოებს სსრ კავშირის მთავრობის მიერ დამტკიცებულ სატიტულო სიაში შეტანილ მშენებლობებზე, წარმოებს შესაბამისად სსრ კავშირის სამშენებლო ბანკის გამგეობის თავმჯდომარის ან სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის გამგეობის თავმჯდომარის გადაწყვეტილებით, ხოლო დანარჩენი მოიჯარე ორგანიზაციებისა — სსრ კავშირის სამშენებლო ბანკის ან სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის კანტორების მმართველთა გადაწყვეტილებებით.

№ 1
ეროვნული ბიბლიოთეკა

უფლება მიენიჭოთ სსრ კავშირის სამშენებლო ბანკს და სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკს დააწესონ გადახდისუუნაროდ გამოცხადებული მოიჯარე ორგანიზაციებისათვის შემდეგი დამატებითი სანქციები:

ა) შეუწყვიტონ დაკრედიტება ყველა სახეობის სესხის მიხედვით და წარადგინონ წინათ გაცემული სესხები ვადამდე გადასახდევინებლად;

ბ) შეუმცირონ ფულის მიცემის თანხა რიგგარეშე წესით საანგარიშსწორებო ანგარიშიდან გადაუდებელი საჭიროებისათვის;

გ) მიჰყიდონ სახელმწიფო საწარმოებსა და ორგანიზაციებს მატერიალური ფასეულობანი, გარდა ძირითადი საშუალებებისა და მოწყობილობისა;

დ) გამორიცხონ მოიჯარე ორგანიზაციები იმ ყველა სახეობის ანგარიშსწორების მონაწილეთა შემადგენლობიდან, რომელიც ურთიერთმოთხოვნების ჩათვლას ემყარება.

მოიჯარე ორგანიზაციების გამოცხადება გადახდისუუნაროდ მოხდება იმ დროიდან ერთი თვის შემდეგ, რაც ბანკი ამას შეატყობინებს მინისტრს, სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარეს ან ზემდგომი სამეურნეო ორგანიზაციის ხელმძღვანელს.

4. დაწესდეს, რომ იმ საწარმოებისა და ორგანიზაციების მუშაობა, რომლებიც გამოცხადებული არიან გადახდისუუნაროდ ან გადაყვანილი არიან ბანკების მიერ დაკრედიტებისა და ანგარიშსწორების განსაკუთრებულ რეჟიმზე, უნდა შეამოწმონ ადგილობრივ სახალხო მეურნეობის საბჭოებმა, სახელმწიფო კომიტეტებმა, სამინისტროებმა, უწყებებმა და მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებმა საფინანსო ორგანოებისა და საბანკო დაწესებულებათა წარმომადგენლების მონაწილეობით.

სახალხო მეურნეობის საბჭოებმა. სახელმწიფო კომიტეტებმა, სამინისტროებმა, უწყებებმა და მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებმა მიიღონ ამ შემოწმების შედეგების მიხედვით გადაუდებელი ზომები ცუდად მომუშავე საწარმოებისა და ორგანიზაციების სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

5. დაწესდეს, რომ რესპუბლიკური და ადგილობრივი დაქვემდებარების საწარმოების დაკრედიტების შეწყვეტა და მათი გადაყვანა დაკრედიტებისა და ანგარიშსწორების განსაკუთრებულ რეჟიმზე მოხდება მათი უწყებრივი კუთვნილების დამოუკიდებლად იმ ბანკის კანტორის მმართველის განკარგულებით, რომლის დაწესებულებანი მომსახურებას უწევენ ამ საწარმოებსა და ორგანიზაციებს.

მუხ. 19
ეროვნული ბიბლიოთეკა

6. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 12 აგვისტოს № 877 დადგენილების ნაწილობრივ შესაცვლელად, დაწესდეს, რომ ახლადათვისებული სამრეწველო პროდუქციის მუდმივი საბითუმო ფასები, ნაცვლად წინათ მოქმედი დროებითი საბითუმო ფასებისა, შემოღებული იქნება სამოქმედოდ მხოლოდ მიმდინარე წლის მომდევნო 1 იანვრიდან. აღნიშნული ფასები უნდა დამტკიცდეს მიმდინარე წლის 1 მაისამდე და გათვალისწინებულ იქნას სამეურნეო და საფინანსო გეგმებით შემდგომი წლისათვის.

7. სახალხო მეურნეობის საბჭოებმა, სახელმწიფო კომიტეტებმა, სამინისტროებმა და უწყებებმა, სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკმა და სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრომ სისტემატურად შეამოწმონ საწარმოო მარაგის, დაუმთავრებელი წარმოებისა და მზა პროდუქციის ნაშთების მდგომარეობა სამრეწველო საწარმოებში და გამოავლინონ მატერიალურ ფასეულობათა ზეგეგმითი მარაგის დაგროვების მიზეზები, ამასთან იქონიონ მხედველობაში, რომ საჭიროა დაჩქარდეს ამ ფასეულობათა რეალიზაცია და გამოყენება წარმოებაში, აგრეთვე იმ პროდუქციის ზეგეგმითი გამოშვების შეწყვეტა, რომელიც განსაზღვრული რაოდენობით სადდება.

8. დაევალოთ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სსრ კავშირის სახელმწიფო კომიტეტებს, სამინისტროებსა და უწყებებს დაადგინონ წესი, რომლის დროსაც ზემდგომი ორგანიზაციების მიერ საწარმოთა და ორგანიზაციათა საწარმოო გეგმების შეცვლის შემთხვევაში, საჭირო ცვლილებანი შეტანილ უნდა იქნას გეგმის ყველა ურთიერთდაკავშირებულ საწარმოო და საფინანსო მაჩვენებლებში. ეს ცვლილებანი მოხდება ზემდგომი ორგანიზაციების მიერ დაწესებული გეგმური დავალებების ფარგლებში და ეცნობება საწარმოებსა და ორგანიზაციებს არა უგვიანეს ერთი თვის ვადისა.

9. დაევალოთ სსრ კავშირის სახმშენს, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს და სსრ კავშირის სამშენებლო ბანკს სამი თვის ვადაში შეიმუშაონ და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წარმოუდგინონ წინადადება იმის შესახებ, რომ გამოეყოთ მოიჯარე სამშენებლო ორგანიზაციებს საკუთარი საბრუნავი სახსრები დაწესებული ნორმატივების ფარგლებში, ამასთან იქონიონ მხედველობაში, რომ უნდა შეწყდეს ამასთან დაკავშირებით მოიჯარე ორგანიზაციების ავანსირება შემკვეთების მიერ.

10. იმ მიზნით, რომ უზრუნველყოფილ იქნას იმ სამამულო მოწყობილების დროულად განაღდება, რომელიც შეკვეთილია კაპი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტალურ დაბანდებათა დაფინანსების გეგმის შესაბამისად და მონტაჟს საჭიროებს, ნება დაერთოს, 1964 წლიდან დაწყებული, სსრ კავშირის სამშენებლო ბანკს და სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკს:

ა) უკეთუ გამოყენებულია დაფინანსების კვარტალური ლიმიტები და ვადამდე შემოვიდა მანქანები და მოწყობილობა, აძლიონ მანქანებისა და მოწყობილობის შემკვეთ მშენებლობებსა და საწარმოებს კრედიტი მიმწოდებელთან ანგარიშების გასანაღდებლად ვადით იმ კვარტალის დადგომამდე, რომელშიაც გათვალისწინებულია გეგმით ამ მოწყობილობის და მანქანების შემოსვლა;

ბ) იმ შემთხვევაში, თუ დროებით არ მოიპოვება სახსრები მანქანებისა და მოწყობილობის შემკვეთ მშენებლობებსა და საწარმოების ანგარიშებზე იმის გამო, რომ დაგვიანდა **საკუთარი სახსრების** შემოსვლა ბანკში კაპიტალურ დაბანდებათა დასაფინანსებლად, — აძლიონ შესაბამისი წლის 15 ნოემბრამდე აღნიშნულ მშენებლობებსა და საწარმოებს სახალხო მეურნეობის საბჭოების, სახელმწიფო კომიტეტების, სამინისტროების, უწყებების, მათი მთავარი სამმართველოების (სამმართველოების) გარანტიით სესხი მანქანებისა და მოწყობილობის ასანაზღაურებლად 45 დღემდე ვადით, მიმდინარე წელს დაფარვით. აღნიშნული სესხი აძლიონ მშენებლობათა და საწარმოთა საკუთარი სახსრების გეგმური თანხების ფარგლებში, რომლებიც უნდა გადაირიცხოს ბანკში მიმდინარე წელს კაპიტალურ დაბანდებათა დასაფინანსებლად.

11. უფლება მიენიჭოთ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს აანაზღაურონ საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის მისაწოდებელი მანქანები და მოწყობილობა ამ მიზნებისათვის გაღებულ წლიურ ასიგნობათა ფარგლებში, დამოუკიდებლად მათი კვარტალური განაწილებისა.

12. დაევალოთ სახალხო მეურნეობის საბჭოებს, სახელმწიფო კომიტეტებს, სამინისტროებსა და უწყებებს განიხილონ საკითხი, თუ რა მიზეზით დააბანდეს დაქვემდებარებულმა საწარმოებმა საკუთარი საბრუნავი სახსრები კაპიტალურ დანახარჯებში და მიიღონ ზომები, რათა არ იქნას დაშვებული შემდეგში საფინანსო დისციპლინის ასეთი დარღვევა.

ნება დაერთოს სსრ კავშირის სამშენებლო ბანკს და სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკს სახალხო მეურნეობის საბჭოების, სახელმწიფო კომიტეტების, სამინისტროების, უწყებებისა და მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომების შუამდგომლობით აუნაზ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლაურონ, როგორც გამონაკლისი, 1963 წელს საწარმოებსა და ორგანიზაციებს იმ სახსრების ანგარიშში, რაც გამოყოფილია გეგმით კაპიტალურ დაბანდებათა დასაფინანსებლად, წინათ საბრუნავი სახსრების ანგარიშში გაწეული ხარჯები 1963 წლის გეგმით გათვალისწინებული ობიექტების კაპიტალური მშენებლობისათვის.

13. დროებითი ფინანსური დახმარების გაწევის რეზერვის უფრო ოპერატიულად გამოყენების მიზნით, უფლება მიენიჭოთ სახალხო მეურნეობის საბჭოებს, სახელმწიფო კომიტეტებს, სამინისტროებსა და უწყებებს გამოყონ ამ რეზერვის ნაწილი იმ დარგობრივი სამმართველოების (სამმართველოების) განკარგულებაში, რომლებიც იმყოფებიან სახალხო მეურნეობის საბჭოს, სახელმწიფო კომიტეტის, სამინისტროსა და უწყების ადგილსამყოფელის გარეთ.

დაწესდეს, რომ აღნიშნული რეზერვის ხარჯზე ფინანსური დახმარების გაწევა მოხდება მხოლოდ იმ პირობით, თუ შემუშავებულია ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ საწარმოსა და ორგანიზაციაში ფინანსური სიძნელეების გამომწვევ ნაკლოვანებათა აღმოფხვრას და რეზერვიდან გაცემული თანხების დაბრუნებას.

14. ნება დაერთოს სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკს და სსრ კავშირის სამშენებლო ბანკს აძლიონ, როგორც გამონაკლისი, სახელმწიფო სამრეწველო საწარმოებსა და საიჯარო სამშენებლო ორგანიზაციებს, რომლებმაც დაუშვეს ჩამორჩენა თვითღირებულებისა და დაგროვების გეგმების შესრულებაში, სესხი საკუთარი საბრუნავი სახსრების დროებით შესავსებად სახალხო მეურნეობის საბჭოების, სახელმწიფო კომიტეტების, სამინისტროებისა და უწყებების შუამდგომლობითა და გარანტიით, უკეთუ მათ მიერ შემუშავებული ღონისძიებანი უზრუნველყოფენ თვითღირებულებისა და დაგროვების გეგმების შესრულებაში დაშვებული ჩამორჩენის გამოსწორებას მიმდინარე წლის დამლევამდე. აღნიშნული თანხები აძლიონ ვადით 6 თვემდე სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის და სსრ კავშირის სამშენებლო ბანკის საკრედიტო გეგმების ფარგლებში.

15. დაწესდეს, რომ სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკი და სსრ კავშირის სამშენებლო ბანკი სახალხო მეურნეობის საბჭოების და მათი დარგობრივი სამმართველოების, სახელმწიფო კომიტეტების, სამინისტროების, უწყებების, მათი მთავარი სამმართველოების, გაერთიანებების, ტრესტების, აგრეთვე მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომების სამმართველოებისა და განყოფილებების შუამდგომლობით მისცემენ საწარმოებსა და ორგანიზაციებს (გარდა სავაჭრო ორგანიზაციებისა) კრედიტებს მატერიალურ ფასეუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლობათა უზრუნველყოფის ქვეშ საბრუნავი სახსრების გადასანაწილებლად 6 თვემდე ვადით.

16. სახალხო მეურნეობაში დროული ანგარიშსწორებისათვის საწარმოთა და ორგანიზაციათა პასუხისმგებლობის გაძლიერების მიზნით, შემოღებულ იქნას 1964 წლის 1 იანვრიდან პროცენტული განაკვეთი ბანკების ვადაგასული მოკლევადიანი სესხებისათვის, გარდა იმ სესხისა, რომელიც კოლმეურნეობებს და საკოლმეურნეობათაშორისო საწარმოებსა და ორგანიზაციებს ეძლევათ 5 წლიური პროცენტის ოდენობით.

17. დაევალოთ სახალხო მეურნეობის საბჭოებს, სახელმწიფო კომიტეტებს, სამინისტროებსა და უწყებებს, სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკს და სსრ კავშირის სამშენებლო ბანკს უფრო ფართოდ დანერგონ ანგარიშსწორება საქონლისა და მომსახურებისათვის (იმავქალაქისა და სხვა ქალაქის ბრუნვის, საქონლის მიწოდების და მომსახურების გაწევის მიხედვით, რაც მიღებულია მიღება-ჩაბარების დოკუმენტებით) ჩეკების, საგადამხდელო დავალებათა მეშვეობით, აგრეთვე გეგმურ გადასახდელთა გამოყენების გზით.

18. დაევალოთ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სახალხო მეურნეობის საბჭოებს, სახელმწიფო კომიტეტებს, სამინისტროებს, უწყებებს და მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს:

მიიღონ ზომები იმ დებიტორული დავალიანების შესამცირებლად, რომელიც ირიცხება საწარმოებსა, ორგანიზაციებსა, დაწესებულებებსა და ცალკეულ პირებზე;

გააძლიერონ საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა ხელმძღვანელების და მთავარი (უფროსი) ბუღალტრების პასუხისმგებლობა მეურნეობაში აღრიცხვისა და ანგარიშსწორების მდგომარეობისათვის და არ დაუშვან საბრუნავი სახსრების დაბანდება დებიტორულ დავალიანებაში. შეუმცირონ პრემიების ოდენობა ან სრულიად ამ მისცენ პრემიები საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა მუშაკებს, რომელთაც დანაშაული მიუძღვით არათავის დროზე გადახდევინებული დებიტორული დავალიანების შექმნაში.

საფინანსო ორგანოებმა და ბანკის დაწესებულებებმა მკაცრი კონტროლი გაუწიონ იმას, რომ საწარმოებმა, ორგანიზაციებმა და დაწესებულებებმა დროზე გადაახდევინონ დებიტორული დავალიანება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

19. დაევალოთ სახალხო მეურნეობის საბჭოებს, სახელმწიფო კომიტეტებს, სამინისტროებს, უწყებებს და მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს გააუმჯობესონ საფინანსო მუშაობის ორგანიზაცია და საფინანსო დაგეგმვა დაქვემდებარებულ საწარმოებში, მოიჯარე და სხვა სამეურნეო ორგანიზაციებში.

სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრომ, სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის საბჭომ, სსრ კავშირის სახმშენმა, სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკმა და სსრ კავშირის სამშენებლო ბანკმა დაინტერესებული სამინისტროებისა და უწყებების, აგრეთვე მეცნიერი მუშაკების მონაწილეობით 6 თვის ვადაში შეიმუშაონ და დაამტკიცონ ტიპობრივი დებულება საწარმოებსა და ორგანიზაციებში საფინანსო მუშაობის ორგანიზაციის შესახებ.

20. რჩევა მიეცეთ კოლმეურნეობებს განიხილონ კოლმეურნეთა საერთო კრებებზე (ან რწმუნებულთა კრებებზე) შემოსავალ-გასავლის წლის პირველი ნახევრის ხარჯთაღრიცხვის შესრულების შედეგები, კოლმეურნეობათა ანგარიშსწორების მდგომარეობა მათი ვალდებულებების მიხედვით და დროზე მიიღონ ზომები, რათა მოყვანილ იქნას დაგეგმილი დანახარჯები სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების გეგმისა და შემოსავლის ხარჯთაღრიცხვის მოსალოდნელი შესრულების შესაბამისად.

რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, მშრომელთა დეპუტატების საოლქო და სამხარეო საბჭოების აღმასკომებმა, სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროებმა (სამმართველოებმა), კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოებმა უზრუნველყონ, რომ ჩატარდეს კოლმეურნეობებში ორგანიზაციებთან, კოლმეურნეებთან და სხვა პირებთან ანგარიშსწორების სისტემატური შემოწმება და დახმარება აღმოუჩინონ კოლმეურნეობებს დებიტორული დავალიანების გადახდევინებაში.

კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოებმა წელიწადში ერთხელ მაინც ჩაატარონ თვითეული კოლმეურნეობის სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის დოკუმენტური შემოწმება, უზრუნველყონ კოლმეურნეობათა სარევიზიო კომისიების შემადგენლობის განმტკიცება და მათთვის დახმარების გაწევა სარევიზიო მუშაობის განხორციელებაში.

21. დაევალოთ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სსრ კავშირის სახელმწიფო კომიტეტებს, სამინისტროებსა და უწყებებს გამოარკვიონ დაქვემდებარებულ საწარმოებსა და ორგა-

ნიზაციებში 1963 წელს საკუთარი საბრუნავი სახსრების დანაკლისის შექმნის მიზეზები და წარმოუდგინონ წინადადებანი საკუთარი საბრუნავი სახსრების დანაკლისის დაფარვის წყაროების შესახებ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და ასლი — სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს.

სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრომ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან, სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის საბჭოსთან, სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკთან და სსრ კავშირის სამშენებლო ბანკთან ერთად განიხილოს აღნიშნული წინადადებანი და განხილვის შედეგები მოახსენოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს.

22. დაწესდეს, რომ კოლმეურნეობებმა და საკოლმეურნეობათაშორისო ორგანიზაციებმა უნდა წარუდგინონ სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის შესაბამის დაწესებულებებს წლიური და კვარტალური საბუღალტრო ბალანსები.

23. დაევალოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ იურიდიულ კომისიას სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკთან და სსრ კავშირის სამშენებლო ბანკთან ერთად წარმოუდგინოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სსრ კავშირის მთავრობის იმ გადაწყვეტილებათა ნუსხა, რომლებმაც ძალა დაკარგეს ამ დადგენილების მიღებასთან დაკავშირებით.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ა. კოსიგინი.**

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **გ. სტეპანოვი.**

**20** **კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ყურძნისა და ხილის საკონტრაქტაციო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული მატერიალური პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების შესახებ**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

იმასთან დაკავშირებით, რომ 1963 წელს მეტად არახელსაყრელი ამინდის გამო საწარმოო სამმართველოებში დაიღუპა ყურძნისა და ხილის მოსავლის საგრძნობი ნაწილი და ძირითადად ამ მიზეზით არ შესრულდა ამ პროდუქტების შესყიდვის გეგმები, განთავისუფლებულ იქნან საქართველოს სს რესპუბლიკის დაზარალებული კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები ყურძნისა და ხილის საკონტრაქტაციო ხელშეკრულების 18 და 19 მუხლებით გათვალის-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წინებული მატერიალური პასუხისმგებლობისაგან — საურავისა და საუპიროს გადახდისაგან. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს მიერ დამტკიცებული სიის მიხედვით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე გ. ჯავახიშვილი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი ა. ჩირაქაძე.

ქ. თბილისი, 1964 წ. 8 თებერვალი, № 60.

**21** **იმ მოზარდთა აღრიცხვის შესახებ, რომლებიც არ სწავლობენ სასწავლებლებში და არ არიან დასაქმებული წარმოებაში**

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის 1963 წლის 28 დეკემბრის № 41 გადაწყვეტილების შესაბამისად და იმ მიზნით, რომ დაზუსტდეს მოზარდთა რაოდენობა, რომლებიც არ სწავლობენ და არ არიან დასაქმებული წარმოებაში, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს ჩაატაროს 14—17 წლის ასაკის მოზარდთა აღრიცხვა, რომლებიც არ სწავლობენ სასწავლებლებში და არ არიან დასაქმებული წარმოებაში, 1964 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობის მიხედვით.

14—17 წლის ასაკის მოზარდთა საერთო რაოდენობა განისაზღვროს ქალაქის დასახლებათა საბინაო დავთრებისა და სოფელ ადგილების საკომლო წიგნების მონაცემების საფუძველზე. ამ მონაცემების შემოწმება, აგრეთვე დამატებითი ცნობების მიღება იმ მოზარდების შესახებ, რომლებიც არ სწავლობენ და არ არიან დასაქმებული წარმოებაში, მოხდეს მოსახლეობის გამოკითხვით.

2. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომმა, მშრომელთა დეპუტატების რაიონულმა და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელმა კომიტეტებმა საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროსთან ერთად უზრუნველყონ, რომ:

№ 1
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ა) მილიციის ორგანოებმა 1964 წლის 1 სექტემბრამდე შეამოწმონ, თუ რამდენად სრული და სწორია ჩანაწერები საბინაო დავთრებში მოზარდების შესახებ;

ბ) სასოფლო საბჭოებმა 1964 წლის 1-დან 15 სექტემბრამდე შეამოწმონ, თუ რამდენად სრული და სწორია ჩანაწერები საკომლო წიგნებში მოზარდების შესახებ;

გ) საბინაო-საექსპლუატაციო კანტორებმა, სახლმმართველობებმა და სახლების კომენდანტებმა ქალაქის დასახლებებში, სასოფლო საბჭოებმა სოფელ ადგილებში შეავსონ მოზარდთა აღრიცხვის ფორმები და წარუდგინონ ისინი სტატისტიკურ ორგანოებს იმ წესითა და იმ ვადებში, რაც დადგენილია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მიერ;

დ) გამოყონ სახელმწიფო სტატისტიკის ინსპექტორების განკარგულებაში სახლმფლობელობათა სიების, სოფლის დასახლებული ადგილების სიების შესადგენად და აღრიცხვის ჩასატარებლად სახლებისა და ბინების ჩამოთვლით, საჭირო რაოდენობის მუშაკები ვადით 15 სამუშაო დღემდე, უპირატესად დაწესებულებათა და საწარმოთა იმ მუშაკთაგან, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ მოსახლეობის 1959 წლის სრულიად საკავშირო აღწერაში, ამასთან გაათავისუფლონ ისინი ძირითად სამუშაოსაგან და შეუნარჩუნონ საშუალო ხელფასი ძირითად სამუშაო ადგილზე.

დაწესდეს, რომ გამოყოფილ მუშაკებს აღრიცხვის რეგისტრატორებად დაამტკიცებენ მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები სახელმწიფო სტატისტიკის ინსპექტორების წარდგენით.

3. საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭომ, სამინისტროებმა და უწყებებმა უზრუნველყონ, რომ მათდამი დაქვემდებარებულმა საწარმოებმა და დაწესებულებებმა, რომელთაც საცხოვრებელი ფონდი აქვთ, წარუდგინონ აღრიცხვის შევსებული ბლანკები სახელმწიფო სტატისტიკის ინსპექტორებს იმ წესითა და იმ ვადებში, რაც დადგენილია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მიერ.

4. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ცენტრალურმა სტატისტიკურმა სამმართველომ:

ა) იმ მოზარდთა ხარისხობრივი აღრიცხვის მიზნით, რომლებიც არ სწავლობენ სასწავლებლებში და არ არიან დასაქმებული წარმოებაში, დროულად მოაწყოს სემინარები აღრიცხვის ჩასატარებლად

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოწვეულ პირთათვის, უზრუნველყოს ისინი სტატისტიკური აღრიცხვის ფორმებით, ინსტრუქციებითა და მეთოდური მითითებებით;

ბ) 1964 წლის დეკემბერში წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს აღრიცხვის მოკლე შედეგები და 1965 წლის აპრილში — დაწვრილებითი მონაცემები იმ მოზარდთა რაოდენობისა და შემადგენლობის შესახებ, რომლებიც არ სწავლობენ სასწავლებლებში და არ არიან დასაქმებული წარმოებაში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **გ. ჩოგოვაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1964 წ. 12 თებერვალი, № 68.

**22** „მოქალაქეთა მიერ არაშრომითი შემოსავლით აშენებული ან შეძენილი სახლების, აგარაკებისა და სხვა ნაგებობათა უსასყიდლოდ ჩამორთმევის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის **1962** წლის **15** აგვისტოს ბრძანებულების შესრულების მიმდინარეობის თაობაზე

როგორც შემოწმებით გამოირკვა, მთელი რიგი რაიონებისა და ქალაქების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს სერიოზული ნაკლოვანებანი ახასიათებთ „მოქალაქეთა მიერ არაშრომითი შემოსავლით აშენებული ან შეძენილი სახლების, აგარაკებისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და სხვა ნაგებობათა უსასყიდლოდ ჩამორთმევის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1962 წლის 15 აგვისტოს ბრძანებულების შესრულების საქმეში.

სრულიად არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ ამ ბრძანებულების შესაბამისად შექმნილი კომისიები ქ. რუსთავში, ტყვარჩელში, ფოთში, ცხინვალში, გურჯაანის, გორის, ხაშურის, სამტრედიის, თეთრიწყაროს, ლანჩხუთის, ახალქალაქისა და სხვა რაიონებში.

ზოგიერთ საქალაქო და რაიონული საბჭოს აღმასკომში ჭიანურდება კომისიების მიერ წარმოდგენილი საქმეების განხილვა და სასამართლო ორგანოებში გადაგზავნა. თავის მხრივ, სახალხო სასამართლოებიც არღვევენ საქმის განხილვის დაწესებულ ვადებს და ცალკეულ შემთხვევაში ღებულობენ არასწორ გადაწყვეტილებებს.

არის ფაქტები, როდესაც მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები არ ასრულებენ საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 147 მუხლის მოთხოვნას, რომლის შესაბამისად „უკეთუ ქალაქებში, რაიონულ ცენტრებში, დაბებსა და საკურორტო ადგილებში ინდივიდუალური საბინაო და სააგარაკო მშენებლობისათვის გამოყოფილ მიწის ნაკვეთზე სახლის აშენებისას დარღვეულია სართულების, ოთახების რაოდენობისა და ფართობის კანონით დაწესებული ნორმები, ნორმის ზევით აშენებული ოთახები და საცხოვრებელი ფართობი ჩაირიცხება მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოს აღმასკომის კომუნალურ ფონდში, ჩამორთმეულ საბინაო ფართობზე მცხოვრებ პირთა გასახლებით“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაევალოთ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, მშრო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმას-კომებს განახორციელონ საჭირო ღონისძიებანი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1962 წლის 15 აგვისტოს ბრძანე-ბულების განუხრელად გატარებისათვის, უმოკლეს ვადაში აღმო-ფხვრან ამ საქმეში არსებული ნაკლოვანებანი და დარღვევები.

2. რესპუბლიკის პროკურატურამ და უმაღლესმა სასამართლომ სისტემატურად ადევნონ თვალყური ბრძანებულების განხორციე-ლების მიმდინარეობას, მიიღონ ზომები სასამართლოსა და პროკუ-რატურის იმ ადგილობრივი ორგანოების მიმართ, რომლებიც დაუ-შვებენ კანონსაწინააღმდეგო მოქმედებას, გააჭიანურებენ არაშრო-მითი შემოსავლით აშენებული სახლების ჩამორთმევის შესახებ გადაცემული საქმეების განხილვას და მიიღებენ არასწორ გადაწყვე-ტილებებს.

3. დაევალოთ მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და სარაიო-ნო საბჭოების აღმასკომებს წარმოუდგინონ საქართველოს სსრ მი-ნისტრთა საბჭოს ანგარიში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1962 წლის 15 აგვისტოს ბრძანებულების შესრულე-ბის მიმდინარეობის შესახებ:

ა) სოხუმის, ტყვარჩელის, გაგრის, ბათუმის, ქობულეთის, ცხინ-ვალის, თბილისის, ფოთისა და რუსთავის მშრომელთა დეპუტატე-ბის საქალაქო საბჭოების აღმასკომებმა მიმდინარე წლის 1 მაისისა-თვის;

ბ) თელავის, გურჯაანის, გორის, ხაშურის, თეთრიწყაროს, სამ-ტრედიის, ლანჩხუთისა და ოჩამჩირის რაიაღმასკომებმა — მიმდინა-რე წლის 1 სექტემბრისათვის;

გ) დანარჩენი რაიონებისა და რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებმა — მიმდინარე წლის 1 დეკემბრისათვის;

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ადგილობრივი საბჭოთა ორგანოების განყოფილებამ თვალყური ადევნოს ამ დადგენილების შესრულების მიმდინარეობას.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე გ. ჩოგოვაძე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი ა. ჭირაქაძე.

ქ. თბილისი, 1964 წ. 17 თებერვალი, № 79.

## 23 რელიგიურ საზოგადოებათა სარგებლობაში გადაცემული სახელმწიფო ფონდის შენობების გადაფასების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაევალოთ საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროს და მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს რელიგიურ საზოგადოებათა წარმომადგენლების მონაწილეობით 1964 წლის 1 აპრილამდე გადააფასონ, გაცვეთის გამორკვევით, სახელმწიფო ფონდის მთელი არსებული შენობები და ნაგებობანი, რომლებიც გადაცემულია რელიგიურ საზოგადოებათა გამგებლობაში.

2. ამ შენობათა შეფასება მოხდეს ტექნიკური ინვენტარიზაციის ადგილობრივი ბიუროების მეშვეობით, რელიგიურ საზოგადოებათა ხარჯზე და მათთან სახელშეკრულებო საწყისებზე, შენობათა და ნაგებობათა ტექნიკური ინვენტარიზაციის სამუშაოთა მოქმედი შეფასების მიხედვით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. ნაგებობათა ღირებულება განისაზღვროს საცხოვრებელი, კულტურულ-საყოფაცხოვრებო და ადმინისტრაციული შენობების ღირებულების გამსხვილებული მაჩვენებლებით სსრ კავშირის სახმშენის 1961 წლის კრებულების თანახმად, და შეფასების მასალები სამუშაოთა დამთავრების მიხედვით გადაეცეს სახელმწიფო დაზღვევის ადგილობრივ ორგანოებს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე გ. ჩოგოვაძე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი ა. ჰირაქაძე.

ქ. თბილისი, 1964 წ. 18 თებერვალი, № 82.

**24** **საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო სახელმწიფო საწარმოებისა და ორგანიზაციების მუშა-მოსამსახურეთა საკარმიდამო მიწათსარგებლობის მოწესრიგების ღონისძიებათა შესახებ**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ რესპუბლიკის საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სასოფლო-სამეურნეო სახელმწიფო საწარმოებსა და ორგანიზაციებში მუშა-მოსამსახურეთა ოჯახები ჯერ კიდევ საკარმიდამო ნაკვეთების მაღალი ნორმებით სარგებლობენ. ამასთან ერთად, ბევრი მათგანი არ მუშაობს ამ მეურნეობებში, ან თვითნებურად წავიდა სხვაგან სამუშაოდ, მაგრამ კვლავ სარგებლობს საკარმიდამო მიწის ნაკვეთით.

კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოები, რაიაღმასკომები, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო სახელმწიფო საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელები შეუწყნარებელ უყურადღებობას იჩენენ საზოგადოებრივი მიწების დაცვისა და საკარმიდამო მიწათსარგებლობის მოწესრიგებისადმი, მუდმივ მზრუნველობას არ იჩენენ ამ უმნიშვნელოვანეს სახელმწიფო საქმისადმი და მათი მუშაობა ხშირად კამპანიურ ხასიათს ატარებს.

საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სასოფლო-სამეურნეო სახელმწიფო საწარმოებსა და ორგანიზაციებში საკარმიდამო მიწათსარგებლობაში შექმნილი მდგომარეობა და არსებული დარღვევები აფერხებენ საზოგადოებრივი მეურნეობის შემდგომ განვითარებას

ეროვნული

და ხელს უშლიან მეურნეობებში შრომის დისციპლინის [illegible] ცებას.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. საბჭოთა მეურნეობებში, მათ შორის კოლმეურნეობათა ბაზაზე შექმნილ საბჭოთა მეურნეობებში, აგრეთვე სხვა სასოფლო-სამეურნეო სახელმწიფო მეურნეობებში მომუშავე მუშებისა და მოსამსახურეების ოჯახებისათვის საკარმიდამო მიწის მაქსიმალური ნორმა დაწესდეს 0,25 ჰექტარამდე, საცხოვრებელი და სხვა ნაგებობებით დაკავებული ფართობის ჩათვლით.

დაწესდეს საკარმიდამო ნაკვეთების ასეთივე ნორმა საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო სახელმწიფო მეურნეობების ტერიტორიაზე მცხოვრებ იმ ყოფილ კოლმეურნეებისათვის, რომლებიც მეურნეობაში ირიცხებიან, მაგრამ მოხუცებულობის ან ინვალიდობის გამო ველარ მუშაობენ, აგრეთვე საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო სახელმწიფო მეურნეობების იმ მუშა-მოსამსახურეთა ოჯახებისათვის, რომელთა წევრები გაწვეული არიან საბჭოთა არმიის რიგებში, წასული არიან სასწავლებლად. ან მუშაობენ არჩევით თანამდებობაზე, ხოლო ოჯახში დარჩენილი არიან შრომისუნარმოკლებული წევრები.

2. საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო სახელმწიფო მეურნეობების მუშა-მოსამსახურეთა ოჯახებს. რომელთაც ამ დადგენილებით დაწესებულ ნორმაზე ნაკლები საკარმიდამო მიწა აქვთ, დამატებით საკარმიდამო მიწა არ გამოეყოფათ.

3. დაევალოთ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის საოლქო აღმასკომს, საწარმოო სამმართველოებსა და რაიაღმასკომებს ჩაატარონ საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სასოფლო-სამეურნეო სახელმწიფო საწარმოებსა და ორგანიზაციებში მუშა-მოსამსახურეთა საკარმიდამო მიწების მთლიანი აზომვა და ნორმაზე მეტი მიწების ჩამოჭრა იმ ანგარიშით, რომ ეს მუშაობა დაწყებულ იქნას ახლავე და დამთავრდეს მიმდინარე წლის 1 ნოემბრამდე, ამასთან:

ა) ჩამოართვან საკარმიდამო ნაკვეთები იმ პირებს, რომლებმაც ფაქტიურად კავშირი გაწყვიტეს სოფელთან, არ მუშაობენ მეურნეობებში და მუდმივად არ ცხოვრობენ იქ.

საკარმიდამო ნაკვეთები ჩამოერთვათ აგრეთვე იმ პირებს. რომლებმაც თვითნებურად მიატოვეს საბჭოთა მეურნეობებში მუშაობა;

ეროვნული

ბ) ნორმის ზევით საკარმიდამო მიწების ჩამონაჭრები მი[illegible] საწარმოო ბრიგადებსა და რგოლებს დასამუშავებლად, ხოლო სადაც ეს შესაძლებელია, შექმნან ერთიანი მიწის მასივები.

4. საკარმიდამო მიწების აზომვისა და ნორმაზე მეტი მიწების ჩამოჭრის სამუშაოების ჩასატარებლად თვითეულ მეურნეობაში შეიქმნას კომისია შემდეგი შემადგენლობით, რაიაღმასკომის ან საწარმოო სამმართველოს პასუხისმგებელი მუშაკი (თავმჯდომარე). წევრები: სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე, შესაბამისი მეურნეობის დირექტორი და პროფკავშირის მუშათა კომიტეტის თავმჯდომარე.

5. საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო სახელმწიფო საწარმოების მუშა-მოსამსახურეთა საკარმიდამო მიწების აზომვისა და ნორმაზე მეტი საკარმიდამო ნაკვეთების ჩამოჭრის და მათი გამოყენების ღონისძიების გატარების საქმეში პერსონალური პასუხისმგებლობა დაეკისროთ მეურნეობის დირექტორს, საწარმოო სამმართველოს უფროსს და რაიაღმასკომის თავმჯდომარეს.

6 დაევალოთ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის საოლქო აღმასკომს, საწარმოო სამმართველოებს, გარდაბნის საბჭოთა მეურნეობების სპეციალიზებულ ტრესტს და რაიაღმასკომებს:

ა) შექმნან ამ დადგენილებით გათვალისწინებული კომისიები, განიხილონ და დაამტკიცონ მათი შემადგენლობა, სამუშაო კალენდარული ვადები და გაუწიონ კომისიებს სათანადო ინსტრუქტაჟი;

ბ) სამუშაოს პრაქტიკულად დაწყებამდე ყველა მეურნეობაში ჩაატარონ მუშა-მოსამსახურეთა კრებები, სადაც გააცნონ და ფართოდ განუმარტონ ამ დადგენილებით გათვალისწინებულ ღონისძიებათა მნიშვნელობა და დარაზმონ ისინი აღნიშნული სამუშაოს წარმატებით ჩატარებისათვის;

გ) შეამოწმონ იმ მუშა-მოსამსახურეთა და სპეციალისტთა საკარმიდამო მიწების ოდენობა, რომლებიც საბჭოთა მეურნეობების ტერიტორიაზე ცხოვრობენ, ხოლო მუშაობენ სხვა საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში და უზრუნველყონ მთავრობის დადგენილებებით მათთვის დაწესებული საკარმიდამო ნაკვეთების ნორმის ზევით ფართობების ჩამოჭრა და საზოგადოებრივი მიწის ფონდში ჩარიცხვა. სრული წესრიგი დაამყარონ მუშა-მოსამსახურეთა და სპეციალისტთა საკარმიდამო მიწათსარგებლობაში.

7. დაევალოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს, დაამტკიცოს და გამოსცეს მიწების აზომვის სათანადო ფორმის აქტები და განმარ-

ეროვნული

ტებანი ამ დადგენილებით გათვალისწინებულ საკარმიდამო მიწათ-სარგებლობის მოწესრიგების ღონისძიების გატარების უზრუნველსაყოფად.

8. დაევალოთ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის საოლქო აღმასკომს, რაიაღმასკომებს; საწარმოო სამმართველოებს და გარდაბნის საბჭოთა მეურნეობების სპეციალიზებულ ტრესტს მიმდინარე წლის 1 ნოემბრისათვის წარმოუდგინონ ანგარიში საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ამ დადგენილების შესრულების შესახებ.

9. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტრომ შეაჯამოს წარმოდგენილი მასალები საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სასოფლო-სამეურნეო სახელმწიფო მეურნეობებში საკარმიდამო მიწათსარგებლობის საქმის მოწესრიგების შესახებ და შედეგები მიმდინარე წლის 5 ნოემბრისათვის წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1964 წ. 6 მარტი, № 103.

## 25 იმ დაწესებულებებსა და საწარმოებში სამუშაო საათების შესახებ, რომლებიც მომსახურებას უწევენ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო საჭიროებებს

იმ მიზნით, რომ მოწესრიგდეს იმ დაწესებულებებისა და საწარმოების მუშაობა, რომლებიც მომსახურებას უწევენ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო საჭიროებებს, და შეიქმნას უფრო მოხერხებული პირობები მშრომელებისათვის, რომლებიც ამ დაწესებულებებსა და საწარმოებს მიმართავენ პირად საკითხებზე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. მიღებულ იქნას საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, საქართველოს პროფსაბჭოს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახუ-

ეროვნული

რების მთავარი სამმართველოს, საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროს, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისიის წინადადება და დაწესდეს იმ დაწესებულებებსა და საწარმოებში შემდეგი სამუშაო საათები, რომლებიც მომსახურებას უწევენ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო საჭიროებებს:

ა) მმაჩებში, მილიციის განყოფილებათა საპასპორტო მაგიდებში, სახლმმართველობებში საგაზო მეურნეობის საექსპლუატაციო კანტორებში, წყალკანალტრესტსა და მის ადგილობრივ ორგანოებში — ყოველდღე (კვირა დღის ჩათვლით) 11-დან 19 საათამდე გამოსასვლელი დღით ორშაბათს;

ბ) არქივებში, სანოტარო კანტორებში, კანალიზაციის ტრესტებსა და მათს ადგილობრივ ორგანოებში, სახელმწიფო ბანკის კომუნალურ სალაროებში — ყოველდღე 10-დან 18 საათამდე გამოსასვლელი დღით კვირას.

2. დაევალოთ საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროს და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მთავარ სამმართველოს, სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის საქართველოს რესპუბლიკურ კანტორას, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ იურიდიულ კომისიას, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ საარქივო სამმართველოს და თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომს მისცენ მითითება დაქვემდებარებულ დაწესებულებებსა და საწარმოებს დააწესონ 1964 წლის 10 მარტიდან იმ დაწესებულებათა და საწარმოთა მუშაობის საათები, რომლებიც მომსახურებას უწევენ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო საჭიროებებს, ამ დადგენილების 1 მუხლის თანახმად.

3. მოწონებულ იქნას თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის 1963 წლის 22 ნოემბრის № 2128 განკარგულება და 1963 წლის 25 დეკემბრის № 971 გადაწყვეტილება ქ. თბილისის კომუნალურ-საყოფაცხოვრებო საწარმოთა მუშაობის რეჟიმის შესახებ.

4. დაევალოთ რესპუბლიკის სამინისტროებსა და უწყებებს მინიმალურად შეამცირონ თათბირები და სხდომები საწარმოთა, ორ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

განიზაციათა, დაწესებულებათა მუშაკების გამოძახებით და ხორციელონ ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ თვითეული ხელმძღვანელის პასუხისმგებლობის შემდგომ გაძლიერებას დავალებული საქმისათვის.

5. დაევალოთ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს განიხილონ იმ დაწესებულებათა და ორგანიზაციათა სამუშაო საათების მოწესრიგების საკითხი, რომლებიც მომსახურებას უწევენ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო საჭიროებებს, და მიიღონ საჭირო ზომები, რათა უკეთ წარმოებდეს მშრომელთა მომსახურება სამუშაოსაგან მათ თავისუფალ დროს და გამოსასვლელ დღეებში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1964 წ. 6 მარტი, № 104.

## 26 სახალხო-სამეურნეო ტვირთების დაცვა-შენახვისა და მომხმარებლებისათვის მიტანის გაუმჯობესების შესახებ

აღინიშნოს, რომ ამიერკავკასიის რკინიგზის სადგურებსა და ბათუმისა და ფოთის საზღვაო ნავსადგურებში სერიოზული ნაკლოვანებანი ახასიათებს სახალხო-სამეურნეო ტვირთების გატანისა და შენახვის საქმეს.

მთელი რიგი საწარმოების, ორგანიზაციების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელები ვერ უზრუნველყოფენ ტვირთების დროულად გატანას, რაც ხშირად იწვევს მათ გაფუჭებას და მატერიალურ ფასეულობათა მნიშვნელოვან დანაკარგებს სახალხო მეურნეობაში, აძნელებს სადგურებისა და ნავსადგურების მუშაობას, დიდძალ თანხას ართმევს ბიუჯეტს დაწესებული ვადის გადამეტებით ტვირთების შენახვისა და ვაგონების, ავტომობილების გაცდენისათვის ჯარიმების სახით, იწვევს დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოთა მექანიზაციის საშუალებების, აგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეთვე საწყობებისა და მოედნების არადამაკმაყოფილებლად გამოყენებას.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 4 დეკემბრის № 1191 დადგენილების შესაბამისად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაევალოთ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროებსა და უწყებებს აღმოფხვრან სახალხო-სამეურნეო ტვირთების შენახვისა და რკინიგზის სადგურებიდან, საზღვაო ნავსადგურებიდან, მათი გატანის საქმეში არსებული ნაკლოვანებანი, უზრუნველყონ ყველა დაქვემდებარებულ საწარმოსა და ორგანიზაციაში იმის მუდმივი კონტროლი, რომ დროულად იქნას ჰილებული და დანიშნულების პუნქტებში მიტანილი ის ტვირთები, რომლებიც მათ სახელზე შემოდის რკინიგზის სადგურებსა და საზღვაო ნავსადგურებში.

2. დაევალოს ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს ყოველ ხუთ დღეში ერთხელ აწარმოოს სადგურებიდან ყველა გაუტანელი ტვირთის აღწერა, რაც შესაბამისად აცნობოს სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროებსა და უწყებებს იმ მიზნით, რომ მათ მიიღონ საჭირო ზომები ტვირთების გასატანად და დამნაშავეთა პასუხისგებაში მისაცემად.

3. იმ მიზნით, რომ უზრუნველყოფილ იქნას ქალაქ თბილისსა და რუსთავში საავტომობილო ტრანსპორტის ორ და სამცვლად მუშაობა ტვირთების შემოტანისა და გატანისათვის, დაევალოთ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროებსა და უწყებებს მოაწყონ, 1964 წლის 1 აპრილიდან დაწყებული, საწარმოთა და ორგანიზაციათა საწყობების ორ და სამცვლად მუშაობა მათ სახელზე მოსული ტვირთების მისაღებად, დანართის თანახმად.

ორი თვის ვადაში წარმოუდგინონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადებანი იმის შესახებ, რომ შემდგომ გადაყვანილ იქნან ორ და სამცვლად მუშაობაზე ქალაქ თბილისისა და რუსთავის, აგრეთვე რესპუბლიკის სხვა დიდი ქალაქების საწარმოთა და ორგანიზაციათა ბაზები და საწყობები.

4. დაევალოს საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს პასუხისგებაში აძლიოს რკინიგზის სადგურებიდან ტვირთის არათავისდროზე გატანისათვის ავტოსატრანსპორტო კანტორების ხელმძღვანელები, რომლებმაც ავტოტრანსპორტი არ მიაწოდეს რკინიგზას და ტვირთმიმღებთ მათი განაცხადების თანახმად.

№ 1
ეროვნული ბიბლიოთეკა

5. ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველომ და საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრომ ტვირთმიმღებებთან ერთად ადგილებზე შეიმუშაონ, საწყობების მუშაობის დაწესებული ხანგრძლიობის შესაბამისად, რკინიგზის სადგურებიდან მიმღებთა საწყობებში ტვირთის მიტანის გრაფიკი, ამასთან დააკომპლექტონ ავტომანქანების პარკი სატვირთო სამუშაოთა მოცულობის შესაბამისად.

6. აეკრძალოს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს ხე-ტყის მასალისა და ლითონის გაგზავნა თბილისის სატვირთო სადგურის, ნავთლუღისა და ქუთაისის სადგურების დანიშნულებით, იმ ორგანიზაციების სახელზე, რომლებსაც მისასვლელი ლიანდაგები არ გააჩნიათ.

7. წინადადება მიეცეს რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკას" გაგზავნოს მინერალური სასუქები კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სახელზე ტრანზიტად ტვირთმიმღებთა თანხმობით.

ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველომ იმ შემთხვევაში, თუ მიღებული იქნა ტვირთი ისეთ სადგურზე, სადაც „საქსოფლტექნიკის" ბაზები მოიპოვება, გადასცეს იგი მათ გადმოსატვირთავად.

8. დაევალოთ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, **სამინისტროებსა და უწყებებს მიიღონ ზომები, რათა აღმოიფხვრას სამრეწველო საწარმოთა რკინიგზის** მისასვლელი ლიანდაგების მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი, განსაკუთრებით შემცირდეს რკინიგზის ვაგონების გაცდენა დატვირთვისა და გადმოტვირთვის დროს; სამი თვის ვადაში განიხილონ ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს მონაწილეობით ყველაზე დიდი სამრეწველო საწარმოების მისასვლელ ლიანდაგებზე ვაგონების მიმოქცევის დაწესებული ნორმატივების დაცვის საკითხი; შეიმუშაონ და განახორციელონ ღონისძიებანი, რომელთა მიზანია რკინიგზის ვაგონების მისასვლელ ლიანდაგებზე ყოფნის დროის შემცირება, მათ შორის ისეთი ზომების განხორციელების გზით, როგორიცაა სატვირთო ოპერაციების დაჩქარება, დატვირთვა-გადმოტვირთვის ადგილებზე ვაგონების მიწოდების რიცხვის გადიდება და დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოთა გაფართოება და მათი მექანიზაციის გაძლიე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რება. ამის გარდა, უზრუნველყონ ვაგონების გადმოტვირთვისას ვაგონების სრულად დასუფთავება თავიანთი საშუალებებით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე გ. ჯავახიშვილი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი ა. ჟორჟაძე.

ქ. თბილისი, 1964 წ. 7 მარტი, № 110.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1964 წლის 7 მარტის № 110
დადგენილების დანართი

## სია

### საწარმოების და ორგანიზაციების, რომელთა საწყობები და ბაზები გადაყვანილ უნდა იქნას ორ და სამცვლიან მუშაობაზე

### სამცვლიან მუშაობაზე:

სახალხო მეურნეობის საბჭო
ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხანა
საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტრო
№ 3 ტრესტის — თბილმრეწვმშენის წარმოებითი საწარმოების კომბინატი
მთავართბილმშენის № 1 ტრესტის წარმოებითი საწარმოების კომბინატი
მთავართბილმშენის № 5 ტრესტის წარმოებითი საწარმოების კომბინატი
№ 3 ტრესტის — თბილმრეწვმშენის სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველო № 2
№ 3 ტრესტის — თბილმრეწვმშენის სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველო № 4.
საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრო
საქხორცკარაქთევზვაჭრობის ბაზა

### ორცვლიან მუშაობაზე:

სახალხო მეურნეობის საბჭო
მაუდ-კამვოლის კომბინატი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფეხსაცმლის საწარმოთა გაერთიანება „ისანი“
მთავარმანქმარაგგასაღება
მთავარმეორადნედლეული („გლავვტორჩერმეტი“)
თბილისის თამბაქოს ფაბრიკა № 1
თბილისის თამბაქოს ფაბრიკა № 2
თბილისის ქაღალდის ფაბრიკა
რუსთავის სინთეზური ბოჭკოს ქარხანა
რუსთავის აზოტოვანი სასუქის ქარხანა
ქარხანა „ელექტროავტომატი“
რუსთავის მექანიკური ქარხანა
თბილისის საკონდიტრო კომბინატი
თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატი
ქარხანა „ელექტროძრავა“
თბილისის ლენინის სახელობის ელექტრომავალმშენებელი ქარხანა
ქიმმარაგგასაღების ბაზა
კლავიშებიანი და მუსიკალური ინსტრუმენტების ფაბრიკა
მშენმარაგგასაღების ბაზა
ელექტრომარაგგასაღების ბაზა
ქიმფარმქარხანა
უალკოჰოლო სასმელების ქარხანა
ქარხანა „მიკროძრავა“
საქკვებმარაგგასაღების ნავთლუღის ბაზა

საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრო
საქტანსაცმელვაჭრობა
საქტექსტილვაჭრობა
საქბაკალეა
საქგალანტერია

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო
მთავარი სააფთიაქო სამმართველოს ბაზები

საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრო
თბილისის ავტოსარემონტო ქარხანა № 1

ცეკავშირი
თბილისის ბაზა

ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველო

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახალხო-სამეურნეო ტვირთების მატერიალური საწყობი
„საქსოფლტექნიკა“
ნავთლუღისა და თბილისის ბაზები

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. პირაქაძე.**

## 27 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 21 ივლისის № 460 დადგენილების დამატების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დაემატოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 21 ივლისის № 460 დადგენილების მე-4 მუხლს შემდეგი შინაარსის აბზაცი:

„ნება დაერთოს საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს საწარმოებსა და ორგანიზაციებს ჩამოწერილი სატვირთო ავტომობილები და საავტომობილო აგრეგატები 50 პროცენტამდე გამოიყენონ ადგილზე სხვა მანქანების შესაკეთებლად სანაშთო ღირებულებით, ხოლო არანაკლებ 50 პროცენტისა — გადასცენ თბილისის № 1 ავტოსარემონტო ქარხანას“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. პირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1964 წ. 10 მარტი, № 112.

## 28 შოთა რუსთაველის სახელობის რესპუბლიკური პრემიების დაწესების შესახებ

ქართული საბჭოთა ლიტერატურის, მუსიკის, სახვითი, თეატრალური და კინოხელოვნების შემდგომი განვითარებისათვის კიდევ უფრო მეტი ხელშეწყობისა და შემოქმედებითი მუშაკების წახალისების მიზნით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაწესდეს შოთა რუსთაველის სახელობის ოთხი რესპუბლიკური პრემია, თვითეული 2.500 მანეთის ოდენობით, ქართული საბ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქოთა ლიტერატურის, მუსიკის, სახვითი, თეატრალური [illegible] ხელოვნების შესანიშნავი ნაწარმოებებისათვის.

2. დამტკიცდეს შოთა რუსთაველის სახელობის პრემიების რესპუბლიკური კომიტეტი შემდეგი შემადგენლობით: ი. ვ. აბაშიძე (თავმჯდომარე), გ. გ. აბაშიძე, დ. ა. ალექსიძე, დ. ი. ანდღულაძე, დ. ქ. ანთაძე, ვ. ი. ანჯაფარიძე, ა. მ. ბალანჩივაძე, ვ. ვ. ბერიძე, თ. პ. ბუაჩიძე, ფ. ზ. გაგლოევი (გაფეზი), ს. ბ. დოლიძე, ს. ა. ზაქარიაძე, ვ. ბ. თოფურიძე, რ. ი. ლალიძე, გ. ნ. ლეონიძე, ზ. პ. ლეჟავა, ქ. ა. ლორთქიფანიძე, ა. დ. მაჭავარიანი, დ. ვ. მჭედლიშვილი, ო. დ. ქინქლაძე, ბ. ვ. შინკუბა, რ. დ. ჩხეიძე, ი. ი. ჩხიკვიშვილი, გ. ვ. წერეთელი, ფ. ი. ხალვაში, პ. ვ. ხუჭუა, უჩა (ილია) მ. ჯაფარიძე.

3. დაწესდეს, რომ შოთა რუსთაველის სახელობის რესპუბლიკური პრემიების მიკუთვნება წარმოებს ორ წელიწადში ერთხელ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღის — 25 თებერვლისათვის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით, შოთა რუსთაველის სახელობის პრემიების რესპუბლიკური კომიტეტის წარდგენით.

4. დამტკიცდეს დებულება შოთა რუსთაველის სახელობის რესპუბლიკური პრემიების შესახებ.

5. დაევალოს შოთა რუსთაველის სახელობის პრემიების რესპუბლიკურ კომიტეტს ორი თვის ვადაში შეიმუშაოს და დაამტკიცოს წესი შრომების წარდგენისა პრემიების მოსაპოვებლად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჟირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1964 წ. 9 მარტი, № 113.

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1964 წლის 9 მარტის № 113
დადგენილებით

## დ ე ბ უ ლ ე ბ ა

**შოთა რუსთაველის სახელობის რესპუბლიკური პრემიების შესახებ**

1. შოთა რუსთაველის სახელობის რესპუბლიკური პრემიები მიენიჭება ორ წელიწადში ერთხელ ქართული საბჭოთა ლიტერატუ-

ეროვნული

რის, მუსიკის, სახვითი, თეატრალური და კინოხელოვნების მაღალ-იდეური და მაღალმხატვრული ნაწარმოებებისათვის, რომლებმაც ფართო საზოგადოებრივი აღიარება მოიპოვეს და ცნობილი გახდნენ პრემიების მინიჭებამდე არა უგვიანეს ნახევარი წლისა.

იმ შემთხვევაში თუ არ აღმოჩნდა ისეთი ნაწარმოები, რომელიც აღნიშნულ მოთხოვნებს დააკმაყოფილებს, პრემიები მინიჭებული არ იქნება.

**შენიშვნა:** პრემიები არ მიენიჭება ნაწარმოებებისათვის, რომელთა ავტორებს წინათ მინიჭებული ჰქონდა სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიები.

2. ნაწარმოებთა წარდგენას შოთა რუსთაველის სახელობის პრემიების მისანიჭებლად ახორციელებენ მწერალთა, კომპოზიტორთა, მხატვართა, კინემატოგრაფისტთა და ჟურნალისტთა კავშირების გამგეობანი, თეატრალური საზოგადოება, სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებანი, უმაღლესი სასწავლებლები, ჟურნალებისა და გაზეთების სარედაქციო კოლეგიები, აგრეთვე საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა კოლექტივები, სულ ცოტა 3 თვით ადრე პრემიების მინიჭებამდე.

3. იმ ნაწარმოებთა სია, რომლებიც წარდგენილია შოთა რუსთაველის სახელობის პრემიების მისანიჭებლად, ქვეყნდება რესპუბლიკურ პრესაში სულ ცოტა ორი თვით ადრე პრემიების მინიჭებამდე.

4. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილება შოთა რუსთაველის სახელობის პრემიების მინიჭების შესახებ გამოქვეყნდება რესპუბლიკურ პრესაში 25 თებერვალს. — საბჭოთა საქართველოს წლისთავის დღეს. იმ ნაწარმოებთა ავტორებს, რომლებიც შოთა რუსთაველის სახელობის პრემიების ღირსნი გახდნენ, მიენიჭებათ შოთა რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატის წოდება, გადაეცემათ დიპლომი და ფულადი პრემია.

---

**29** **ხელით სამართავი ავტომობილებით ინვალიდთა უზრუნველყოფის შესახებ**

იმ მიზნით, რომ უზრუნველყოფილ იქნან სამამულო ომის ინვალიდები და სხვა ინვალიდები სამხედრო მოსამსახურეთა რიცხვიდან გაუმჯობესებული სატრანსპორტო საშუალებებით და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 29 დეკემბრის № 1277 დად-

გზნილების შესასრულებლად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. გამოეყოს 1964 წელს საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს სამამულო ომის ინვალიდებისა და სხვა ინვალიდებისათვის სამხედრო მოსამსახურეთა რიცხვიდან, უკეთუ მათ ექნებათ დაწესებული სამედიცინო ჩვენებანი — „ზაპოროჟეცის" მარკის ხელით სამართავი 130 ავტომობილი მათთვის უფასოდ მისაცემად და 260 მოტოეტლი, მათ შორის 145 მოტოეტლი უფასოდ მისაცემად და 115 მოტოეტლი ფასდაკლებით მისაყიდად.

2. სამამულო ომის ინვალიდთა და სხვა ინვალიდთა შორის სამხედრო მოსამსახურეთა რიცხვიდან „ზაპოროჟეცის" მარკის ხელით სამართავი ავტომობილებისა და მოტოეტლების გასანაწილებლად გამოიყოს კომისია შემდეგი შემადგენლობით: კომისიის თავმჯდომარე — საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის მინისტრი და წევრები — საქართველოს პროფსაბჭოს მდივანი, რესპუბლიკის სამხედრო კომისარი, საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს საექიმო-შრომითი ექსპერტიზისა და პროტეზირების განყოფილების გამგე და რესპუბლიკური საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისიის თავმჯდომარე.

კომისიამ „ზაპოროჟეცის" მარკის ხელით სამართავი ავტომობილების განაწილების დროს იხელმძღვანელოს ამ დადგენილების მე-9 მუხლით დამტკიცებული ინსტრუქციით ინვალიდებისათვის ავტომობილების მიცემის შესახებ.

3. დაევალოს საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს მოაწყოს „ზაპოროჟეცის" მარკის ხელით სამართავი ავტომობილების კაპიტალური რემონტი, რომლებიც ეძლევათ სამამულო ომის ინვალიდებს და სხვა ინვალიდებს სამხედრო მოსამსახურეთა რიცხვიდან, საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს შეკვეთა-განრიგების თანახმად, რემონტის ღირებულების შემდგომი ანაზღაურებით.

4. დაევალოს თბილისის საქალაქო აღმასკომს დახმარება გაუწიოს უკრაინის სსრ დნეპრიპეტროვსკის სახალხო მეურნეობის საბჭოს ზაპოროჟიეს ქარხანა „კომუნარს" „ზაპოროჟეცის" მარკის ხელით სამართავი ავტომობილების საგარანტიო მომსახურების პუნქტის მოწყობაში და გამოყოს ამისათვის 1964 წელს სათანადო სადგომი.

5. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკას" შემოიტანოს საქართველოს

სსრ ვაჭრობის სამინისტროს განაცხადით „ზაპოროჟეცის“ მარკის ხელით სამართავი ავტომობილების და მოტოეტლების სათადარიგო ნაწილები.

6. დაევალოს საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს:

ა) უზრუნველყოს „ზაპოროჟეცის“ მარკის ხელით სამართავი ავტომობილების და მოტოეტლების იმ ფონდების ათვისება, რომლებიც საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროსათვის გამოიყოფა, იმ ანგარიშით, რომ მიეცეთ ისინი ინვალიდებს, რომლებიც მათ უფასოდ ან ფასდაკლებით იღებენ საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს განრიგებით;

ბ) შემოიტანოს და მიჰყიდოს სამამულო ომის ინვალიდებს და სხვა ინვალიდებს სამხედრო მოსამსახურეთა რიცხვიდან საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს განაცხადებით არსებული ნორმატივების შესაბამისად საჭირო რაოდენობის ავტოსაბურავი „ზაპოროჟეცის“ მარკის ხელით სამართავი ავტომობილებისა და მოტოეტლებისათვის;

გ) მიჰყიდოს სამამულო ომის ინვალიდებს და სხვა ინვალიდებს სამხედრო მოსამსახურეთა რიცხვიდან „ზაპოროჟეცის“ მარკის ხელით სამართავი ავტომობილებისა და მოტოეტლების სათადარიგო ნაწილები.

7. დაევალოს საქართველოს არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობ ნებაყოფლობით საზოგადოებას უზრუნველყოს, რათა სამამულო ომის ინვალიდებმა და სხვა ინვალიდებმა სამხედრო მოსამსახურეთა რიცხვიდან შეისწავლონ ავტომობილების მართვა საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს განაცხადებით და მის ხარჯზე.

8. დაევალოთ საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს და ფინანსთა სამინისტროს გაითვალისწინონ ყოველწლიურად სოციალური უზრუნველყოფისათვის რესპუბლიკის ბიუჯეტით საჭირო ასიგნებანი „ზაპოროჟეცის“ მარკის ხელით სამართავი ავტომობილების შესაძენად.

„ზაპოროჟეცის“ მარკის ხელით სამართავი ავტომობილების შეძენასთან დაკავშირებული ხარჯები გაწეულ იქნას 1964 წელს ამ მიზნისათვის გათვალისწინებული სახსრების ანგარიშში.

9. დამტკიცდეს თანდართული ინსტრუქცია „ზაპოროჟეცის“ მარკის ხელით სამართავი ავტომობილების სამამულო ომის ინვა-

№ 1
ეროვნული ბიბლიოთეკა

5. ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველომ და საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრომ ტვირთმიმღებებთან ერთად ადგილებზე შეიმუშაონ, საწყობების მუშაობის დაწესებული ხანგრძლიობის შესაბამისად, რკინიგზის სადგურებიდან მიმღებთა საწყობებში ტვირთის მიტანის გრაფიკი, ამასთან დააკომპლექტონ ავტომანქანების პარკი სატვირთო სამუშაოთა მოცულობის შესაბამისად.

6. აეკრძალოს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს ხე-ტყის მასალისა და ლითონის გაგზავნა თბილისის სატვირთო სადგურის, ნავთლუღისა და ქუთაისის სადგურების დანიშნულებით, იმ ორგანიზაციების სახელზე, რომლებსაც მისასვლელი ლიანდაგები არ გააჩნიათ.

7. წინადადება მიეცეს რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკას" გაგზავნოს მინერალური სასუქები კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სახელზე ტრანზიტად ტვირთმიმღებთა თანხმობით.

ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველომ იმ შემთხვევაში, თუ მიღებული იქნა ტვირთი ისეთ სადგურზე, სადაც „საქსოფლტექნიკის" ბაზები მოიპოვება, გადასცეს იგი მათ გადმოსატვირთავად.

8. დაევალოთ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროებსა და უწყებებს მიიღონ ზომები, რათა აღმოიფხვრას სამრეწველო საწარმოთა რკინიგზის მისასვლელი ლიანდაგების მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი, განსაკუთრებით შემცირდეს რკინიგზის ვაგონების გაცდენა დატვირთვისა და გადმოტვირთვის დროს; სამი თვის ვადაში განიხილონ ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს მონაწილეობით ყველაზე დიდი სამრეწველო საწარმოების მისასვლელ ლიანდაგებზე ვაგონების მიმოქცევის დაწესებული ნორმატივების დაცვის საკითხი; შეიმუშაონ და განახორციელონ ღონისძიებანი, რომელთა მიზანია რკინიგზის ვაგონების მისასვლელ ლიანდაგებზე ყოფნის დროის შემცირება, მათ შორის ისეთი ზომების განხორციელების გზით, როგორიცაა სატვირთო ოპერაციების დაჩქარება, დატვირთვა-გადმოტვირთვის ადგილებზე ვაგონების მიწოდების რიცხვის გადიდება და დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოთა გაფართოება და მათი მექანიზაციის გაძლიერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რება, ამის გარდა, უზრუნველყონ ვაგონების გადმოტვირთვისას ვაგონების სრულად დასუფთავება თავიანთი საშუალებებით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჟირაჟაძე.**

ქ. თბილისი, 1964 წ. 7 მარტი, № 110.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1964 წლის 7 მარტის № 110
დადგენილების დანართი

## ს ი ა

### საწარმოებისა და ორგანიზაციებისა, რომელთა საწყობები და ბაზები გადაყვანილ უნდა იქნას ორ და სამცვლად მუშაობაზე

### სამცვლად მუშაობაზე:

სახალხო მეურნეობის საბჭო
ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხანა
საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტრო
№ 3 ტრესტის — თბილმრეწვმშენის წარმოებითი საწარმოების კომბინატი
მთავართბილმშენის № 1 ტრესტის წარმოებითი საწარმოების კომბინატი
მთავართბილმშენის № 5 ტრესტის წარმოებითი საწარმოების კომბინატი
№ 3 ტრესტის — თბილმრეწვმშენის სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველო № 2
№ 3 ტრესტის — თბილმრეწვმშენის სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველო № 4.
საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრო
საქხორცკარაქთევზვაჭრობის ბაზა

### ორცვლად მუშაობაზე:

სახალხო მეურნეობის საბჭო
მაუდ-კამვოლის კომბინატი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფეხსაცმლის საწარმოთა გაერთიანება „ისანი“
მთავარმანქმარაგგასაღება
მთავარმეორადნედლეული („გლავვტორჩერმეტი“)
თბილისის თამბაქოს ფაბრიკა № 1
თბილისის თამბაქოს ფაბრიკა № 2
თბილისის ქაღალდის ფაბრიკა
რუსთავის სინთეზური ბოჭკოს ქარხანა
რუსთავის აზოტოვანი სასუქის ქარხანა
ქარხანა „ელექტროავტომატი“
რუსთავის მექანიკური ქარხანა
თბილისის საკონდიტრო კომბინატი
თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატი
ქარხანა „ელექტროძრავა“
თბილისის ლენინის სახელობის ელექტრომავალმშენებელი ქარხანა
ქიმმარაგგასაღების ბაზა
კლავიშებიანი და მუსიკალური ინსტრუმენტების ფაბრიკა
მშენმარაგგასაღების ბაზა
ელექტრომარაგგასაღების ბაზა
ქიმფარმქარხანა
უალკოჰოლო სასმელების ქარხანა
ქარხანა „მიკროძრავა“
საქკვებმარაგგასაღების ნავთლუღის ბაზა

საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრო
საქტანსაცმელვაჭრობა
საქტექსტილვაჭრობა
საქბაკალეა
საქგალანტერია

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო
მთავარი სააფთიაქო სამმართველოს ბაზები

საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრო
თბილისის ავტოსარემონტო ქარხანა № 1

ცეკავშირი
თბილისის ბაზა

ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველო

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახალხო-სამეურნეო ტვირთების მატერიალური საწყობი „საქსოფლტექნიკა“
ნავთლუღისა და თბილისის ბაზები

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჟირაჰაძე.**

**27** **საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 21 ივლისის № 460 დადგენილების დამატების შესახებ**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დაემატოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 21 ივლისის № 460 დადგენილების მე-4 მუხლს შემდეგი შინაარსის აბზაცი:

„ნება დაერთოს საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს საწარმოებსა და ორგანიზაციებს ჩამოწერილი სატვირთო ავტომობილები და საავტომობილო აგრეგატები 50 პროცენტამდე გამოიყენონ ადგილზე სხვა მანქანების შესაკეთებლად სანაშთო ღირებულებით, ხოლო არანაკლებ 50 პროცენტისა— გადასცენ თბილისის № 1 ავტოსარემონტო ქარხანას“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჟირაჰაძე.**

ქ. თბილისი, 1964 წ. 10 მარტი, № 112.

**28** **შოთა რუსთაველის სახელობის რესპუბლიკური პრემიების დაწესების შესახებ**

ქართული საბჭოთა ლიტერატურის, მუსიკის, სახვითი, თეატრალური და კინოხელოვნების შემდგომი განვითარებისათვის კიდევ უფრო მეტი ხელშეწყობისა და შემოქმედებით მუშაკების წახალისების მიზნით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაწესდეს შოთა რუსთაველის სახელობის ოთხი რესპუბლიკური პრემია, თვითეული 2.500 მანეთის ოდენობით, ქართული საბ-

ეროვნული

ჭოთა ლიტერატურის, მუსიკის, სახვითი, თეატრალური და [illegible] ხელოვნების შესანიშნავი ნაწარმოებებისათვის.

2. დამტკიცდეს შოთა რუსთაველის სახელობის პრემიების რესპუბლიკური კომიტეტი შემდეგი შემადგენლობით: ი. ვ. აბაშიძე (თავმჯდომარე), გ. გ. აბაშიძე, დ. ა. ალექსიძე, დ. ი. ანდღულაძე, დ. კ. ანთაძე, ვ. ი. ანჯაფარიძე, ა. მ. ბალანჩივაძე, ვ. ვ. ბერიძე, თ. პ. ბუაჩიძე, ფ. ზ. გაგლოევი (გაფეზი), ს. ბ. დოლიძე, ს. ა. ზაქარიაძე, ვ. ბ. თოფურიძე, რ. ი. ლალიძე, გ. ნ. ლეონიძე, ზ. პ. ლეჟავა, კ. ა. ლორთქიფანიძე, ა. დ. მაჭავარიანი, დ. ვ. მჭედლიშვილი, ო. დ. ქინქლაძე, ბ. ვ. შინკუბა, რ. დ. ჩხეიძე, ი. ი. ჩხიკვიშვილი, გ. ვ. წერეთელი, ფ. ი. ხალვაში, პ. ვ. ხუჭუა, უჩა (ილია) მ. ჯაფარიძე.

3. დაწესდეს, რომ შოთა რუსთაველის სახელობის რესპუბლიკური პრემიების მიკუთვნება წარმოებს ორ წელიწადში ერთხელ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღის — 25 თებერვლისათვის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით, შოთა რუსთაველის სახელობის პრემიების რესპუბლიკური კომიტეტის წარდგენით.

4. დამტკიცდეს დებულება შოთა რუსთაველის სახელობის რესპუბლიკური პრემიების შესახებ.

5. დაევალოს შოთა რუსთაველის სახელობის პრემიების რესპუბლიკურ კომიტეტს ორი თვის ვადაში შეიმუშაოს და დაამტკიცოს წესი შრომების წარდგენისა პრემიების მოსაპოვებლად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჟირაძაძე.**

ქ. თბილისი, 1964 წ. 9 მარტი, № 113.

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1964 წლის 9 მარტის № 113
დადგენილებით

## დ ე ბ უ ლ ე ბ ა

**შოთა რუსთაველის სახელობის რესპუბლიკური პრემიების შესახებ**

1. შოთა რუსთაველის სახელობის რესპუბლიკური პრემიები მიენიჭება ორ წელიწადში ერთხელ ქართული საბჭოთა ლიტერატუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რის, მუსიკის, სახვითი, თეატრალური და კინოხელოვნების მაღალ-იდეური და მაღალმხატვრული ნაწარმოებებისათვის, რომლებმაც ფართო საზოგადოებრივი აღიარება მოიპოვეს და ცნობილი გახდნენ პრემიების მინიჭებამდე არა უგვიანეს ნახევარი წლისა.

იმ შემთხვევაში თუ არ აღმოჩნდა ისეთი ნაწარმოები, რომელიც აღნიშნულ მოთხოვნებს დააკმაყოფილებს, პრემიები მინიჭებული არ იქნება.

**შენიშვნა:** პრემიები არ მიენიჭება ნაწარმოებებისათვის, რომელთა ავტორებს წინათ მინიჭებული ჰქონდა სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიები.

2. ნაწარმოებთა წარდგენას შოთა რუსთაველის სახელობის პრემიების მისანიჭებლად ახორციელებენ მწერალთა, კომპოზიტორთა, მხატვართა, კინემატოგრაფისტთა და ჟურნალისტთა კავშირების გამგეობანი, თეატრალური საზოგადოება, სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებანი, უმაღლესი სასწავლებლები, ჟურნალებისა და გაზეთების სარედაქციო კოლეგიები, აგრეთვე საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა კოლექტივები, სულ ცოტა 3 თვით ადრე პრემიების მინიჭებამდე.

3. იმ ნაწარმოებთა სია, რომლებიც წარდგენილია შოთა რუსთაველის სახელობის პრემიების მისანიჭებლად, ქვეყნდება რესპუბლიკურ პრესაში სულ ცოტა ორი თვით ადრე პრემიების მინიჭებამდე.

4. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილება შოთა რუსთაველის სახელობის პრემიების მინიჭების შესახებ გამოქვეყნდება რესპუბლიკურ პრესაში 25 თებერვალს — საბჭოთა საქართველოს წლისთავის დღეს. იმ ნაწარმოებთა ავტორებს, რომლებიც შოთა რუსთაველის სახელობის პრემიების ღირსნი გახდნენ, მიენიჭებათ შოთა რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატის წოდება, გადაეცემათ დიპლომი და ფულადი პრემია.

---

## 29 ხელით სამართავი ავტომობილებით ინვალიდთა უზრუნველყოფის შესახებ

იმ მიზნით, რომ უზრუნველყოფილ იქნან სამამულო ომის ინვალიდები და სხვა ინვალიდები სამხედრო მოსამსახურეთა რიცხვიდან გაუმჯობესებული სატრანსპორტო საშუალებებით და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 29 დეკემბრის № 1277 დად-

ბიბლიოთეკა

გენილების შესასრულებლად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. გამოეყოს 1964 წელს საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს სამამულო ომის ინვალიდებისა და სხვა ინვალიდებისათვის სამხედრო მოსამსახურეთა რიცხვიდან, უკეთუ მათ ექნებათ დაწესებული სამედიცინო ჩვენებანი — „ზაპოროჟეცის" მარკის ხელით სამართავი 130 ავტომობილი მათთვის უფასოდ მისაცემად და 260 მოტოეტლი, მათ შორის 145 მოტოეტლი უფასოდ მისაცემად და 115 მოტოეტლი ფასდაკლებით მისაყიდად.

2. სამამულო ომის ინვალიდთა და სხვა ინვალიდთა შორის სამხედრო მოსამსახურეთა რიცხვიდან „ზაპოროჟეცის" მარკის ხელით სამართავი ავტომობილებისა და მოტოეტლების განაწილებლად გამოიყოს კომისია შემდეგი შემადგენლობით: კომისიის თავმჯდომარე — საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის მინისტრი და წევრები — საქართველოს პროფსაბჭოს მდივანი, რესპუბლიკის სამხედრო კომისარი, საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს საექიმო-შრომითი ექსპერტიზისა და პროტეზირების განყოფილების გამგე და რესპუბლიკური საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისიის თავმჯდომარე.

კომისიამ „ზაპოროჟეცის" მარკის ხელით სამართავი ავტომობილების განაწილების დროს იხელმძღვანელოს ამ დადგენილების მე-9 მუხლით დამტკიცებული ინსტრუქციით ინვალიდებისათვის ავტომობილების მიცემის შესახებ.

3. დაევალოს საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს მოაწყოს „ზაპოროჟეცის" მარკის ხელით სამართავი ავტომობილების კაპიტალური რემონტი, რომლებიც ეძლევათ სამამულო ომის ინვალიდებს და სხვა ინვალიდებს სამხედრო მოსამსახურეთა რიცხვიდან, საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს შეკვეთა-განრიგების თანახმად, რემონტის ღირებულების შემდგომი ანაზღაურებით.

4. დაევალოს თბილისის საქალაქო აღმასკომს დახმარება გაუწიოს უკრაინის სსრ დნეპრისპირა სახალხო მეურნეობის საბჭოს ზაპოროჟიეს ქარხანა „კომუნარს" „ზაპოროჟეცის" მარკის ხელით სამართავი ავტომობილების საგარანტიო მომსახურების პუნქტის მოწყობაში და გამოყოს ამისათვის 1964 წელს სათანადო სადგომი.

5. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკას" შემოიტანოს საქართველოს

მუხ/29
ეროვნული
ბიბლიოთეკა

სსრ ვაჭრობის სამინისტროს განაცხადით „ზაპოროჟეცის“ მარკის ხელით სამართავი ავტომობილებისა და მოტოეტლების სათადარიგო ნაწილები.

6. დაევალოს საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს:

ა) უზრუნველყოს „ზაპოროჟეცის“ მარკის ხელით სამართავი ავტომობილების და მოტოეტლების იმ ფონდების ათვისება, რომლებიც საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროსათვის გამოიყოფა, იმ ანგარიშით, რომ მიეცეთ ისინი ინვალიდებს, რომლებიც მათ უფასოდ ან ფასდაკლებით იღებენ საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს განრიგებით;

ბ) შემოიტანოს და მიჰყიდოს სამამულო ომის ინვალიდებს და სხვა ინვალიდებს სამხედრო მოსამსახურეთა რიცხვიდან საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს განაცხადებით არსებული ნორმატივების შესაბამისად საჭირო რაოდენობის ავტოსაბურავი „ზაპოროჟეცის“ მარკის ხელით სამართავი ავტომობილებისა და მოტოეტლებისათვის;

გ) მიჰყიდოს სამამულო ომის ინვალიდებს და სხვა ინვალიდებს სამხედრო მოსამსახურეთა რიცხვიდან „ზაპოროჟეცის“ მარკის ხელით სამართავი ავტომობილებისა და მოტოეტლების სათადარიგო ნაწილები.

7. დაევალოს საქართველოს არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობ ნებაყოფლობითს საზოგადოებას უზრუნველყოს, რათა სამამულო ომის ინვალიდებმა და სხვა ინვალიდებმა სამხედრო მოსამსახურეთა რიცხვიდან შეისწავლონ ავტომობილების მართვა საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს განაცხადებით და მის ხარჯზე.

8. დაევალოთ საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს და ფინანსთა სამინისტროს გაითვალისწინონ ყოველწლიურად სოციალური უზრუნველყოფისათვის რესპუბლიკის ბიუჯეტით საჭირო ასიგნებანი „ზაპოროჟეცის“ მარკის ხელით სამართავი ავტომობილების შესაძენად.

„ზაპოროჟეცის“ მარკის ხელით სამართავი ავტომობილების შეძენასთან დაკავშირებული ხარჯები გაწეულ იქნას 1964 წელს ამ მიზნისათვის გათვალისწინებული სახსრების ანგარიშში.

9. დამტკიცდეს თანდართული ინსტრუქცია „ზაპოროჟეცის“ მარკის ხელით სამართავი ავტომობილების სამამულო ომის ინვა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიდებისა და სამხედრო მოსამსახურეთა რიცხვიდან სხვა ინვალიდებისათვის მიცემის წესის შესახებ.

10. მიღებულ იქნას ცნობად და შესასრულებლად, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ 1963 წლის 29 დეკემბრის № 1277 დადგენილებით დააწესა: 1964 წლიდან დაწყებული, სამამულო ომის ინვალიდებს და სხვა ინვალიდებს სამხედრო მოსამსახურეთა რიცხვიდან, უკეთუ მათ ექნებათ დაწესებული სამედიცინო ჩვენებანი, მიეცემათ ყოველი 10 წლის შემდეგ უფასოდ „ზაპოროჟეცის" მარკის ხელით სამართავი ერთი მიკროლიტრაჟიანი ავტომობილი, რომლის გაყიდვის და გადაცემის უფლება მათ არა აქვთ.

სამამულო ომის ინვალიდებს და სხვა ინვალიდებს სამხედრო მოსამსახურეთა რიცხვიდან, რომლებმაც უფასოდ მიიღეს მოტოეტლები ან შეღავათიან ფასად ხელით სამართავი მსუბუქი ავტომობილები, ამ დადგენილების გამოცემამდე, შეუძლიათ მიიღონ „ზაპოროჟეცის" მარკის ხელით სამართავი ახალი ავტომობილი უფასოდ მხოლოდ მას შემდეგ, რაც დამთავრდება მოტოეტლის ექსპლუატაციის დაწესებული ხუთწლიანი ვადა ან გაივლის 10 წელი ავტომობილის შეძენის მომენტიდან.

„ზაპოროჟეცის" მარკის ხელით სამართავი იმ ავტომობილების კაპიტალური რემონტი, რომლებიც აღნიშნულ ინვალიდებს ეძლევათ, იწარმოებს უფასოდ 10 წლიწადში ერთხელ, მაგრამ არა უადრეს 6 წლისა გაცემის მომენტიდან, იმ სახსრების ხარჯზე, რომლებიც გათვალისწინებულია მოკავშირე რესპუბლიკების ბიუჯეტებით, სოციალური უზრუნველყოფისათვის.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. შირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1964 წ. 11 მარტი, № 115.

მუხ. 29
ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1964 წლის 11 მარტის № 115
დადგენილებით

# ინსტრუქცია

## „ზაპოროჟეცის“ მარკის ხელით სამართავი ავტომობილების სამამულო ომის ინვალიდებისა და სამხედრო მოსამსახურეთა რიცხვიდან სხვა ინვალიდებისათვის მიცემის წესის შესახებ

სამამულო ომის ინვალიდებს და სხვა ინვალიდებს სამხედრო მოსამსახურეთა რიცხვიდან უფასოდ მიეცემათ ყოველი 10 წლის შემდეგ „ზაპოროჟეცის“ მარკის ხელით სამართავი ერთი მიკროლიტრაჟიანი ავტომობილი, რომლის გაყიდვისა და გადაცემის უფლება მათ არა აქვთ.

სამამულო ომის ინვალიდებსა და სხვა ინვალიდებს სამხედრო მოსამსახურეთა რიცხვიდან, რომლებმაც უფასოდ მიიღეს მოტოეტლები, ან შეღავათიან ფასებში — ხელით სამართავი მსუბუქი ავტომობილები სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 29 დეკემბრის № 1277 დადგენილების გამოცემამდე, შეუძლიათ მიიღონ „ზაპოროჟეცის“ მარკის ხელით სამართავი ახალი ავტომობილი უფასოდ მხოლოდ მას შემდეგ, რაც დამთავრდება მოტოეტლის ექსპლუატაციის დაწესებული ხუთი წლის ვადა, ან გაივლის 10 წელი ავტომობილის შეძენის მომენტიდან.

„ზაპოროჟეცის“ მარკის ხელით სამართავი ავტომობილები გაიცემა უფასოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს სამედიცინო ჩვენებანი, რომლებიც გათვალისწინებულია სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს 1951 წლის 22 ნოემბრის № 841 და 1956 წლის 3 აგვისტოს № 200 ინსტრუქციებით.

იმ ინვალიდთა შემოწმება, რომლებსაც სურთ შეიძინონ „ზაპოროჟეცის“ მარკის ხელით სამართავი ავტომობილი, წარმოებს მშრომელთა დეპუტატების საქალაქო (რაიონული) საბჭოების აღმასკომების სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებების საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისიების მიერ სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ზემოაღნიშნული ინსტრუქციების შესაბამისად.

საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისიის დასკვნას ხელით სამართავი ავტომობილის გამოყოფის შესახებ სოციალური უზრუნ-

№ 1 ეროვნული ბიბლიოთეკა

ველყოფის განყოფილება ხუთი დღის ვადაში წარუდგენს განსახილველად საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს რესპუბლიკურ საექიმო-შრომითს საექსპერტო კომისიას.

იმ ინვალიდებს, რომელთაც სამედიცინო ჩვენებათა მიხედვით ეკუთვნით ხელით სამართავი ავტომობილი, რესპუბლიკური საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისია შეიტანს პირველი, მეორე და მესამე რიგის სიებში, დაავადების სიმძიმის მიხედვით.

პირველი რიგის სიებში შეიტანებიან ინვალიდები, რომელთაც აქვთ:

ა) ბარძაყის ორმხრივი ტაკვი;

ბ) წვივის ორივე ტაკვის მედეგი დაავადება, ორივე ქვედა კიდურის დამბლა.

მეორე რიგის სიებში შეიტანებიან ინვალიდები, რომელთაც აქვთ ბარძაყის ან წვივის ცალმხრივი ტაკვი, იმავდროულად არასრულფასოვანი სხვა კიდური და აქვს ერთი ბარძაყის მაღალი ამპუტაცია.

მესამე რიგის სიებში შეიტანებიან ინვალიდები, რომელთაც აქვთ ქვედა კიდურების მედეგი დეფორმაცია და დაავადება, რომლებიც აძნელებენ სიარულს, და სხვა.

ხელით სამართავ ავტომობილებს გაანაწილებს ინვალიდის დაავადების სიმძიმის მიხედვით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით დამტკიცებული სპეციალური კომისია.

ინვალიდებს, რომლებიც იმყოფებიან საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს სისტემის ინვალიდთა სახლებში, „ზაპოროჟეცის“ მარკის ხელით სამართავი ავტომობილები არ მიეცემათ.

„ზაპოროჟეცის“ მარკის ხელით სამართავი იმ ავტომობილების კაპიტალური რემონტი, რომლებიც ეძლევა სამამულო ომის ინვალიდებს და სხვა ინვალიდებს სამხედრო მოსამსახურეთა რიცხვიდან, წარმოებს უფასოდ 10 წელიწადში ერთხელ, მაგრამ არა უადრეს 6 წლისა მიცემის მომენტიდან.

კაპიტალურ შეკეთებასთან და ინვალიდებისათვის ავტომობილის მართვის სწავლებასთან დაკავშირებული ხარჯები (რომელშიაც ჩაითვლება უფასო მგზავრობა, კვება და საერთო საცხოვრებლის საზღაური სწავლების პერიოდში სხვა ქალაქელთათვის), გაიწევა პროტეზირების იმ სახსრების ხარჯზე, რომლებიც საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს გამოეყოფა რესპუბლიკური ბიუჯეტით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინვალიდისათვის „ზაპოროჟეცის“ მარკის ხელით სამართავი ავტომანქანის გამოყოფისას მას იმავდროულად მიეცემა მიმართვა საქართველოს არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობ ნებაყოფლობით საზოგადოებაში ავტომანქანის მართვის უფასოდ სწავლებისათვის.

---

## 30 ვაჭრობის ორგანიზაციის გაუმჯობესების ზოგიერთი ღონისძიების შესახებ

ვაჭრობის ორგანიზაციის გაუმჯობესების, სავაჭრო ქსელში საქონლის მიტანის მოწესრიგებისა და ზედნადები ხარჯების შემცირების მიზნით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭომ და საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრომ გააუქმონ თბილისში, ქუთაისში, სოხუმში, ბათუმსა და სხვა ქალაქებში, სადაც საქონლის შეტანას სავაჭრო ქსელში ცენტრალიზებული წესით ეწევიან მრეწველობა და საბითუმო ბაზები, ექსპედიტორთა თანამდებობანი და გაგზავნის ფუნქციები გადასცენ საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს ავტოსატრანსპორტო კანტორებს.

სამრეწველო საწარმოებმა და სავაჭრო ორგანიზაციებმა უზრუნველყონ დასაბრუნებელი ტარის გატანისა და გამოყენების წესის მტკიცედ დაცვა.

2. საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრომ:

ა) დააკისროს ავტოსატრანსპორტო კანტორების მანქანების მძღოლებს, რომლებიც ეწევიან ტვირთის ცენტრალიზებულ გადაზიდვას, ექსპედიტორთა ფუნქციები მატერიალური პასუხისმგებლობით იმ სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობებისათვის, რომელთა მიტანა მათ დაკისრებული აქვთ;

ბ) დაავალოს ავტოსატრანსპორტო კანტორებს დასდონ სავაჭრო ორგანიზაციებთან ხელშეკრულებანი იმის შესახებ, რომ შინ მიუტანონ მყიდველებს მაღაზიებიდან მსხვილგაბარიტული და მძიმე წონის საქონელი — ავეჯი, პიანინო, მაცივრები და სხვ. ამასთან დააწესოს, რომ საქონლის შინ მიტანას მყიდველი აანაზღაურებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

პრეისკურანტის მიხედვით უშუალოდ მაღაზიაში, ნაყიდი საქონლის ღირებულების ფასის გადახდის დროს.

საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრომ საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროსთან ერთად ორი კვირის ვადაში წარუდგინოს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას დასამტკიცებლად საქონლის შინ მიტანის მომსახურების ანაზღაურების პრეისკურანტი.

3. ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველომ მოაწყოს, რომ კონტეინერებით იქნას მიტანილი სავაჭრო ქსელში რკინიგზის მიერ სავაჭრო ორგანიზაციების სახელზე მიღებული ტვირთები, ამასთან იქონიოს მხედველობაში, რომ საჭიროა საკონტეინერო პუნქტების ქსელის შემდგომი გაფართოება.

4. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიამ სახალხო მეურნეობის გეგმებით გაითვალისწინოს დაფასოებული საქონლის გამოშვების მკვეთრად გადიდება და მისი ასორტიმენტის გაფართოება.

5. საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭომ:

ა) საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროსთან და ცეკავშირის გამგეობასთან ერთად დასახოს და განახორციელოს ღონისძიებანი, რომელთა მიზანია უკონდიციო და ფალსიფიცირებული ღვინო-არყის ნაწარმისა და კონიაკის გამოშვებისა და სავაჭრო ქსელში შეტანის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერება.

ამ მიზნით ჩამოსხმის თარიღთან ერთად სავალდებულო წესით აღინიშნოს ეტიკეტებზე ღვინის ფაქტიური სიმაგრე;

ბ) კვების მრეწველობის სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტთან ერთად ერთი თვის ვადაში შეიმუშაოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დასამტკიცებლად წარმოუდგინოს ქართული ღვინოების ახალი ტექნიკური პირობები, რომლებითაც გაითვალისწინოს ღვინის სიმაგრეში გადახრის მაქსიმალური შემცირება;

გ) ჯაუმჯობესოს იმ სამრეწველო საქონლის მარკირება, რომელსაც სავაჭრო ორგანიზაციებს გადასცემენ მოსახლეობისათვის მისაყიდად, იმ ანგარიშით, რომ გამოირიცხოს სავაჭრო ქსელში საწარმოო იარლიყების გამოცვლისა და სხვა ბოროტმოქმედებათა ჩადენის შესაძლებლობა.

6. დაევალოთ საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს და ცეკავშირის გამგეობას მკაცრი კონტროლი გაუწიონ სავაჭრო ორგანიზაციების იმ მუშაკთა მივლინებას, რომლებიც რესპუბლიკის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფარგლებს გარეთ იგზავნებიან საქონლის შესაძენად თვითშესყიდ-ვის წესით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე გ. ჯავახიშვილი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი ა. ჰირაჟაძე.

ქ. თბილისი, 1964 წ. 17 მარტი, № 123.

## 31 ავტობუსების შოფრებისა და კონდუქტორებისათვის პრემიების ოდენობის განსაზღვრის გაუქმების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

მიღებულ იქნას ცნობად, რომ „ავტობუსების შოფრებისა და კონდუქტორებისათვის პრემიების ოდენობის განსაზღვრის გაუქმების შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 9 მარტის № 202 დადგენილებით, იმ მიზნით, რომ გაძლიერდეს ავტობუსების შოფრებისა და კონდუქტორების მატერიალური დაინტერესება ამონაგების გეგმების შესრულებით, მიღებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხთა სახელმწიფო კომიტეტის, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს და პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს წინადადება იმის შესახებ, რომ გაუქმდეს ავტობუსების შოფრებისა და კონდუქტორებისათვის პრემიების ოდენობის განსაზღვრა, რაც დაწესებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 11 აგვისტოს № 896 დადგენილებით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე გ. ჩოგოვაძე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი ა. ჰირაჟაძე.

ქ. თბილისი, 1964 წ. 17 მარტი, № 130.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**32** ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის ხელმძღვანელ და პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობის თანამდებობრივი განაკვეთების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. მიღებულ იქნას ცნობად, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 9 მარტის № 197 დადგენილებით „ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტების ხელმძღვანელ და პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობის თანამდებობრივი განაკვეთების შესახებ“, ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტების ხელმძღვანელ და პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობას დაუწესდა თანამდებობრივი განაკვეთები, რომლებიც გათვალისწინებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1957 წლის 5 ივნისის № 660 დადგენილებით უმაღლესი სასწავლებლების ხელმძღვანელ და პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობისათვის და გაუქმებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1946 წლის 27 ივლისის № 1661 დადგენილება.

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1946 წლის 5 აგვისტოს № 612 დადგენილება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **გ. ჩოგოვაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. პირაჟაძე.**

ქ. თბილისი, 1964 წ. 17 მარტი, № 131.

**33** „საქართველოს სს რესპუბლიკაში სახოფლო-სამეურნეო კულტურების ჯიშობრივი დარაიონების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 8 თებერვლის № 88 დადგენილებაში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის თაობაზე

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს ცვლილებანი და დამატებანი საქართველოს სს რესპუბლიკაში სასოფლო-სამეურნეო კულტურების ჯიშობრივ დარაიონებაში, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს სსრ მი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნისტრთა საბჭოს 1963 წლის 8 თებერვლის № 88 დადგენილებით, დანართის თანახმად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე გ. ჩოგოვაძე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი ა. მირაქაძე.

ქ. თბილისი, 1964 წ. 17 მარტი, № 132.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1964 წლის 17 მარტის № 132
დადგენილების დანართი

## ცვლილებანი და დამატებანი

### განაყოფში „ჯიშების დარაიონება კულტურების მიხედვით“

### საშემოდგომო ხორბალი

1. ჯიში უფხო-1 დარაიონდეს VIII ზონაში — სამხრეთ ოსეთის და ქართლის ურწყავი და XII ზონაში—თრიალეთის მთიან-ტყიანი.

2. ჯიში მოწინავე დარაიონდეს XIV ზონაში — სამგორის სარწყავი.

3. ჯიში ვარგისი მოიხსნას დარაიონებიდან XIV ზონაში — სამგორის სარწყავი.

4. ჯიში ლაგოდეხის გრძელთავთავა მოიხსნას დარაიონებიდან XVII ზონაში — ალაზნისპირა ტენიანი და XVIII ზონაში — მდინარე ალაზნის მარჯვენა ნაპირის ურწყავი ნაწილი.

5. ჯიში ნოვოუკრაინკა-83 მოიხსნას დარაიონებიდან II ზონაში — სუბტროპიკული ტენიანი, III ზონაში — ქვემო იმერეთი, X ზონაში — ქვემო ქართლის სარწყავი და XI ზონაში — თრიალეთის მთისწინა ურწყავი.

### სოია სამარცვლედ

1. ჯიში ადრეულა-6 დარაიონდეს IX ზონაში — ქართლის სარწყავი (მცხეთის რაიონის მხოლოდ დაბლობი სარწყავი ნაწილისათვის) და XVI ზონაში — ალაზნის სარწყავი.

№ 1
ეროვნული ბიბლიოთეკა

### სოია სიმინდთან ერთად სასილოსედ

1. ჯიში იმერული ადგილობრივი დარაიონდეს XIV ზონაში — სამგორის სარწყავი.

2. ჯიში მოწინავე-7 დარაიონდეს XVII ზონაში ალაზნის მიღმა ტენიანი და XVIII ზონაში — მდინარე ალაზნის მარჯვენა ნაპირის ურწყავი ნაწილი.

### სამყურა

1. ჯიში ნემერჩანსკი-1 დარაიონდეს I ზონაში — სანაპირო სუბტროპიკული ტენიანი და ზედმეტად ტენიანი.

### თეთრთავიანი კომბოსტო

#### ა) ზაფხულის ნათესი

1. ჯიში ოქროს ჰექტარი-1432 დარაიონდება გავრცელდეს I ზონის ყველა რაიონისათვის — სანაპირო ტენიანი და ზედმეტად ტენიანი, დარაიონდეს II ზონაში — სუბტროპიკული ტენიანი და III ზონაში — ქვემო იმერეთი.

#### ბ) შემოდგომის ნათესი

1. ჯიში ვირ-1133 დარაიონდეს II ზონაში — სუბტროპიკული ტენიანი (გეგეჭკორისა და სამტრედიის რაიონებისათვის).

2. ჯიში ბორჯომის იდეალი დარაიონდეს III ზონაში — ქვემო იმერეთი.

### ყვავილოვანი კომბოსტო

1. ჯიში გრიბოვის საადრეო-1355 დარაიონდეს X ზონაში — ქვემო ქართლის სარწყავი.

2. ჯიში სნეჟინკა დარაიონდეს X ზონაში — ქვემო ქართლის სარწყავი.

3. ჯიში სკოროსპელკა დარაიონდეს XX ზონაში — სამხრეთ ოსეთის მთიანი.

### კიტრი

1. ჯიში რიაბჩიკ-357/4 მოიხსნას დარაიონებიდან X ზონაში — ქვემო იმერეთის სარწყავი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

### თავიანი ხახვი საშემოდგომო თესვისათვის

1. ჯიში ესპანური-313 დარაიონდეს I ზონაში — სანაპირო სუბტროპიკული ტენიანი და ზედმეტად ტენიანი (გარდა ზუგდიდის რაიონისა) და XVI ზონაში — ალაზნის სარწყავი.

2. ჯიში კრასნოდარის გ-35 დარაიონდეს I ზონაში — სანაპირო სუბტროპიკული ტენიანი და ზედმეტად ტენიანი (გარდა ზუგდიდის რაიონისა).

### მწვანე ლობიო

1. ჯიში სახარნაია გრიბოვსკაია-802 დარაიონდეს XVI ზონაში — ალაზნის სარწყავი.

### თვის ბოლოკი

1. ჯიში რუბინი დარაიონდეს I ზონაში — სანაპირო სუბტროპიკული ტენიანი და ზედმეტად ტენიანი (გარდა ზუგდიდის რაიონისა).

2. ჯიში წითელი თეთრთავიანი დარაიონდეს III ზონაში — ქვემო იმერეთი და XII ზონაში — თრიალეთის მთიან-ტყიანი (ბოლნისის რაიონის მთიანი ნაწილისათვის).

### ნესვი

1. ჯიში ლიმონოჟოლტი დარაიონდეს I ზონაში — სანაპირო სუბტროპიკული ტენიანი და ზედმეტად ტენიანი (გარდა ზუგდიდის რაიონისა).

### კარტოფილი

#### გაზაფხულის რგვისათვის

1. ჯიში ვოლუსკი დარაიონდეს X ზონაში — ქვემო ქართლის სარწყავი.

### ჩაი

1. ჯიში ზუგდიდის მსხვილფოთოლა (№ 11) დარაიონდეს მახარაძის რაიონის ბორცვიანი და მთისწინა ნაწილის უფრო ცივ ადგილებზე.

2. ჯიში ზამთარგამძლე (№ 7) დარაიონდეს მაიაკოვსკის რაიონის ბორცვიანი და მთისწინა ნაწილისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

### ფორთოხალი

1. ჯიში გლუვკანიანი დარაიონდეს ჩაქვის რაიონის ჭოროხმილმა მორცვიანი და მთისწინა ნაწილისათვის.

### ხურმა

1. ჯიში ხიაკუმე დარაიონდეს XVIII ზონაში — მდინარე ალაზნის მარჯვენა ნაპირის ურწყავი ნაწილი, მაიაკოვსკისა და მახარაძის რაიონებისათვის.

2. ჯიში ჯირო (ჩინებული) დარაიონდეს XVIII ზონაში — მდინარე ალაზნის მარჯვენა ნაპირის ურწყავი ნაწილი, მახარაძისა და მაიაკოვსკის რაიონებისათვის.

3. ჯიში ზენჯი-მარუ (შემფერქვევი) დარაიონდეს მაიაკოვსკისა და მახარაძის რაიონებში.

4. ჯიში სიდლესი დარაიონდეს XVIII ზონაში — მდინარე ალაზნის მარჯვენა ნაპირის ურწყავი ნაწილი.

### ლეღვი

1. ჯიში სოჭის-15 დარაიონდეს მაიაკოვსკის რაიონში.

2. ჯიში აფხაზური იისფერი დარაიონდეს მაიაკოვსკის რაიონში.

3. ჯიში კადოტა დარაიონდეს XVIII ზონაში — მდინარე ალაზნის მარჯვენა ნაპირის ურწყავი ნაწილი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჟორჟაძე.**

## 34 საქართველოს სსრ მსუბუქი და კვების მრეწველობის საწარმოთა პროდუქციის მოქმედი საბითუმო ფასების გადასინჯვის შესახებ

„მსუბუქი და კვების მრეწველობის საწარმოთა პროდუქციის მოქმედი საბითუმო ფასების გადასინჯვის შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 4 იანვრის № 13 დადგენილების შესასრულებლად და იმ მიზნით, რომ მოწესრიგდეს მსუბუქი და კვების მრეწველობის საწარმოთა პროდუქციის საბითუმო ფასები, აგრეთვე გაძლიერდეს საწარმოების დაინტერესება საქონლის

ფონდ 34
ეროვნული ბიბლიოთეკა

ასორტიმენტის გაფართოებითა და მისი ხარისხის გაუმჯობესებით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაევალოს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას გადასინჯოს 1964 წელს საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს, სახალხო მეურნეობის საბჭოს, რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებების მონაწილეობით, შემდეგ ნაკეთობათა მოქმედი საბითუმო ფასები:

საგალანტერიო და საგზაო ნაკეთობანი ტყავისაგან, ტყავის შემცვლელებისა და ქსოვილისაგან საბაზრო და ბაზრისგარეშე მომხმარებლებისათვის;

საფეიქრო-საგალანტერიო ნაწარმი, მათ შორის ტექნიკური ნაკეთობანი და ნახევარფაბრიკატები, მუშამბა;

ფეტრის ქუდები და ჩაჩი, ქეჩა და ქეჩის ნაწარმი;

საფარდე-ტიულის, მაქმანის ნაწარმი და ნაკერი (გარდა საფარდე ტილოს ნახევარფაბრიკატებისა);

საპროტეზო-ორთოპედიული ნაკეთობანი;

ჯაგრისა და ჯაგრისის ნაკეთობანი საბაზრო და ბაზრისგარეშე მომხმარებლებისათვის, სასარაჯო-საუნაგირო ნაკეთობანი;

სპორტული საქონელი ბაზრისგარეშე მომხმარებლებისათვის;

ავეჯი ბაზრისგარეშე მომხმარებლებისათვის;

ლითონის ფურნიტურა, კალაპოტები, ქუსლები და სხვა ნაკეთობანი;

საკონდიტრო ნაწარმი;

ყურძნის ღვინოები, კონიაკი, შამპანური და ღვინის მასალები;

რძე, მჟავე რძის პროდუქტები, რბილი და ნადნობი ყველი, ნაყინი და რძის მრეწველობის სხვა პროდუქცია.

2. დაეკისროს პრეისკურანტთა პროექტების საანგარიშო მასალების შემუშავება მსუბუქი და კვების მრეწველობის საწარმოებს, სახალხო მეურნეობის საბჭოს, მის სამმართველოებს და ტრესტებს, საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის მიერ დაწესებულ ვადებში.

მსუბუქი და კვების მრეწველობის საწარმოთა პროდუქციის პრეისკურანტების პროექტების შემუშავება დაეკისროს სახალხო მეურნეობის საბჭოს მანქანათმშენებლობისა და ელექტროტექნიკის საპროექტო-ტექნოლოგიურ სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტთან არსებულ ეკონომიური გამოკვლევებისა და ანალიზების ცენტრალურ ბიუროს.

№ 1 ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ დადგენილების 1 მუხლში დასახელებული პროდუქციის ახალი საბითუმო ფასები შემოღებულ იქნას სამოქმედოდ 1965 წლის 1 იანვრიდან.

3. მსუბუქი და კვების მრეწველობის საწარმოთა პროდუქციის საბითუმო ფასების გადასინჯვისას სახელმძღვანელოდ იქნას მიღებული საინსტრუქციო მითითებანი, რომლებიც დამტკიცებულია სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტისა და სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს 1964 წლის 6 თებერვლის № 34-63/42 საინსტრუქციო მითითებებით.

4. უფლება მიენიჭოს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას:

ა) აძლიოს საქართველოს სსრ ყველა უწყებას, ორგანიზაციას და საწარმოს მითითებანი და განმარტებანი მსუბუქი და კვების მრეწველობის საწარმოთა პროდუქციის საბითუმო ფასების გადასინჯვასთან დაკავშირებულ საკითხებზე;

ბ) მიიღოს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოსაგან, მისი საწარმოებისა და ორგანიზაციებისაგან, აგრეთვე რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებებისაგან საანგარიშო, საანგარიშსწორებო და საცნობარო მასალები, რომლებიც საჭიროა საბითუმო ფასების პრეისკურანტთა პროექტების მოსამზადებლად და განსახილველად;

გ) მოიწვიოს ამ დადგენილებით გათვალისწინებული საბითუმო ფასების პრეისკურანტთა გადასასინჯავად, აგრეთვე მათი ექსპერტიზისა და კონსულტაციისათვის საქართველოს სსრ საწარმოების, სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების, სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროებისა და უწყებების მაღალკვალიფიციური სპეციალისტები სამ თვემდე ვადით.

5. დაევალოს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას:

ა) ორი კვირის ვადაში დაამტკიცოს მსუბუქი და კვების მრეწველობის საწარმოთა იმ პროდუქციის საბითუმო ფასების გადასინჯვის მეთოდური მითითებანი და ფორმები, რომლის ფასები რესპუბლიკაში მტკიცდება პრეისკურანტთა პროექტებთან შეუთანხმებლად, და აცნობოს ისინი საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროებსა და უწყებებს, რომლებიც ეწევიან აღნიშნული პროდუქციის პრეისკურანტთა პროექტების შემუშავებას, ხოლო იმ პროდუქციის მიმართ, რომლის ფასები რესპუბლიკაში მტკიცდება პრეისკურანტთა პროექტების კოორდინა-

ეროვნული

ციის შემდეგ, აღნიშნული სამუშაო განახორციელოს იმ ორგანიზა-
ციებისაგან მასალების მიღების მიხედვით, რომლებიც ეწევიან პრე-
ისკურანტთა პროექტების კოორდინაციას;

ბ) არა უგვიანეს 1964 წლის 1 ივლისისა დაამტკიცოს იმ ნაკე-
თობათა ტექნიკური პირობები, რომლებიც შეტანილ უნდა იქნან
ახალი საბითუმო ფასების პრეისკურანტებში, უკეთუ ამ ნაკეთო-
ბებზე არ მოიპოვება სათანადოდ დამტკიცებული ტექნიკური პირო-
ბები ან თუ 1964 წელს გადის მათი მოქმედების ვადა.

6. დაევალოთ საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს და
სახალხო მეურნეობის საბჭოს განსაზღვრონ საქართველოს სსრ სა-
ხელმწიფო საგეგმო კომისიასთან შეთანხმებით და ორი კვირის ვა-
დაში წარუდგინონ მას მსუბუქი და კვების მრეწველობის საწარ-
მოების იმ პროდუქციის ნომენკლატურა, რომელიც შეტანილ უნდა
იქნას ახალი საბითუმო ფასების პრეისკურანტებში, რომლებიც
დამტკიცდება რესპუბლიკაში.

7. დაწესდეს, რომ საბითუმო ფასების იმ პროექტების საანგა-
რიშო მასალები, რომელთა შემუშავებას ეწევიან სამეცნიერო-საკვ-
ლევი ინსტიტუტები და ამტკიცებს სსრ კავშირის სახელმწიფო სა-
გეგმო კომიტეტი, წარედგინება იმ წესით, რაც დადგენილია სსრ
კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტისა და სსრ კავშირის ფი-
ნანსთა სამინისტროს 1964 წლის 6 თებერვლის № 34 63/42 საინსტ-
რუქციო მითითებებით, ხოლო იმ პროდუქციის მიმართ, რომლის
ფასები რესპუბლიკაში მტკიცდება, წარედგინება საქართველოს სსრ
სახალხო მეურნეობის საბჭოს მანქანათმშენებლობისა და ელექტ-
როტექნიკის საპროექტო-ტექნოლოგიურ სამეცნიერო-საკვლევ ინს-
ტიტუტთან არსებულ ეკონომიური გამოკვლევებისა და ანალიზების
ცენტრალურ ბიუროს.

სახალხო მეურნეობის საბჭოს მანქანათმშენებლობისა და ელექ-
ტროტექნიკის საპროექტო-ტექნოლოგიურ სამეცნიერო-საკვლევ
ინსტიტუტთან არსებული ეკონომიური გამოკვლევებისა და ანალი-
ზების ცენტრალური ბიურო წარუდგენს პრეისკურანტთა პროექ-
ტებს საანგარიშო მასალებთან და ეკონომიურ დასაბუთებებთან
ერთად საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, რომელიც
მათ განსახილველად გადასცემს საქართველოს სსრ სახელმწიფო
საგეგმო კომისიას.

საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისია საქართვე-
ლოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან და სახალხო მეურნეობის

№1
ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოსთან ერთად განიხილავს საანგარიშო მასალებს, პრეისკურანტთა პროექტებს და შესათანხმებელი პრეისკურანტების მიხედვით წარუდგენს თავის პროექტებს იმ ორგანიზაციებს, რომლებსაც სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტისა და სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს 1964 წლის 6 თებერვლის № 34-63/42 საინსტრუქციო მითითებებით (დანართი № 2) დაკისრებული აქვთ რესპუბლიკური პრეისკურანტების კოორდინაცია.

8. დაევალოთ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროებსა და უწყებებს:

ა) უზრუნველყონ, რათა დროზე წარადგინონ დაწესებული ფორმების მიხედვით მათდამი დაქვემდებარებულმა საწარმოებმა და ორგანიზაციებმა საბითუმო ფასების გადასასინჯავად საჭირო მთელი მასალები პრეისკურანტთა პროექტებისა, რომლებსაც ამტკიცებს როგორც სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი, ისე რესპუბლიკა;

ბ) წარუდგინონ საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას საჭირო მასალები ამ დადგენილების მე-5 მუხლით გათვალისწინებული ტექნიკური პირობების დასამტკიცებლად, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის მიერ დაწესებულ ვადებში.

9. საქართველოს სსრ მსუბუქი და კვების მრეწველობის საწარმოთა პროდუქციის ახალი საბითუმო ფასების პრეისკურანტთა პროექტების განსახილველად და დადგენილი წესით მათ შემდგომ დასამტკიცებლად შეიქმნას საუწყებათაშორისო კომისია შემდეგი ამხანაგების შემადგენლობით: დ. ვ. კეშელავა (თავმჯდომარე), გ. ა. ჯაბუა, ა. ვ. ხუროძე, ვ. ს. ტრაპაიძე, რ. ს. ელიგულაშვილი, ვ. დ. ლოლობერიძე, ს. ს. იგიტიანი (საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის ფასების, სტანდარტებისა და ტექნიკური პირობების განყოფილების უფროსი).

საუწყებათაშორისო კომისიამ თავის მუშაობაში იხელმძღვანელოს პროდუქციის დაპროექტებული თვითღირებულების დასაბუთებულობის, საბითუმო ფასების განსაზღვრისათვის მიღებული რენტაბელობის დონის გულმოდგინედ შემოწმების პრინციპით, ამასთან იქონიოს მხედველობაში, რომ საბითუმო ფასების პრეისკურანტები უნდა გამარტივდეს (უნდა აღმოიფხვრას ფასების სიმრავლე, რათა გაადვილდეს პრეისკურანტებით სარგებლობა საწარმოების მიერ პროდუქციის ასორტიმენტის განახლებისა და გაფართოების დროს) და რომ საბითუმო ფასების გადასინჯვა უნდა მოხდეს საცა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლო ფასების დონის შეუცვლელად და სახელმწიფო ბიუჯეტისათვის ზარალის მიუყენებლად.

10. დაევალოს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს 1964 წლის 1 ნოემბრამდე მოამზადოს დასაბეჭდად და გამოუშვას მანქანათმშენებლობისა და ელექტროტექნიკის საპროექტო-ტექნოლოგიური სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის საგამომცემლო განყოფილების მეშვეობით მსუბუქი და კვების მრეწველობის საწარმოთა პროდუქციის ყველა პრეისკურანტი, რომლებიც საქართველოს სს რესპუბლიკაში გამოიცემა, და რესპუბლიკური ტექნიკური პირობები.

დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტს 1964 წლის 1 დეკემბრამდე დაბეჭდოს და გამოუშვას ზემოაღნიშნული პრეისკურანტები და ტექნიკური პირობები შეკვეთის საწყისებზე.

საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიამ 1964 წლის 1 ოქტომბრამდე დაამთავროს პრეისკურანტებისა და რესპუბლიკური ტექნიკური პირობების დედნების გადაცემა საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს მანქანათმშენებლობისა და ელექტროტექნიკის საპროექტო-ტექნოლოგიურ სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტისათვის ქართულ და რუსულ ენაზე, აგრეთვე უზრუნველყოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის იმ სტამბის დაფინანსება, რომელიც ზემოაღნიშნულ მასალებს დაბეჭდავს.

11. გამოეყოს 1964 წელს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სარეზერვო ფონდიდან მსუბუქი და კვების მრეწველობის საწარმოთა პროდუქციის ახალი საბითუმო ფასების გადასასინჯავად და შესამუშავებლად, სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის რესპუბლიკური ტექნიკური პირობების შესამუშავებლად, პრეისკურანტებისა და ტექნიკური პირობების შემოწმებისა, თარგმნისა, რედაქტირებისა, გამოცემისა და დაგზავნისათვის 59. 100 მანეთი, მათ შორის არასაშტატო (არასიობრივი) შემადგენლობის მუშაკთა ხელფასის ფონდი — 24.500 მანეთი ხელფასის ფონდის რეზერვის ხარჯზე, რომელიც გათვალისწინებულია სახალხო მეურნეობის განვითარების 1964 წლის გეგმით.

საანგარიშო და საკალკულაციო მასალების მომზადების სამუშაოები საქართველოს სსრ ორგანიზაციებსა და საწარმოებში, რომელთაც დავალებული აქვთ საანგარიშო მასალების შედგენა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბითუმო ფასების პრეისკურანტთა პროექტების შემუშავება (თუ ეს სამუშაოები არასამუშაო დროს სრულდება) ანაზღაურდება იმ წესით, რაც გათვალისწინებულია ზედმეტ საათებში მუშაობისა და აკორდული სამუშაოების ანაზღაურებლად, 1964 წლის ადმინისტრაციულ-სამმართველო ხარჯების ხარჯთაღრიცხვების ეკონომიის ანგარიშში.

12. ეთხოვოს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის საბჭოს გამოყოს 1964 წელს საბითუმო ფასების პრეისკურანტებისა და რესპუბლიკური ტექნიკური პირობების გამოსაცემად 30 ტონა სასტამბო ქაღალდი (მათ შორის პირველ კვარტალში — 5 ტონა, მეორე კვარტალში — 10 ტონა, მესამე კვარტალში — 10 ტონა და IV კვარტალში — 5 ტონა) და 4 ტონა გარეკანის ქაღალდი.

13. დაწესდეს, რომ მსუბუქი და კვების მრეწველობის საწარმოთა პროდუქციის ახალი საბითუმო ფასების პრეისკურანტები უფასოდ დაეგზავნება საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **გ. ჩოგოვაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ვირაჭაძე.**

ქ. თბილისი, 1964 წ. 19 მარტი, № 133.

## 35 კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების თამბაქოს საკონტრაქტაციო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული მატერიალური პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

იმასთან დაკავშირებით, რომ 1963 წელს მეტად ცუდი ამინდისა და დაავადებათა გამო დაიღუპა თამბაქოს მოსავლის დიდი ნაწილი და ძირითადად ამ მიზეზით ვერ შესრულდა მისი შესყიდვის (ჩაბარების) გეგმები, განთავისუფლებულ იქნან საქართველოს სს რესპუბლიკის დაზარალებული კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები თამბაქოს საკონტრაქტაციო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული მატერიალური პასუხისმგებლობისაგან, საქართველოს სსრ

ეროვნული

სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს მიერ დამტკიცებული სიის მიხედვით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **გ. ჩოგოვაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჟირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1964 წ. 20 მარტი, № 135.

## 36 საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს დებულება საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს შესახებ.

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1954 წლის 29 იანვრის № 86 დადგენილებით დამტკიცებული დებულება საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის და გზატკეცილების სამინისტროს შესახებ საავტომობილო ტრანსპორტის ნაწილში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **გ. ჩოგოვაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჟირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1964 წ. 20 მარტი, № 137.

დ ა მ ტ კ ი ც ე ბ უ ლ ი ა
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1964 წლის 20 მარტის № 137
დადგენილებით

### დ ე ბ უ ლ ე ბ ა
### საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს შესახებ

1. საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრო, საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 55 და

№ 1
ეროვნული ბიბლიოთეკა

58 მუხლების შესაბამისად, არის რესპუბლიკური სამინისტრო და თავის საქმიანობაში ემორჩილება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

2. საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრო მოაწყობს და განახორციელებს საქონლისა და სახალხო მოხმარების საგნების მასობრივი სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო ტვირთების გადაზიდვას და მგზავრთა გადაყვანას; მოაწყობს დადგენილი წესით საავტომობილო მეურნეობებს, საწარმოებს ავტომობილების რემონტისა და ტექნიკური მომსახურებისათვის და საგარაჟო მოწყობილობის წარმოებისათვის; განახორციელებს კადრების მომზადებას საავტომობილო ტრანსპორტისათვის; შეიმუშავებს და განახორციელებს ღონისძიებებს საავტომობილო ტრანსპორტისა და მოწყობილობის გამოყენების გაუმჯობესებისათვის.

3. საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრო განახორციელებს კონტროლს რესპუბლიკის საავტომობილო ტრანსპორტის ექსპლუატაციისა და ტექნიკური მდგომარეობისადმი (გარდა სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის და საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს ავტოტრანსპორტისა), რისთვისაც სამინისტროს უფლება ენიჭება აწარმოოს ავტოტრანსპორტის მუშაობის გამოკვლევა და შეამოწმოს შესაბამისი დოკუმენტები.

4. საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრო ხელმძღვანელობს და განაგებს მის სისტემაში შემავალ ავტოსატრანსპორტო ტრესტებს, სამმართველოებს, საავტომობილო მეურნეობებს, სატრანსპორტო-საექსპედიციო კანტორებს, ავტომობილებისა და აგრეგატების სარემონტო ქარხნებსა და სახელოსნოებს, ავტომობილების ტექნიკური მომსახურების სადგურებს, სალტესარემონტო და სარემონტო-სამუხტავ სააკუმულატორო საწარმოებს და სხვა საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს.

5. საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს სათავეში უდგას მინისტრი.

6. საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის მინისტრი, საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 52 მუხლის შესაბამისად, ხელმძღვანელობს საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს და მისდამი დაქვემდებარებული საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მთელ საქმიანობას. საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის მინისტრი

მეხ./36

უზრუნველყოფს სსრ კავშირის და საქართველოს სსრ კანონების, აგრეთვე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ საავტომობილო ტრანსპორტის საკითხებზე მიღებულ დადგენილებათა და განკარგულებათა შესრულებას.

7. საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის მინისტრი საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 53 მუხლის შესაბამისად, გამოსცემს თავისი კომპეტენციის ფარგლებში ბრძანებებსა და ინსტრუქციებს სსრ კავშირის და საქართველოს სსრ მოქმედი კანონების, აგრეთვე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებისა და განკარგულებების საფუძველზე და შესასრულებლად და შეამოწმებს მათ შესრულებას.

საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის მინისტრი გააუქმებს სამინისტროსადმი დაქვემდებარებული საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელთა ბრძანებებსა და ინსტრუქციებს, რომლებიც ეწინააღმდეგებიან სსრ კავშირის და საქართველოს სსრ მოქმედ კანონებს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებსა და განკარგულებებს, აგრეთვე საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს ბრძანებებსა და ინსტრუქციებს; დანიშნავს და თანამდებობიდან გაათავისუფლებს საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს სამმართველოებისა და განყოფილებების და მისდამი დაქვემდებარებული საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელ მუშაკებს; მოაწყობს და დადგენილი წესით გააუქმებს საწარმოებს, დაწესებულებებს, ორგანიზაციებს და საჭირო შემთხვევებში შეცვლის მათ დაქვემდებარებას სამინისტროს ავტოსატრანსპორტო ტრესტებისა და სხვა ორგანოებისადმი; დაამტკიცებს დებულებებს სამინისტროს ტრესტების, სამმართველოებისა და განყოფილებების შესახებ, აგრეთვე სამინისტროსადმი დაქვემდებარებული საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების დებულებებს (წესდებებს).

8. საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროში შეიქმნება კოლეგია მინისტრის (თავმჯდომარე), მინისტრის მოადგილეებისა და სამინისტროს ხელმძღვანელ მუშაკთა შემადგენლობით.

№ 1 ეროვნული ბიბლიოთეკა

კოლეგიის შემადგენლობას დაამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო, საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის მინისტრის წარდგენით.

კოლეგია თავის სხდომებზე, რომლებიც რეგულარულად იმართება, განიხილავს საავტომობილო ტრანსპორტის ხელმძღვანელობის ყველა ძირითად საკითხს, აგრეთვე კადრების შერჩევის, შესრულების შემოწმების საკითხებს, სამინისტროს უმნიშვნელოვანესი ბრძანებებისა და ინსტრუქციების პროექტებს; მოისმენს სამინისტროს ავტოსატრანსპორტო ტრესტების, სამმართველოების, განყოფილებებისა და სამინისტროსადმი დაქვემდებარებული საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ანგარიშებს.

კოლეგიის გადაწყვეტილებანი ხორციელდება მინისტრის ბრძანებებით.

მინისტრსა და კოლეგიას შორის უთანხმოების წამოჭრის შემთხვევაში მინისტრი ცხოვრებაში გაატარებს თავის გადაწყვეტილებას და წამოჭრილ უთანხმოებათა შესახებ აცნობებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, ხოლო კოლეგიის წევრებს თავის მხრივ შეუძლიათ აპელაციით მიმართონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

9. საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის ძირითადი ამოცანებია:

ა) მოაწყოს და განახორციელოს, დამტკიცებული გეგმების შესაბამისად, საქონლისა და სახალხო მოხმარების საგნების, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების, სამრეწველო ტვირთების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სასოფლო-სამეურნეო ტვირთების გადაზიდვა, მგზავრთა რეგულარული გადაყვანა ქალაქებში და ქალაქებს შორის, აგრეთვე მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურება, რისთვისაც მოაწყობს მსუბუქი და სატვირთო ტაქსმოტორულ ტვირთზიდვას და მსუბუქი ავტომობილების გაქირავებას;

ბ) მონაწილეობა მიიღოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ გზატკეცილების მთავარ სამმართველოს საავტომობილო გზების მშენებლობის, რეკონსტრუქციის, რემონტისა და ისეთ მდგომარეობაში შენახვის გეგმების შემუშავებაში, რომელიც უზრუნველყოფს საავტომობილო ტრანსპორტის შეუფერხებელ მოძრაობას;

გ) შეიმუშაოს და განახორციელოს ღონისძიებანი, რომელთა მიზანია საავტომობილო პარკის გამოყენების გაუმჯობესება, ავტო-

მეხ. 36
ეროვნული
ბიბლიოთეკა

მობილების რემონტის ხარისხის ამაღლება, ტვირთზიდვის თვით-ღირებულების შემცირება, მატერიალური ფონდების რაციონალურად გამოყენება და ავტომობილის სალტეების, ბენზინისა და სხვა სახის სათბობის, აგრეთვე სათადარიგო ნაწილებისა და სხვა მასალების მომჭირნეობით ხარჯვა; გაავრცელოს და დანერგოს მუშაობის მოწინავე მეთოდები და ახალი ტექნიკა საავტომობილო ტრანსპორტზე;

დ) აწარმოოს ავტომობილებისა და აგრეგატების სარემონტო ქარხნებისა და სახელოსნოების, ავტომობილების ტექნიკური მომსახურების სადგურების, ბენზინგასაწყობი სადგურების, სალტეებისა და აკუმულატორების სარემონტო საწარმოების, გარაჟების, საწყობების, ავტოვაგზლებისა და სხვათა მშენებლობა და ექსპლუატაცია;

ე) აწარმოოს მძღოლთა შემადგენლობისა და მუშების მომზადება, აგრეთვე ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა გადამზადება საავტომობილო ტრანსპორტის მეურნეობებში გამოსაყენებლად;

ვ) შეიმუშაოს და გამოსცეს დიფერენცირებული ნორმატივები საერთო-საკავშირო ნორმატივების ფარგლებში, დებულებანი, წესები, ინსტრუქციები და სხვა სახელმძღვანელო მითითებანი ავტომობილების გამოყენების, ტექნიკური მომსახურებისა და რემონტის შესახებ, ტვირთის გადაზიდვის აგრეთვე საავტომობილო ტრანსპორტით მგზავრთა გადაყვანის წესები, რომლებიც სავალდებულოა საქართველოს სსრ ყველა საავტომობილო მეურნეობისათვის, მიუხედავად მათი უწყებრივი დაქვემდებარებისა, გარდა სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის და საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს ავტომეურნეობებისა;

ზ) მოაწყოს და განახორციელოს ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევებთან ბრძოლის გაძლიერებას დაქვემდებარებულ ავტომეურნეობებში და შრომის დისციპლინის ამაღლებას მძღოლთა შემადგენლობაში.

10. საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრო:

ა) შეადგენს საავტომობილო ტრანსპორტით ტვირთის გადაზიდვის, აგრეთვე მგზავრთა გადაყვანის, ავტომობილების, აგრეგატების-

ეროვნული

ამ დადგენილების 1 მუხლში დასახელებული პროდუქციის ახა-ლი საბითუმო ფასები შემოღებულ იქნას სამოქმედოდ 1965 წლის 1 იანვრიდან.

3. მსუბუქი და კვების მრეწველობის საწარმოთა პროდუქციის საბითუმო ფასების გადასინჯვისას სახელმძღვანელოდ იქნას მიღებული საინსტრუქციო მითითებანი, რომლებიც დამტკიცებულია სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტისა და სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს 1964 წლის 6 თებერვლის № 34-63/42 საინსტრუქციო მითითებებით.

4. უფლება მიენიჭოს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას:

ა) აძლიოს საქართველოს სსრ ყველა უწყებას, ორგანიზაციას და საწარმოს მითითებანი და განმარტებანი მსუბუქი და კვების მრეწველობის საწარმოთა პროდუქციის საბითუმო ფასების გადასინჯვასთან დაკავშირებულ საკითხებზე;

ბ) მიიღოს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოსაგან, მისი საწარმოებისა და ორგანიზაციებისაგან, აგრეთვე რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებებისაგან საანგარიშო, საანგარიშსწორებო და საცნობარო მასალები, რომლებიც საჭიროა საბითუმო ფასების პრეისკურანტთა პროექტების მოსამზადებლად და განსახილველად;

გ) მოიწვიოს ამ დადგენილებით გათვალისწინებული საბითუმო ფასების პრეისკურანტთა გადასასინჯავად, აგრეთვე მათი ექსპერტიზისა და კონსულტაციისათვის საქართველოს სსრ საწარმოების, სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების, სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროებისა და უწყებების მაღალკვალიფიციური სპეციალისტები სამ თვემდე ვადით.

5. დაევალოს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას:

2. საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრო მოაწყობს და განახორციელებს საქონლისა და სახალხო მოხმარების საგნების მასობრივი სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო ტვირთების გადაზიდვას და მგზავრთა გადაყვანას; მოაწყობს დადგენილი წესით საავტომობილო მეურნეობებს, საწარმოებს ავტომობილების რემონტისა და ტექნიკური მომსახურებისათვის და საგარაჟო მოწყობილობის წარმოებისათვის; განახორციელებს კადრების მომზადებას საავტომობილო ტრანსპორტისათვის; შეიმუშავებს და განახორციელებს ღონისძიებებს საავტომობილო ტრანსპორტისა და მოწყობილობის გამოყენების გაუმჯობესებისათვის.

3. საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრო განახორციელებს კონტროლს რესპუბლიკის საავტომობილო ტრანსპორტის ექსპლუატაციისა და ტექნიკური მდგომარეობისადმი (გარდა სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის და საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს ავტოტრანსპორტისა), რისთვისაც სამინისტროს უფლება ენიჭება აწარმოოს ავტოტრანსპორტის მუშაობის გამოკვლევა და შეამოწმოს შესაბამისი დოკუმენტები.

4. საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრო ხელმძღვანელობს და განაგებს მის სისტემაში შემავალ ავტოსატრანსპორტო ტრესტებს, სამმართველოებს, საავტომობილო მეურნეობებს, სატრანსპორტო-საექსპედიციო კანტორებს, ავტომობილებისა და აგრეგატების სარემონტო ქარხნებსა და სახელოსნოებს, ავტომობილების ტექნიკური მომსახურების სადგურებს, სალტესარემონტო და სარემონტო-სამუხტავ საკუმულატორო საწარმოებს და სხვა საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს.

5. საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს სათავეში უდგას მინისტრი.

6. საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის მინისტრი, საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 52 მუხლის შესაბამისად, ხელმძღვანელობს საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს და მისდამი დაქვემდებარებული საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მთელ საქმიანობას. საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის მინისტრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

უზრუნველყოფს სსრ კავშირის და საქართველოს სსრ კანონების, აგრეთვე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ საავტომობილო ტრანსპორტის საკითხებზე მიღებულ დადგენილებათა და განკარგულებათა შესრულებას.

7. საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის მინისტრი საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 53 მუხლის შესაბამისად, გამოსცემს თავისი კომპეტენციის ფარგლებში ბრძანებებსა და ინსტრუქციებს სსრ კავშირის და საქართველოს სსრ მოქმედი კანონების, აგრეთვე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებისა და განკარგულებების საფუძველზე და შესასრულებლად და შეამოწმებს მათ შესრულებას.

საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის მინისტრი გააუქმებს სამინისტროსადმი დაქვემდებარებული საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელთა ბრძანებებსა და ინსტრუქციებს, რომლებიც ეწინააღმდეგებიან სსრ კავშირის და საქართველოს სსრ მოქმედ კანონებს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებსა და განკარგულებებს, აგრეთვე საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს ბრძანებებსა და ინსტრუქციებს; დანიშნავს და თანამდებობიდან გაათავისუფლებს საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს სამმართველოებისა და განყოფილებების და მისდამი დაქვემდებარებული საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელ მუშაკებს; მოაწყობს და დადგენილი წესით გააუქმებს საწარმოებს, დაწესებულებებს, ორგანიზაციებს და საჭირო შემთხვევებში შეცვლის მათ დაქვემდებარებას სამინისტროს ავტოსატრანსპორტო ტრესტებისა და სხვა ორგანოებისადმი; დაამტკიცებს დებულებებს სამინისტროს ტრესტების, სამმართველოებისა და განყოფილებების შესახებ, აგრეთვე სამინისტროსადმი დაქვემდებარებული საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების დებულებებს (წესდებებს).

8. საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროში შეიქმნება კოლეგია მინისტრის (თავმჯდომარე), მინისტრის მოადგილეებისა და სამინისტროს ხელმძღვანელ მუშაკთა შემადგენლობით.

№ 1
ეროვნული ბიბლიოთეკა

კოლეგიის შემადგენლობას დაამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო, საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის მინისტრის წარდგენით.

კოლეგია თავის სხდომებზე, რომლებიც რეგულარულად იმართება, განიხილავს საავტომობილო ტრანსპორტის ხელმძღვანელობის ყველა ძირითად საკითხს, აგრეთვე კადრების შერჩევის, შესრულების შემოწმების საკითხებს, სამინისტროს უმნიშვნელოვანესი ბრძანებებისა და ინსტრუქციების პროექტებს; მოისმენს სამინისტროს ავტოსატრანსპორტო ტრესტების, სამმართველოების, განყოფილებებისა და სამინისტროსადმი დაქვემდებარებული საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ანგარიშებს.

კოლეგიის გადაწყვეტილებანი ხორციელდება მინისტრის ბრძანებებით.

მინისტრსა და კოლეგიას შორის უთანხმოების წამოჭრის შემთხვევაში მინისტრი ცხოვრებაში გაატარებს თავის გადაწყვეტილებას და წამოჭრილ უთანხმოებათა შესახებ აცნობებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, ხოლო კოლეგიის წევრებს თავის მხრივ შეუძლიათ აპელაციით მიმართონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

9. საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის ძირითადი ამოცანებია:

ა) მოაწყოს და განახორციელოს, დამტკიცებული გეგმების შესაბამისად, საქონლისა და სახალხო მოხმარების საგნების, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების, სამრეწველო ტვირთების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სასოფლო-სამეურნეო ტვირთების გადაზიდვა, მგზავრთა რეგულარული გადაყვანა ქალაქებში და ქალაქებს შორის, აგრეთვე მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურება, რისთვისაც მოაწყობს მსუბუქი და სატვირთო ტაქსმოტორულ ტვირთზიდვას და მსუბუქი ავტომობილების გაქირავებას;

ბ) მონაწილეობა მიიღოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ გზატკეცილების მთავარ სამმართველოს საავტომობილო გზების მშენებლობის, რეკონსტრუქციის, რემონტისა და ისეთ მდგომარეობაში შენახვის გეგმების შემუშავებაში, რომელიც უზრუნველყოფს საავტომობილო ტრანსპორტის შეუფერხებელ მოძრაობას;

გ) შეიმუშაოს და განახორციელოს ღონისძიებანი, რომელთა მიზანია საავტომობილო პარკის გამოყენების გაუმჯობესება, ავტო-

მუზ. 36 / ეროვნული ბიბლიოთეკა

მობილების რემონტის ხარისხის ამაღლება, ტვირთზიდვის თვითღირებულების შემცირება, მატერიალური ფონდების რაციონალურად გამოყენება და ავტომობილის სალტეების, ბენზინისა და სხვა სახის სათბობის, აგრეთვე სათადარიგო ნაწილებისა და სხვა მასალების მომჭირნეობით ხარჯვა; გაავრცელოს და დანერგოს მუშაობის მოწინავე მეთოდები და ახალი ტექნიკა საავტომობილო ტრანსპორტზე;

დ) აწარმოოს ავტომობილებისა და აგრეგატების სარემონტო ქარხნებისა და სახელოსნოების, ავტომობილების ტექნიკური მომსახურების სადგურების, ბენზინგასაწყობი სადგურების, სალტეებისა და აკუმულატორების სარემონტო საწარმოების, გარაჟების, საწყობების, ავტოვაგზლებისა და სხვათა მშენებლობა და ექსპლუატაცია;

ე) აწარმოოს მძღოლთა შემადგენლობისა და მუშების მომზადება, აგრეთვე ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა გადამზადება საავტომობილო ტრანსპორტის მეურნეობებში გამოსაყენებლად;

ვ) შეიმუშაოს და გამოსცეს დიფერენცირებული ნორმატივები საერთო-საკავშირო ნორმატივების ფარგლებში, დებულებანი, წესები, ინსტრუქციები და სხვა სახელმძღვანელო მითითებანი ავტომობილების გამოყენების, ტექნიკური მომსახურებისა და რემონტის შესახებ, ტვირთის გადაზიდვის აგრეთვე საავტომობილო ტრანსპორტით მგზავრთა გადაყვანის წესები, რომლებიც სავალდებულოა საქართველოს სსრ ყველა საავტომობილო მეურნეობისათვის, მიუხედავად მათი უწყებრივი დაქვემდებარებისა, გარდა სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის და საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს ავტომეურნეობებისა;

ზ) მოაწყოს და განახორციელოს ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევებთან ბრძოლის გაძლიერებას დაქვემდებარებულ ავტომეურნეობებში და შრომის დისციპლინის ამაღლებას მძღოლთა შემადგენლობაში.

10. საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრო:

ა) შეადგენს საავტომობილო ტრანსპორტით ტვირთის გადაზიდვის, აგრეთვე მგზავრთა გადაყვანის, ავტომობილების, აგრეგატების-

№ 1
ეროვნული
ბიბლიოთეკა

სა და საავტომობილო სალტეების რემონტის, სამრეწველო საწარმოების კაპიტალური მშენებლობისა და რემონტის გეგმების, შრომისა და თვითღირებულების გეგმების პროექტებს, აგრეთვე შემოსავალ-გასავლის ბალანსებს და დადგენილი წესით წარუდგენს აღნიშნული გეგმების პროექტებს დასამტკიცებლად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს; უზრუნველყოფს დამტკიცებული გეგმების შესრულებას;

ბ) უზრუნველყოფს სამინისტროსა და მისი ორგანოების გამგებლობაში არსებული საავტომობილო პარკის შენახვას ტექნიკურად წესიერ მდგომარეობაში და მის მაქსიმალურად გამოყენებას;

გ) უზრუნველყოფს მგზავრთა გადაყვანის უსაფრთხოებას და მათს კულტურულ მომსახურებას, იმ ტვირთების დროულად მიტანას და დაცვა-შენახვას, რომელთა გადაზიდვა წარმოებს სამინისტროს სისტემაში შემავალ მეურნეობათა ავტოსატრანსპორტო საშუალებებით;

დ) გამოსცემს დადგენილი წესით ინსტრუქციებს საავტომობილო გზებზე წესრიგისა და მოძრაობის უსაფრთხოების დაცვის, საავტომობილო ტრანსპორტის ქონების მოვლა-პატრონობის, სანიტარული და ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებათა დაცვის საკითხებზე;

ე) შეიმუშავებს საერთო-საკავშირო ნორმატივების ფარგლებში საავტომობილო საბურავებისა და სათადარიგო ნაწილების ხარჯვის დიფერენცირებულ ნორმებს, ავტომობილებისა და საავტომობილო სალტეების სარემონტთაშორისო გარბენის ნორმებს;

ვ) შეიმუშავებს და დაამტკიცებს დადგენილი წესით კაპიტალური მშენებლობის საპროექტო დავალებებს, ტექნიკურ პროექტებსა და ხარჯთაღრიცხვებს, აგრეთვე საავტომობილო ვაგზლების, სამგზავრო პავილიონებისა და სადგურების, გარაჟების, სარემონტო ქარხნებისა და სახელოსნოების, ავტომობილების ტექნიკური მომსახურების სადგურების, სალტესარემონტო და სარემონტო-სამუხტავ საკუმულატორო სადგურების (ბენზინგასაწყობი სადგურებისა და დამხმარე საწარმოების) მშენებლობის პროექტებს;

ზ) განახორციელებს სამინისტროს სისტემის ტრესტების, სამართველოების, საავტომობილო მეურნეობების, საწარმოებისა და სამშენებლო ორგანიზაციების საწარმოო-ტექნიკურ ხელმძღვანელობას; დანერგავს მოწინავე ტექნიკას, გამოგონებებს, ტექნიკურ გაუმჯობესებებს, უფრო სრულყოფილ ტექნოლოგიურ პროცესებს, საწარმოო პროცესების მექანიზაციასა და ავტომატიზაციას; შეი-

ნუს/36
ეროვნული ბიბლიოთეკა

მუშავებს და განახორციელებს საწარმოო გამოცდილების განზოგადების ღონისძიებებს;

თ) განახორციელებს სამინისტროს სისტემაში ღონისძიებებს, რომელთა მიზანია შრომის ნაყოფიერების ამაღლება, საავტომობილო პარკის, მექანიზმების გამოყენების გაუმჯობესება, ავტომობილების ტექნიკური მომსახურებისა და რემონტის ხარისხის გაუმჯობესება, სამრეწველო პროდუქციის ნომენკლატურის გაფართოება და მისი ხარისხის გაუმჯობესება, ტვირთზიდვისა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირება, მშენებლობისა და საპროექტო-საძიებო სამუშაოთა ღირებულების შემცირება და ხარისხის გაუმჯობესება, საავტომობილო მეურნეობათა და საწარმოთა რენტაბელობის უზრუნველყოფა;

ი) მოაწყობს ტვირთის ცენტრალიზებულ გადაზიდვას საავტომობილო ტრანსპორტით ქალაქებში და საქალაქთაშორისო მიმოსვლით, ხელს შეუწყობს მცირე მანძილზე გადასატანი ტვირთების გადაცემას რკინიგზის სადგურიდან საავტომობილო ტრანსპორტზე, განახორციელებს ღონისძიებებს, რომლებიც უზრუნველყოფენ სატვირთო ავტომობილების ცარიელი გარბენის გამოყენების გაუმჯობესებას;

კ) განახორციელებს ხელმძღვანელ, ინჟინერ-ტექნიკურ და მეცნიერ მუშაკთა შერჩევას დაწესებული ნომენკლატურის შესაბამისად; განახორციელებს ღონისძიებებს, რომელთა მიზანია საავტომობილო მეურნეობების საწარმოებისა და მშენებლობების დაკომპლექტება კადრებით სამინისტროს სისტემაში, კადრების სწორად გამოყენება და მათ შორის შრომის დისციპლინის განმტკიცება, კონტროლს გაუწევს ამ ღონისძიებათა შესრულებას დაქვემდებარებული ორგანიზაციების მიერ;

ლ) გაატარებს დადგენილი წესით ტექნიკურ დანორმვას და გამომუშავების ნორმების გადასინჯვას და უზრუნველყოფს მათს შესრულებას; განახორციელებს კონტროლს შრომის კანონმდებლობისა და უსაფრთხოების ტექნიკის წესების დაცვისადმი, ხელმძღვანელობას გაუწევს კოლექტიური ხელშეკრულებების დადებას და მათ შესრულებას;

მ) ხელმძღვანელობას გაუწევს სოციალისტურ შეჯიბრებას, მიმართულს საავტომობილო ტვირთზიდვის, წარმოებისა და კაპიტალური მშენებლობის გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისადმი, შრომის ნაყოფიერების გადიდებისა, ტვირთზიდვის,

პროდუქციის და სამშენებლო სამუშაოთა ხარისხის გაუმჯობესებისა და თვითღირებულების შემცირებისადმი, ნედლეულის, მასალების, სათბობის ელექტროენერგიის მომჭირნეობისადმი;

ნ) უშუალო ხელმძღვანელობას გაუწევს სამინისტროსადმი დაქვემდებარებულ სასწავლებლებს საავტომობილო ტრანსპორტის ინჟინერ-ტექნიკურ და სამეურნეო მუშაკთა, მასობრივი პროფესიების მუშაკთა მომზადებისა და გადამზადების საქმეში; განახორციელებს სასწავლო-მეთოდურ ხელმძღვანელობასა და კონტროლს საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს სასწავლებელთა მუშაობისადმი;

ო) მოაწყობს და ხელმძღვანელობას გაუწევს საავტომობილო მეურნეობათა, მშენებლობათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა მატერიალურ-ტექნიკურ მომარაგებას სამინისტროს სისტემაში; განახორციელებს სამინისტროს სამრეწველო საწარმოების პროდუქციის გასაღებას;

პ) დადგენილი წესით დააფინანსებს სამინისტროს ორგანიზაციებს, საწარმოებს, მშენებლობებს, დაწესებულებებს და ხელმძღვანელობას გაუწევს მათ საფინანსო საქმიანობას;

ჟ) მოაწყობს საბუღალტრო აღრიცხვას და კონტროლს გაუწევს აღრიცხვა-ანგარიშგების დაყენებას სამინისტროს სისტემაში, დაამტკიცებს სამინისტროსადმი უშუალოდ დაქვემდებარებული საწარმოებისა და ორგანიზაციების ანგარიშებს, შეამოწმებს და გაანალიზებს მათ შეჯამებითს და საბუღალტრო ანგარიშებს, შეადგენს პერიოდულ და წლიურ შეჯამებითს საბუღალტრო და სტატისტიკურ ანგარიშებს ყველა სახის საწარმოო და სამეურნეო საქმიანობის მიხედვით, განახორციელებს საფინანსო კონტროლს და ჩაატარებს სამეურნეო და საფინანსო საქმიანობის რევიზიას სამინისტროს ორგანიზაციებში, საწარმოებსა და დაწესებულებებში;

რ) შეიმუშავებს და დასამტკიცებლად წარადგენს დადგენილი წესით ყველა სახის საავტომობილო ტვირთზიდვის, აგრეთვე სატრანსპორტო-საექსპედიციო, სასაწყობო და დატვირთვა-გადმოტვირთვის და სხვა ოპერაციების ტარიფების პროექტებს, არასტანდარტული მოწყობილობის ფასების პროექტებს;

ს) შეიმუშავებს და დადგენილი წესით დასამტკიცებლად წარადგენს სამინისტროს სისტემაში დამზადებული პროდუქციის სტანდარტებისა და ტექნიკური პირობების პროექტებს, აგრეთვე სამინისტროს სატრანსპორტო მეურნეობებისა და საწარმოების მიერ მასალების, სათბობის და ელექტროენერგიის ხარჯვის ნორმებს;

ტ) ხელმძღვანელობას გაუწევს სამინისტროსადმი დაქვემდებარებული სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების საქმიანობას, წარმართავს მათ თემატიკას საავტომობილო ტრანსპორტის ექსპლუატაციისა და რემონტის წამყვანი პრობლემების გადასაჭრელად;

უ) მოამზადებს გამოსაცემად ლიტერატურას საავტომობილო ტრანსპორტის ტექნიკის, ეკონომიკისა და ორგანიზაციის, მოძრაობის უსაფრთხოების საკითხებზე, სასწავლო და თვალსაჩინო სახელმძღვანელოებს ავტოტრანსპორტის მძღოლთა და სხვა მუშაკთა მოსამზადებლად;

ფ) ხელმძღვანელობას გაუწევს და მოაწყობს ავტოტრესტებსა და ავტომეურნეობებში მოძრაობის უსაფრთხოების დარგის ინჟინერთა მუშაობას, მოიზიდავს საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების თავიდან აცილებისათვის მუშაობაში ავტომეურნეობათა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, აღრიცხავს დაწესებული ფორმების მიხედვით საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევებს, გააანალიზებს მათს მიზეზებს და მიიღებს ზომებს ავარიულობის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

11. მუშათა, ხელმძღვანელ და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა მოწინავე გამოცდილების რაც შეიძლება უკეთ გამოყენების მიზნით საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრო, მისი ტრესტები მოიწვევენ აქტივის თათბირებს, რომლებზედაც მოისმენენ და განიხილავენ მოხსენებებს პარტიისა და მთავრობის უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებათა შესახებ, აგრეთვე კრიტიკისა და თვითკრიტიკის გაშლის საფუძველზე განიხილავენ საწარმოო და სამეურნეო საქმიანობის საკითხებს.

12. საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის მინისტრთან შეიქმნება ტექნიკური საბჭო, რომლის შემადგენლობას დაამტკიცებს მინისტრი.

13. საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს სტრუქტურას დააწესებს საქართველოს სსრ მინისტრთ საბჭო.

14. საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს აქვს ბეჭედი, რომელზედაც გამოსახულია საქართველოს სსრ გერბი და თავისი სახელწოდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 37 კოლმეურნეობათა და საბჭოთა მეურნეობათა ზოგიერთი საწარმოო სამმართველოს ადგილსამყოფელის გამოცვლის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. გადაყვანილ იქნას სამტრედიის კოლმეურნეობათა და საბჭოთა მეურნეობათა საწარმოო სამმართველო სამტრედიიდან წყალტუბოში და ამიერიდან ეწოდოს მას: წყალტუბოს კოლმეურნეობათა და საბჭოთა მეურნეობათა საწარმოო სამმართველო.

2. ჩაქვის კოლმეურნეობათა და საბჭოთა მეურნეობათა საწარმოო სამმართველო გადაყვანილ იქნას ჩაქვიდან ქობულეთში და ამიერიდან ეწოდოს მას: ქობულეთის კოლმეურნეობათა და საბჭოთა მეურნეობათა საწარმოო სამმართველო.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **გ. ჩოგოვაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1964 წ. 26 მარტი, № 161.

## 38 საქართველოს სსრ სახმშენის სტრუქტურისა და შტატების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1963 წლის 17 ივლისის ბრძანებულების შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მშენებლობისა და არქიტექტურის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტი გარდაიქმნა საკავშირო-რესპუბლიკურ ორგანოდ — საქართველოს სსრ მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტად, დამტკიცდეს საქართველოს სსრ სახმშენის სტრუქტურა და შტატი 73 ერთეულის რაოდენობით და ხელფასის ფონდი თანამდებობრივი განაკვეთებით თვეში 8.866 მანეთის ოდენობით, №№ 1 და 2 დანართების თანახმად.

საქართველოს სსრ სახმშენის მთავარ, უფროს სპეციალისტებს და სპეციალისტებს თანამდებობრივი განაკვეთები დაუწესდეთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 23 იანვრის № 7[illegible] დადგენილების შესაბამისად.

2. საქართველოს სსრ სახმშენის შტატებისა და ხელფასის თვიური ფონდის გადიდება მოხდეს შტატების შემცირების ხარჯზე: საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიისა — 8 ერთეულით ხელფასის 1.152 მან. თვიური ფონდით (საპროექტო-საძიებო სამუშაოთა, საიჯარო სამუშაოთა და სამშენებლო ინდუსტრიის დაგეგმვის საკითხების სახელმწიფო საგეგმო კომისიიდან გადაეცა საქართველოს სსრ სახმშენს); საქართველოს სსრ სამინისტროებისა და უწყებებისა — 9 ერთეულით ხელფასის 771 მანეთის ფონდით, № 3 დანართის თანახმად, და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სატყეო მეურნეობის და სამონადირეო მეურნეობის ყოფ. მთავარ სამმართველოს 21 ერთეული შტატისა და ხელფასის 2.844 მანეთის თვიური ფონდის გამოყენების ხარჯზე.

3. დაევალოს საქართველოს სსრ სახმშენს ერთი თვის ვადაში წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დასამტკიცებლად სსრ კავშირის სახმშენთან შეთანხმებული დებულება რესპუბლიკის სახმშენის შესახებ.

4. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიამ და ფინანსთა სამინისტრომ შეიტანონ ამ დადგენილებიდან გამომდინარე ცვლილებანი 1964 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმასა და ბიუჯეტში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ვირჩაძე.**

ქ. თბილისი, 1964 წ. 28 მარტი, № 164.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1964 წლის 28 მარტის № 164
დადგენილების დანართი № 1

**ს ტ რ უ ქ ტ უ რ ა**

**საქართველოს სსრ სახმშენის ცენტრალური აპარატისა**

1. ხელმძღვანელობა
2. საწარმოო-საგანმკარგულებლო განყოფილება

ეროვნული
ბიბლიოთეკა

3. კაპიტალური მშენებლობის საპროექტო-საძიებო სამუშაოთა და მშენებლობის ეკონომიკის განყოფილება
4. ორგანიზაციის, მექანიზაციის, ახალი ტექნიკისა და მშენებლობაში ინფორმაციის განყოფილება
5. სამოქალაქო მშენებლობისა და არქიტექტურის განყოფილება
6. მშენებლობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარების განყოფილება
7. სახელმწიფო ექსპერტიზის განყოფილება
8. სასოფლო-სამეურნეო და წყალთა მეურნეობის მშენებლობის განყოფილება
9. რესპუბლიკური სახელმწიფო სამშენებლო ინსპექცია (განყოფილების უფლებებით) და სამშენებლო-არქიტექტურული კონტროლი
10. საქმეთა მმართველობა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჟირაქაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1964 წლის 28 მარტის № 164
დადგენილების დანართი № 2

## საშტატო განრიგი
### საქართველოს სსრ სახმშენისა

| სტრუქტურული ქვეგანაყოფები და თანამდებობანი | ერთეულების რაოდენობა | თანამდებობრივი განაკვეთი | ხელფასის თვიური ფონდი |
|---|---|---|---|
| **ხელმძღვანელობა** | | | |
| თავმჯდომარე | 1 | 430 | 430 |
| პირველი მოადგილე | 1 | 310 | 310 |
| მოადგილე | 2 | 300 | 600 |
| თავმჯდომარესთან მყოფი ინსპექტორ-ინჟინერი | 1 | 100 | 100 |
| მდივანი-სტენოგრაფისტი | 2 | 55 | 110 |
| სულ | 7 | | 1550 |
| **საწარმოო-საგანმკარგულებლო განყოფილება** | | | |
| განყოფილების უფროსი | 1 | — | — |
| მთავარი სპეციალისტი | 2 | — | — |
| უფროსი ინჟინერი | 3 | — | — |
| ინჟინერი | 4 | — | — |
| ინჟინერ-ეკონომისტი | 1 | — | — |
| სულ | 11 | | |
| **სამოქალაქო მშენებლობისა და არქიტექტურის განყოფილება** | | | |
| განყოფილების უფროსი | 1 | — | — |
| მთავარი სპეციალისტი | 1 | — | — |
| უფროსი ინჟინერ-არქიტექტორი | 3 | — | — |
| ინჟინერ-არქიტექტორი | 3 | — | — |
| ინჟინერი | 1 | — | — |
| სულ | 9 | | |
| **მშენებლობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარების განყოფილება** | | | |
| განყოფილების უფროსი | 1 | — | — |
| უფროსი ინჟინერი | 1 | — | — |

№ ეროვნული ბიბლიოთეკა

| სტრუქტურული ქვეგანაყოფები და თანამდებობანი | ერთეულების რაოდენობა | თანამდებობრივი განაკვეთი | ხელფასის თვიური ფონდი |
|---|---|---|---|
| ინჟინერი . . . . . . . . . | 2 | — | — |
| ინჟინერ-ეკონომისტი . . . . . . | 1 | — | — |
| სულ . . | 5 | | |
| **სასოფლო-სამეურნეო და წყალთა მეურნეობის მშენებლობის განყოფილება** | | | |
| განყოფილების უფროსი . . . . . | 1 | — | — |
| უფროსი ინჟინერი . . . . . . . | 1 | — | — |
| ინჟინერი . . . . . . . . . | 2 | — | — |
| ინჟინერ-ეკონომისტი . . . . . . | 1 | — | — |
| სულ . . | 5 | | |
| **კაპიტალური მშენებლობის საპროექტო-საძიებო სამუშაოთა და მშენებლობის ეკონომიკის განყოფილება** | | | |
| განყოფილების უფროსი . . . . . | 1 | — | — |
| მთავარი სპეციალისტი . . . . . | 1 | — | — |
| უფროსი ინჟინერი . . . . . . . | 2 | — | — |
| ინჟინერი . . . . . . . . . | 2 | — | — |
| ინჟინერ-ეკონომისტი . . . . . . | 1 | — | — |
| სულ . . | 7 | | |
| **ორგანიზაციის, მექანიზაციის, ახალი ტექნიკისა და მშენებლობაში ინფორმაციის განყოფილება** | | | |
| განყოფილების უფროსი . . . . . | 1 | — | — |
| მთავარი სპეციალისტი . . . . . | 1 | — | — |
| უფროსი ინჟინერი . . . . . . . | 1 | — | — |
| ინჟინერი . . . . . . . . . | 2 | — | — |
| ინჟინერ-ეკონომისტი . . . . . . | 1 | — | — |
| სულ . . | 6 | | |

მთხ. 38
ეროვნული ბიბლიოთეკა

| სტრუქტურული ქვეგანაყოფები და თანამდებობანი | ერთეულების რაოდენობა | თანამდებობრივი განაკვეთი | ხელფასის თვიური ფონდი |
|---|---|---|---|
| **სახელმწიფო ექსპერტიზის განყოფილება** | | | |
| განყოფილების უფროსი . . . . . | 1 | — | — |
| მთავარი სპეციალისტი . . . . . | 1 | — | — |
| უფროსი ინჟინერი . . . . . . . | 1 | — | — |
| ინჟინერი . . . . . . . . . | 1 | — | — |
| ინჟინერ-ეკონომისტი . . . . . . | 1 | — | — |
| ს უ ლ . . | 5 | | |
| **რესპუბლიკური სახელმწიფო სამშენებლო ინსპექცია (განყოფილების უფლებებით) და სამშენებლო-არქიტექტურული კონტროლი** | | | |
| განყოფილების უფროსი . . . . . . | 1 | — | — |
| მთავარი სპეციალისტი . . . . . . | 1 | — | — |
| უფროსი ინჟინერი . . . . . . . | 1 | — | — |
| ინჟინერი . . . . . . . . . | 3 | — | — |
| ინჟინერ-ეკონომისტი . . . . . . | 1 | — | — |
| ს უ ლ . . | 7 | | |
| **საქმეთა მმართველობა** | | | |
| საქმეთა მმართველი . . . . . . | 1 | 88 | 88 |
| მთავარი ბუღალტერი . . . . . . | 1 | 160 | 160 |
| ბუღალტერ-რევიზორი . . . . . | 1 | 88 | 88 |
| ბუღალტერი . . . . . . . . | 1 | 65 | 65 |
| უფროსი მემანქანე . . . . . . | 1 | 55 | 55 |
| მემანქანე . . . . . . . . . | 2 | 45 | 90 |
| დამლაგებელი . . . . . . . . | 2 | 30 | 60 |
| მიკრიკი . . . . . . . . . . | 1 | 30 | 30 |
| მეურნეობის გამგე . . . . . . . | 1 | 50 | 50 |
| ს უ ლ . . | 11 | | 686 |
| მ თ ლ ა დ . . | 73 | | 8866 |

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჟირაქაძე.**

№1
ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1964 წლის 28 მარტის № 164
დადგენილების დანართი № 3

# ს ი ა

## თანამდებობებისა, რომლებიც უნდა შემცირდეს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიასა, სამინისტროებსა და უწყებებში

| ორგანიზაციები | შესამცირებელ თანამდებობათა რაოდენობა | საშუალო თვიური ხელფასი | ხელფასის შესამცირებელი ფონდი | პერსონალური დანამატი |
|---|---|---|---|---|
| საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობა . . . . | 8 | 144 | 1152 | — |
| რეფერენტი . . . | 1 | 110 | 110 | — |
| უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სახელმწიფო კომიტეტი ინჟინერი . . . | 1 | 79 | 79 | 19 |
| გზატკეცილების მთავარი სამმართველო — ინჟინერი . . . | 1 | 88 | 88 | — |
| ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო ინჟინერ-ინსპექტორი . . . . . . . | 1 | 79 | 79 | — |
| კულტურის სამინისტრო ეკონომისტი . . . | 1 | 69 | 69 | — |
| საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტი ინჟინერი . . . | 1 | 79 | 79 | — |
| საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტრო უფროსი ეკონომისტი . . . . . . | 1 | 88 | 88 | — |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| ორგანიზაციები | შესამცირებელ თანამდებობათა რაოდენობა | საშუალო თვიური ხელფასი | ხელფასის შესამცირებელი ფონდი | პერსონალური დანამატი |
|---|---|---|---|---|
| საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრო | | | | |
| უფროსი ეკონომისტი . . . . . | 1 | 79 | 79 | — |
| წყლის რესურსების გამოყენებისა და დაცვის სახელმწიფო კომიტეტი | | | | |
| უფროსი ინჟინერი | 1 | 100 | 100 | — |
| სულ . . . . | 17 | -- | 1923 | 19 |

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი ა. მირიანაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 39 საქართველოს სს რესპუბლიკაში მეორადი ნედლეულის შეგროვებისა და გამოყენების დაგეგმვის მოწესრიგების ზომების შესახებ

რესპუბლიკაში მეორადი ნედლეულის რესურსების მნიშვნელოვანი ზრდის მიუხედავად, მისი დამზადებისა და გამოყენების მოცულობა კვლავ არასაკმაოა. დიდძალი მეორადი ნედლეული არ გროვდება, ფუჭდება და ისპობა, რის გამო სახალხო მეურნეობას სერიოზული ზარალი მოსდის. ამავე დროს საშენი მასალების მრეწველობა, ქაღალდის, რეზინა-ტექნიკური და მსუბუქი მრეწველობა არ არიან უზრუნველყოფილი საჭირო რაოდენობის ამ ნედლეულით.

სუსტად მოქმედებს განშტოებული, მაგრამ ცუდად აღჭურვილი ქსელი დამამზადებელი კანტორებისა, პუნქტებისა და ფარდულებისა საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს მეორადი ნედლეულის რესპუბლიკური კანტორისა და ცეკავშირის სისტემაში, რის გამო მეორადი ნედლეულის შეგროვება მოსახლეობაში, განსაკუთრებით სოფელ ადგილებში არადამაკმაყოფილებლად ხორციელდება.

ცუდად წარმოებს ახსნა-განმარტებითი მუშაობა მოსახლეობაში მეორადი ნედლეულის სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობის შესახებ.

საქმეორადნედლეულისა და ცეკავშირის დამამზადებელი კანტორები და პუნქტები საკმაოდ არ არიან უზრუნველყოფილი მექანიზმებით, სასაწყობო სადგომებითა და ფარდულებით, რის გამო დამზადებული ნედლეული თავის ხარისხს ჰკარგავს და თითქმის ფუჭდება კიდეც.

იმ მიზნით, რომ უფრო სრულად იქნას მოზიდული წარმოებაში მეორადი ნედლეულის რესურსები, გადიდდეს მისი ხვედრითი წონა ნედლეულის საერთო ბალანსში და შესაბამისად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 12 თებერვლის № 132 დადგენილებისა „მეორადი ნედლეულის შეგროვებისა და სახალხო მეურნეობაში მისი გამოყენების დაგეგმვის მოწესრიგების ზომების შესახებ“, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაეკისროს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს პასუხისმგებლობა რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებისა და მუშათა დაბების საწარმოებში, ორგანიზაციებში, დაწესებულებებსა და მოსახლეობაში ყველა სახის მეორადი ნედლეულის შეგროვების ორგანიზაციისა და მისი დამზადების გეგმის შესრულების

ეროვნული ბიბლიოთეკა

უზრუნველყოფისათვის და ამ ნედლეულის პირველადი დამუშავებისათვის (გარდა იმ რაიონებისა, რომლებშიაც მეორადი ნედლეულის დამზადებას და პირველად დამუშავებას ახორციელებს სამომხმარებლო კოოპერაცია), აგრეთვე სახალხო მეურნეობაში მეორადი ნედლეულის რაციონალურად გამოყენებისათვის.

ამ მიზნით:

ა) შეიქმნას საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს არსებული რესპუბლიკური კანტორის — „საქმეორადნედლეულის“ ბაზაზე მეორადი ნედლეულის დამზადების, პირველადი დამუშავებისა და გასაღების სამმართველო სამეურნეო ანგარიშზე (საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს სამმართველო „საქმეორადნედლეული“) საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს ადმინისტრაციულ-სამმართველო პერსონალის საერთო რაოდენობის ფარგლებში;

ბ) გადაეცეს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს „საქმეორადნედლეულის“ სამმართველოს დადგენილი წესით საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს მსუბუქი მრეწველობის სამმართველოს თბილისისა და სოხუმის მეორადი ნედლეულის გადამმუშავებელი ფაბრიკები.

2. დაევალოთ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს და საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას:

ა) გაითვალისწინონ გეგმებით ყველა სახის მეორადი ნედლეულის დამზადებისა და წარმოებაში გამოყენების დავალებანი, აგრეთვე კაპიტალური დაბანდებანი მეორადი ნედლეულის დამამზადებელი ორგანიზაციების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გასაფართოებლად და ამ ნედლეულის პირველადი დამუშავების სიმძლავრეთა გასადიდებლად;

ბ) გამოუყონ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს „საქმეორადნედლეულის“ სამმართველოსა და ცეკავშირს მეორადი ნედლეულის დასამზადებლად საჭირო საშენი მასალები, სატრანსპორტო საშუალებანი, მოწყობილობა, აგრეთვე უზრუნველყონ ახალი ფაბრიკებისა და დამამზადებელი ბაზების მშენებლობა რკინიგზებისა და გზატკეცილების, ენერგომომარაგების, წყალმომარაგების წყაროებისა და საკანალიზაციო ქსელის მახლობლად.

3. საქართველოს სსრ სახალხო · მეურნეობის საბჭომ და ცეკავშირმა:

ა) მოაწყონ სახალხო მეურნეობის საბჭოს და სხვა სამინისტროებისა და უწყებების საწარმოებში გამოუყენებელი მეორადი ნედ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეულის შეგროვება, დახარისხება და შენახვა, აგრეთვე მისი ჩაბარება დამამზადებელი ორგანიზაციებისათვის;

ბ) გააუმჯობესონ მუშაობა მეორადი ნედლეულის შეგროვებისათვის მოსახლეობაში სახლმმართველობებისა და სკოლების მეშვეობით; გააძლიერონ მასობრივი ახსნა-განმარტებითი მუშაობა მეორადი ნედლეულის შეგროვებისა და გამოყენების მნიშვნელობის შესახებ, რისთვისაც ფართოდ გამოიყენონ კინო, რადიო, ტელევიზია, პრესა და სხვა საშუალებანი;

გ) გააფართოონ დასამზადებელი მეორადი ნედლეულის ნომენკლატურა იმ მიზნით, რომ მოიზიდონ გადასამუშავებლად დამატებითი ნედლეულის რესურსები (ქრომის ჩამონაჭრები, წითელი მუხის ამონაჭერი, ქილები, თეთრი თუნუქის ჩამონაჭრები, ფრთა და ბუმბული, ფლაკონები და სხვ.).

4. დაევალოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მოაწყოს ყველგან რესპუბლიკის ყველა დაწყებითსა და საშუალო სასწავლებლებში მაკულატურის შეგროვება და მისი ჩაბარება საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს „საქმეორადნედლეულის“ სამმართველოსა და ცეკავშირის დამამზადებელი ორგანიზაციებისათვის.

5. დაევალოს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას შეიტანოს ამ დადგენილებიდან გამომდინარე ცვლილებანი საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს „მეორადნედლეულის“ სამმართველოს და ცეკავშირის მეორადი ნედლეულის დამზადების 1964-1965 წლებისათვის დამტკიცებულ გეგმაში.

6. მიღებულ იქნას ცნობად, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ ზემოაღნიშნული დადგენილებით დაავალა:

ა) სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის საბჭოს — წარუდგინოს სსრ კავშირის ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს წინადადებანი მეორადი ნედლეულის დამზადების, პირველადი დამუშავების, მიწოდებისა და გამოყენების სტატისტიკური ანგარიშგების მოწესრიგების შესახებ;

ბ) სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს — გაითვალისწინოს მოკავშირე რესპუბლიკების განაცხადებით, სახალხოსამეურნეო გეგმების პროექტებით სპეციალიზებული მოწყობილობის დამზადება მეორადი ნედლეულის დამამზადებელი ორგანიზაციებისა და ამ ნედლეულის პირველადი დამუშავებისა და გადამუშავების საწარმოებისათვის;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) მრეწველობის დარგების სახელმწიფო კომიტეტებს — შეიტანონ სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის საბჭოსთან არსებულ „სოიუზგლავტორგსირიოსთან“ შეთანხმებით, სამეცნიერო-საკვლევ ორგანიზაციათა სამუშაოების გეგმებში მეორადი ნედლეულის გამოყენების თემები.

7. დაევალოთ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს სისტემატური დახმარება გაუწიონ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს „მეორადნედლეულის“ სამმართველოს და ცეკავშირის დამამზადებელ ორგანიზაციებს მეორადი ნედლეულის დამზადებისა და გაგზავნის საქმეში, აგრეთვე იმ მხრივ, რომ გამოეყოთ მათ ნაკვეთები დამამზადებელი ბაზების მშენებლობისათვის რკინიგზებისა და გზატკეცილების, ენერგომომარაგების, წყალმომარაგების წყაროებისა და საკანალიზაციო ქსელის მახლობლად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჰირაჟაძე.**

ქ. თბილისი, 1964 წ. 31 მარტი, № 166.

**40** **„საქართველოს სსრ ქალაქებსა და დაბებში მიწათსარგებლობის წესის დარღვევასთან და თვითნებურ საბინაო მშენებლობასთან ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 27 ივლისის № 395 დადგენილების მე-7 მუხლის შეცვლის თაობაზე**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

„საქართველოს სსრ ქალაქებსა და დაბებში მიწათსარგებლობის წესის დარღვევასთან და თვითნებურ საბინაო მშენებლობასთან ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 27 ივლისის № 395 დადგენილების მე-7 მუხლის პირველი აბზაცი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

№ 1 [illegible]

„უფლება მიენიჭოს მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს (ქალაქ თბილისის, ქუთაისის, სოხუმის, ბათუმის, ცხინვალის, რუსთავის, ბორჯომის, წყალტუბოს, გაგრის, გუდაუთის, ქობულეთის და ქალაქის ტიპის დაბების — ბაკურიანისა და ახალი ათონის გარდა) აძლიონ მოქალაქეებს იმ სახლებზე დაშენების ნებართვა, რომლებიც მოქალაქეებს ეკუთვნით პირადი საკუთრების უფლებით, სახლმფლობელის წერილობითი თანხმობით და ქალაქის (დაბის) არქიტექტურული განაშენიანების მოთხოვნების დაცვით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჟირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1964 წ. 31 მარტი, № 167.

**41** **საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს სპეციალიზებული ტრესტების მოწყობის შესახებ**

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს სამეურნეო ხელმძღვანელობის გაუმჯობესებისა და საბჭოთა მეურნეობების სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი სპეციალიზაციის განხორციელების მიზნით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. მოეწყოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს სპეციალიზებული საბჭოთა მეურნეობების ტრესტები:

მებოსტნეობა-მერძევეობის საბჭოთა მეურნეობების ტრესტი გარდაბნის სპეციალიზებული მერძევეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობების ტრესტის ბაზაზე;

მეფრინველეობის მეურნეობათა ტრესტი;

მევენახეობისა და მეხილეობის საბჭოთა მეურნეობების ტრესტი;

ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების საბჭოთა მეურნეობების ტრესტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. დამტკიცდეს მებოსტნეობა-მერძევეობის საბჭოთა მეურნეობების, მეფრინველეობის მეურნეობების, მევენახეობისა და მეხილეობის საბჭოთა მეურნეობების და ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების საბჭოთა მეურნეობების ტრესტების გამგებლობაში გადასაცემი საბჭოთა მეურნეობების სია, №№ 1, 2, 3 და 4 დანართების თანახმად.

მეფრინველეობის საინკუბატორო სადგურები გადაეცეს მეფრინველეობის მეურნეობათა ტრესტის გამგებლობაში.

3. დაწესდეს ამ დადგენილების პირველ მუხლში აღნიშნული სპეციალიზებული საბჭოთა მეურნეობების ტრესტების შტატი 150 ერთეულის რაოდენობით.

დაევალოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს დაამტკიცოს ტრესტების შტატები იმ ადმინისტრაციულ-სამმართველო პერსონალისა და ხელფასის ფონდის ფარგლებში, რაც სამინისტროს დაუმტკიცდა 1964 წლისათვის. ამასთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიამ გაადიდოს ადმინისტრაციულ-სამმართველო პერსონალის რაოდენობის ლიმიტი 114 ერთეულით საერთო რაოდენობისა და ხელფასის ფონდის ფარგლებში, რაც დაწესებულია სამინისტროსათვის შრომის 1964 წლის გეგმით.

აპარატის გაიაფების მიზნით, დაევალოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს გადასინჯოს დაქვემდებარებული ორგანიზაციების ადმინისტრაციულ-სამმართველო პერსონალის მოქმედი შტატი მისი გამარტივებისა და ზედმეტობის აღმოფხვრის მხრივ.

4. სპეციალიზებული საბჭოთა მეურნეობების ახლადმოწყობილი 4 ტრესტის მუშაკთა თანამდებობრივი განაკვეთები დაწესდეს, შესაბამისად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხების სახელმწიფო კომიტეტის და პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს სამდივნოს 1962 წლის 13 ივლისის № 226/18 დადგენილებისა „საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების ტრესტების მუშაკთა შრომის ანაზღაურების შესახებ“.

5. დაწესდეს, რომ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს სპეციალიზებული საბჭოთა მეურნეობების ტრესტები იმყოფებიან სამეურნეო ანგარიშზე და მათი შენახვა წარმოებს საბჭოთა მეურნეო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბების ანარიცხთა ხარჯზე, საბჭოთა მეურნეობებისათვის დამტკიცებული პროდუქციის თვითღირებულების გეგმის გაუდიდებლად.

6. სპეციალიზებული საბჭოთა მეურნეობების ტრესტების მთავარი ამოცანაა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოებთან ერთად, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების შემდგომი მკვეთრი აღმავლობის საფუძველზე, უზრუნველყონ ქალაქ თბილისის, რუსთავის და რესპუბლიკის სხვა სამრეწველო ცენტრების მოსახლეობის საკმაოდ მომარაგება ბოსტნეულით, რძით, კვერცხით, ფრინველის ხორცით, ხილით, ყურძნითა და სხვა პროდუქტებით.

7. საბჭოთა მეურნეობები ადმინისტრაციული, საფინანსო და სამეურნეო საქმიანობის მხრივ ემორჩილებიან სამინისტროს შესაბამის ტრესტებს, რომლებიც საბჭოთა მეურნეობების მთელ საქმიანობას წარმართავენ სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი განვითარებისაკენ, სამეურნეო ანგარიშის განმტკიცებისა და ზარალიანი მეურნეობების რენტაბელურ მეურნეობებად გადაქცევისაკენ.

დაწესდეს, რომ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოებს ეკისრებათ იმის სრული პასუხისმგებლობა, რომ საბჭოთა მეურნეობებმა შეასრულონ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოებისა და სახელმწიფოსათვის ჩაბარების გეგმები, აგრეთვე ისინი უზრუნველყოფენ ყველა იმ აგროზოოტექნიკური ღონისძიების განხორციელებას, რომელთა მიზანია სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების გადიდება.

8. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტრომ ერთი თვის ვადაში დაამტკიცოს დებულება სპეციალიზებული საბჭოთა მეურნეობების ტრესტების შესახებ.

9. დაევალოთ საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობას წარმოადგინონ წინადადებანი სპეციალიზებული საბჭოთა მეურნეობების ახლადმოწყობილი 4 ტრესტის, მსუბუქი ავტოტრანსპორტით მომსახურების უზრუნველყოფის შესახებ.

10. მიზანშეწონილად ჩაითვალოს, რომ განლაგებულ იქნან სპეციალიზებული საბჭოთა მეურნეობების ტრესტები:

მეზოსტნეობა-მერძევეობის საბჭოთა მეურნეობებისა — ბოლ-ნისში;
მეფრინველეობის მეურნეობებისა — სამგორში;
მევენახეობისა და მეხილეობის საბჭოთა მეურნეობებისა — დი-ღომში;
ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების საბჭოთა მეურნეობე-ბისა — სამტრედიაში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჟირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1964 წ. 31 მარტი, № 174.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1964 წლის 31 მარტის № 174
დადგენილების დანართი № 1

## ს ი ა

### საბჭოთა მეურნეობებისა, რომლებიც გადაეცა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს მეზოტნეობა-მერძევეობის საბჭოთა მეურნეობების ტრესტს

1. სამგორის
2. თელეთის
3. ავჭალის
4. ნორიოს
5. მანგლისის
6. ციხისჯვრის
7. ბათუმის
8. კრწანისის
9. ქობულეთის
10. სამტრედიის
11. ქვიტირის
12. გამარჯვების
13. ახალი სამგორის
14. რუისბოლოს
15. მარტყოფის
16. სართიჭალის
17. საგარეჯოს
18. ივრის
19. არაფლოს
20. მულანლოს
21. ყაჩაღანის
22. ალგეთის
23. არახლოს
24. მარნეულის

ეროვნული ბიბლიოთეკა

25. ნატახტარის
26. ადიგენის
27. აწყურის
28. ქვიშხეთის
29. ბაშის
30. გაგრის
31. ოჩამჩირის
32. გეგუთის
33. კავთისხევის
34. თამარაშენის
35. ერედვის
36. გარდაბნის
37. ყარაბულახის
38. სამგორის სანაშენო
39. რუსთავის მელორეობის
40. ორბეთის მერძევეობის

---

ს უ ლ: 40 მეურნეობა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1964 წლის 31 მარტის № 174
დადგენილების დანართი № 2

## ს ი ა

**მეფრინველეობის მეურნეობებისა, რომლებიც გადაეცა მეფრინველეობის მეურნეობების ტრესტს**

1. თბილისის მეფრინველეობის ფაბრიკა
2. ნორიოს „ „
3. თამარისის „ „
4. სამგორის საჯიშე მეფრინველეობის საბჭოთა მეურნეობა
5. სამტრედიის მეფრინველეობის საბჭოთა მეურნეობა
6. გაგრის მეფრინველეობის ფაბრიკა
7. ბათუმის „ „
8. შირაქის მეფრინველეობის საბჭოთა მეურნეობა
9. საგარეჯოს მეფრინველეობის ფაბრიკა
10. გომის „ „
11. თელავის მეფრინველეობის საინკუბატორო სადგური
12. გურჯაანის „ „ „
13. წნორის „ „ „
14. წითელწყაროს „ „ „
15. ლაგოდეხის „ „ „
16. თეთრიწყაროს „ „ „

ეროვნული ბიბლიოთეკა

17. დუშეთის მეფრინველეობის საინკუბატორო სადგური
18. გორის " " "
19. ქარელის " " "
20. ახალციხის " " "
21. ახალქალაქის " " "
22. ცხინვალის " " "
23. საჩხერის " " "
24. ამბროლაურის " " "
25. წყალტუბოს " " "
26. ლანჩხუთის " " "
27. ზუგდიდის " " "
28. ცხაკაიას " " "
29. გალის " " "
30. სოხუმის " " "

სულ: 30 მეურნეობა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. მირაქაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1964 წლის 31 მარტის № 174
დადგენილების დანართი № 3

## ს ი ა

საბჭოთა მეურნეობებისა, რომლებიც გადაცემულია მევენახეობისა და მეხილეობის საბჭოთა მეურნეობების ტრესტის გამგებლობაში

1. კისისხევის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობა
2. წინანდლის " " "
3. ნაფარეულის " " "
4. ახმეტის " " "
5. ყვარლის " " "
6. კარდანახის " " "
7. შრომის " " "
8. მუკუზნის " " "
9. ხირსის " " "
10. ტიბაანის " " "

№ 1
ეროვნული
ბიბლიოთეკა

11. მანავის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობა
12. სამგორის " " "
13. ლილოს " " "
14. ვარკეთილის " " "
15. ყულარის " " "
16. ალგეთის " " "
17. მარნეულის " " "
18. მცხეთის " " "
19. ოკამის " " "
20. კოდისწყაროს მეხილეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობა
21. ვარიანის " " " "
22. ალაიანის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობა
23. ქიწნისის მეხილეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობა
24. ხურვალეთის მეხილეობის საბჭოთა მეურნეობა
25. კარალეთის " " "
26. ბრეთის " " "
27. ბერბუკის " " "
28. ალის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობა
29. არგვეთის " " "
30. როდინოულის " " "
31. საჩხერის " " "
32. ვარციხის " " "
33. ვაზისუბნის " " "
34. ჩოხატაურის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობა
35. გომბორის " " "
36. ბოლნისის " " "
37. შაუმიანის " " "

სულ: 37 საბჭოთა მეურნეობა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ეროვნული

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1964 წლის 31 მარტის № 174
დადგენილების დანართი № 4

# ს ი ა

## საბჭოთა მეურნეობებისა, რომლებიც გადაცემულია ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების საბჭოთა მეურნეობების ტრესტის გამგებლობაში

1. ნატანების ჩაის საბჭოთა მეურნეობა
2. ნასაკირალის " " "
3. ლაითურის " " "
4. ნარუჯის " " "
5. ურეკის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობა
6. დიდიჭყონის ჩაის საბჭოთა მეურნეობა
7. ვედიდკარის " " "
8. გეჯეთის " " "
9. ტეხურის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობა
10. ნოსირის დაფნის საბჭოთა მეურნეობა
11. ახალი სენაკის დაფნის საბჭოთა მეურნეობა
12. ლესიჭინის ჩაის საბჭოთა მეურნეობა
13. ონარიის " " "
14. ხეწერის " " "
15. ნარაზენის " " "
16. ზედა ეწერის " " "
17. წალენჯიხის " " "
18. ხეთის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობა
19. ფოთის " " "
20. ოჩხამურის ჩაის საბჭოთა მეურნეობა
21. ცეცხლაურის " " "
22. ჩაქვის " " "
23. მუხაესტატეს ციტრუსების საბჭოთა მეურნეობა
24. ალამბრის " " "
25. ციხისძირის " " "
26. ჩაქვის " " "
27. კვირიკეს " " "
28. სალიბაურის ჩაის საბჭოთა მეურნეობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

29. თბილისის სუბტროპიკული კულტურების საბჭოთა მეურნეობა
30. მახინჯაურის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობა
31. გონიოს ციტრუსების საბჭოთა მეურნეობა
32. მახვილაურის " " "
33. ახალშენის " " "
34. აჩიგვარის ჩაის საბჭოთა მეურნეობა
35. გალის ჩაის საბჭოთა მეურნეობა
36. კოხორის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობა
37. მზიურის " " "
38. ხუშუშკურის ჩაის საბჭოთა მეურნეობა
39. მოქვის " " "
40. მერკულის " " "
41. ახალი ათონის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობა
42. გაგრის " " "
43. სიხარულის " " "
44. საბჭოთა მეურნეობა „ილიჩი“

სულ: 44 საბჭოთა მეურნეობა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი ა. ჟორჟაძე.

ინდექსი — 76187

ეროვნული ბიბლიოთეკა

# СОБРАНИЕ ПОСТАНОВЛЕНИЙ ПРАВИТЕЛЬСТВА ГРУЗИНСКОЙ ССР

## № 1 за 1964 год


გამომცემი: საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობა

ხელმოწერილია დასაბეჭდად 19/VI-64 წ. ქაღალდის ზომა 60 X 9C,
ქაღალდი 17.000, ნაბეჭდი თაბახი 17,75, სააღრიცხვო თაბახი 9,3

წლიური ხელმოწერის ფასი 3 მან.

თარგმნილია რუსულიდან

ტირაჟი 2500 შეკვეთა № 578

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის სტამბა